

114
1958 / 3



მნათობი

592

5

მანისი



1958



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 35-ე

№ 5

მაისი, 1958 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

7756

შ ი ნ ა ა რ ს ი

ოთარ ჩხეიძე — ზენეტი, რომანი, გაგრძელება	33
ვახილ გვეტაძე — ყველა მაისის დღეს მოგაგონებს. ლექსი	3
ვალერიან ვაფრინდაშვილი — ძლია და მაინაბელი. ლექსი	50
ვაიოზ ნიშნიანიძე — ზღვის ნათლული, ნარკვევი	51
ხარიტონ ვარდოშვილი — ლექსები	52
ნინო აღნიაშვილი — ისინი სამშობლოს იცავენენ. ნარკვევი	68
ზურაბ კაკაბაძე — ლექსები	69
გიორგი ჯიბლაძე — ხელოვნების შორეულ ძეგლებთან	72
	74

კრიტიკა და კვლევითობა

აკაკი თოფურია — ცოცხალი სახეების შწერალი	88
ბრონიხლავ ზაბტაძე — გ. ვ. პლენხანოვი და მეცხრამეტე საუკუნის რუსი რევოლუციონერი დემოკრატები	95
ელ. შავჭავჭავაძე — კ. მარქსის მოძღვრება ერის არსისა და ბუნების შესახებ	100
ალექსანდრე ქუთელია — სიცილი და მისი სოციალური ძალა	113
ციხლა კარბელაშვილი — ჯონ გოლსუორთი	132

ლიტერატურული მიმოვიხილვა

ვ. დონაძე — ნიკო ნიკოლაძე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კოლონიური პოლიტიკის შესახებ	139
---	-----

ძარბაზის მწერლობა მოსკოვში გაერთულ ლიტერატურისა და ხელოვნების დეპარტამენტი

ალექსანდრე ბორზნაგოვსკი — ყველაზე ძნელი თანრი	147
ა. აბალიძე — ალიო შირტუღაძის პოეზია	157
ვ. პოტაპოვა — ზუსტად შავჭავჭავაძის ლექსების წიგნი	158

იხ. მე-2 გვ.

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»

თბილისი





მეცნიერული ლიტერატურა

წიგნების მიმოხილვა

მ. გიგეშიძე — გამოკვლევა ქართული ხალხის რელიგიის ისტორიაში 178

ალ. ონიანი — ნაშრომი შწერლის ენის შესახებ 180

ალ. ნეიშანი — უპასუხისმგებლოდ შედგენილი ლექსიკონი 183

გ. მიბუჯე — მაქსიმ გორაკი საქართველოში 186

რ. იმნაიშვილი — მონოგრაფია ნოე ბუჩიძეზე 187

აკ. ურუშაძე — სტრახონი ქართულად 189

პროფ. აბ. კაკაბე — საჭირო განმარტება 191

ახალი წიგნები გარეკანის შესაბამე გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, დ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგვე-
ლაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VI-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 308.
უე 00382. ანაწილის ზომა 7 1/4 × 12 1/2. ჭაღალდის ზომა 70 × 108. ტირაჟი 6700.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიამომცემლობის ბეჭდვით
სიტყვის კომბინატი. თბილისი, შარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

მთარ ჩხიძე



მეჩეჩი*

ნიკას ხანდახან გაუღიმებდა ბედი, გაუღიმებდა თუ განსაკუთრებულ მშენებლობაზე მოხედებოდა, მაგრამ იშვიათი იყო ასეთი სიხარული, განა არა სჯობდა, დაბრუნებულები, სიხარული მოეტანა სახლში. ირინეც მოისვენებდა, აღარ შეიძრწუნებდა კენესა, მწვავე ძახილი ბალისა თუ ვენახისა: მოგვხედეთ... მოგვხედეთ... პატრონი ხომ არ მოგვკვდომია... მოგვხედეთ... მოგვხედეთ...

და აი ცოტა დაცხრა ბალ-ვენახი, გიგოს მარჯვენის ქვეშ დაცხრა. მაგრამ ვინ იცის ისევ გაქცევაზე უპირავეს თვალის, ვინ უწყის, ვინ რას გაიგებს ამ გულჩათხრობილი, ჩუმი თუ უცნაური, უზრუნველად მოდიმარი ვეკაცისა. თუმცა ირინემ რაღაცა იქვეა, როცა რამდენჯერმე მიუსწრო თუთაზე მიყუჩებულსა, ან მესერზე აფოფხილსა, ომადიანთაგან ხეყუნა, მუდარა, სლუკუნი თუ ვიშვიში რომ მოისმოდა; ან მაშინ, როცა ბალში დაინახა აქეთ გიგო, ხოლო იქით, გადაწვეულ ძეძვებში, თითქოს ჩარჩოში ჩამჯდარი სურათი ომადიანთ მშვენიერი პატარაბალისა, ჰო, იქვეა, ბევრი რამეც გაიფიქრა, საშიშიცა, სამწუხაროცა, როგორცა სჩვევიათ ბევრის განმცდელ ადამიანებსა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს, არც არა უგრძობნიებია გიგოსათვისა, ეგონა კრინტს დასძრავდა თუ არა, აუცხადებოდა შიში.

რათქმუნდა თანდათან აბრაზებდა ომადიანთ საღამოს სურათები, აბრაზებდა ბიჭუჭუჭების ლაზღანდარობაცა, როცა გელას ჩაიდებდნენ ხელში. შეშოებხვევოდნენ, ლიჯლიჯებდნენ, იპაქე-

ბოდნენ სიცილითა: „ჰა, გელა, შენი ცოლია ტასოი?“ აღიზიანებდა ერთი და ყველანი წინწინ იპაქებოდნენ, რადგან გელა აყვირდებოდა, — „გადი, დაიგარგე... შენი ცოლი იყვეს რა...“ „ჰა, გელა, მაგრა აკოცებ ტასოსა?“ — დასძახოდა მეორე, „გადი, დაიგარგე... შენ აკოცე რა...“ — უფრო ბრაზიანად აყვირდებოდა გელაი. „ჰა, გელა... ტასოსა...“ — არ მოეშვებოდა მესამე, უწმაწურ რასმე ეტყოდა და არც გელა დაიხვედა უკანა, — „შენა რა... შენა რა...“ — ახლა ეს გულს ეძგერებოდა ხლმე გიგოსა, მაგრამ მაინც კარგ ხასიათზე იყო. მალე ბოლოც მოუღო ამ ლაზღანდარობასა, მოლიჯლიჯე ბიჭებში სილა გაშალა და წყნარადა თქვა:

თუ კიდევ ვითქვამთ, იცოდეთ, საქმე ჩემთან გექნებათ...“ — ჰო, სილა გაშალა და მერე რა სილა, მთელი ლავაში დაეტეოდა... გუნდიანთ სილა, გუნდიანთ ხელი ხომ საარაკო იყო ხალდეში. წლობით, საუკუნეობით გამოყვანილიყო, გამოძერწილიყო, ჩამოთლილიყო, ერთად დახვეწილიყო მკნელიცა და ქმნულიცა, ოსტატიცა და ნოსტატიცა; ყელწვრილ სურებში ამორბელებულიყო, კინკილებში ამოტეულიყო, ჩანჩქერის თიხთში გამოხეულიყო, გამოქნილიყო გუნდიანთ ხელი, საოცარის ძალით აღესილიყო, რხევის, მიმოხერხის გასაკვირი თვისებები შეეძინა. არა, სახუმრო არ იყო ეს სილა თუ ჩითის ხალათიც ირხევოდა, ეტმასნებოდა, ძლიერ კუნთებსა, ჰო, სახუმრო არ იყო და ოხუნჯობის ხასიათი წაუხდებოდათ ოხუნჯებსა. აკი წაუხდათ კიდევ, გელას ვეღარ შემოხევე-

* ვაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 4.

ვოდნენ ხოლმე, თუ შემოეხვევოდნენ, რამდენიმე გუშაგი მაინც ეყენათ, რალა მადლი ჰქონდა ასეთ ზუმრობასა, თეითონ ისინი გამოდიოდნენ სასაცილონი და თავი მიანებეს გელასა. ამ მხრით მოისვენა გიგომა, საღამოს სურათებსაც თუ მოეღებოდა ბოლოი...

მაგრამ უკეთესია ნელნელა გაეყვეთ...

აქ პირველყოელისა უნდა ითქვას, რომ ერთხელ, სამხრობის შემდეგ, როცა ომაძიანი სამუშაოდ გაიკრიფნენ და მარტო პატარძალი დასტოვეს შინა, გიგო ფრთხილად ავიდა თუთაზე, განის ტოტებზე გაიწია, მარამაში გამოხვეული რალაც ჩაჰკიდა ომაძიანთ ეზოში; ფრთხილადვე ჩამოვიდა ძირსა, მტყიცელ შეკრულ მესერში საღაც ჰკიტი მაინც იპოვნა, აეკრა იმ ჰკიტსა, დაელოდა, მოუთმენლად დაელოდა პატარძლის გამოჩენასა. პატარძალი მალე გამოჩნდა, მაგრამ რაო, ლოდინი მაინც დიდხანს მოუხდა, რადგან არ იქნა და არა, თუთისკენ არ გაიხედა პატარძალმა, აღ-ჩადიოდა, შედ-გადიოდა, არბი-ჩარბოდა, ისე თითქოს თავისი თავის მეტს არაფერს ამჩნევსო და ვინ იცის მართლაც ვერ შეემჩნია, სხვას, შინაურს ან ვინმე გარეულს უფრო მალე დაედგა თვალი, ჰო, ეს არცთუ სასიხარულო იქნებოდა გიგოსთვისა, არცთუ მცირედად ააღლელებდა,—დაინახავს თუ არა გაიხარებს თუ არაო. და ბოლოს, როცა თითქმის იმედი გადაუწყდა, უეცრად ტასო შეჩერდა კიბეზე, მკვირცხლად ჩამორბოდა, რალაც სეღიანი სიმღერით ჩამორბოდა და ჩაუწყდა ნაბიჯი, ჩაუწყდა ხმაცა, თუთაზე დაკიდულმა მარამაში მოსტაცა თვალი, გააკვირვა, გაოცა. იყო ასე. მერე უფრო აჩქარებით ჩაირბინა. შუა ეზოში მაინც უმტყუნა გულმა, შეჩერდა, შეყოვნდა, მიმოიხედა, თუთას დააკვირდა, მალა ცა მოჩხრიკა, ძირს დეღამიწა, — არავინ იყო, არავინა სჩანდა, ამან ვააბედვინა, სწრაფად მიიქრა მარამაშსთან, გადახსნა, დაახედა, დააშტერდა, განცვიფრდა, გაოცდა, უფრო შიშინად მიმოიხედა, სა-

ოცრად ანთებული თვალებით მომოიხედა, მარამაში ისევ შემოახვეოდა, რალაც საგანსა, გულზე მიიკრავდა, შეჩერდა, გაჰქრა, მართლაც გაჰქრა, ყოველშემთხვევაში ასე მოეჩვენა გიგოსა, მაგრამ ახლა ამაზე არა ფიქრობდა, მისი სიხარული მოსდებოდა, იცინოდა, კედელს ეკვროდა, გულით ეკვროდა, მკლავებს უსვამდა თითქოს უნდა აცურდესო, იყალყებოდა, ეხვეოდა, ეხახუნებოდა... როგორც იყო კვლავ იელვა ვარდისფერმა კაბამა, მართლაც ელვად ჩავარდა ბაღში. გიგოც ბალისკენ გაეშურა. ძეძვის ღობე უკვე ირზეოდა, იწეწებოდა ყველაზე თხელ ადგილას, თვალი უკვე ეკიდებოდა ხელებსა, ღამაზ ხელებსა, ღამაზ სახესაც მოეკიდა თვალი, გახარებულ, გაიცისკრებულ სახესა.

— ასეც გაიფიქრე... — შესძახა ტასომა, როგორც კი შეჰხვდა-გიგოს თვალებსა.

— რა გაიფიქრე?! — სიხარულის შეკავებით მიუგო გიგომა, სულ ახლოს მივიდა ძეძვის ღობესთანა.

— თითქოს გაკვირვებით მეკითხები...

— რომ არ ვიცი რა გაიფიქრე...

— მითუმეტეს... ეგებ გასაკვირი არაფერი მიფიქრია...

— ჰმ, ჰმუო, ოღნავ ჩაახველა გიგომა, ეს იყო მისი პასუხი.

— ეგებ გასაკვირი არ მიფიქრია-მეთქი... — არ მოეშვა ტასოი.

— მაშინ მეც არ გამიკვირდება. — ყოვნებით გამოთქვა გიგომა.

— რატომუხდა არ გაგიკვირდება, მე კი გამიკვირდებოდა, მაშ რა — კარგი მივიშვებანებოვარ... ამბობდნენ, მაგრამ არ მეგონა თუ ასეთი ოსტატი იყავი...

— სსს... — თითები ტუჩზე მიიღო გიგომა.

— რა სუ?! ეს ყველამ იცის, ხმამალა არ ამბობენ, თორემ ჩუმად ყველა ლაპარაკობს, გუნდიათში გიგოსთანა ოსტატი არა ყოფილაო.

— სსს... — გიგომ კიდევ მიიტანა თითები ტუჩებთანა, ოღონდ თვალები ისე უბრწყინავდა, ღაწვები ისე გაშუქებოდა, ტასო მიხედა, ზუმრობსო, ამი-

ტომ თვითონაც მიიტანა თითები ტუჩებთანა, აპაა, გაქუმიდებო. უფრო გაუბრწყინდა თვალები გიგოსა, კიდევ წაუვიდა ხელი ტუჩებისკენა, გაქუმების ნიშნად როდი, სხვა რამის ნიშნად, ამბორის ნიშნად, ტასო მიუხედა და იუკადრისა, გაიბუსხა, მყისვე შეაერთა ძეჭვი, სახე ჩამალა. მაშინ გიგო ეძგერა ღობესა, ქაცვს არ დაერიდა, აჩქარებით მიმოსწია, ისე მიმოსწია თავი კი არა მთელი სხეული გაეტევოდა.

— რად შემომწყერი?! — სინანულით, თან იმედიანად თქვა გიგომა, დამედღებოდა მაშ რაო, ტასო იქვე იყო, თითქოს არც აპირებდა წასვლასა.

— არ შემოგწყრომივარ, — თავი არ აუღია ისე მიუგო ქალმა, ღიღილოს დასწვდა, მოწყვიტა, გაქნდა, — მადლობა უნდა მეთქვა...

— რისა?!
ტასომ თავი აიღო, გაკვირვებით შეჰხედა.

— კიდევ მეკითხები?!
— კიდევ... თუ არ მიპასუხებ.

ტასომ ისევ დალუნა თავი, დაიხარა, რამდენიმე ღიღილო მოსწყვიტა, ყველას ერთად წააცალა თავი.

— მადლობა... — ამოიძახა უცებ და გაიქცა.

კისერი წაიგრძელა გიგომა, წელამდე გადავიდა ომაძიანთ ბაღში, გაჰყურებდა, როგორ მიჰქროდა, მიელავდა, მიფრიალებდა ვარდისფერი ფოთოლთა შორის; და როცა ეგონა ესესა თვალს მიეფარება, მიიმალებო, შეჩერდა, შებრუნდა, ნელნელა წავიდა გიგოსკენა, შორიხლოს შეჩერდა, თავი არ აუღია ისე მძიმეძიმედ, ძლივს გასაგონად, თითქოს თავის თავს ესაუბრებო, ჩიოდუღუნა:

— მხოლოდ თვალები ვერ მიგიმგებინებია... სხვისი თვალებია...

— შენი თვალებია...

— როდისა მაქვს ისეთი ბედნიერი თვალები...

— გექნება...

— როდისა?!
— მალე, სულ მალე...

— რა ხუმრობაა... გასაზარელი რა მაქვს, საბედნიერო რა მექნება.

— გექნება!..

— ნუგეშიც კარგია... ნუგეში გულის მალამოაო...

— ეს ნუგეში კი არა, ჩემი რწმენაა...

— ჰმ, ჰმ...

— დამიჯერე!... — კიდევ ჩასწია ძეჭვი გიგომა, გადაალაჯა ომაძიანთ ბაღში.

— რას ჩადიხარ?! — თითქოს შეერთა პატარძალი, — ღობე გააფუქე... მამამთილი გაწყურება...

— ძალიან არ მენადღლება... ღობე რაო, შევხლართავ ისევ ღობე იქნება.

— ეს დაიჯერება...

— ისიც დამიჯერე...

გიგო ახლოს მივიდა. ქალი ატმის ფოთლებს უსვებდა ხელსა, გიგომაც ფოთლებს მიუსვ-მოუსვა ხელი.

— ვერ დაგიჯერებ...

— რატომა?!
— იმიტომა...
— მაინცა?!
— არ მექნება ისეთი თვალები... — აიხედა ტასომა, გაჰქრობოდა წელანდელი შუქი.

— რატომა?!
— იმიტომა...
— მაინცა?!
— არ ვიქნები ბედნიერი...
— რატომა?!
— ეს!... — კიდევ შეჰხედა, დაკვირვებით შეჰხედა, შეჰხედა, უყურა ასე, როცა უნდათ თქვან და ვერ უთქვამთ, ენით ვერ უთქვამთ, სწყურიათ, თვალთ გააგებინონ, გააგებინონ რასაც განიცდიან, ისევე ღრმად, ისევე მტანჯველად, როგორც განიცდიან, — მადლობელი ვარ, დიდი მადლობელი ვარ, ასე ძალიან არაფერს ვაუბნარებოვარ, არც არაფერი გამახარებს... დიდი მადლობელი... ღობე გაასწორე... — თქვა და წავიდა, წავიდა ნელა, წავიდა ისე, რომ იქვე რჩებოდა.

და შერე ის ძეჭვის ღობე ხშირად იხსნებ-იკერებოდა, გიგო მიძვრებ-მოძვ-

რებოდა. „მამამთილი გაჯავრდება...“ შესძახებდა ქალი. „ძალიან არ მენადვლება...“ მიუგებდა გიგო და გაჰყვებოდნენ პანტებსა, ალიბუბრებსა, ქლიავებსა, ჰერეფდნენ, არჩევდნენ, ბალჩასაც მიპხედავდნენ, კორდზეც ჩამოსხდებოდნენ შესასვენებლად. მაშინ გიგო მოიმართებოდა ჩარხივითა, მოჰყვებოდა, რომ აწუხებდა მისი სევდა, გამოუთქმელი, ფარული დარდი, უნდოდა სცოდნოდა, რას ჩაეთუთქა გული მისი, ქორფა გული, სურდა გაეგო, რა გაუფანტავდა შეჭირვებასა, რა იხსნიდა ესოდენ მძიმე, მტანჯველი განცდებისგან. განა, სწყუროდა დახმარებოდა, ეშველა, თავი დაედო მისთვისა, პოდა ეთქვა, გამოტეხილიყო, მინდობოდა გიგოსა... ეგებ ეგულებოდა სხვა ვინმე უფრო სანდო, უფრო საიმედო? ან ეგებ გაუწირავს თავი, შეჰპოვია ბედსა, უნდა გაუმკლავდეს, გაუძლოს, აიტანოს? — მერე და რადაო, რისთვისაო?! რა ძალა დასდგომია, რად არას იტყვის, რატომ უქცევს მხარსა, რად გადააქვს სათქმელი, ბანზე რად უდგებს სიტყვასა?! — ასე მოჰყვებოდა, ასე გაიძახოდა გიგო, ტასოც თავისას გაიძახოდა: რას ჩასციებია, რა არის ეს „მინდა“, „მსურს“, „მწყურია“, „მწალიან“, რატომ სწალიან, რად უნდა შეიპრას მის ცხოვრებაში?! ნუ შეწუხდება, ნუ გაირჯება, ტასო თვითონვე მოერევა თავის სანადრდელსა, თავის სატანჯველსა, გადაიტანს ავად თუ კარგად. მისი ბედი ესა ყოფილა, მისი ხვედრი ესა ყოფილა, სხვას რად უნდა აჰკიდოს, სხვას რად უნდა გაუზიაროს, სიკეთე ხომ არაა, არიგჩაარიგოს!.. სიკეთის განზარება შეიძლება, სიავისა—არა, არა!.. გიგომ მიჰხედოს თავის სახლ-კარსა, თავის ოჯახსა, სოფლის თავკაცებს ნულარ გააბრაზებს, სასიკეთო არ არის, ფინაგენტებსაც როგორმე სხვანაირად მიუდგეს, ცემა რა წესია, ან რა ხეირს შეჰყრის: ნუ გააკეთებს რასაც უშლიან, თუ ვერ მოუშლია, წავიდეს ქარხანაში, ვინ არ დახარბდება ასე კარგ ოსტატსა... აქ გიგო გაღიზიანდებოდა, — რა უნ-

და ქარხანაში?! ერთხელ იყო და ისიც ეყოფა, იყო და გამოექცეოდა, ისევ წავიდეს გამოსაქცევადი... ხალხს იქით ფეხისგამდგმელი არ არის... თუმცა თუ მას უნდა თუ სურს, წავაწავიდეს? ტასო: როგორცა სურდეს, როგორც უკეთესად მიიჩნდეს... გიგო: როგორც ურჩევს, როგორც უბრძანებს, პა, წავიდეს თუ დარჩეს? აქ ტასო ისევ ბანზე აადგებდა სიტყვასა, პანტა დამირხივო ან რაღაც ამისთანას იტყვოდა, რაც უნდა ყოფილიყო, როგორც უნდა ეთქვა, გიგო აღარ ჩააცივდებოდა, ხვალაც ამ წლისათა, გაიფიქრებდა და მართლაც ხვალაც იგივე გამოიარდებოდა: რა აწუხებს, რატომ არავის გამოუტყდება, გიგოს რად არ გამოუტყდება და სხვა... ხოლო შემდეგდაშემდეგ, როცა მათი შეხვედრები ჩვეულებად გადაიქცა, როცა ქალი გათამამდა, აღარ მოერიდა ეთქვა, რომ მისი ყოფნა ომბიანთ ოჯახში უბედურებაა, თავდაუღწევი, მოუშორებელი უბედურებაა. თავდაპირველად ვერაფერს მიმხვდარიყო ან რას უნდა მიმხვდარიყო, მოიყვანეს ობოლი, გულუბრყვილო გოგონა, მოუალერესეს, აღავსეს სიკეთითა, სიყვარულითა, აბა, რას უნდა მიმხვდარიყო, რა უნდა ეგრძნო თუ არა დიდი სიყვარული იმათადმი, ვინც ასე ღრმად, ასე თავგამოდებით შეიყვარა. ასე გახდა მონა მათი სიყვარულისა, ურჩობა არ შეეძლო, მათი სურვილის უარყოფა ვერ წარმოედგინა, ვერ წარმოედგინა და აქი ვერცა თქვა უარი იმ უბედურის ცოლობაზე, ვერც მიმხვდარიყო, რა იქნებოდა მისი ცოლობა, თუნდაც მიმხვდარიყო მაინც ხმას ვერ ამოიღებდა, დასძლევდა მათი სიყვარული, დათანხმდებოდა, ოღონდ მიეზლო სამაგიერო, დეკამყოფილებინა თავისი დიდი გრძნობა მადლობისა... მაგრამ რა გამოვიდა, უბედურია, უბედური... ვერსად წავა, ვერ მოსცილდება ამ ოჯახსა, ის არის მათი ერთადერთი სხივი, ერთადერთი ძარტვი სიცოცხლისა, ვერ მოაკლებს ამ სხივსა, ვერ ჩაუწყვეტს ამ ძარტვსა, დიდ სიკეთეს, დიდ ამაგს

დაუბამს, დაუმორჩილებია...

— რის სიკეთეო, რა ამაგიო თუ საზღაურად ტანჯვა მონდომებიია!... — თქვა გიგომა.

— ასე ნუ იტყვი!.. — შიშით ამოძახა ტასომა.

— მაშ როგორა ვთქვა?!

— როგორც გინდოდეს, ოღონდ ასე არა...

გიგო დაფიქრდა.

— რა სიყვარულია თუ უბედურებას უმზადებს ადამიანსა?! — შერე ასე თქვა გიგომა.

— ნურც ასე...

— მაშ როგორა?!

— როგორც გინდოდეს, როგორც გინდოდეს, ოღონდ ნურც ასე...

გიგო კიდევ დაფიქრდა, იფიქრა, იფიქრა და:

— ბოროტებას ბევრგვარი სახე აქვს... ბოროტება იმიტომაც არის, სიყვარულს, სიკეთის, სათნოების სახის მიღებაც შეუძლიან...

— ასე ნუ იტყვი-მეთქი!.. — მწვავედ დაიძახა ტასომა.

— არც ასეო, არც ისეო, მაშ როგორაო, მოვაჯადოვეს ომამიანთა?!.

— არ ვიცი, არაფერი ვიცი, ნურაფერს მეკითხები... ნურც ნურაფერს ახსნას მონდომებ, ნურც ნურაფერს დასძრახავ, ყველა მართალია, ყველა კეთილია... ჭირთა თქმა შევებაო და გითხარი, რომ გულს მომშვებოდა... მომეშვა, დავმშვიდდი, მეტი აღარაფერი მინდა, აღარაფერი... ეგრე ნუ მიყურებ, ნუ, თორემ თვალს აღარ გავისწორებ... ნურაფერს დასძრახავ, მე კარგად ვიქნები...

— კარგად იქნები. — თითქოს ღრმა ფიქრში ამოიძახა გიგომა.

— კარგად ვიქნები... — ურწმუნოდ გაიმეორა ქალმა.

— უსათუოდ, ნამდვილად... — უფრო დაუდასტურა გიგომა, — როცა ნამდვილ სიყვარულს იგრძნობ... კარგად იქნები.

— სიყვარული არ მაკლია... იმათ ვუყვარვარ...

— უყვარხართ თავიანთთვის, ეს როგორი სიყვარულია... მე მართალ სიყვარულზე ვამბობ.

— რა მართალზეო... როგორ სიყვარულზე?!

— როგორიც გიხსნის ომამიანთადა...

— რაო?!

— ...გიხსნის-მეთქი!..

— აღარა თქვა... არა, არა, რაღაცას ამბობ, რაღაც კარგს არ ამბობ, ნულარ მეტყევი, ნულარ გამიმეორებ...

ასე შეენუჯვა, ასე შეემუღარა, მაგრამ გიგოც იქნებოდა და აღარ გაუმეორებდა, რა სათქმელია, რატომ ათასჯერ მაინც არ ეტყოდა, თუ გაუჭირდებოდა მეტჯერაც; ბოლოსდაბოლოს ტასოც აღარ აუხირდებოდა, მიეჩვენებოდა, — ნუგეშს როგორ ვერ მიეჩვენებოდა, — მზრუნველი სიტყვა გაუტკბებოდა, დაფიქრდებოდა, დაამდებოდა, კრთომიდან სითამამემდე მივიდოდა, შიშიდან — გაბედულობამდე, ნელნელა, თანდათანობით, სიტყვის ძალითა, ენის ძალითა, ენას ხომ ყველაფერი შეუძლიანო, სიტყვა ხომ ყველაზე ძლიერი იარაღიაო, დრომაც თავისი იცისო. სიტყვას გიგო არ მოისაკლისებდა, დრო ხომ იყო და იყო... ბოროტი, გამკილავი ან უბრალოდ მოსეირე თვალი ასცილებოდათ, მაგრად, გულმოდგინედ იყო შემოღობილი ბალი კოტესი, მხოლოდ ფრინველები თუ დაპვალბდნენ, დაპხაროდნენ, გაპქონდ-გამოპქონდათ მათი ამბავი, ტკბილ ვალობად აბნეიდნენ მინდორ-ველზე, ბად-ვენახებში, სოფელში, ოღონდ ყველას ხომ არ ესმოდა ფრინველთა ენა, ვისაც ესმოდა ისინიც ვერ ამოიციბოდნენ გიგოსა და ტასოსა, ფრინველები გამცემნი როდისა ყოფილან, ჰო, მორიდებოდნენ ყველას თვალ-ყურსა, თვით მახლობელთა თვალ ქვეშაც არ მოხვედრილიყვნენ. შუაზაფხული იყო, მოსავალი მოსავალს მოსდევდა, შინ თუ გარეთ აუარებელი საქმე იყო, ბრიკადირები დილაადრიან შემოიბრებდნენ სოფელსა, სამუშაოდ უძახდნენ, სამუშაოდ ეწეოდნენ ხალხ-

სა, კოტეანთაც რამდენჯერმე გადას-
ძახებდნენ, წავიდოდნენ ისინიცა, სხეებ-
ზე აღრე წავიდოდნენ, თუ მობრუნდე-
ბოდნენ, მხოლოდ სამხრადა, საჩქაროდ
ისამხრებდნენ, — პატარძალი ყოველ-
თვის დროზე ახვედრებდა სამხარსა, —
და ვიდრე ისევ კოლექტივის საქმისა-
კენ დაიძვროდა ხალხი, თავიანთსასა
საქმობდნენ. მერე ისევ მიაშურებდნენ
კოლექტივისა, მართლა მიაშურებდნენ,
სხვებსაგით წელათრეულნი როდი მიღფ-
ოდნენ, — არ იცოდნენ ღალატი და
თაღლოთობანა. პო, ისინი წავიდოდნენ
და გიგო დაბრუნდებოდა, შეგვიანები-
თა სამხრობდა, ცოტა გვიან ისვენებდა,
ასე ასცდენოდა შინაურთა თვალსა...
მაგრამ გაუგებარი რა დარჩენილათ,
იტყვიან ხოლმე, ბოლომდე არც ეს
დაიფარა, თუმცა საღაც ხომ უნდა
გახსნილიყო კვანძი... დაიწყო იმითი,
რომ დედამთილს თვალში მოხვდა რა-
ღაც უცხო ნივთი, — სარკეს იყო მო-
ფარებული, მაგრამ შინც მოხვდა თვა-
ლში. მარმამა გაპხსნა და ხელში შერჩა
სახე ღამაში ქალისა. დიდი დაკვირვება
არ უნდოდა — რძლის სახე იყო, მაგ-
რამ თითქოს უხსენებელს შეჰხებოდე-
სო, ისე იყვირა.

— რა იყო, დედაკაცო?! — ცოტა-
არიყოს შეშინებული ხმა მიაწვდინა კო-
ტემა, ეხოლან მიაწვდინა, თითონაც მა-
ლე მიჰყვა ხმასა, რაღაც ავმა წინაგრძ-
ნობამ აიყვანა.

— ე რა არის?! — გაუწოდა ქალმა.
დაჰხედა კოტემა, რამდენჯერმე მო-
ჰქუტა და გაახილა თვალი, დააკვირდა,
დააშტერდა, შეუქანდა გული, მაგრამ
ვითომც არაფერიო ისე ჩაიბუბუნა:

— ვერა ჰხედავ, რაც არი...
— მერე და რა არი?!
— შენი რძლის სახეა...
— გამოცანა გერგება!.. საიდან არი,
რად არის, ვისგან არის-მეთქი, ამას
გეკითხები.

— ვისგან იქნება თუ არა გიგოსგანა...
ერთმანეთს მიაჩერდნენ მღუმარედა,
გულშიძიმედა, მერე ისევ მარმამაში

შეახვიეს ის დამაფიქრებელი სახე, ისევ
სარკეს მოაფარეს და ბჭობა ჯემარფეს;
კარგახანს გასტანა ამ ბჭობაში, მჭვრტვე-
რი ვარაუდი, იმედი, შიში, მუქარა,
მაწყევარი სიტყვა გამოითქვა, — აბა
წყველა-მუქარას რას მოერიდებოდა
დედაკაცი, საიმედოს, დამამშვიდებელს
რას მოიკლებდა მამაკაცი. ასე თავთა-
ვიანთსას აღგნენ კარგახანსა და ბოლოს
მაინც შეთანხმდნენ: ჯერჯერობით არა-
ფერი ეთქვათ, არაფერი ეგრძნობინები-
ნათ რძლისთვისა, დედამთილი სამუ-
შაოდ აღარ გასულიყო, დარჩენილიყო
შინა, თვალყური დაეკირა სახლკარზე.
ეს იყო ყველაზე ზომიერი, ყველაზე
გონიერი გადაწყვეტილება ან სხვა რა
უნდა გადაწყვეტიათ, ვიდრე არ დაიბე-
ჯითებდნენ თუ რას მოასწავებდა ის
გამოსახულება... დავიცადოთ, თვალი
ვადევნოთო, გზაც გამოჩნდებაო. რათ-
ქმაუნდა გელა მონაწილე არ იყო ამ
ბჭობისა, მის გონებაშივე ეგრე იოლად
ვერ მიადწევდა თუ რას შეელონებინა,
რას აედლეგებინა მშობლები. თუმცა
გალიზიანებაც იცოდა თუ მშობლები
შვიდად არ იყვნენ, შესჩვევოდა, შეს-
წყობოდა, მათ ნამოქმედარს იმეორებ-
და, უგნურადა, უაზროდა, — ისხდნენ,
იჯდა, იდგნენ, იდგა, იცინოდნენ, იცი-
ნოდა, დაღვრემილიყვნენ, დაღვრემილი-
ყო, მუშაობდნენ, მუშაობდა, ხმას თუ
არ გასცემდნენ, კრინტსაც არ დასძრა-
ვდა, თავს თუ მიანებებდნენ, დღეღალამ
იძინებდა... ნეტავ სულ მიენებებინათ
თავი, თავისთვის ყოფილიყო, თავის ნე-
ბაზე გაეთრია თავისი წილი ცხოვრე-
ბისა. მაგრამ ღრმა არის გული მშობ-
ლისა, საცოდავია გული მშობლისა, დი-
ღია წადილი, საოცარია ადამიანი უკ-
დავებისათვის ბრძოლაშიო...

V

რისგან იყო, მიხვდა, რად დარჩა
დედამთილი შინა, ქვეშევშვად რატომ
დაუწყო ცქერა, რად ირჩევდა ყოველ-
თვის ისეთ ადგილსა, რომ თვალში
ჰყოლოდა, თუ უნებლიედ, თავისთავად

აღეძრა მორიდების, დაფარვის, შიშის გრძნობა, როგორცა სჩვევია აღამიანსა საჩუქროს, დასაძრახისს, აეს რამეს თუ სჩადის, ჰო, რისგან იყო ძნელი სათქმელია, ოღონდ რისგანაც უნდა ყოფილიყო, ტასო თამამად ვეღარ დარბოდა ბაღში, გუნდიაანთკენ თვალსაც ვეღარ აპარებდა, თვითონვე არა შორდებოდა დედამთილის თვალსა, არა სცილდებოდა დედამთილის კალთასა. ასე რომ ალლო ვერ აართვა დედამთილმა, ვერაფერი ინიშნა, საექვეოზე ვერ შეისწრო პატარძალი; სამაგიეროდ, უფრო გამპირიახი ქალი რომ ყოფილიყო, უსათუოდ დაიკერდა გიგოსა, ის ზომ არ ეშვებოდა თუთასა, აიფაფხებოდა და ჩაიფაფხებოდა, თუმცა თუთა დიდხანია მოლეულიყო; სწეწაედა ძეძვის ღობესა თავსა, ბოლოსა თუ შუაში, სულერთი იყო, საითაც კი კაბა გაიფრიალებდა, სწეწაედა აჩქარებითა, სულსწრაფადა, დარღვევოდა გრძნობა სიფრთხილისა, ზომიერებისა, ვერ გაეგო, ვერ მიმხვდარიყო, რატომ არ ეჩვენებოდა ტასოი, რად გაიეღებოდა და გაპქრებოდა მისკენ მიუხედავად; ეს გაუგებრობა აწუხებდა, სიფრთხილედარღვევოდა და ცხადია მისი გამომყვანება არ გაუჭირდებოდა ტასოს დედამთილსა, მაგრამ იმას ზომ მხოლოდ ერთი რამ ამოეკრა გულში, — ტასოსთვის ედევნებინა თვალყური, ჰოდა ტასოს ადევნებდა თვალსა, ფხიზლადა, გულმოდგინედა, ერთგულადა. მაგრამ შინც გამოეპარა, შინც ვერ გაიგო, როდის, როგორ, სად გამოეკლაპარაკა ტასო გიგოსა.... სადა და რათქმუნდა ისევ ძეძვის ღობესთანა, ბაღის ბოლოში, როცა ნაქარ ვაშლსა ჰკრეფდა, ხმა შემოესმა, ძეძვის ღობის გადაწევის ნაცნობი ხმა, ზურგით იყო, მაგრამ იმასაც მიხვდა, დიდად გადაიწია ღობეში, კაცი მთლიანად გადმოეტევიდა.

— არ გადმოხვიდე!.. — დაიძახა ტასომ, ისე მძაფრად დაიძახა, რომ უკვე ნახევრად გადმოსული გიგო უკანვე გადაქრა, ღობეც შეაერთა, იმდენილა

დატოვა, ცხვირ-ტუჩი როგორმე გადამოეყო.

— რა მოხდა?! — მდღელვარედნად იკითხა გიგომ.

— არაფერი, — დამამშვიდებლად მიუგო, თან შიშინად დაატანა, — გაგვიგებენ...

— მეც არა ვთქვი... — გული გაეხსნა გიგოსა, — გაუგებარი რა იქნება...

და ისევ გაიძემა ძეძვი, ტასო შემობრუნდა, ისევე წახრილი შემობრუნდა, აჩქარებით მიესია ნაქარსა, ჰკრეფდა, კალათაში ჰყრიდა, თან ასევე აჩქარეზით გაიძახოდა:

— არა, არა, არა, არ გადმოხვიდე... ვაკვირებენ...

— გააკვირებენ და გაკვირონ... — გიგო თავისას გაიძახოდა, უკან არ იხეცდა, მაშინ ერთი წამითაც აღარ მოიცილა ტასომ, შინისკენ მოფრინდა. ოღონდ მალევე გამობრუნდა, კალათი დაეცალა, მოდიოდა ისევ ნაქარისთვისა. გიგომ გადაძრომა კი არა, თავის გაყოფაც ვეღარ გაბედა, ემანდ კიდევ არ დაფრთხესო, მხოლოდ ცხვირი ჩაპყო ძეძვში და ისე ჩაიბუზღუნა:

— ასე რამ დაგაფრთხო?! —

— გვითვალთვალებენ... დედამთილი ფეხდაფეხ დამყვება... — თავაუღებლად, ნაქარის კრეფაში ამბობდა ტასო. გიგო საგონებელს მიეცა.

ადვილი საგონებელი არ იყო, აქამდე რაც მოხდა თითქოს ისე, თავისთავად მოხდა, ყოველშემთხვევაში ცოტა იყო საფიქრელი, უფრო გული და გრძნობა მოქმედებდა, ამიერიდან აზრი უნდა დამრულიყო, გადაპრილიყო, გადაწყვეტილიყო. განვლო უბრალო შეცოდების ხანამა, სიკეთის, თანაგრძნობის საერთო აღამიანური განცდები უკვე გამოკვეთა, გამოიძერწა; გამოიხსნა, გამოირკვა, რომ მხოლოდ კეთილი გული, სათნო გრძნობანი არ ეწეოდნენ ტასოსკენა, რაღაც უფრო მკაფიო, უფრო მაღალი გრძნობა ეწეოდა, — ნათელი იყო, შიანი დღესაგით ნათელი იყო. კიდევ მეტიც, ქალის ფიქრებიც განათებულებოდა, მიამიტი განდობა, ჰირთა თქმის სურვილი,

თანაგრძნობისადმი, დიდსულოვნებისადმი მისწრაფება მკაფიო ფიქრად, ნათელ სახედ ჩამოქნილიყო, ფიქრი გაზრდოდა, განათებოდა, — მაშ რისგან იყო ესოდენი სიფრთხილე, მიაშიტობამ, ალალმა მინდობამ განა სიფრთხილე იცოდა? რა იცოდა, როდის იცოდა... ჰო, ფიქრად გაზრდოდა, განათებოდა, აღელვებულყო, აფორიაქებულყო, ფორემ როგორ ამოიძახებდა ასე მწვევედ, ასე მიწეზიანად ამდენ „არა-არასა“, რად გაექცევოდა და თუ გაექცევოდა ისე მალე რაღად მიუბრუნდებოდა, განა დიდი ჰკუა უნდოდა ამის მიხედვრასა, ვითომ ამდენი ჰკუა არ ექნებოდა გიგოსა, ჰმ, რა სათქმელია, ვაი რომ მეჭურჭლეობის მეტი არაფერი ესწავლა, თორემ მისი გონება ასწვდებოდა მეცნიერებისა თუ ხელოვნების ყველაზე დიდ სიმალეებსა. მაგრამ ამასაც ხომ მასწავლებლები არ უნდოდა, როგორ ვერ გაიგებდა, რომ თუნდაც შესჭიდებოდა თავის გულსა, ამოეკვთა, ამოეჭრა, შანთით ამოედანა, მერე რაო, ეს ვითომ რა ხსნა იქნებოდა, ჭალის გულსაც ასევე ხომ არ გაიშეტებდა, მკვლელად, სისხლისმსმელად ხომ არ ვადაიქცევოდა? — რაღაო, რისთვისაო, როცა შეიძლებოდა გულთა შეერთება, ოღონდ მანამდე... და მაინც არ მიდიოდა ვადაიქცევტ ფიქრებამდე, ორი გულის გზა ორივე გულმა ერთად უნდა აირჩიოსო. ამიტომ ჯერ მხოლოდ შეხვედრაზე ფიქრობდა. იფიქრა, იფიქრა და რამდენიმე დღის შემდეგ ზეპურთან ხელი აირხა ისე, თითქოს ჩიტი ფრთხილდებოდა, ბულბულისებრი ხმებიც გაისმა და ვაგრძელდა ფრთხილიცა, გალობაცა, აქ შეწყდებოდა, იქ გადინაცვლებდა, იქ ამოიკნესებდა, აქ განაგრძობდა კენესასა, ხან ლობეში იყო, ხანაც უფრო შორს ატმისა თუ აღჯანაბადის ტოტებზე ჩაითუთქავდა გულსა. ტასოს ოღნავადაც არ ემჩნევოდა თუ ესმოდა რამე, თუ ჰგრძნობდა რამეს უცხოსა, უჩვეულოსა, არ ეტყობოდა ვიდრე დედამთილი გავიდოდა ბალიდანა, ხოლო გავიდა თუ არა, თვალს მიეფარა თუ

არა, ლობესთან მიიქრა, მაშინ ბულბულიც ლობეში იყო, იქვე იცხვებოდა მისწვდებოდა, არც დახანხანა, არც დახანხანა მისწვდა, ჩიტირა, გაინაბა, გატერინდა მის ხელში ლამაზი ბულბული, ხოლო თვით ხელი, ტასოს ხელი ბულბულიანად სხვა ხელში გატერინდა, გაუქრდა, დაამდა, — „როცა ყველას ეძინოს, როცა გამოსვლა მოახერხო, — ჩურჩულებდა, ფრთხილობდა ნაცნობი ხმა, ტასოცა ფრთხილობდა, ბალის კარისაკენ ეჭირა თვალი, ემანდ უეცრად არ გამოჩნდეს დედამთილი, — ეს ჩიტუნია გამომიგზავნე მოციქულადა... იმღერეთ, იგალობეთ, მე აქ ვიქნები... აქ ვიქნებით, ვიგალობეთ, დაგელოდებით... ყოველ ღამე... ყოველ ღამე...“ ტასომ ჭიშკარს მოსწყვიტა თვალი და შესცინა, უთქმელად შესცინა, მაგრამ რაღა თქმა უნდოდა, რაღა სიტყვა უნდოდა იმ ბედნიერ თვალსა, მართლა ისე განათებულსა, როგორც გიგოს გამონაძერწში იყო. გიგოც აენთო, გამოსწია ხელი, ისე გამოწია, ნამდვილად გადმოიტანდა ძეძვიანადა, მაგრამ იმარჯვა ჭალმა, გაუსხლტა, გაფრინდა, გაეარდა ეახიანში, საიდანაც მალე მოისმა ტუბილი ხმა, საამო ხმა, ბულბულის გალობის მაგვარი. აქედან გიგო გაეპასუხა.. ეს იყო გაკვეთილი, პირველი გაკვეთილი. ასე განახლდა ბულბულთა ხმობა ივლისის დამლევსა.

ჰოდა გალობდნენ ხალღური ბულბულები, გალობდნენ მხოლოდ ომპიანთა და გუნდიაანთ მიჯნაზე, უფრო შორს აღარ მიდიოდნენ, არცად მიდიოდნენ, ის ადგილი შეკყვარებოდათ... ჩასხდებოდნენ სამყურა ბალახებში, მოიკეცავდნენ კორღზე ან თივის ბულბულთანა, როცა ერთმანეთს მიაგნებდნენ, ჩასხდებოდნენ და დუღუნებდნენ, ღულუნებდნენ, ჩურჩულებდნენ ბალის ნიავეითა. ტასო ამბობდა, რომ დარდი გაუნელდა, კმუნვა მიუყურდა საღამოების მოლოდინში, გული აღარ უშმიძდებდა, უჯმაჯური მოსცილდა სულიდანა; უცივრს სად გაპქრა, როგორ გაპქრა ის განსაცდელი, ნუთუ გამოიკვალა ყველაფერი? მაინც რა გამოიკვალა, — ოჯახში ისევია, კო-



ტე ისევ თავისასა ცდილობს, აღიზიანებს, ახელებს გელასა, აღელვებს, ანთებს, ამალუებს, გელა ისევ „ჩემტამდე“ მალღდება, მაგრამ რაღაც ბინდი თუ განუღებლობა გადაჭყარებია ამ სიმწვევესა, ჩაფლულა, ჩამარხულა ვნებანი ომპიძიანთ ოჯახისა ან მას ასცილებია, მორიდებია, დაშორებია... კარგია, კარგია!.. რა კარგა მისცურავს მთვარე ქაბქათა ღრუბელთა ტალღებში, რა კარგია ბალი მთვარიანში, მცირე ხნით რომ ღრუბელი გადაეფარება, გადაიჩრდილება და მერე ისევ გადაეფინება ბალდადი სინათლისა, განა კარგი არ არის?! ნეტავ გიგო რას შეუღონებია, ავი წინაგრძნობანი აშლია თუ სხვა რამ ფიქრებს დაუშვამებია მისი გონებაი, განა კარგი არ არის?!

ვინ ცის რა არის კარგი, — ეს გიგოს ნათქვამიდანაა, — ზოგს ასე ჰგონია, ზოგს ისე, ყველა თავისთვის მართალაა, ერთიმეორესათვის — მტყუნანი; ერთს ასე მოსურვებია, მეორეს ისე, ერთს აქეთ გაუწევია, მეორეს იქითა, მაგრამ ვინ საითაც უნდა მიიწევედეს, ვისაც რა უნდა მონდომებოდეს, ყველას წყურვილი მაინც ერთია, სიცოცხლეა ყველას წყურვილი. ყველას თავისი სიცოცხლისათვის მონდომებია დანარჩენნი, ამიტომ შებმულან, წაკიდებულან, ამიტომ აღელვებულან, გახარებულან თუ დამწუხარებულან, მოდი და გაიგე რა არის კარგი, ვინ არის კარგი, ვინ არის ავი, მოდი და გაიგე, როცა ერთი სურთ, ერთი სწადიათ, ერთი წყურვილით ავსებულან, ხოლო ერთნაირი არა აქეთ ფიქრნი, ზრახვანი, ხასიათი, განწყობილებანი, ჰო, მოდი და გაიგე!.. ან აქ რა არის კარგი, აბა რა არის? რასაც უნდა გავხარებინოს, მაინც ტყვეა, მონაა, სხვას მოუღონებია თავისი სიხარულისთვისა, თავისი სიცოცხლისთვისა, — ნეტავ ტანჯვა სხვა რაღა არის?! მას ეგება აქვს საამისო ამტანობა, საამისო ძალოვნება, მაგრამ ამდენის ატანა აღარ შეუძლიან გიგოსა, ასე თუ გაგრძელდა უფრო გაუადვება ფიქრ-აზრები, მძიმე სადარდელად გადაეკეცება.

რა განუზრახავს?!

განა არ იცის?!

არა, არ იცის... უნდა იცოდეს.

უნდა იცოდეს. უიმისოდ...

არა?!

რა თქმა უნდა არა!..

„კარგია, კარგია... რომ იცოდეს, რა კარგია გიგოი...“

„რომ იცოდეს... რომ იცოდეს, რა კარგია ტასოი...“

ამასაც იტყოდნენ ფრთხილად, იშვიათად, სხალერსო სიტყვებით არ ანებიერებდნენ ერთმანეთსა, არ უნდოდათ, სიტყვა რა იყო, როცა უკვე ეტანებოდნენ ერთმანეთსა, ჰო, ეტანებოდნენ... დღის თვალი ამორებოდათ და აღარა მორცხვობდნენ, არ ერიდებოდა ტასოსა, გიგოს მხარზე დაეყრდნო თავი, ან ზედ გულზე განაბულიყო, გიგოს-წელზე მოეხვია ხელი, ნიკაპი გადაედო კისერზე, როცა გულზე მიეკრობოდა, გატვრენილიყო, ჩამტკბარიყო, ჩაშაქრულიყო. იყო უფრო მღელვარი წუთებიცა, ვთქვათ, სუნთქვის შეგუბება, მხრების ცახცახი და სხვა ამგვარი ნდომის გამამჟღავნებელი მთვარის შუქქვეშა, მაგრამ მაშინვე ტასო ჩუმი სიცილით გასხლტებოდა ხოლმე, ხოლო გიგო ტკეპნიდა მიწასა, ირწევოდა თახთახებდა სიამისა თუ სინანულის განცდითა. უფრო მეტ მგზნებარებაზე თუ ჩამოვარდება სიტყვა, შეიძლება ასეთი მაგალითიც მოვახსენოთ: მზის ჩასვლის შემდეგ, როცა მომხიბლავი ფერები უნდა შემოვლებოდა ხალდეს ცასა, ლურჯი საღამო უნდა ჩამომდგარიყო, უცებ ღრუბლები მორეკა ქარმა, ჩამოაბნელა, ჩამოაქუნაპეტა, წამოუგერისა, დაუშვა, ისეთი თავსხმა დაუშვა, ისეთი ჭექა-ქუხილი მორთო, გეგონებოდათ ქვეყანა დაიქცევა ან ყოველშემთხვევაში დილაამდე გარეთ თავი არ გაიყოფათ. აქეთ ტასოს შეუქანდა გული, იქით გიგოსა. მაგრამ როგორცა ჰქუხს, ისე არ წვიმსო თუ თქმულა, სწორედ ამაზე თქმულა, ის ერთი ზარზარამათი იქმარა, ღრუბელი გადიყარა, ქარი ჩადგა, მთვარე თავის ტახტზე დაბრძანდა და... აქეთ ტასოს

დაუამდა გული, იქით გიგოსა. ან სხვას ვის არ დაუამებდა გულსა კარგი საღამო; კარგი ღამე მშვიდ ძილს მოკვრიდა თუ ზვალინდელი შრომის გარდა სხვა არაფერი ელოდა, არა დაჩინეოდა რა ასეთ ღამეში გიგოსაეთითა. ხოლო გიგოს გულის ფანქვალი აუვარდებოდა, მოლოდინის ძაფი გასაწყვეტს მიუვიდოდა თუ კიდევ დიდხანს არ აგალობდებოდა ბუღბული. ახლა იმ ბუღბულს აღარ იკითხავთ, რა ყოფაში იქნებოდა, ვიდრე ძილის ანგელოზები მიბრძანდებოდნენ მათ ოჯახში? ან რა კითხვა გინდათ ისედაც კარგად გეცოდინებათ, იმის სიხარულსა და სიფრთხილესაც კარგად წარმოიდგენთ, როცა დედამთილ-მამამთილისა და გელას სასთუმალთან დაბრძანდებოდნენ ძილის ანგელოზები, ოღონდ თუ იმას მაინც იკითხავთ, რა დაემართებოდა გიგოსა, როცა ბოლოსდაბოლოს ბუღბულის ხმა მოისმოდა ომაძიანთ ბაღიდანა, რაც გინდათ თქვით, გნებავთ დამძრაახეთ, მაინც ვერ ვიტყვი, მაინც ვერ აღვწერ. სახეზე ვერ ისედაც ბევრი არაფერი ემჩინეოდა, მერე ღამიან რა უნდა შესტყობოდა, ოღონდ იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ ბუღბულის ხმის გაგონება და გიგოს გაჩენა აივნისიდან ომაძიანთ ბაღში ერთადერთი წამის საქმე იყო, ეგებ ნაკლებისაც, ვინ იცის, ვინ არწყავს მგზნებარეთა და გახელებულთა სისწრაფესა... თუმცა მერე კარგახანი დასჭირდა ომაძიანთ ბუღბულის დასაკერადა, თითქოს იქვე, სულ ახლოს დაიგალობებდა, თითქოს აი ხელი უნდა მიეწვდინა, მაგრამ ამაოდ, იქ აღარ იყო, ხმაც მიმწყდარიყო, მხოლოდ სადღაც მოშორებით ირხვეოდა სველი ტოტები, ცვივოდა ფოთლებს შერჩენილი წვეთები. მაშინ გიგო ააგალობებდა თავის ბუღბულსა სადა ხარო, ხმა მომეციო, ხმას მიცემდა და აპყვებოდა, გაედევნებოდა იმ ხმის ბილიცა, ისევე მისწყდებოდა სტვენა-გალობა, ისევე დაირხვეოდა სველი ტოტები, სადღაც შორსა ცვივოდა შერჩენილი წვეთები ან ტლამუნებდნენ ფოთოლნი ვაზისა ანდა ისევ

მიყუჩდებოდა იქაობა, იყო მდუმარება, უძრაობა, სულშეგუბუნება მხოლოდ მთვარის ჩრდილები აცხვრუნებდა გრგოსა, ატყუებდა, თვალს ურევდა, რამდენჯერმე ბუჩქს მიეპარა, პატარა ნამყენს დაუარა, ისკუბა კიდევაც, ზელიც წაატანა ვინ იცის რამდენჯერ, აღარ ახსოვს, სათვალავი აერიზ. ეს აქ დაეძებდა, ის იქ, შორს, ბაღის თავში აგალობდებოდა; თავს მიაშურებდა, მაშინ ბოლოში უსტვენდა, ელურტულებდა, აქეზებდა, იწვევდა, იზიდავდა უჩინარი და ძალოვანი. გიგო გვიან მიხვდა, რომ თვითონვე აფრთხობდა ხმაურითა, ფართხუნითა, ტყავუნითა, ამიტომაც ფეხთაიკრიფა, დაიპარებოდა, ერიდებოდა ტოტებსა, ღამის ბალახებსაც ერიდებოდა, უჩქამოდ მისდევდა გალაღებულ ფრინველსა, თითქოს მიუსწრებდა, მიადგებოდა, თითქოს უნდა ჩაეჭირა, მაგრამ კისკისი გაუსხლტებოდა ხელსა და ხელს შუა, მხოლოდ კისკისი, მეტი არაფერი, ლანდ შემოურბენდა, მიჰქრებოდა, ხმაც მისწყდებოდა, ოღონდ ცოტახნით, სადღაც ისევე აცოკვიდებოდა საამოდა, სასიხარულოდა, გამაღიზიანებლადა, — ზიი-ზიი, ჰეეო, ვერ დამიჭერ შეეო, — თითქოს ასე დამდეროდა დახტოდა, დაფრინავდა, წყურვილით უხმობდა და გაუსხლტებოდა, როგორც ბუღბულებმა იციან მისისში, ერთიმეორეს რომ აქეზებენ, ანთებენ, აელვარებენ, უხმობენ, გაურბიან, იპონიან, დაკარგავენ, შეეფეთებიან, ფრთებქვეშ გაუძვრებიან, ჩაიკარგებიან ქორფა ფოთლებში და ნათელში მთვარისა... ასევე იყო, ასევე უხმობდა, ასევე გაურბოდა, ვიდრე არ დაიქანცა თუ მოდუნდა ერთი წამითა, ვიდრე თვითონვე არ ჩაუვარდა მკლავებში მთლიან სველი, გალუმპული, მხოლოდ ტუჩები ჰქონდა მშრალი, გაფიცებული, ნადვერდლოვანი, მართლა ნალვერდლოვანი, რომ დააცხრა, კინაღამ ამოსდარა ტუჩები გიგოსა... და ვიდრე ვიყავი გონს მოეგებოდა, გადაუსრიალდა მკლავებიდანა. მერე უკვე გვიანდა იყო, თუმცა დაიქუხ-დაიგრგვინა, აქეთ ეცა, იქით ეცა, ტოტებს ეძვერა, ჩამოხლიჩა, მიღე-

წა, მიამტვრია, აირბინ-ჩაირბინა, და-პროწიალდა, დაკოწიაწდა, მაგრამ რაო, აღარ იყო, წასულიყო, წასულიყო... და შთელი დამე უსტვენდა ბულბული ომი-ძიანთ ბაღში, უსტვენდა მძაფრად, ეინიანდა, მგზნებარდა, გათენებამდე უსტვენდა, მერე მისუსტდა, მიიღია, მიჰქრა დღის იერი მომძლავრდა თუ არა.

იყო, დიახაც იყო ესოდენ მჩქეფარე, ესოდენ მძაფრი წუთებიცა, ასე რომ საზღვარს მისულაყენენ, ბედისწერა უნდა აღსრულებულიყო, გიგო ხომ ბიჭუნა აღარ იყო თამაშ-თამაშსა, კეკემაღულლობანას გაჰყოლოდა, აღარც ტასო იყო გოგუცუნა, გრძობა გრძობა იყო, აღტაცება—აღტაცება, მაგრამ როგორც უნდა მოეგვიინებინა თავი, მაინც იცოდა, კარგად იცოდა, რა მძიმე, რა უხერხულ ყოფაში ვარდებოდა, როცა ატყუებდა მშობლებივით მზრუნველ, მოყვარულ ადამიანებსა, რა სახიფათო იყო ეს პატიოსანი სახელისთვისა, რატყმაუნდა იცოდა, მიმხვდარიყო, დრო იყო გამოფხიზლებილა, გადაწყვეტილა, აღსრულებილა. გიგოს უნდა გადაეწყვიტა, ბულბულობანა აღარა კმაროდა, აღარც სასახლო იქნებოდა თუმცა თითქოს აღარც აღარაფერი ჰქონდა გადასაწყვეტი გიგოსა, თვალზე რომ დაეხამხამებინა, ისე უბრალოდაც რომ დაეხამხამებინა თვალი, თავისი ოჯახის დიასახლისად იხილავდა ტასოსა, მაგრამ ეს მაინც წარმოსახვა იყო, სიზმარ-მოლანდება იყო და არა სიცხადე, ცხადედ ისევ ღობის იქითა ოჯახში დიასახლი-ხოზდა ანუ იტანჯებოდა ქალი. გიგოსაც მოსვენება დაჰკარგვოდა, ომძიიანი შესჯავრებოდა, შესძლებოდა, როგორც ზღაპრული გველეშაპები, რომლებიც ტყებოდნენ უმწეო არსების წამებითა. რა იცოდა ისინი როგორღა ეწამებოდნენ, მათ გულში როგორი ალი ტრიალებდა, რა სურვილებს, რა ფიქრებს შესჯახებოდნენ, არ იცოდა, არც ეკითხებოდა, თვალი ახვევოდა თავისივე გრძობებითა, თვალახვევულივით გახელებულიყო ტასოს სახსნელადა. თუმცა

რა გახელება უნდოდა, ერთი ღობე უნდა გადაელახა, ეს იყო დამეწასე მძაფრად იყო კიდევ უფრო დიდი ღობე, სხილავი, გადაულახავი, დაუძლეველი—სოფელი, ხალხი. რას იტყვოდნენ, როგორ განსჯიდნენ მათ საქციელსა, რას იზამდნენ? აპატიებდნენ ომძიიანთ დანაგვრასა? როგორ აპატიებდნენ? მაგრამ იმათთვის რაღად უპატიებიათ ამ უმწეო, უპატრონო ქალიშვილის ჩაგვრა-წამება? როგორ შეიძლება ერთს აპატიონ, მეორეს არა? ოღონდ იციან რა დღეშია, რა ყოფაშია, ცუდს იფიქრებენ მისი დანახვისასა, — უფრო მეტი მოვლა, მეტი გააპატიება გაგონილა სოფელადა? ვინ მიანიჭა ესოდენი სიკეთე თუ არა ომძიიანთა, ვინ დასწილავს დიდ ამბგსა თუ არა ბოროტი სული? სხვას რას იფიქრებდნენ, სხვას რას იტყვოდნენ სოფელში? — და რა გაუძლებდა ამ ფიქრსა, აშკარა გმობასა, შეჩვენებასა, — სოფელმა ხომ მორიდება არ იცის!.. მაგრამ ეგებ ვერე ბრმად არ განსაჯოს სოფელმა, ეგება უკვე იცის სოფელმა... იცის თუ არ იცის? დასჯის თუ აპატიებს? — ამ ფიქრებს გაეწამებინა გიგო, ამიტომაც ვერ გადაედგა საბოლოო ნაბიჯი... ეგება ასე, ამ ყოყმანში კიდევ ბევრი დრო გასულიყო, შემთხვევას რომ არ გაეტანა, რაც გასატანი იყო.

ეს იყო მეორე საღამოს... გიგო თევანზე წამოწოლილიყო, ისევ წვიმიანი ღამის, წუხანდელი ღამის ჟრუანტელი გასდგომოდა ტანში, ისევ ბულბულის აგალობებას ელოდებოდა...

უზოში ჩახველება გაისმა, ჯერ სუსტადა, მერე ცოტა ძლიერადა, შემდეგ უფრო ძლიერადა, თანაც რამდენჯერმე ყურმახვილი იყო, სუსტი ჩახველებაც გაიგონა გიგომ, მაგრამ არ შერხეულა, მხოლოდ ძლიერი ჩახველებისას წამოიშარათა, ვინ არისო, იქითხა უამურადა. მე ვარო, მოისმა დაბალი ხმა; ხმას, როგორც საბელს, კოტე ამოჰყვა, ხმადაბლა მიესალმა, შინ შევიდეთო, ბრძანა თუ ითხოვა... შევიდნენ, კარი მიხურა

კოტემა, ფანჯრებიც მიხურა. დასბდნენ, პირდაპირ დასბდნენ, მოღუშულნი, მოქურუშებულნი, ტუჩები გაიხსნა, გაბუსხული ტუჩები, საავდროთა, დასაქუხებლად, მაგრამ უწყინარი უბრალო, ჩვეულებრივი რამ ითქვა, — ე როგორი ამინდიაო, შარშანდელი მოსავალი სჯობდა თუ წლევანდელიო, ახალი რა ისმის ან შინაური ან გარეულიო და სხვა ამგვარი; იმ წუთს არცერთს რომ არ აინტერესებდა, არც მკითხველსა, არც მოპასუხესა, თუმცა მოპასუხე ვინ იყო, ორივე კითხულობდა ან ორივე „ჰა... ჰოს...“ ამბობდა, ეს იყო პასუხიცა, დავაცა, თანხმობაცა, თუ უფრო აშკარად უნდა ითქვას — შორს მოსავლელი იყო, ჰო, შორს უვლიდნენ, მიაღვებოდნენ მთავარ სათქმელსა და მოგუღავდნენ მაშინვე, ბანზე აისროდნენ. ვინც მოასწრებდა ის აისროდა და ორივე ღრმად ამოისუნთქებდა. მაინც როგორც უნდა ებურთავნა სიტყვასა, ბოლოსდაბოლოს თავის კვალში უნდა ჩამდგარიყო.

— შენთან სააღსარებოდ მოვსულვარ... — კოტე ასე მიუღდა კვალსა.

— სააღსარებოდა?! მე რომელი მოძღვარი მნახე... — ხუმრობა სცადა გიგამა.

— ვისთვის მოძღვარი იქნები, ვისთვის იმედი, ვისთვის რისხვა, ვისთვის ვინ იცის რაი... ადამიანი ერთია ფიქრითა, ხასიათითა, საქციელითა, ერთია და სხვადასხვანაირად მოსჩანს სხვადასხვათა თვალში: კეთილად, ბოროტად, გონიერად, ხელადა, პატიოსნად, ნამუსზე ხელაღებულად, გააჩნია ვისთვის რა მოუტანია თავისი საქციელითა, სიკეთე თუ ზიანი, — ერთისთვის ერთი, მეორესთვის მეორე, მესამესთვის მესამე, ერთია, ერთი ჩაუღენია, მაგრამ იმდენგვარია, რამდენსაც ავნო ან გაახარა, რამდენგვარადაც ავნო ან გაახარა... ასე თქმულა, კარგადა თქმულა, მეც გამომეორებია, კიდევაც გავიმეორებ ან ვინ არ გაიმეორებს კარგად ნათქვამსა!.. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა... სააღსარებოდ

მოვედი-მეთქი. ბევრის თქმა არ დამპირდება მეზობლები ვართ; ჩემს ჰელში გაიზარდე, შენს თვალწინა ქვეყანაში, ავი და კარგი გაგვეგება ერთმანეთისა, ციცივი და კოვზი ვიცი ერთმანეთისაი. კოტა მაინც უნდა ვთქვა, ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ასე უბრძანებიათ, ახლა თქმა მიმჯობინებია და უნდა მოგახსენო... ჩემი ბიჭი, იცი, კოტა ვერ არის... ისე ვერ არის, როგორც უნდა იყვეს, თვალი და ტანი არ აკლია, ჯანი არ აკლია, თავს თუ დაადექი, უჩვენე, არ მოეშვი, მუშაობასაც კარგად ახერხებს, ასე თვალდათვალ თითქოს არაფერი აკლია, მაგრამ... შენც იცი; ჩემი რძალიც იცი, გავზარდე, გავალაღე, გავათამამე, სიკეთე და სიყვარული არ მომიკლია, მინდოდა ძალიანა გყვარებოდით ყველანი, მინდოდა დიდად დავალბული ყოფილიყო, ისე ვერ გავუმხელდი ჩემს განზრახვასა, ვერ ვატვირთვინებდი ჩემი ბიჭის მეუღლეობასა. სხვა რამ ძალა არ დამიტანებია, არა დამიძალებია რა გარდა სიკეთისა, პატივისა, სიყვარულისა, ეს იყო, სულ ეს იყო, გინდ ბოროტებად ჩამითვალე, გინდ სათნოებადა, სხვაგვარად არ შემეძლო. ეგებ შემეძლო? მაშინ იწამე ღმერთი და მითხარი რა შემეძლო, რა ჩამედინა ამ უბედური ბიჭის პატრონსა, რა მექნა მე უბედურსა?! ვინ არა ცდილობს უბედურობიდან თავდაღწევისა, ამისთვის ვინ დაუძრახიათ?! მეც ვეცადე, ვეცადე და ვცდილობ, ვიმედოვნებ, ერთხელაც იქნება სიცოცხლე გაულვიძღეს ი ბიჭსა, — ჯანი არ აკლია, ფერხორცი არ აკლია, რად არ გაულვიძღება სიცოცხლი?! გაულვიძღება და ყველანი გავიზარებთ... ასე მჯერა, ამიტომ ვიტან ტასოს ტანჯვასა, განა არ ვიცი, განა არ გამეგება ან ქვის გული ზომ არა მაქვს!.. მაინც ადამიანი ადამიანია, ამაგი გაგვიწევია, ღონე არ დაგვიშორებია და საზღაურიც გვინდა... გვიზღოს, გავვახაროს, თვითონაც გაიზარებს. ამ იმედსლა მოვკიდებებივართ, ესლა დამრჩენია საამქვეყნიო ნუგეშადა, ესლა გვაცოცხლებს, უამისოდ რანი ვიქნებით აბა რა-

ნი, ჰა?! უტასოდ რანი ვიქნებით-მეთქი?! აი რა უნდა მეკითხა, აი რის პასუხი მინდოდა შენგან... — კოტე შეჩერდა, შენამული თვალთ შეაჩერდა გიგოსა.

თვალი ვერ გაუსწორა გიგომა.

— მე რა ვიცი!.. — ძლივს გასაგონად ჩაიღუღუნა.

— როგორ არ გეცოდინება... სხვამან სხვისა კარგად იცის სასარგებლო საუბარიო, სხვა სხვის ქირში ბრძენიო, გეცოდინება, მითხარი, მირჩიე, ეგებ კარგად არ ვიქცევი, ეგებ ასე არ უნდა ვაწუხებდეთ ტასოსა...

— რატომაუნდა... ასე არ უნდა აწუხებდეთ...

— მაშ ჩვენ რაღა ვქნათ?!

გიგომ გვერდულად გაჰხედა კოტესა, ნამი ჩაშრობოდა, ცივად ელავდა იმისი თვალები. რა სურდა, რას მოეყვანა? ან პირლია როდის იყო, უსაბაზოდ, უგანზრახვოდ ამოეფრქვია ყველაფერი. რას მოეყვანა, ჰა?! ექვსა თუ დანახულ-განაგონსა? რა სურდა, — ზემოქმედება? მერე რითი, — თავშებრალეებითა? სიბრაღული ვითომ ისეთი რა ძალაა, სიყვარულს მოერიოს, მერე როგორ სიყვარულსა, მართლა სიბრაღულით აღძრულ სიყვარულსა; სწორედ ამ სიყვარულით შესძლებია ომიძიანნი, ბოროტება დაუნახავს და შესძლებია კოტეს სიხარული მოსჩვენებია ამ ბოროტებაში.. რომელი ბოროტება ყოფილა საწინდარი სიხარულისა, ბედნიერებისა, სიკეთისა?! ნდობა, წადილი, სურვილები, იმედები, რწმენა, სხვა ამგვარებიც რა გამართლებება, მაშინ ბოროტობაც არა ყოფილა ამ ქვეყნად, რადგან უამისოდ ხომ არაფერი მომხდარა...

— არ ვიცი... არ ვიცი!.. — ფიქრთა გასაფანტავად გაიქნია თავი გიგომა.

— არ იცი?! ჰმ... ის ხომ იცი ტასო არ უნდა შეაწუხოთო?!

— ტასოს თქვენ აწუხებთ, შეგიძლიანთ არ შეაწუხოთ... აღარ შეაწუხოთ. თქვენ ვინ აწუხებთ? განა ადამიანები აწუხებენ?! ბედი, განგება, ცა და მიწა თუ აწუხებთ, აბა ამას რა მოველება, ვერა სთხოვევრ შეაშინებ, ვერ გაექ-

ცევი... აბა რა მოველება-მეთქი?!

— არც ეგრე მოუვლელა... მოუვლელა... — მტკიცედა თქვა კოტემა, თან მუხლზეც დაირტყა ხელი, რაღაც ისეთნაირად თითქოს წინ არავის დავიყენებო. თავშებრალეებიდან უცებ მუქარაზე გადასვლამ ცოტააჩიყოს გააგულისა გიგოი.

— მაინცა?! — გამომწვევად დაიძახა გიგომა, თვალებიც გამომწვევად აუელვარდა.

კოტემ ამჯობინა ცოტახანს დადუმებულიყო, მიხვდა, სადღაც დაერღვა ზომიერება, როგორღაც გადასცდა სიფრთხილესა.

— რა მაინცა?! — კოტემაც იკითხა მშვიდად, დროის მოსაგებადა.

— რა მოველება-მეთქი... — დაჰყვა გიგოცა.

— რაც მოველება, — ჯერ ისევ ბუნდოვნად გამოსთქვა კოტემა, მერე ნელნელა გაარკვია, — რაც არის... როგორც არის... ჩვენ ავიტანთ ერთმანეთის ტანჯვასა, აქამდის აგვიტანია, ამიერიდანაც გავუძლებთ როგორმე, ბავშვი განდებდა და აგვინახლაურდებდა ყველაფერი. სულ ესაა ჩვენი დავიდარაბა, ჩვენი გაწამაწია... ჩვენ ხელს არავის ვუშლით, არავის ვაწუხებთ, არც არავინ უნდა ჩაგვივარდეს შუაში. ვის რა უნდა, არავის სავნო არ ჩაგვიდენია, ვინ რას გვერჩის, არავისთვის არაფერი დაგვიშავებია!.. თუ ვთქვათ, ვინმეს ქალი მოეწონება, რა ვუყოთ, ვინ ვის არ მოსწონებია, მაგრამ ყველას ხომ არ შევარდნია სახლში; ესეც არ იყოს მოწონება იმისია, სხვაც მოეწონება, მიიხედოს, მოიხედოს, თვალს წყალი დააღვეინოს, მჯობნი და უკეთესი როდის გამწყვარა, უკეთესი ამოირჩიოს, იმისი საქმეც უკეთ წავა, ზედმეტი შფოთი ჩვენც მოგვზორდება. ჰქუა თუ ჰქუაა განა სხვანაირად უნდა ვასკრას, მითხარი აბა შენიც მითხარი!..

— რაღა მე ჩამაცხედი, — მხრები აპყარა გიგომა, — სხვებისთვის გეკითხა... ჩემზე მეტი ჰქუაცა აქვთ, გამოცდილე-

ბაცა, დაჯერებითაც იმათ უფრო დაეჯერებთ.

— ვინ ვისას დაიჯერებს, ვინ ვის აირჩევს, ვინ ვისით გაიკვლევს გზაკვალსა, ვინ იცის... ყველგან ვერ გასკრის ბრძენის ნათქვამი ან ყოველთვის სად არის ბრძენი!.. შორეული თუ გარეგანი რას გამოგვადგება, ჩვენზე უკეთესად ვინ იცის ერთმანეთის ავკაგრი!.. შენზე სარწმუნოს ვერაინ მეტყვის, შენზე მარჯვედ ვერაინ დამეხმარება.

— მე რა შემიძლიან?!

— რაღა არ შევიძლიან...

— მაინც რა?!

— თვალი აარიდე, ჩამოგხსენი ტასოსა!.. ჩამოეცალე!..

ეს არც მუდარა იყო, არც მექარა, არც ბრძანებასა ჰგავდა, გამოკვეთილად არც სხვა რამეს მიემგანებოდა, რაღაც ისე მოხერხებულად ითქვა, ყველაფერს შეიცავდა, ყველა გრძნობას ეხებოდა.

— ჩამოეცალე?!

— ჩამოეცალე!..

— განა ველობები?!

— იმას ალბათ არა... ჩვენ გველობები.

— არა, არა... — რაღაც ჯიუტად ამოიძახა გიგომა, — მე არაფერ შუაში ვარ.

კოტე წამოდგა, ზევიდან დაჰხედა, ცივად დასძახა:

— მაშ რას უსტვენს ბულბული გათენებამდე!..

გიგომ მოახერხა დაფარვა გაოცებისა.

— ბულბულებმა ასე იციან... გათენებამდე... — თითქოს განმარტა გიგომა.

— მაისში ჰო, იციან, ახლა აგვისტოა...

აქ ენა ჩაუვარდა კოტესა, ბულბული აგალობდა, ისე აგალობდა თითქოს მაისი მობრუნდყო, მუხლთ მოექრა, ტახტზე დაეარდა და სახე ჩარგო ხელებში. იყო ასე, კარგაზანს იყო, თითქმის ურხეველი გაქვავებული. ეს იყო უდიდესი საცოდაობა, უფრო მძიმე, უფრო გამოუთქმელი ტანჯვა ჯერ არ ეხილა გიგოსა, თუნდაც ეხილა, სხვა მაინც სხვა იქნებოდა, აქ თვითონ იყო შუაში, თვი-

თონ იყო მიზეზი ან გამმძაფრებელი ამ საცოდაობისა, უიმისოდ სხეულგარეშად წარიმართებოდა ყველაფერი. ყოველ შემთხვევაში ზომ არ შეესწრებოდა ამ საშინელ სანახაობას, ამ გაქვავებას ცოცხალი აღამიანისა. მაგრამ რა შეეძლო, განა შეეძლო რამე?! რატომაც არა, — გაქვავებოდა ამ ხმასა, ამ მომაჯადოებელ სტვენასა, განშორებოდა, გადაკარგულიყო, დაე, როგორც უნდოდათ ისე ეთრიათ თავიანთი ბედი ომამიანთა, დაე ეთრიათ და სადმე ეგებ მართლაც ახლომოდათ იმედი, ეგებ მართლა ეშვაძე ტასოსა, გახარებულოყო, გაეხარებინა დედამთილ-მამამთილიცა, ვინ იცის — ქმარიცა, ვინ იცის, ჰა, ეგებ მის გონებაშიც გაეელო შექსა. რა უნდოდა გიგოსა, იმედებს რად უკვეთდა, სიცოცხლეს რად უკვეთდა ამ საცოდავ ხალხსა; ტასოს ხსნა უნდოდა, ტასოს გახარება უნდოდა, — აჰა, კოტემა თქვა, შესაბამისი აღარაფერი ექნებო. მაგრამ ჰირსაც წაუღია კოტეცა და მისი იმედებიცა, ჰირს წაუღია სიბრალულოცა და მსხნელობის სურვილებიცა, თავისი ცეცხლი გასჩენია, მაღალი გრძნობა მორევი, ყველა ამ სიბრალულობი-მსხნელობიან უფრო მაღალი, ბევრად მაღალი, კოტეს კი, ჰმ, მოუნდომებია თავის საწამებელში ჩაიყოლიოს გიგოცა, მართლა, ნამდვილად ასე მოუნდომებია, მაშ რა არის ეს თავშებრალეობა მუდარა და მექარა, ძრწოლა და სიმძაფრე, უსასობაა თუ ძლევამოსილება, ხერხია თუ მიამიტობა?! და ვიდრე გიგო ამას გადასწყვეტდა ბულბული სტვენდა, გალობდა შეუსვენებლად, მღელვარედა, ეჩინიანდა. ფიქრი რაღა ბედენა იყო, ფიქრს დაეხსნა, ფრთხილად წამოიწია გიგომა, ოღონდ ბევრი ვერაფერი უშველა სიფრთხილემ, გაიჭრიალა, გაიხრკიალა სკამმა, კოტემ ნელნელა ასწია თავი, რაღაც მომწუსხავად შეავლო თვალი, მართლაც მონუსხა, გააშეშა, გააშრო, გააქვავა. ისეე ჩაჰკიდა თავი კოტემა, ისეე წამოიწია გიგომა, ისეე გაიჭრიალა იმ ოხერმა სკამმა, კოტე შეირხა, გიგო შეჩერდა

მაგრამ ამდენი დაყოვნებაც აღარ შეიძლებოდა, ბულბული ღელავდა, ქვითინებდა გულამოსკვნილი... კიდევ გაიჭრიალა სკამმა, გაიჭრიალა და ბრახვანიც მოიღო ძირსა, გიგო აიშართა ვულმოსული, გახელბული, კოტემაც აიხედა, მომწესხავად აღარა, ღუნუნდა, ჩვილად, მოწყვეტილად, — „წადი... მიხხედე“... ამოიღულულა ისე თითქოს საბოლოოდ ეთხოვებოდა თავის იმედებსა.

გიგო დაიძაბა, გაბრუვდა, გაითანგა, აღარაფერი გაეგებოდა, აღარ იცოდა რა გზას დასდგომოდა, იყო ასე აზრს და უაზრობასა, მგრძნობიარებასა და უგრძნობლობას შორის გახილული, სულს გაყრილი, ხორცს განშორებული, იყო, იყო დაკარგული, მიმოფანტული და უცებ თითქოს ყველაფერი ერთად იროვნა, — ისევ ბულბულის ხმამ აპოვნინა სული და ხორცი, — გადაეარდა ბალში ანთებული, აელვებული, გახელბული. ასე თუ გადასწყვეტდა, ასე თუ გადასჭრიდა თავის ბედსა, თორემ სიღინჯე, გონიერება, სიბრძნე, სიღარბაისლე, სიკეთე თუ სამართლიანობა, მარად ნაქებნი სათნოებანი ვერაფრად ვერ გამოადგებოდნენ. თუმც კუჟასაც მოუხმობდა, განსჯიდა, დაფიქრდებოდა, დაე შიში მოეტანა ამ დაღინჯებულ ფიქრებსა, ღელვა ჩაეჭრო, ცეცხლი გაენელბინა, აეცდინა ბუნებრივი სიცოცხლისთვისა, თავისუფლებისთვისა, როგორც იცის ცივმა გონებამა, დაე ასე ყოფილიყო თუ ტასო მოინდომებდა, დაე ყოფილიყო... მაგრამ ტასო ფიქრ-მსჯელობებით არ შეგებებია, სასაყვედუროც არ ამოსცდენია, ჩაიკისკისა, სიხარულით ჩაიკისკისა და გაუსხლტა, გაიქცა, გაიყოლია, აანთო, გაიტაცა, მერე უცებ ხელში ჩაუვარდა, მოულოდნელად ჩაუვარდა წუხანდელივითა, მგზნებარედ დაიკებრა წუხანდელივითა და მოინდომა წუხანდელივითვე გადასცურებოდა მკლავებიდანა, მაგრამ უკაცრავად, — ვეღარ გაუცურდა, ვეღარ გაუსხლტა, ვერა, ვეღარა... მერე უცებ ამოი იყო

ფიქრ-განსჯანი, გონებას იქა აღარ ესაქმებოდა.

და როცა ტასოს აღარაფერი შეეძლო დაფარული გიგოსთვისა, გზა მისცა ცრემლსა, უხვად აფრქვევდა სახეზე, მხრებზე, გულზე, ეხვეოდა, ეკაროდა, ეხუტებოდა, სლუკუნებდა, მდულარებდა, მოსთქვამდა, რომ მეტი აღარ შეეძლო, გასაწყვეტს მისვლოდა მოთმინების ძაფი, სულ ცოტაცა და რამენ აუტეხდა თავსა, უსათუოდა, აუცილებლად, მოვალეობის გრძნობა არც თუ მაინცდამაინც ძლიერი ყოფილა, ვეღარ აუტანია ესოდენი სატანჯველი... რა ჰქნას, რა წყალს მიიყვას, როგორ გაუძლოს, ამის შემდეგ მაინც როგორა გაუძლოს, ჰა?! მართლაც წყალს მიეცემა, ხალღურას ჩანჩქერში ჩაიღვწება, ის დაიფარავს, ის შეივრდომებს თუ კაცთა შორის არ აღმოჩნდება თბილი გული, ხალღურას ყინულოვან წყალზე უფრო თბილი... ახლა მაინცა, ამის შემდეგ მაინცა.

გატერენილიყო გიგო ამ ცრემლების, ამ აღერს-მუდარის ქვეშა, დამცხრალიყო, გადაწყვეტილიყო ყველაფერი, გაფანტულიყო მტანჯველი ფიქრები-რა ექნა, — რა გზას დასდგომოდა, — გადახსნილიყო ზეცის კამარა, განათებულიყო... სხვა რაღა იყო სანაღვლო, საექვო, საყოყმანო? სოფელი რას იტყვოდა?! — დიდი რამ ბედენაა, ჰო, დიდი რამ ბედენაა!.. თუ რამის მთქმელია თუ სამართლიანია, რატომ აქამდე არაფერი არ უთქვამს, რატომ არ გამოქომაგებია, რატომ არ დაუსხნია სიკეთისაგან გაწამებული ქალი?... ხსნა ძნელია, ხსნას თავდადება უნდა, ხოლო თავდადება არც ისე ადვილია?! — დიახაც, დიახაცა!.. ძრახვა, კილვა, კიხვა არც ისე ძნელია? — ჰო, დიახაცა, აგრემც გიცხონდებათ მამა-პაპის სული... ჰოდა ვითომ რა ბედენაა აზრი მშიშართა, გაუბედვითა, დამფრთხალთა, რა ბედენაა, როცა გაბედულნიც ვეღარ შეაკვებენ!.. ამ განცდით, გამარჯვებულს განცდით, ეალერსებოდა აღელვებულ ქალსა, ესმატბილებოდა, ეჩურჩულებოდა...

და, იმედინადა, პირდებოდა ბედნიერებასა, — მუდროს ოჯახსა. ტასო ისევ აფრქვევდა ცრემლსა, რათქმუნდა ეს უკვე სიხარულის ცრემლი იყო, მაგრამ მაინც ცრემლი იყო, ცრემლი... საღდაც ზეცა იცრიცებოდა თუ მთვარის ნათელი მოძლიერებულებოდა, სულერთი იყო, აღარა ახსოვდათ რა, აღარც ცა, აღარც დედამიწა, სხვა რაღა გაახსენდებოდათ, ყველაფერი გაერთებულებოდა მათს დიდ სიყვარულსა. ასე განეცადათ, ასე ამაღლებულიყვნენ, მათი ნება იყო, ოღონდ ბუნებას თავისი ალო ედო, თავისი ალო უნდა აელო — ცისკარი შეხსნილიყო, დამე გაცრეცილიყო, აგრილებულიყო, ბალახებსაც გამოღევოდა მზის მცხუნვარება, დიდხანია გამოღევოდა. საღდაც პირველი ტოროლაც ავარდა ცაში, ჩაიჭიკჭიკა, ჩაიგალობა. ჟამი იყო განშორებისა, მაგრამ ქალს არ ეთმობოდა ვაჟაკი, არაფერი ესმოდა, ვერაფერსა ჰხედავდა, ვერა ჰხედავდა ცისკრის შუქსა, ეხვევოდა, ეკვროდა, ჰყოცნიდა, ჰყოცნიდა, უკან დაიხვედა, ამოაფრქვევდა ალტაცების ხმებსა და შევარდებოდა გულზე, მოექდობოდა კისერზე.

მატულობდა შუქი ცისკრისა, მატულობდა ხმები ტოროლებისა, ჟამი იყო განშორებისა. არც ვაჟაკს ეთმობოდა, მაგრამ დამდგარიყო ჟამი განშორებისა და აიტაცა, ხელში აიყვანა ქალი, ასე წაირბინა ბილიკზე, რამდენჯერმე შემოაპროწილა ტყრუშულ ლობესთანა, რომელიც ბალსა და ეზოსა ჰყოფდა, შემოაპროწილა სიცილითა, ხითხითითა, მერე მალლა შეისროლა ლობის იქით გადასვა მოურიდებლად, თავდავიწყებით აკისკისებული ქალი. აქ უკებ შეწყდა სიცილი, ქალი ისევ ლობეს აჰყვა და ყელზე მოექდო ვაჟაკსა. ლობე შეირყა, ერთი შეირყა, მერე გარინდა, გაყუმიდა მათს შუა, გატვრინდა ცეცხლის ალში. ცა იხსნებოდა და იხსნებოდა, მამლები ჰყოლოდნენ თავგამეტებითა, ჟამი იყო განშორებისა. ვაჟაკმა შემოიხსნა ქალის მკლავები, გატრიალდა, გაჰყვა ბილიკსა, ორიოდჯერ შებრუნდა, — ქა-

ლი ლობეზე გადაკიდულყო, ირისც გაეკცა, შორი ამბორი მიაწვდინებულებების ლობიდანაც ესროლა ამბორი და მათანთა მიიშალა, მხოლოდ ჩქამილა მოისმოდა, ბალიდან, ეზოდან, კბეებიდან, აიენიდან, კარმაც გაიჭრიალა... ქალს დილის სისხამმა დაპრია ხელი, შინისკენ გაიქცა და აღარ იცოდა კარის ჰრიალს რაღა მოჰყვა. თუნდაც არ გაქცეულიყო, რას დინახავდა, როგორ აილო თავი კოტემა, რა თვალით შეჰხედა გიგოსა, რომლის სახე ბედნიერების შუქს გაენათებინა; როგორ შეაჩერდნენ ერთმანეთსა — გიგოს სახე აემღვრა, აქანკალებული ტუჩები ჩაიკენიტა კოტემა. ეს იყო მოსისხართა შეხვედრა, პირველი მწვავე სიტყვის მოლოდინი, შერკინების მოლოდინი. ოღონდ სიღინჯე ეყოთ, დალოდებოდნენ ერთმანეთის პირველ სიტყვასა; ზომიერება ეყოთ ერთმანეთისათვის დაეთმოთ მიზეზიანი ამოძახილი. მაგრამ კარგახანს გასტანა ამ შეპატიებამ, თავაზიანობამ, რამდენჯერმე აღდნენ და დასხდნენ, მიბრუნდ-მიბრუნდნენ, ჩაახველეს, კბილებიც გაახქიალეს, ვინ იცის რამდენჯერა, დასათვლელად ვისა სცებოდა, ყოველშემთხვევაში ამასობაში კარგად ვათენდა, აღარა აკლდა რა მზის ამოსვლასა, დრომ თავისი გაიტანა, სიბრაზის აღმა დაიწია, ფიქრი შეესია გრძნობასა... კოტე ტორტმანით ვაემართა, კართან შეჩერდა, შებრუნდა, კიდევ შეაჩერდნენ ერთმანეთსა, ვიგო ვაკვირვებით, ნუთუ უსიტყვოდ მიდისო, კოტე მრავლისმეტყველადა, მძაფრადა...

— მეტი რაღა გინდა, — მძაფრადვე დაიძახა კოტემა, — ეინი ხომ მოიკალი... ახლა დაეხსენი... დაგვეხსენი, ჩამოგვეცალი...

ესა სთქვა და გადააღაჯა დირესა. არ წასულა, იქვე შეჩერდა, თავი აილო, თითქოს რაღაცას დააკვირდა თუ ვაშტერდა, ყოველშემთხვევაში მცირე ხანს ვაგრძელებდა ეს გარინდება და მერე იხევ გიგოსაკენ რომ მიიხედა, სიმკაცრის თუ სიმძაფრის ნიშანკვალი აღარ ეტყობოდა

მის სახესა, რაღაც ვედრების მაგვარი ელფერი თ ალესილიყო.

— დაგვეხსნები... დაგვეხსნები, არა? — ახლა ვედრებასავითა თქვა კოტემა.

გიგომ თვალი აარიდა, კერს აჰხედა, თითქოს პირველადა ჰხედავს იხე მიაცივდა გაჰიმულ ღვედსა, დაჯაფულ ხარ-კამეჩსა, მეხრეთა მოქნეულ საზრევებსა, წაბრილ გუთნისდედებსა, ბელტს-გამოდებულ სახნისებსა.

— დაგვეხსნები, არა?..

გაისმა ისევ. ეს ისევ თხოვნა იყო, მუქარასაცა ჰგავდა ან ეგებ ვულშოსული ადამიანის მუდარა იყო, მუდარა იმისა, ვინც ჯავრს იკლავს ვულში. რაც უნდა ყოფილიყო, გიგოსათვის სულერთი იყო, უკვე გადაეწყვიტა, სხვა გზა აღარ იყო, კოტესაც უნდა გადაეწყვიტა, შარს მორიდებოდა, ჯავრი შეეჭამა.

— რატომ არას იტყვი?!

გაისმა ბრაზიანადა.

პასუხი არ იყო, გიგო ისევ სახნისზე აბურცულ, აზიდულ მიწას შეჰყურებდა,—ჰა, გადაიხსნება თუ არა, ამობრუნდება თუ არა ბელტიო.

VI

რას ეკითხებოდა, რა პასუხი უნდოდა, განა ვერ მიმხვდარიყო, გიგოსათვის ჩაებარებინა თავისი ბედი ტასოსა, გიგოსათვის მიეცა სიცოცხლე და სხვები განზე უნდა გამდგარიყვნენ; რაღას დასძახოდა, რაღას ჩასციებოდა, განა უკვე ნათელი არ იყო ყველაფერი?! ვაი რომ ნათელი იყო, ვაი რომ იცოდა, კარგად იცოდა და სწორედ ეს არ უნდოდა, ეს სინათლე, ეს ცოდნა არ უნდოდა, განა ყველა ცოდნა სახირო ყოფილა, რას არ გაიმეტებდა ადამიანი, ოღონდ ბევრი რამ არა სცოდნოდა ანუ არ მომხდარიყო, არ არსებულებოდა საზარელობანი და საშინელებანი, რას არ გაიმეტებდა?! კოტეც ყველაფერს გაიმეტებდა, მუდარა რა იყო, სულსაც გაიმეტებდა, დაე სატანა მოვლენოდა გიგოს სახითა, მიედლო სული მისი და მოშორებოდა. სხვა

რა ეფიქრა, სხვა რა ეღონა, წყალწაღებული ხავს მოეპიდაო და ცხვედი აქვდომრსლა მოსპიდებოდა ან ჰგებოდა მოხონვე-ქცეულიყო სატანადა და სიმდაბლეს, უსინდისობას, სისადაგლეს, ბოროტებას შთაავონებდა, — ეინი ხომ მოჰკალი, დაეხსენიო, — ვინ იცის, ვინ უწყის, გამწარება რა გზას არ აარჩევენებს ადამიანსა, სატანასთან სხვა რა მიიყვანს გამწარების მეტი, დიდი სურვილების მეტი. მაგრამ ხსნა არ იყო, არ იყო... თუმცა ბულბულეები აღარა გალობდნენ ომიანიანთ ბაღში, ეს მაინც იმას არა ნიშნავდა თითქოს გაეპრას კოტეს მუდარასა, არა, რა სათქმელია, ეს უფრო თვალის ახვევასა ნიშნავდა, მაგრამ კოტეც იქნებოდა მოტყუებულოყო, ვერ მიმხვდარიყო, რას ატეხილიყვნენ ჰრიქინები, რას გაიძახოდნენ ასე გამომწვევავადა, — ხმა გამოიცივალეს, ბულბულის ხმიდან ჰრიქინობელის ხმაზე გადავიდნენ, მხოლოდ ეს იყო შედეგი მისი ვედრებისა... ასე რომ არ დაიშალა, მუდარა არ შეისმინა, თავდამცირება არაფრად ჩაუგდო, არ შეაწუხა ფაქკაცის სიაშაყის შელახვაში, კეთილი და პატიოსანი, რახან ეგრე, ეგრე იყოს, ფანდია, ფანდი იყოს, ძალაა, ძალა იყოს, ენახოთ როგორ მოემართება ხელი, — ასე ჩაითქვა კოტემა.

დაიწყო იმით, რომ საიდუმლო გაანდო ტატო ბუხალაძესა: „ეგრე არ გეგონოს თითქოს ჰიას ფეხს არ დაადგამდეს გუნდიაანთ გიგოი... ჯერ დედამიწაზე ფეხი არ დაუდგამს მაგისთანა ქვეშევეშასა, ქვემძრომსა, თულუმსა, ეშმაქსა. არ დაიჯერებენ?!. რაც ახლომანლო ჰურქელი სალდება, სულ მაგისი ხელიდან გამოდის. აბა თუ ვინმე იცის, აბა კანონს თუ დაუქერია“.. ჰმ, კოდნით ვინ არ იცის, მაგრამ კანონში ვერავინ გააყოფინა თავიო, სინანულით მიუგო ტატომა. „მაგაზე ადვილი რაღა არის, — შესძახა კოტემა, მერე ხმას დაუწია, ყურში ჩასჩურჩულა, — შეადებ მარნის კარებსა და“... აღარ დაამთავრა, შორს გადგა, იქიდან ჩაუქრა თვალი. ხელი ჩაიქნია ტატომა, უარს არ არის, მოდიოთ, ეს დაატანა ხელის ჩაქნევასა.

„მამ გაუზინდია... გადაუმაღავს, — ტუჩი ჩაიკვნიტა კოტემა, — მაინც ფიქრი არ არის, თვალის ჩინი ჩამიჭრეს, უღვაში შემირცხვეს თუ ორ-სამ დღეში შენს მარყუქში არ გავაყოფინო თავი. ადგილის მწვევარი დაიკერს ადგილის კურდღელსაო“... ტატოსაც მეტი რა უნდოდა, შურს იძიებდა, ეგება ხეირიც ენახა და აღარ დაგიდევდათ. თუ როგორა ღალატობდა თავის მოვალეობას... დაიკერო და... მართლაც დაიკერა, დილაღამიან თავს დააყენა ხალღურას ჩანჩქერიდან დაშვებულ გიგოსა... რათქმუნდა თვითონ არ გამოჩენილა, არც ტატო მიპგებებია მარტოდმარტო, ერთი ბრიგადერი და ერთი დეპუტატი იახლა.

— აღრე ამდგომს უხაროდესო... — ანახლად გადაუდგა და დამცინავად შესძახა ტატომ.

გიგო მოზნეკილიყო საესე ტომრის ქვეშა, ახედვა გაუჭირდა, ისე თავჩაღუნულმა ჩაიდუღუნა:

— დილაშშვიდობისა!.. — ჩაიდუღუნა და გზა განაგრძო.

— შესვენება გაწყენდა ვითომა?! — იხუმრა ტატომ, ყოველშემთხვევაში თვითონ მაინც გაიციინა გულიანადა.

— არა მგონია... — ცოტა თავი ასწია გიგომ, ნელნელა აიშართა და ეგრე, ზურგსუკან დაუშვა ტომარა.

ტატო სიამოვნებით შეიშმუნა, ვითომ რაო, საღლა წამისვალო, და რახან ვერ წაუვიდოდა, არცა ჩქარობდა, იზანგრძლივებდა სიამოვნებასა. გიგოსაც შექმა გაუხსნა შუბლი, ეტყობოდა ვერ შეეშინებინა ტატოს სიამოვნებასა.

— ე რა გინდავლია? — ხელეზი მოიფშენიტა ტატომ, მისწვდა ტომარასა, ბაწარი შეჭხნა, პირი გადაუწია.

— მინერალური სასუქი უნდა იყეს, — ცბიერი ღიმი დამალა გიგომ, — მთებში მივაგენი... ვიფიქრე ჩავიტან, ვცდი-მეთქი, ეგება ივარგოს. თუ ივარგა, გაუხარია ჩვენს კოლექტივსა და ისაა... ვითომ არ ივარგებს, ჰა, გამოცდილი კაცი ხარ, გეცოდინება!.. — ჩაიმუხლა, მიეშველა ტატოსა, ამოჰყარა თეთრი, ქათქათა და ოდნავ მოვარდის-

ფერო ნატეხები, ხელისგულზე მოძვებდა და მიმოაბნია ხნულზე.

სიხარული შემოაცვდნა ტატოსა... გავარის ამოსაყრელად სხვა ველარა მოიფიქრა რა თუ არა ის რომ ისევ კოტესა სცემოდა: ოთხნი ხართ და ოთხივე შრომისუნარიანი, პექტარი მამული გიპირაეთ, გაპარპაშებულხართ, კაპიკს არ იხდით, სახელმწიფოსა ძარცვავეთო, სხვაც ბევრი რამ უთხრა, ფეხებიც უტყაპუნა. კოტე ისევ ქოჩორზე დატრიალდა, დააფორიაქა ქალები, დააწიოკა ქათმები, ორივე ხელით ყელი აუწია ტატოსა, მაგრამ ეგრე იოლად ველარ მიიტყუა სუფრაზე, კიშკრიდან ფეხი ველარ მოაცვლევიანა, რახან შიგნით არ შედიოდა, აღარც გაუშვა, იყენენ ასე ტყვენეს ერთი ადგილი, ტატო ოქმით ემუქრებოდა, ჰხსნიდა გაბერილ ჩანთასა, აფრიალებდა ქაღალდებსა, კოტე შინისაკენ ეწეოდა, აქ აბა რა გამოვა, შემოდი მაგიდაზე დასწერო. ტატო გაჯიუტდა, მუხლზე დაეწერო, მაგრამ ვერ მოახერხა და შეჰყვა, ოღონდ რამდენჯერმე გააფრთხილა, იცოდე მხოლოდდამხოლოდ ოქმის შესადგენად შემოვდივარო, მაგრამ კოტემ იმდენი იმარჯვა, ოქმამდე სველსველი ხელადა და ჩახოხბილი გააჩინა მაგიდაზე, მერე უკვე ადგილი იყო ისიც გაეგო თუ რაზე შემოსწყრომოდა ფინაგენტი. „ვაიმე, ვაიმე, თავში შემოიკრა კოტემა, — მინერალური სასუქი?! რის სასუქი, რა სასუქი, ის ხომ ხალღური თიხაა... რომელი სასუქი?! რამ მოაგონა?! მაგრამ აკი ვითხარი მაგისტანა ეშმაკი მეორე არ გაჩენილა-მეთქი... მოუტყუებიხარ, მწარედ მოუტყუებიხარ“... ტატო ჩაფიქრა, მერე როგორც იყო ფიქრებში ამოიძახა, — მოუტყუებივარ... — თანაც გულისგვრემა ამოაყოლა ამ ამოძახილსა. ისევ კოტემ დაამშვიდა, — კაცი არ ვიყვე თუ უფრო ნაღდ კვალზე არ დაგაყენო.

კოტე იმედოვნებდა, ბაწარზე გაუსვლელობას ველარ მოითმენს და ქურქელაკიდებულს გავაბამ მახეშიო. სხვა დროს ეგებ იმედი გამტყუნებოდა კო-

ტესა, მაგრამ იმეამდ მოთმენა აღარ შეეძლო გიგოსა, ცოტა არიყოს სიფრთხილევ მოკლებოდა. მოაკლდებოდა მამ რა იქნებოდა, ავად იყო თუ კარგადა, დაეძრაებოდა თუ არა, მეტი გზა აღარ იყო, ქალი შინ უნდა მოეყვანა და რალაც წესი, რალაც ადათი მაინც უნდა დაეცვა, ბეჭედი უნდოდა, ახალთახალი სამოსი უნდოდა, უსათუოდა, უცილებლადა, აბა, ჯერ ხალდეში ქალი არავის მიეყვანა სხვაგან ნახმარი კაბითა, რაღა ის უნდა ყოფილიყო მიგალითი. ესეც არ იყოს გიგოც ომაძეების სამადლო ხომ არ იყო, მათი ნაყიდებით ეტარებინა ქალი... ასე რომ ქალი უნდა შეემოსა, უნდა მოერთო და აბა როგორ ასცდებოდა თავისი წარმოების განახლებასა, ბაზარსა ან კოტეს როგორღა გამოეპარებოდა აწრიალებს, აფაციფუცება გიგოსი, აკი არც გამოეპარა, როგორც კი ჰინქილითა და ხელადით სავსე ორი გოდორი გააძქმულა ბალ-ვენანს ქალების მიხვეულ-მოხვეული ბილიყებითა, დიდ შარაზე გავიდა, მანქანაც გაუჩერდა, გოდრები შეაწყო, თვითონაც მოკალათდა გოდრების შუა, შოფერს დაუკაუნა წადიო, „მოიცო“!... — გაიშმა და გზაზე ტატო აღიმართა თავისი მხლებლებითა. გიგომ მხოლოდ გაიციინა, რალაც უაზროდ გაიციინა და ასე იცინოდა ვიდრე ტატო ოქმს ადგენდა, ტატოც იცინოდა, ოღონდ მის სიცილზეც უაზრობა როდი ითქმის, პირიქით მთელი აზრითა და გულით იცინოდა. სიცილითვე გაისტუმრა ოქმს მორჩა თუ არა, და როგორცა სჩვევიათ დიდად თავაზიან, დიდად მოყვარულ გამცილებლებსა, ვიდრე მანქანა მიეფარებოდა ფეხი არ მოუცვლია, ხელს უქნევდა, ოქმის ფურცლებს უქნევდა, როგორც ცხვირსახოცებს უქნევენ ხოლმე. რაღა თავაზი და პატივისცემა უნდოდა! ამის შემდეგ ჯერ შეორედ, მერე მესამედაც დიდად დააფასა, უფრო აღრე ადგა, უფრო მეტი, ბევრად მეტი გზა გაიარა ფეხითა, თუმცა გიგოს ძალიან აღელვებდა მისი შეწყუბება, მაგრამ ის მაინც არ იშლიდა

თავისასა, რას დაიშლიდა, განა ისეთი უგრძობელი ან უზრდელი იყო და გაეცილებინა, დიდხანს, დიდხანს მარტოქანია გაშლილი ფურცლები, რა სათქმელია, ჰო, ის ფურცლები, სადაც მსხვილი ასოებით ამოქარგულიყო: „ჩვენ ქვემოთრე ხელისმომწერნი ამით ვადასტურებთ, რომ“... და სხვა ამის მსგავსი, რა იყო ეს, სასიხარულო თუ სამწუხარო, ვერც კი წარმოიდგინა გიგომა, თუნდაც წარმოედგინა, რომ წუხილის მეტი არა ელოდა რა, იმწუთს მაინც არ დანაღვლიანდებოდა ისე აღესილიყო სიხარულითა. ან დანაღვლიანება რა სათქმელია, როცა პირი ვეღარცკი მოეკუმა, იცინოდა, ხითხითებდა, ხეხეხინებდა გიყვივითა, ეს ითქმის განსაკუთრებით იმ წუთებზე, როცა ტასოს საბოლოოდ უნდა დაეგლო ომაძიანთ სახლ-კარი და მასთან გადასახლებულიყო. მესერთანა ტრიალებდა, ჰიატებს ეძებდა, ჯერ ვერა ჰხედავდა, მაგრამ მერე რაო, ოსტატი იყო, ხელოვანი იყო, წარმოსახვის კარგი უნარი ჰქონდა, ჰოდა კარგადაც წარმოედგინა: აი გაიძრო ომაძიანთ სამოსი ტასომა, ხელუკლმა მიჰყარა, გიგოს მოტანილები გაჰსნა სიხარულითა, თრთოლვითა, გულზე მიიხუტა, ჯერ ასე დასატება, გაინაბა ნეტარებითა, მერე ნელნელა მოირგო ტანზე, ოღონდ შეიშმულმა, შეტოკდა, შეკრთა, შეხტა თითქოს შეუღლიტინა გიგოს ნახელავმაო. ეს აციენებდა გიგოსა, სულელივით იცინოდა, მართლა სულელივითა, — სიხარული ხომ სისულელის სხვადასხვა სახეს მოჰგვრის ხოლმე ადამიანსაო; მწუხარებაზეც ასევე იტყვიან, ხითხითი თუ არა, ტირილი, უამრავი, უთავბოლო ამოქაზილები ხომ მოსდევს მწუხარებასა, აქა-იქ სიცილიც გამოერევა, როგორც ცრემლი სიხარულსა და, რა ვუყოთ თუ მიზეზი სხვადასხვაგვარია, საწყისი სხვადასხვაა, ორივე გარემოება გრძნობად აქცევს ადამიანსა, ჰოდა, უგუნურობაც სხვა რა არისო. ამას იმიტომ მოვახსენებთ, რომ გიგოსთან ერთად სულელის მდგომარეობაში წარმოიღვრეთ კოტეცა, ოღონდ გარეგნულად,

მხოლოდ გარეგნულად, თორემ ისე ყველაფერი კარგად იცოდა ვინ რა მოიტანა, ვის რა გადასცა, ვინ სად იყო, რას აკეთებდა, ამდენხანს სარკესთან რადა ტრიალებდა იმისი რძალი, რა მოხდებოდა ამის მერე, რა მოჰყვებოდა ამ ლამაზ, ლურჯ სადამოსა, იცოდა, მაგრამ რა უნდა ექნა, ვისზე ამოეყარა ჯავრი, გიგოს ვერ მორეცოდა და ამიერიდან ყველა ძალებს ასჯანყებოდა, სწყევლოდა, ჰკიცხვავდა, ჰგმობდა, — ჰგმობდა სიკვდილსა, გიგო რომ არ მოჰკლა აქამდისა; სწყევლიდა ტატოსა, დაჯარიმების მეტი რომ ვერა გამოიგონა რა, გადასახლება ან დაპატიმრება მაინც რომ ვერ მოუხერხა; იკიცხავდა თავსა, დასაცინად, სააბუჩოდ რომ გაუხდა საქმე; რისხავდა სოფელსა, რახან არ მიეჭრებოდნენ, არ ჩაჰქოლავენენ გიგოსა, ქვების გორას არ აღმართავდნენ მის კარშიდამოხე, საშიშროებად მრუშთა, ავისმქნელთა, ბოროტთა; შეაჩვენებდა ელდასა, მეხსა, პირსა, ყოველგვარ სენსა, უბედურობასა, გიგო აქამდე რომ არ გაისტუმრეს მოუსაგლისკენა ან კენესის ლოგინი რომ არ გაუშალეს; ჰკრულავდა დიდსა თუ პატარასა, სულიერსა თუ უსულოსა, ახლობელსა თუ შორეულსა, მტერსა თუ მოყვარესა, შერბი-გარბოდა, ილანძლებოდა, ბრდღენავდა, ცოლ-შვილი დააფეთა, მერე როგორ დააფეთა — შინ ველარ შესულიყვნენ, ცოლი მეზობლებში მიმალულიყო, შვილი ჰალებს აფარებდა თავსა; ვერ მოესვენათ ვერც საქონელსა წვრილფეხსა, ძაღლსა, — ეოლოს ბუნჩქებიდან მოსჩანდა ძაღლის თეთრი თავი; მხოლოდ ტასოს ვერ შეჰხებდა, არც არაფერი ესმოდა ტასოსა, ირხევოდა, იკვანწებოდა სარკის წინა... როგორც იყო მორჩა, კარი გაიხურა, ნელნელა ჩაათავა აივანი, ფრთხილად, მორიდებით ჩაიარა კიბე, კიბის ბოძთან შედგა, მიეყრდნო, გაჩინდდა.

კოტე შუა ეზოში გაქვავდა.

მალა ღრუბელს, თეთრ ღრუბელს წიბო მიეშვირა ცას შერჩინილი უკანასკნელი სხივისათვის.

იდგნენ და სდუმდნენ.

ქალს ცრემლი წასკდა სუნმოდა, ალუქვითინებოდა, მერე ხმის ამოღებაც მონიღომა, თქმა მონიღომა, მაგრამ კრიკა შეუტრა ღელვამა.

— მე... — აღმოთქვა როგორც იყო, მაგრამ ველარაფერი მოადევნა, მხოლოდ კბილების წყაბუნე ვაისმა, — მე... — გაიმეორა კიდევ, ოღონდ სიტყვა მაინც ვერ ამოიღო, სლუკუნი მოაყოლა, — მე... მე... მე... — თქვა ბოლოს თანმიყოლებითა და ქვეითინი აუქარდა.

კოტე შეარყია ამ მღელვარებაში.

— მიღიხარ?! — მაინც თითქოს გულგარეშე იკითხა კოტემა.

— მივდივარ!.. — მყისვე დაატანა ქალმა, ცრემლებში ამომჯდარი შვეების ღიმილით დაატანა. ეს მართლაც შვება იყო, სწორედ ამის თქმამ გასტანჯა აქამდე. ამის მერე ბევრად იოლი იყო ტირილიცა, თქმაცა — მივდივარ!..

— მერე და რათა, ვანა ცუდი ხალხი ვართ?!

— არა!.. — შესძახა ტასომა, — მე ვარ, მე, ცუდი. ადამიანი...

— არც შენა ხარ ცუდი... არა! — მწარედ დაატანა კოტემა, — ეშმაკია ცუდი და ბოროტი, ეშმაკი მოვლენილი ანგელოსის სახითა... ვილა არ შეუცდენია, თვით ევაც შეუცდენია, ევა-დედაი დედათა!.. მოუსვენარია ეშმაკი, დაუდგრომელია ეშმაკი...

— არა... არა... მე ვარ ცუდი!..

— არა-მეთქი!.. — ხმას აუწია კოტემა.

აქ ტუჩები შეიკრა ტასომა, წინ წავარდა, უნდოდა მივარდნოდა კოტესა, მის მხარზე დაედგარა გამოსათხოვარი ცრემლი, მაგრამ შედრკა, მიკარება ვერ გაჰხებდა, ისეთი სიცივე სცემდა იმისა-ვანა.

— მამატიე, რომ გეუტრჩე... აბა როდის გაუტრჩებივარ, ვის გაუტრჩებივარ?! არავის, არასოდეს...

— არასოდეს, — მწარედ დაუდასტურა კოტემა, — მაგრამ ვანა ჩვენ კი გაუტრჩებივართ?!

— არასოდეს...

— მერე და ასე არა სჯობდა?! ვანა

ასევე არ ემჯობინება?! ასევე რომ ვიყნეთ, განა უკეთესი არ იქნება?! ჰა, არ იქნება?!

ტასომ თავი ჩაღუნა, ცრემლი შრებოდა მის თვალებში.

— რა იქნება ამაში ცუდი?! — ისევ კოტემა თქვა, — განა სამღერავი გეთქმის?! რა გაკლია, რაი?!

— თითქოს არაფერი... არაფერი, — ამოიძახა ტასომა, — არ ვიცი რაზე უნდა დაგემღეროთ... საშინელი რამ უნდა ვიყვე, მართლაც ეშმაკი უნდა ვიყვე, თქვენი სამღერავი რომ ამოუშვა პირიდანა. მშობლებივით გამომაღვივით, ასეთი ერთგულება არსად მინახავს, გაგონებთაც ბევრი როდი გამოგონია.. კარგი იყო. რა კარგი იყო!.. ნეტავ მხოლოდ ასე ყოფილიყო!.. სხვა რად მოინდომეთ, მეტი რად მოინდომეთ?! განა ამდენის შეძლება მქონდა?! არ ვიცი, არაფერი ვიცი... ალბათ ცუდი ვარ, ძალიან ცუდი, ცუდი ვარ, ცუდი!.. რა ვქნა რა წყალს მივეცი, არ შემიძლიან, მეტი აღარ შემიძლიან, რა ვქნა თუ აღარ შემიძლიან?! — აქ შეჩერდა, შეჰხედა ცრემლიან შრალი, მძაფრი თვალებითა, — რა ვქნა-მეთქი?!

— უნდა დამშვიდდე... დამშვიდდე... — უჩრია თვითონ აღელვებულმა კოტემა. შიგნიდან შექმა ამოანათა ტასოსა, გაუხსნა სიმძაფრე თვალისა.

— დავმშვიდდები!.. — თქვა იმედიანად.

კოტეს არ გამოჰპარვია კილო ამ ნათქვამისა, არც სხივი თვალისა, ქალი ხომ უკვე თამამად იცქირებოდა გუნდიანთვენა.

— დამშვიდდები... — ჩაილულულა კოტემა.

ტასომ თავი დაიქნია, ხოლო გულში ჩაითქვა რამდენჯერმე, — „დავმშვიდდები... დავმშვიდდები... დავმშვიდდები... იქა... იქა... იქა“.

— ვითომ აქ რატომ არ დამშვიდდები?! — თითქოს მის გულისხმას შესძახა კოტემა.

ტასომ გაცეცხით შეჰხედა, ნუთუ ვერ ვუთხარი თუ ვერ ვუთხარი, ნუთუ თვი-

თონ მაინც ვერ მიმიხვდა, ნუთუ დაედან უნდა დავიწყო, — მერედა ძალა ეყოფოდა, ძარღვები გაქვლიბდა თუ უკვე ამოილია, ამოიწაფნ მარანი გრძნობისა, აზრმა იმარჯვა და ბოლომდე გაიტანდა თავისასა? ალბათ ასე იქნებოდა, ცრემლი თვალებში ხომ ჩაშრა, შეახმა დაწვებზეცა, ცრემლის მონაშრობსლა აბზინებდა ფერები დაისისა. ფიქრი მძაფრდებოდა, ბოლო სიტყვას, ვადამკრელ სიტყვას მოითხოვდა. ანკი რაღა იყო სალაპარაკო, რაღა იყო შემავიწყებელი თუ არა ის, რომ არ უნდოდა ცუდად უმსგავსად, მტრულად განსორებოდა იმ ოჯახს, სადაც ბევრი კარგი რამ განცეადა, ჰო, კარგი, ცუდი, უხერხული რამ იმწუთს როდი აგონდებოდა. ეს ერეოდა, ესა სძლევდა, უბორკავდა მტკიცე, მკაცრ, დაუზოგავ სიტყვასა.

— აღარა ვარ ღირსი აქ ყოფნისა, — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა ქალმა, — აღარა ვარ ღირსი... გატყუებდით, — აქ თავი დაჰხარა, იყო ასე, მერე ნელნელა აიხედა და გაიმეორა, — გატყუებდით!.. კოტეს შეეთთრებული წარბები წამოეხურა თვალებზე, ოდნავ, მხოლოდ ოდნავ გამოკრთა თვალთა ზოლი მიტყევის შექითა.

— რას მატყუებდი, — რბილად თქვა კოტემა, — ჰმ, რას მატყუებდი... ყველაფერი ვიცოდი... ვიცი... —

ტასო შეკრთა, ნუთუ მართლა ყველაფერი იცის და მაინც ასე დინჯად გამოიყურებო; ნუთუ ყველაფერი იცის და მაინც დარჩენასა მთხოვს; ნუთუ მიტყევა ძალუქსო... ო, არა, არა, არა-ფერი იცის, უნდა უთხრას და მორჩეს, გამოემშვიდობოს თუ გამოემშვიდობება დაერქმევა ასეთ აღსარებასა.

— მიყვარს!.. — შესძახა ტასომა.

— ვიცი!.. — დაიბუბუნა კოტემა.

— მე ქმარი მყავს!.. — უფრო მკაცრად, დაუნდობლად და ამყად აღმოთქვა ქალმა.

— ვიცი!.. — ცივად დაუდასტურა კოტემა.

ტასო შეძრწუნდა, შეაერეოდა, — რა იყო ეს უსულგულობა თუ გაუგებრობა,

სრული გამოთავებება, ჰა, ერთი იყო თუ მეორე, ეგებ ორივე? მამ გაიგოს, სხვადაც გაიგოს, ქვეყნის გასაგონად დაიძახებს:

— ჩემი ქმარი... გიგოა ჩემი ქმარი!..

— ვიცი... — კიდევ უფრო ცივად ჩაისრიალა კოტეს ნათქვამმა.

ტასოს ძალა აღარ ეყო, ხმა ჩაუწყდა, სხეული მოეშალა.

— რა გინდა ჩემგან?! — შესწვილა ქალმა, თან გულზე მოივლო ორივე ხელი, თითქოს გულის სარქველი მოვარდნაო.

მესერი შეიბრა, შეძობინდა, გოგო თუ მიაწყდა.

კოტეს სულ წამოეხურა წარბები, შესაზარი იერი მოედო სახეზე, საშინელი იყო შინაგანი ბრძოლის გამოკრთობა დაისის სფეროთა ქვეშა.

— რა გინდა ჩემგან?! — ახლა ძრწოლვანი ჩურჩულით იკითხა ქალმა.

— სიცოცხლე!.. — მიუგო კოტემა, — სიცოცხლე, სხვა რა უნდა გეინდოდეს?! სიცოცხლე გეინდა, რაც ყველას უნდა, ის გეინდა ჩვენიც. შენ შეგიძლიან... შეგიძლიან გეაცოცხო, დაგვიამო გაწამებული სიცოცხლი, შეგიძლიან... მე ძალა მეყოფა ვაბატო, მეყოფა... ძალა მექნება გიერთგულო, გიერთგულო მაშინაცა, როცა მობეზრდები, ხელსა ვკრავს, მიგატოვებს. მე არასოდეს მიგატოვებ, მე ყველაფერს ავითან შევილისათვის, ღვიძლი შევილისათვისა... ჯერ ხომ შეილში არ გამომირჩევიხარ, არც გამოგარჩევ, მთელი ქვეყანაც რომ გადაგიდგოს, წარბსაც არ შევიხრი, არც შენს შეილს გამოვარჩევ ჩემს შევილში, ჩემი შევილში შევილი იქნება, ჩემი ოჯახი იქნება, ჩემი სიცოცხლე იქნება... მე დავიფარავ შენს სახელსა, ავაშორებ კიცხვასა და გმობასა, დავფარავ ყველაფერსა და როცა დრო თავისას გაინაღდებსა, როცა ეს ფორიაქი მოთავდება, ავბოროტი ავშორდება, გაიხარებ, დატყებდი, დაამდები... აქ არის შენი სიმშვიდე. აქა, ამ კარმიდამოზე, აქ ირბენს შენი შევილი, ჩემი შევილი შევილი... გესმის?!

— არაფერი მესმის, არაფერი... — ყრულ, დაბნეულად ამოიქაჩა ტასომ.

— მე ყველაფერს ვაბატობ, მაშინ შეილი ჩემი...

— ნუ, ნულარ გაიმეორებ!.. — ხელები გასაგასავა ქალმა, თითი იტაკა პირში, კბილებს დააწვა, მაგრა დააწვა, შეკვივლა სიმწართა.

— ტასო... ტასიკო... — ფეხი წარსდგა კოტემა.

— უკან!.. — შეტყვირა ქალმა, — დამესხენი!.. ჩამომეცალე!.. აღარაფერი მესმის, აღარაფერი... ჩამომეცალე!.. — შეტყვირა და გაიქცა ბალისკენა.

— დაიცა... დაფიქრდი... მოუხმე კეუასა...

მაგრამ ტასოს მართლაც აღარაფერი ესმოდა ან უკვე კარგად ესმოდა ყველაფერი, მიზნოდა, მიზნოდა თავგამებულობითა, ტოტები ედებოდა, ფოთლები სცემდა, უწითლებდა, უმხურვალეობა ისედაც ანთებულ სახესა. მაგრამ ტოტი რა იყო, ფოთოლი რა იყო, ან სხვას რაღას შეეძლო მისი შეკავება, ავი უთქვამთ, ღედაკაცმა თუ გაიწია ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ველარ დაიოკებსო, ჰოდა, გაიწია, გაიქცა, გადაირბინა მრავალჯერ გადარბენილი ბილიკი და ჩავარდა ძეძვის ღობიდან გამოწვილ მკლავებში, ჩავარდა, შთაინთქა, ჩაიყლაპა, აქ ჩავარდა და იქ გაისუნთქა განიერ მკერდზე. როდისროდის ხმა ამოიღო, ჩაიჩურჩულა: „კოტემ ყველაფერი იცის“... „იცის“... დაუდასტურა გიგომა. „რატომ არ მითხარი?!“ გაუმწყრალად იკითხა ტასომ. პასუხად მხოლოდ კოცნის ხმა გაისმა, ცხარე, ვნებიანი კოცნისა... და მერე როცა კორდზე ისხდნენ მოვარის შექქვეშა, ტასომ თვლები აღაპრო, ხელები ვაშალა, გულზე შემოიკრა უეცრად და ნეტარების ქრუანტელითა თქვა: „მეშველა!“ პასუხად ისევ... თუმცა კმარა, თვალი მოვარიდოთ, მოვასვენოთ, ნუთუ ერთი წუთითაც ვერ უნდა დაისხნან. თავი ჩვენი თვალთვალისაგანა, — ვანა ეს კი სატანჯველი არ არის?! მოვერიდოთ, დავეხსნათ, მითუმეტეს, რომ თვით კოტემც

დაეხსნა, გაბრუნდა, ბარბაცით გაბრუნდა. იმასაც ეგებებოდა ფოთოლი, განა სცემდა, ფრთხილად ეხებოდა, ულამუნებდა, უგრილებდა ანთებულ შუბლსა. მაგრამ არაფერი ესმოდა, არაფერი, მიბარბაცებდა, მიბუტბუტებდა: „ანალვლეო ალალ ვინ იძახა, მწყერი ვინ დიჭირაო“!..

რალა თქმა უნდა მძიმე იქნებოდა განცდა კოტეის, რალა დარჩენოდა? ამაგი დასლო, — ფუქად ჩაუარა, იმედი ჰქონდა, — გაუქრა, დაეკარგა. რალა იქნებოდა უიმედო ადამიანი, რილასთვის უნდოდა ეს ღონიერი ოჯახი, ეს საესე სახლ-კარი, რისთვისა რგავდა ამდენ ნამყენსა, რად იკლავდა თავსა შინა თუ გარეთა, რად დახარბებოდა ყველაფერსა, რისთვისა ხოჭნიდა, იხვეჭდა, იძენდა ამდენ რამესა, რისთვისა, ვისთვისა განა რა ხნის სიცოცხლე ჰქონდა, რად უნდოდა, თან ხომ არ ვააყოლებდნენ, რად არ ერიდებოდა არავისა და არაფერსა—სახლიკაცებთან დაეასა, მეზობლებთან აყალმაყალსა, რად დაეძებდა ყველგან გამორჩენასა, ვინ ეყოლება დამფასებელი, ჰქვას თავს ვინ წაუქცევს მის საფლავზედა, ვინ მოიგონებს მის ამავსა, მოუსვენრობაში მოთავებულ სიცოცხლესა; რალა ჰქონდა იმედი ტასოსი, რად ეგონა, რომ აუხდენდა იმელებსა, დაუმშვიდებდა, დაუტყობბდა, გაუნეტარებდა სიბერესა, რად ეგონა თითქოს მის ნებაზე დატრიალდებოდა ჩარხი ცხოვრებისა, რას გაებრუებინა აქამდისა, რატომ ვერ გაეგო ვერაფერი ამოებისა და თუ აქამდე ვერ გაეგო, ახლა რატომღა გამოუტყვრა საამისო ფიქრები, რა ბედენა იყო, რის მაქნისი იყო; ჰო, რალა და როგორა, რატომ და რისთვისაო, — ასე აიხსნა იმისი ფიქრები, მოდუნდა, მოტყდა, გამწარდა. აღარა ჩქარობდა ყოველთვის ფიცხელი, აღარა შრომობდა ყოველთვის მამურალი, აღარა აწუხებდა რა ყოველთვის მღელვარსა, აღარა სურდა რა ყოველთვის მწყურვალსა, იღვა გარინდებული, იჯდა დამდურებული. ცოლიც გატყრენილიყო, კრინტი ვერ დაეძრა, — ვინ

იცის უბრალო სიტყვაც გამხდარაყო საბაბი მისი განრისხებისა, — რისზეას მორიდებოდა დედაკაცი, უფხაკეფეფო დაიპარებოდა, ტილოებით ეხებოდა ქურქელსა, ხელების ქნევით უხმობდა ქათმებსა, დაძახება ვერ გაებუნდა. გელაც აზუზულიყო, დაიპარებოდა, შიში-ანად ახამხამებდა უაზრო თვალებსა, — სხვა თუ არაფერი შიშის განცდა მაინცა ჰქონდა, — აშინებდა, აძრწუნებდა მამის გარინდება. სხვა დროსაც ბევრჯერ გაურინდებია მის უაზრობასა, დაუღუმებია, დაუფიქრებია, მაგრამ სახრის მეტი არაფერი ამოჰყოლია ფიქრსა, იფნის სახრისათვის წამოუვლია ხელი, ჰგონებია, ბუნებამ რაც დააკლო სახრე შეუსრულესო. ჰოდა დაიზუზებოდა სახრის შიშითა, დაიპარებოდა, ეფარებოდა ყველაფერსა, თვალებსაცა ჰხუჭავდა, ოლონდ არ დაენახა მამის წამოხურული წარბები. მხოლოდ ხანდახან დედას დამარტოხელებდა სადმე შორსა, და ცრემლით, მღულარებით შეეკითხებოდა „ტასო სად არის, ჰა... სად არის ჩენი ტასოი“?! მოვაო, — თვალს მოარიდებდა, ისე მიუგებდა დედაი. ისიც აღარაფერს იკითხავდა, მიწასა და ცას მოუფათურებდა თვალებსა, ბუჩქებში გახვეულ ბილიკებს, შარავჯის მოსახვევებს დააკვირდებოდა, — აბა საიდან მოვაო, საიდან გამოჩნდებოა. მაგრამ არა სჩანდა, არსაითა სჩანდა და ისევე მღულარედ, მოუთმენლად იკითხავდა: „სად არი, ჰა... სად არი ჩენი ტასოი“?! მოვაო, დედა ამასვე მიუგებდა, ცრემლს არ მოიწმენდდა შვილის დასანახავდა. კოტე ვერა ჰხედავდა ცოლ-შვილის ტანჯვასა, ვერც ვერაფერსა ჰხედავდა, გაუფასურებელიყო ყველაფერი ან სულაც გამქარალიყო, მისთვის აღარაფერი არსებობდა, მძიმე განცდას დაეჩაგრნა. მიესავათებინა.

და დაღუმდა ომადიანთ კარმიდამო. სადაც იყო სუნთქვა, ოლონდ სიცოცხლე აღარა.

ოდესმე, სადმე შეხვდებით ან შეხვდებოდით ასეთ კარმიდამოებსა, დაინახავდით თითქოს ადამიანებს, თითქოს აჩრ-

დიღებსა ან რაღაც საშუალოს ხორცს-
ხმულობისა და აჩრდილისა. მათი გახა-
რება არაფერს შეუძლიან, არც დამწუ-
ხრება შეუძლიან რაიმესა. ქვეყნიურ
ვენებებს განრიდებიან, ხალხში არიან,
მაგრამ არა ჰგარძობენ, არაფერი ეს-
მით, გამოსთხოვებიან სურვილისა და
წუთისოფელს მათარევენ უბრაოდ, უღი-
მლამოდ, უაზროდა. რაღაც მწვავე შე-
ჯახებებში მოტეხილან, ან ბედს, განგე-
ბისა, ბუნებასა თუ ცხოვრებას დაუჩაგ-
რნის, ომპიანთსავეთა, ჰო, სუბილად
მოტეხილან ან დავარდნიათ გულისცემა,
დასწყვეტიათ ძარღვები, დასწრეტიათ
სისხლი, ერთისიტყვით, ცხოვრება უკვე
მოუთავებიათ, წასულან და მობრუნე-
ბულან, სამარიდან მობრუნებულან,
როგორც აჩრდილები, მაგრამ დიდხანს
მაინც ვეღარ იზოგინებენ, უეცრად
გაჰქრებიან, მოიცლება, მოცარიელდ-
ება ის კარმიდამო, სახურავი ჩაწევა,
კარ-ფანჯრები ჩაილეწება, ჰერ-იატაკი
ჩაღებება, ხავსი და სვია, ჰინჰარი და
ნარეკალი მოედება იქაობასა, ღრიანკე-
ლი დაიდებს ბინასა... წასწყდომიხართ
ასეთ ადგილებსა, დაფიქრებულხართ,
რომ ოდესღაც იქაცა ფუსფუსებდნენ
ადამიანები, ზარობდნენ, სწუხებდნენ,
სტელდათ, უყვარდათ, სურდათ, სწყუ-
როდათ, უძლიერესად, მარადიულად
მოაჩნდათ თავი, მაგრამ უეცრად ჩასწყ-
ვეტიათ ძარღვი ცხოვრებისა, მოშვე-
ბულან, მოღუნებულან, მოფუტკნუ-
ლან, მინებებიან დინებას განგებისა?..
ამ ყოფაში იყო კოტე.

დადუმებულიყო, გაყუმულიყო სახლ-
კარი კოტესი, მხოლოდ ლანდნი დაქა-
ნობდნენ, დაირხვეოდნენ, დაცახცახებ-
დნენ.

VII

გაყუმულიყო, გარინდებულიყო ვი-
ვოს კარ-მიდამოცა, ხანდახან ბავშვი
შეირბენდა, ხმაურით, კისკისით, სიმღე-
რით შეირბენდა ავეღარებდა იქაობა-
სა, მაგრამ მალევე წავიდოდა, ძალუა
ირინესთან გაეშურებოდა, რადგან შინ
არავინ იყო. ვიგო ვადაკარგულიყო,

განრიდებოდა სოფელსა, განრიდებოდა,
ვიდრე ენა მოიქანცებოდა, დამკვლდე-
ბოდა ახალი ამბავი, ტასრსს და გუგოს
ამბავი; განრიდებოდა, ხალდუნს ხეობას
აპყოლოდა, ასულოყო ზევით, სულ ზე-
ვით, ვიწროებში, სადაც ჩქერი ჩქერს
გადაჰბოდა, ჩანჩქერი გამოჯაჰვეულო-
ყო, სალი კლდეები, შვეული კლდეები
ერთიმეორეს მიახლოებოდა, ისე მიახ-
ლოებოდა, გეგონებოდათ, ეს-ესაა პირს
შეკრავენო; იქ მოექებნა პატარა ტა-
ფობი, კლდეში შებუღულ ტყის ძირას
დაეცა კარავი, დაბინავებულიყო... ხალ-
დურა მშუოდა, ილეწებოდა, გუგუნებ-
და ცივი კლდეები, თითქოს მართლაც
კლდეი გუგუნებდნენ, დაძრულიყვნენ,
მიექანებოდნენ, მიქროდნენ ქვექვევი-
თა ან ეგებ ერთიმეორეზე აზვავებუ-
ლიყვნენ, ერთმანეთს შევარდნოდნენ,
დალეწილიყვნენ, დაფშვნილიყვნენ,
დაეიწაწებულიყვნენ ხალდურას შეე-
ფების ოდენადა. საღდაც სულ მალა,
შვეულ კლდეთა შუა, ზეცის ვიწრო
ზოლზე არწივი გაშლიდა ფრთებსა, გამ-
ლიდა და თითქოს შეკრავდა, შეაერ-
თებდა კლდეებსა. ცივაბოზე ჯიხვი
გადმოდგებოდა, მზე ამოცურდებოდა
იმის რქებშუა. ხან ელვა გაბაწრავდა
აწვდილ, გათამამებულ წვეროებს
კლდეთა. უფრო ხშირად ნისლი ჩამო-
წვებოდა, ჩამოვიდოდა დაბლა, სულ
დაბლა, დაფარავდა კლდეებსა, მდინა-
რისა, ჩაიხვევდა გიგოს კარავსა და ამ
უხილობაში შემზარავად, მართლაც
შემზარავად გაისმოდა ხალდურას სივი-
ლი. შეშინებული, აცახცახებული ტასო
ვიგოს მიეკვროდა, მიეხუტებოდა, ვაე-
კაცის მკერდი იმედიც იყო, თანაც ისე
სცემდა, ისე ბავუნებდა, თითქმის ახ-
შობდა სივილს მდინარისა, ქვეშ გაგებ-
ული ზალახ-ყვავილების სურნელებაც
შებურავდა და წავიდოდა მღუმარება-
ში, ნეტარ მღუმარებაში. ეს ავღრიან-
ში. გამოდარებისას ვიგო კლდეებზე
აეცოდებოდა, თითქოს სხივებს დაეკო-
დებოდა და ზედ მზის გულზე გადი-
ცურდებოდა, დაპატარავდებოდა; და-
ჩიავდებოდა. დაილოოდა, მაგრამ ხმას

მეხისებურს გამოსცემდა, კლდეებს ეხლებოდა მისი ყვილი, განზე სწევდა, დაიხიეთ, გზა მომეციო ან ჩემთან ერთად თქვენც ფიანდახად გაეფინეთ ხევის დედოფალსაო. მერე ისევ ხალღურას ხივილი გამეფდებოდა, გიგო გაქრებოდა, ვინ იცის, შთაინთქმობდა ხახადალებულ უფსკრულებში... შთაინთქმობდაო და ტასო ფრჩხილებს იკენეწდა, ტუჩებს იკენეტდა, მაგრამ სადღაც თოფი გავარდებოდა, კიდეც და კიდეც გავარდებოდა, ეს მისი სიცოცხლის ნიშანი იყო, რა ვუყოთ, თუ რაღაცის სიკვდილის ნიშანიც იყო, ხომ ცოცხლობენ ისინი, ვინცა ხოცავენ, პო სიცოცხლის ნიშანი იყო, ოღონდ გაქრებოდა ეს ნიშანიცა... ისევ პირქუში კლდეები, იღუმალი შრიალი ტყისა, დაუდგრომელი ხივილი ხალღურასი, ისევ შიში, ავის მოლოდინი და ბოლოს, დაისსა თუ უფრო გვიან არა, სულ მაღალ კლდეზე ლანდი შეიბრებოდა, თმაჩანად გაღმოიყვილებდა, ყვილს თან ჯიხეს გაღმოიყოლებდა. ჯიხვი კლდეზე დაიგრიანებდა, ქიმებს მიაწყდებოდა, მოწყვეტდა, თან წამოიღებდა, სადღაც ტყისს შეახლიდა, სადღაც მუხლებს მიაშხვრევდა, განერთხმოდა ხალღურას პირას, ტუჩებს წაიშვერდა, ენას წაიგრიქლებდა, მაგრამ ვერ უწევდა წყალსა ან უწევდა, ოღონდ ველარ შესვამდა, წყურვილს ველარ მოიკლავდა მწყურვალი... და მერე გვიანობამდე ენთო კოცონი კარვის წინა, ტკაცუნებდა, ტკრიაცობდა დიდ-დიდი კუნძები, შიშხინებდა წვალი ჯიხვისა.

ტასო შეშას უმატებდა და უმატებდა, იმედიანდებოდა, მშვიდდებოდა რაც უფრო გაიგანებდა, რაც უფრო აიძალდებოდა ალი, წყვლიაიდი აიწევდა, წყვლიაიდი დაიხვედა. ბნელი აშინებდა, ყველაფერი აშინებდა ამ ბობოქარ, ძნელმისავალ ხეობაში, მაგრამ ვერ ეთქვა, — გიგო ხარობდა, ხომ არ ჩაუშხამებდა სიხარულსა. ლამობდა, თვითონაც გახარებულს დამგვანებოდა, ოღონდ ნატრობდა, მალე დაბრუნებულიყვნენ. შინ აენთოთ, გაეღვივებინათ

ჩანავლებული კერა. სხვა ვერაფერი მოხიბლავდა, ვერ გაიტაცებდა, ვერ ააღლებებდა. ეგებ ვინმე გააღოცნეს ტასოს ახირებამ, ეგებ კიდეცაც ინატრის იმისი ბედი, რატომაც არა, სული თუ შეჭხუთვია სადღაც, მაღალ, თვალმეუვალ შენობებში ჩაკარგულ ბინაში; სმენა თუ დახშობია მანქანების გუგუნითა; გული თუ გასწვრილებია ერთი და იმავე, საქმიანობითა; მოთმინება თუ დაღვევია წერიმალ ადამიანებთან, ურთიერთობაში თუ ამას დაუმტკებთ დიდ სიცხესაცა, მაშინ, რა თქმა უნდა, რა სჯობს ხალღეს ხეობაში ჩავარდნასა, დიახ ჩავარდნასა, უწვალებლად, უვნებლად, პირდაპირ გიგოს კარავში ჩავარდნასა, — არაფერი, არაფერი სჯობს. მაგრამ ტასო არ იყო ასე მოთენთილი, გაწამებული იყო და არა მოშვეებული, მოდუნებული, სიცოცხლე უნდოდა, მოქმედება სურდა, ცხოვრება სწყურებოდა, ამიტომაც აწყვიტა ომბიდან არტახები, თავისი კერა უნდოდა. გიგო როდისღა მოინდომებდა თავის კერასა, როდის იტყოდა, წავიდეთო, — ელოდა, ელოდა. გიგოს არ ეჩქარებოდა, რას აჩქარდებოდა, — მწვერვალიდან რომ დახედავდა ქვეშ დაყრილ მთებსა, ტყეებსა, მინდვრებსა, შენობებსა, ჭიალუას დამგვანებულ ადამიანებსა, გაბრუნდებოდა სიხარულითა, სიამაყითა, სიდიადის შეგრძნებითა, ცოდო იყო გამოფხიზლება, ცოდო იყო დაფეთება სილილის, სიამაყის, სიდიადის ლანდებისა. ერიდებოდა, ერიდებოდა, მაგრამ მაინც გაიმეტა, შეშხედა ტასომა:

— წავიდეთ...

— სადა?!

— შინა...

— შინა?! რა დაგვრჩენია შინა?!

— რა ვიცი... რაც სხვას დარჩენია...

წავიდეთ...

— აქ არა სჯობიან?!

შეხედა ტასომ გიგოს გაბრწყინებულ სახესა და ტალას იზამდა, დაუდასტურო:

— სჯობიან...

— ჰოდა, ვიყვეთ იქა, სადაცა სჯობიან...

ასე მოუქრა, ასე დაიყოლია, მაგრამ რახან ერთი შეპბედა ტასომა, მერე უკვე ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მუდარით შეანათებდა თვალებსა:

— წავიდეთ...

— სადა?! — უკვე მოუსვენრად იკითხავდა გიგო.

— შინა! — მტკიცედ დაატანდა ტასო.

— აქ არა სჯობიან?! — თვალს ამოყად მიმოატარებდა ვაჟკაცი.

ტასოს დამოწმება გაუჭირდებოდა ან გვიან, ძალიან გვიან მიუგებდა სჯობიანო, მიუგებდა ისე ურწმუნოდა, ძნელი არ იყო გამოჩვენა ნამდვილი სურვილისა: კარგს იხამ თუ წამიყვან, მალე წამიყვან აქედანო. გიგოს ესმოდა, კარგად ესმოდა, მაგრამ ცდილობდა, როგორმე გაერთო, დაეყოლიებინა:

— გამიგონე, ტასიკო, გამიგონე, ტასი, დარჩი, აქ დარჩი, ირმებს ჩამოგირეკ, გნოლებს, კაკბებს, ხობბებს მოგიშინაურებ, ირმის რძეს გასმევ, ხობბის ხორცს გაკმევ, ათას წელს გაცხოვრებ, ათას წელსა, ოღონდ აქ დარჩი, ოღონდა... სხვას რაღას ითხოვ ან სხვავინ მოგკემს ასეთ პირობასა, ვერავინა, ვერავინა, ეს არავის შეუძლიან მთელ დუნიაზე... ათას წელსა-მეთქი, ათას წელსა, ირმის რძესა-მეთქი, ირმის რძესა, ხობბის ხორცსა-მეთქი, ხობბის ხორცსა... დარჩი, დარჩი, დარჩი, რა!..

— მართლა ამბობ... — შიშით აღმოხდებოდა ტასოსა.

— მართლა...

— მართლა? — ტირილი მონდომებია ქალსა.

— ჰა, ჰა, ჰა... — ახარხარებულა ვაჟკაცი, ხალდეს ხივილს შერთვია იმისი ხარხარი.

ასეთნაირად ართობდა ანუ ცდილობდა გართობასა, ყოველშემთხვევაში, სურვილს ჩაუწყვეტდა, სიტყვას მაინც ჩაუწყვეტდა, ოღონდ დიდი ხნით ვერა, — წავიდეთო, უფროდაუფრო მტკიცედ მოითხოვდა ტასოი, სადაო, უფროდაუფრო ხმადაწვეითა კითხულობდა

გიგოი, მაგრამ მაინც გასძლებდა რამდენიმე ხანსა, გასძლებდა, როდემდისაცა სურდა, თუ არა საშინელი კედრიაინი ღამე, როცა კარავში მშრალი ადგილი აღარ დარჩა ან სიმშრალე რაღა სათქმელია, როცა კოკისპირულად ასხამდა შიგ კარავშიცა, გრგვეინავდა ხეობა, პექდა, ქუხდა, თაეზარდამცემად ელაედა ყოველ წუთსა, როცა შიშისა და სისველისაგან ამტყდარი კანკალი გადაღების შემდეგაც აღარ დაუეარდა ტასოსა, „წავიდეთ“ უფრო ჯიუტად ითქვა, „სადაო“ აღარ მოჰყოლია ამ ნათქვამსა.

დროც იყო, დახანებას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა თუ მისატყვებელი იყო, აქამდისაც მიუტყვებდნენ, თუ მიუტყვებელი იყო, ათას წელიწადსაც რომ ეცოცხლათ, წმინდანებად გადაქცეულიყვნენ, ყველას მტლედ დასდებოდნენ, დამდნარიყვნენ სიკეთისთვისა, ჰო, ათასწელიწადსაც რომ ეცოცხლათ, მაინც არ მიუტყვებდნენ, არ მოლბებოდნენ, არ დაივიწყებდნენ აუგსა, ასეთი იყო ხალღური ხასიათი, ადათი, სამართალი. ამ სამართალს ვერ ასცდებოდა, ხალდეში იბოგინებდა თუ გადიკარგებოდა ხალდედანა, ცოტა ხანი გავიდოდა თუ დიდი ხანი, რა ბედენაა, როცა კარგი მეხსიერება აქეთ ხალდელებსა, მერე ამბავიც თუ მნიშვნელოვანია წელთაღრიცხვის საწყისადაც დაიდებენ: „... ეს რომ მოხდა, ჩემს ქიტოზე ფეხშიმედ ვიყავიო“. ან... ის ხომ გახსოვს, ფეფო სწორედ იმ ხანებში გათხოვდაო“. ანდა: „...ამ დროს იყო ჩვენებიანთ პავლემ უმაღლესი რომ დამთავრაო.“ და ასე ვინ იცის, რამდენი რამ, ვინ უწყის, რაღა არ დაემთხვევა „ტასოს გაქცევასა“ ან რაღაც ამის მსგავსსა, ერთი სიტყვით, როგორც მონათლავენ გიგოსა და ტასოს ამბავსა. ასე იცოდნენ ხალდელებმა, ზოგჯერ მკაცრმა, ზოგჯერ ზომიერმა ხალდელებმა. როგორნი იქნებოდნენ გიგოსადმი?! ამაზე ფიქრობდა ხალღურას მთებში, ამაზე ფიქრობდა შინაცა, ოღონდ მთებში იმედინანდა ფიქრობდა.

სიშორე თუ აიშვებდა, შინ კი დაიწია იმედმა, თანდათან დაიწია, დაეშვა, როგორც მთებიდან ბარში, მერე სულ გათავდა, გათავდა, როცა ის ქალაქია დღე, ზაფხულის დღე ისე დაღამდა, რომ ერთმა ხალხელმაც კი არ შეალო მათი კარები, ერთი აღამიანიც არ დაეხმურა არც ავად, არც კარგად. ქალიც შეძრწუნდა და კაციცა.

ამოდ შეძრწუნებულიყვნენ, ამოდ აღორიაქებულიყვნენ, დიდი რამ განზრახვას, ავ ზრახვას არ დაედუმებინა სოფელი, მხოლოდ გაფრთხილებულიყო, ხალხე ხომ განთქმული იყო სიფრთხილითა: ხალხელი ფრთხილზე ფრთხილია, ფათერაკს ვერ ასცდენიაო.

— ანდაზად ამბობდნენ მეზობელ სოფლებში; ხალხელს ფაფა მიუდგეს, ჯერ სხვამ შეუბეროსო, ამასაც ამბობდნენ: ხალხელს უთქვამს, ფათერაკს თვალი არა აქვსო; ხალხელმა იცის, თაფვალი ძვალს გაზომავს და ისე გადაყლაპავსო, ასეთნაირად იტყოდნენ. ხალხელებს მიაწერდნენ სიფრთხილის ყველა ანდაზასა. ეს უნდა სცოდნოდა გიგოსა, თვითონაც ხომ ხალხელი იყო, მერე როგორი ხალხელი, როგორი ფრთხილი, განა ხალხურმა სიფრთხილემ არ დაიფარა იმდენი ხანი, რა ვუყოთ, თუ მაინც წაასწრეს, ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი დაიჭერსო, განა კოტემვე არა თქვა!.. ერთი სიტყვით, უნდა სცოდნოდა, მოეთმინა, გულმშვიდად დალოდებოდა, ხალხელებიც ხომ დალოდებოდნენ ხელსაყრელ შემთხვევასა, ისეთ პირობებსა, როცა არც წვალი დაიწვოდა, არც შამფური, არც კოტეს აწყენინებდნენ, არც გიგოსა, კოტესაც თანაუგრძნობდნენ, გიგოსაცა. მანამდე მოერიდებოდნენ, ვითომც არაფერი გაგვიგია, როგორ უნდა გაგვეგოო, ომაძიანთში წიოკობა არ ატეხილა, გუნდიანთვან დუღუკის ხმა არა გესმენიაო. განა ასე არ იყო, ვინ აუხიარდებოდა, ვინ არ დაემოწმებოდა... ერთი სიტყვით, პასუხი მზადა ჰქონდათ ყოველშემთხვევისათვისა, მანამდე კი

გზას აუქცევდნენ, გზის აქცევა თუ არ მოხერხდებოდა, ომაძიანად შესძახებდნენ, გამარჯვება კოტეო, გამარჯვება გიგოო, შესძახებდნენ და გაემურებოდნენ, აქაოდა გვეჩქარებაო, აქაოდა არაფერი გაგვიგიაო. ისე კი, კაცმა რომ თქვას, რაღა არ იცოდნენ, რაღა არ გაეგოთ: „ჰა?!“, „ვეითომ არ იცა?!“ „მართლა?!“ „აბა.....“ „რას ამბობ ერთი და...“ „თავი მომიკვდეს, თუ მართალი არ იყოს“, „მერე?“ „მერე ისე, რომა...“ ეს და სხვა ამგვარი ომაძიანელები გაიგონებოდა ხანგრძლივი ჩურჩულიდანა, სხვა რამ შორიდან აღარ გაიგონებოდა, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, საშიშნი არ უნდა ყოფილიყვნენ მიჩურჩულენი, რადგან სახე ეშმაკურად უცინოდათ ან ეშმაკურივე გაკვირვებისა თუ შეწუხების იერი გადაეცლებოდათ ხოლმე, ჰო, საშიშნი არ უნდა ყოფილიყვნენ, გიგო ამოდ შეფიქრანებულყო. თუ იმას დაეკვივებინა, რომ კარგახანს ირინებაც არ მიაკითხა, ეს შემთხვევისგან იყო ან რაღა შემთხვევისგანა, იმისგან იყო, რომ საღამომდე მინდვრიდან არ დაბრუნებულა, დაბრუნდა თუ არა, ბავშვებმა უთხრეს თუ არა, არც დამჯდარა, არც არაფრისათვის მიუხედავს, ისე გაეშურა რძალ-მაზლისკენა....

დიდ ტახტზე ისხდნენ ორივენი, გიგო ყანწებსა თლიდა ჯიხვის რქებისგანა, ტასო მღელმარედ შეჰყურებდა. გართულიყვნენ, ჩაფიქრებულიყვნენ მხოლოდ შეძახილმა, რიხიანმა, გამომწვევმა შეძახილმა წამოახედა ისინი.

— გამარჯვება!.. მშვიდობა თქვენს მობრძანებასა!.. — შესძახა ირინემა, გახსნილი სახით, ნათელი, სუფთა თვალით შეაჩერდა ნამალევე ნეფე-დელოფალსა.

ტასო ჯერ შეკრთა, მერე გაათამამა, გაახარა ირინეს განათებულმა სახემმა, წამოფრინდა, გადაეხვია უფროს რძალსა და აქვითინდა მის გულზე.

— რა გატირებს?! — წყრომითა თქვა გიგომ.

— ალბათ ეტირება... იტიროს!.. —

მოუჭრა რძალმა, ფრთხილად მიიყვანა ტახტთანა, ჩამოსვა, თვითონაც ჩამოჯდა, ისე რომ გულიდან არ მოუწყვეტია.

— იტიროს თუ ეტირება... — დასთმო გიგომა, რქა ჩათალა, ტყეცი ჩაახია.

— ნებართვა არ უნდა... ტირის...

გიგომ გაიღიმა, შერიგებისა გაიღიმა, სხვა დროსაც ასე იყო, ყოველთვის ასე იყო, ვერ აპირებოდა რძალსა, მოჭრილი სიტყვა-პასუხი იცოდა, დამმორჩილებელი ხმის კილო ჰქონდა, თუ ძლიერი, შემპყრობი თვალთა ელვარება სჩვეოდა თუ სხვა რამ იღუმალი ძალა გააჩნდა, ვერ გაეგო ან გარჩევამიაც ვერ შედიოდა.

ტასო ისევე სლუკუნებდა და ფშუკუნებდა, ვინ იცის, მერამდენე ნაწიბური ჩახია გიგომა, — ბოლოს, როგორც იყო, ისევე სლუკუნში ამოიძახა:

— ნუ დამძრახავ... ნუ დაგვძრახავ, ალბათ ასე უნდა მომხდარიყო ბედი იყო, განგება იყო თუ რალაც სხვა რამ იყო, ასე ავკიძღვა, აქამდე მიგვიყვანა. გიგოს ძალა არ დაუტანებია, მეც არ მიხმარია ჯადო და თილისმავი, ნუ, ნუ დაგვძრახავ... თუ მტყუანი მაინც უნდა მოიძებნოს, მე დამდეთ ბრალი, რა ვქნა, მე ველარ შევქელი, გიგოც რომ არ გამოიჩინოდა, მაინც ველარ შევქლებდი... აღარ შემეძლო, ჰოდა, დამდეთ ბრალი მე უძლურსა, უსასოსა, მე შემპრისხეთ, გიგოს აარიდეთ რისხვაი, აარიდეთო!..

— რამ გაგაქადაგა?! — გაიოცა გიგომა, — იქმარე!..

— დაეხსენი, — ირინე შეუწყრა, — თვითონ იცის... — თან ხელი გადაუსვა ტასოსა თავზე, მხრებზე, წააქეზა, ბარემ ამოიქარვე გული, ბარემ მოიწყვიტე ტვირთიო.

— ...აარიდეთ, — კვლავ სლუკუნით გაიმეორა ტასომა, — მე დამძრახეთ, ჩამქოლეთ თუ ჩაუქოლავთ სისუსტისათვის, სიყვარულისათვის...

— ჩაუქოლავთ... — ალერსიანად უჩურჩულა ირინემა.

შეშინებული, ცრემლიანი თვალები აღაპყრო ტასომა.

— ჩამქოლავთ?! — შეტრწუნებით ამოიძახა.

— არა, ო, არა, — გამომხსენებლად დაიძახა ირინემა, თავზე მოჰხვია ხელი, გულზე მიიქრა, — არა... ვხუმრობ, თუმცა ჩაუქოლავთ წინათ, სადღაც, ახლა ვხუმრობ, ვხუმრობ...

ტასო დადუმდა, გაინაბა, დაწყნარდა, დამშვიდდა ირინეს გულის სითბოში, მერე გასწორდა, უბრალოდა თქვა:

— თუნდაც ხუმრობა არ იყვეს რა ვუყოთ მერე, თუნდაც საშინელი სასჯელი მელოდეს, რა ვუყოთ, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი...

— ბედის მკედელი ადამიანიაო. — შეესიტყვა ირინე გამომწვევი ღიმილითა.

— მკედელიც არის და მკედელიცა, მე ვერა ვყოფილვარ კარგი მკედელი.

— ვინ იცის, ვინ იცის, — მრავალმნიშვნელოვნადა თქვა ირინემა, ასევე გადაავლო თვალი გიგოსა, ვითომ რაო, მეტი რალა უნდა გამოექედნაო.

ტასო მიუხედა, გაიცინა.

გიგომაც ჩაიცინა, ისე თავჩალუნულმა ჩაიცინა, ყანწებს ჩასცინა.

— ვერ შევქელი, — ისევე თავი იმართლა ტასომა, — ვერც ვერავინ შესძლებდა...

— ვითომა?! —

— ნამდვილადა!.. რომ იცოდე...

— ვიცი... ან ვიღამ არ იცის...

— მერე?! —

— რაა მერე?! —

— შესძლებდი?! —

— შევძლებდი, — დამაჯერებლად მიუგო ირინემა, განა ნაკლები შესძლო?! ნუთუ არ იცის, როგორ იზრდებოდა ირინე, რა მისწრაფებანი ჰქონდა, რა ოცნებებს ალეგზნო, რა მიაჩნდა თავის მოწოდებადა, არ იცის თუ იცის, გაუგონია, თუ გაუგონია, ისიც ეცოდინება, მისთვის ადვილი არ იქნებოდა ბარი და თობი, მარტოდმარტო წევა ოჯახის ტვირთისა, სოფელში ჩარჩინა და კიდევ ვინ იცის რალა არა, წერილობით თუ სხვილმანი, გამბტანჯველი, გამწამებელი მეოცნებე ქალისთვისა. და

ვანა ვინმეს გაუგონია მისი საყვედური, ვანა ვინმეს ჩამორჩენია, ვინმეს აუქარებია მძიმე ტვირთი, — არა, არა გეტყინოთ რა, მარტო ეწევა, უღრტვინვლად ეწევა, ამაყად ეწევა, შესძლო, რაც შეუძლებელი ეგონა, ვითომ სხვა რაღა იქნება ისეთი, რომ ველარ შესძლოს... თუმცა მაინც რა შესძლო ისეთი, რაც სხვა ქალს არ შესძლებია, რა გაუკეთებია, რა შეხვედრია, რა გადაუტანია ისეთი, რაც სხვა, უამრავ ქალს არ გადაუტანია? — არაფერი, ისეთი არაფერი. თუ ვთქვათ, რამდენიმე თაობით, ასეულ წლობით დაშორებოდა ფიზიკურ შრომასა, მერე რაო, თუ ისევ მიუბრუნდა, მიუბრუნდა საწყისს აღამიანობისა, საფუძველს აღამიანობისა, წყაროს ცხოვრებისა, სიკეთეს მიუბრუნდა და თუ სიძნელე უგრძნია, რა ეუყათ მერე, ვანა ისინი კი არაფერსა გრძნობენ, სიძიმეს არა გრძნობენ ისინი, რომელთა წინაპრებიც არ ამოცვენილან შრომიდანა? — როგორ არა ჰგრძნობენ, მაგრამ არ აკვირებთ თავიანთი შრომა; როგორ გაიკვირვონ, სხვანაირად როგორ იქნება, რამ უნდა შეინახოს, რამ უნდა დაარჩინოს შრომისაგან გაქცეული უამრავი ხალხი, ვიღამ უნდა აწარმოოს დოვლათი, ვიღამ უნდა კვებოს ისინი, რომელთაც სხვადასხვანაირი სახელები დაურქმევიათ, — ოღონდ შრომას მოშორებოდნენ და რაღა არ დაურქმევიათ, როგორ არ შეუძკიათ თავი... რა მომხდარა, თუ დაპბრუნებია ბუნებასა?! რა იყო შეუძლებელი, აბა რა იყო?! ამდენი ვიღას არ შეუძლიან... ტასოს ბედი სხვა იყო, სხვა იყო, — ასე გაიფიქრა ირინემა, თანაგრძნობით შეჰხედა, მაინც უკან არ დაიხია, — შეეძლებდი!... — გაიმეორა, თუმცა უფრო რბილად თანაც სიტყვა გადაიტანა მაშინვე, — რაც იყო, იყო, რაც მოხდა, მოხდა, ახლა სხვა რამეა საზრუნავი... ავად თუ კარგად თქვენც ნეფე-დედოფალი გქვიანთ, ახალ ცხოვრებას იწყებთ და რაზან დაწყება, დაწყება უნდა იყვეს, ახალი ცხოვრება გლოვით ვის დაუწყვია?!

ყველას სიხარულით დაუწყვია, თქვენც სიხარული გმართებთ. ვახშმს მრავალად, რამდენიმე აღამიანს მანც დასწყობაზე. დამაცათ, დამაცათ, ნუ ჩაერევით ჩემს საქმეში... დიდი ქორწილი უხერხულიცაა, არც ასე ხელდახელ მომზადდება, პატარა ვახშამი კი აუცილებელია, აუცილებელი, ფუძე უნდა დაილოცოს, ახალი ოჯახი დაილოცოს, სიხარული უნდა დაებედოს.

თქვა და თავისი გაიტანა ირინემა, მარჯვედ მოამზადა პატარა სუფრა, პო, პატარაო, თვითონ ასე ამბობდა, ყოველშემთხვევაში, ოცამდე კაცი მაინც შემოუჯდა იმ სუფრასა; იქვე ახლომახლო შეაგროვა ის კეთილი აღამიანები, ხმა უფრო შორს არ გააწვდინა, თორემ კეთილნი, გულხალვათიანნი არ დაიღვეოდნენ, მოსელასაც არ დაიზარებდნენ, მითუმეტეს, უმთვარო ლამე იყო, შეუმჩნევლად შეიპარებოდნენ ირინესთანა (ომამიანთა მოერიდა, სუფრა თავის სახლში გაშალა), ცოტაოდენ სიმღერასაც მოახერხებდნენ, ცეკვასაც, სადღეგრძელოსაც თამამად იტყოდნენ, ვერ გაიგონებდნენ ომამიანი. ასე რომ გიგოს ამებდნენ, კოტეს არ აწყვინიებდნენ, არაფერს შეამჩნევიდნენ, მეორე დღესვე თამამად, რიხიანად ჩაივილიდნენ იმისი სახლის წინა, მიესალმებოდნენ, გადასძახებდნენ კეთილ, გამამხნეველ, თანაგრძნობით აღსავეს სიტყვებსა, ასე იქნებოდა, ასე გაგრძელდებოდა, ვიდრე რაიმე შემთხვევა ერთად არ შეყრიდა ყველასა.

ეს შემთხვევაც დიდხანს არ დაიგვიანებდა, ისე ახლო-ახლოს იყვნენ ისე წასდგომოდნენ ერთმანეთსა გუნდიანი და ომამიანი... და ერთ შავ დღეს შეირბა, შეძაქაჯადა, შეირყა შუა მესერი. ხივილი, ჭყვივილი ღმუილი თუ რალაც ამის მსგავსი ხმა აყვა რყევასა, პო, რილაცის მსგავსი, აღამიანური თუ ცხოველური, ძნელად გაირჩეოდა, მძაფრი, ხან წყვეტილი და გაურკვეველი, ხანაც გაბმული და კიდევ უფრო გაურკვეველი, მაგრამ გაურკვეველობასაც ხომ დასასრული აქვს, პოდა, აქაც გა-

მოირკვა, აქა-იქ, ღმუილში ამოირჩა: „რა უნდა გიგოაანთა... გიგოაანთა რა უნდა ჩვენს ტასოსა?!“ — გელა, იძახდა, გელა ღმუილდა და არყევდა მესერსა, დედა ემუდარებოდა, კოტე ყვიროდა, მაგრამ აღარაფერი ესმოდა გელასა ან როდის რა ესმოდა, მარტო შამის შიში ჰქონდა, ისიც გაჰქრობოდა, გუნდიანთა გადაჭრის გრძნობა ანთებოდა, ავარდნილიყო, აწყდებოდა მესერსა, არყევდა, უნდოდა გადაენგრია, გადაეთელა, გადაეზრინა სახარელი, გულგამგმირავი ზმუილითა, მაგრამ ღობე არა ნებდებოდა, ცარიელა ხელებითა და ხმით ვერ დააქცია. მაშინ სად იყო, სად არა, ძალაყინმა იელვა მის ამღვრეულ თვალებში, დააფრინდა, ხელი დასტაცა ძალაყინსა, დასტაცა და დაუშინა მესერსა, ჩაღწეა რამდენიმე ფიცარი, ძალაყინიანად გადაიჭრა გუნდიანთში, კამარა შეჰკრა, მაგრამ მიწას ველარ უწია ფეხი, კოტემ მიუხსრო; აფრიალებულ ხალათის ბოლოში ჩაავლო ხელი, გაღმოითრია, მიწას გააკრა ტყლაპივით. მერე დააცხრა, შინ შეთრევა მოუნდომა, მაგრამ ვერა და ვერ აავლიჯა მიწასა, თითქოს ჩაჰკროდა, ჩასდულაბებოდა, ჩაჰმუოდა მიწის გულსა, მიწის ყურსა, წუთისოფლის საცოდაობას, წუთისოფლის სიმწარეს ჩაჰმუოდა გულმდულარედა, გულამოსკენითა, სასოწარკვეთითა. კოტე შეაძრწუნა ამ მდულარებაში, დაეხსნა, დაიხია, თვალებზე აიფარა ხელი. გელამ დრო იხელთა და წამოიჭრა მძაფრი, თავზარდამცემი გუგუნით, ღრიალით, ღმუილით გადაეარდა გუნდიანთში.

გიგო მზად იყო, პირველი ახმაურებისთანავე ტასოს ანიშნა, შინ შესულიყო, ურდული გაეგდო კარებში, თვითონ აიენის ბოძს მიეყრდნო, დაელოდა, თუ რა მოხდებოდა. მესერის რყევა და მტკრევა დიდად არც აწუხებდა მისი ხომ არ იყო, ომაჰიანთი იყო, რაც უნდა ექნათ, მაგრამ მაშინ კი შეფიქრებდა ძალაყინს შემართულმა გელამ რომ შეჰკრა კამარა, ჰო, შეფიქრებდა აქეთ-იქით მიმოაწყვიტა თვალები, ვე-

რაფერი დაინახა, ძებნის დროც არ იყო, ცარიელა ხელით უნდა შეტეხოდა მეტოქესა, მაგრამ ასეც ვერც შეტეხა, გელა კოტემ გადაითრია, ძალაყინი მესერთან დაეარდა, წვერდაწვერ დაეარდა, აირხა, მიმოქანდა, მიწვა ჩამტკრეულ მესერზე. გიგო ისევ ბოძს მიეყრდნო, ოღონდ თვალი და გული ძალაყინისაკენ მიუბრუნდა, რაღაც ყრუ წინაგრძნობა არ ასვენებდა რამდენჯერმე მოინაცვლა ფეხი, წასდგა, ისევ დაიხია, ამასობაში გელა წამოვარდა, ისიც მოსწყდა ბოძსა, ძალაყინისაკენ გაიქცა მაგრამ ვერ მიახსრო გელასა, ვერც ხელიდან დააგდებინა, გელა კი, ვინ იცის, თავის ქალას დააგდებინებდა ისე ახლოს გაუქანა ბრტყელი პირი ძალაყინისა. გიგომ ისკუპა. გელამ გადაიხარხარა და შევარდა აიენზე, კარს მიაწყდა, მიაწყა, მერე გაშმაგებით დაუშინა ძალაყინი. გიგოს სისხლი აუვარდა თავში, გაშმაგდა, გაეშედა, საოცარი სისწრაფით მოექცა გელას ზურგსუკანა, ძალაყინს უტაცა ხელი, ოღონდ მაშინვე ვერ წაართვა, იმარჯვა გელამა, მხარი აჯახა, მსწრაფლ შემოპროწილდა და უფრო გამეტებით, უფრო გააფთრებით ეკვეთა კარსა. გიგომ კიდევ უტაცა ხელი უფრო მარჯვე, უფრო მოხერხებულადა, მალევე ველარ დაუსხლტა გელაი, შეიბნენ, შეიხლართნენ. ტრიალებდა, ქანაობდა, სისინებდა, სრიალებდა, მრისხანებდა ძალაყინი, შეიშართებოდა, დაქანდებოდა, კედელს მიაწყდებოდა, ბოძებს მიასკდებოდა, კვლავ შეიშართებოდა, ისევ დაქანდებოდა, ელავდა, ზრიალებდა მახვილი წვერი. ბოლოს რაღაცა მოხდა, შემსწრე ბევრი იყო, მაგრამ არავის შეუძლია თქვას, როგორ მოხდა, ძალაყინი გიგოს შერჩა, გელა წნელივით მოიგრიხა, მუცელზე წაივლო ორივე ხელი. იყო ასე მოგრეხილი, სახემოშლილი, ვიდრე გიგო მიბრუნდებოდა, ძალაყინს გადაისკრიდა ეზოში, ამასობაში გელამ გაარჩია, რომ კარი უკვე ჩაღვრილი იყო, გიგოსთან არც არა ესაქმებოდა რა, გაარჩია და ისევე მოხრილი შევიარ-

და ოთახში... აქ უკვე ძნელია ითქვას, თუ იმ ერთ წამს რა დაემართა გიგოსა. ზოგიერთი მთხრობელისათვის ასეთი შემთხვევა სახარბიელოც არის, ყველაფერს მიატოვებს და საითთაოდ აღწერს სახის ყოველ ზოლსა, ყოველი წერტილის ფერსა, ასეთ და ასეთ, ამხელა თვალები გაუსდაო, ასეთმა და ასეთმა ფერმა გადაუარაო, — ჰო, ასე იციან მარჯვენა ნაქებმა ოსტატებმაც კი, გადმოსცემენ მკაფიო ფერებსა, მკაფიო რხევასა, მაგრამ ნუთუ მართლა რაიმე მკაფიო შერჩება საბედისწეროდ განრისხებულ აღამიანსა, განა სახე და სხეულიც ისევე არ იშლება იმ წამსა, როგორც ტვინი, სხვა რაღა საბედისწერო ანთება, თუ არა სრული მოშლილობა მთელი სხეულისა? ასეა თუ ისე, ძნელი სათქმელია, რას დაემკვანა გიგოი, როცა გელა შიგნით დაინახა, ისიც ძნელი სათქმელია, როგორ მოსწყდა ადგილიდანა, როგორ შევარდა ოთახში... და მოისმა შემხარავი ღმუილი.

სოფელი იქ იყო, თითქმის ყველანი იქ იყვნენ, რას გამოჩნებოდნენ, ამხვე ხელსაყრელს განგებაც ვერაფერს მოაწყობდნენ. პირველი შეყვირება, პირველი გმინვა გაისმა თუ არა, გიგოაანთა რა უნდა ჩვენს ტასოსაო, თითქოს ელოდნენო, თითქოს მიდარაჯებულნი იყვნენო, იხუცელს, ერთად, ერთბაშად, დიდიან-პატარიანად მიაწყდნენ იქაობასა, მიაწყდნენ, მიეხვივნენ და ყველაფერი თვალქვეშა ჰქონდათ, ხედავდნენ, თუ ტასო როგორ დამფრთხალიყო, როგორ გამოანათებდა შეშინებულ თვალებსა, გიგოს ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, შენც შიგნით შემოდისო; როგორ ამშვიდებდა გიგოი, სთხოვდა, მალე მოეკეტა კარი, თხოვნა არა სჭრიდა და, უწყურებოდა, უბრძანებდა აღერსითა; ომაძიანიც თვალქვეშა ჰყავდათ, აბა იმათ უფრო რას მიატოვებდნენ, ერთი სიტყვით, ყველაფერსა ხედავდნენ, ოღონდ არ იფიქროთ, თითქოს მღუმარედ შეჰყურებდნენო, ო, არა, ასეთი თავშეკავება როდის იცოდნენ

ხალდელებმა, აქეთ თუ გულა ღმუილსა, კოტე ჰყვიროდა, დედა მუდარად გადაქცეულიყო, იქით სულსა და სხეულსა ნებდა, გუგუნებდა, ქაქანებდა. პატარები ღობებზე თუ ხეებზე შემომსხდარიყვნენ, ფრადფრადი სამოსით შემოეპრელებინათ ტოტ-ღობენი, დიდები ღობებს გადაჰკიდებოდნენ, მეტიჩრები წინ წასულიყვნენ, წაყარდნილიყვნენ, თავშეკავებულნიც ნელ-ნელა მიიწევდნენ, უმხარადმხარდებოდნენ სულწასულებსა, ქაქანშიც ასდევდნენ, უსწრებდნენ ერთიმეორესა; რა დაადუმებდათ, როცა თვალწინ გადაშლოდათ ღრამა ცხოვრებისა, ჰო, ღრამა მაინც უნდა ითქვას, თუ არ ითქმის — ტრაგედიაო. ჰო, ქაქანებდნენ, დადნებდნენ, ყაყანებდნენ-მეთქი, ეს უკვე ვითხარით, ყველაფერს ამბობდნენ, კარგსაცა, ავსაცა, არც გუნდიანთა ინდობდნენ, არც ომაძიანთა, ერთსაც ესარჩლებოდნენ, მეორესაცა, ზოგი აქეთ იყო, ზოგი იქითა, ხან აქეთ იყვნენ, ხან იქითა, ბჭობდნენ, დავობდნენ, ცხარობდნენ, ელოყებოდნენ ერთმანეთსა, ლამის იქაც გამართულიყო მუშტიკრივი, უცებ ვერ იტყოდით, სად უფრო დიდი სერი იყო, ეზოში თუ შუკაში, კარგა ხნის ნაგუბარი ფიქრ-გრძნობა გადმოსკდა და მოედო იქაობასა. მაგრამ, როცა გიგო შიგნით შეიჭრა და საშინელი ღმუილი მოისმა, ერთ წამს ყველა გააშეშა რაღაც საშინელის წარმოდგენამა, მხოლოდ ერთ წამსა, მერე თითქოს ვინმეს ერთი ხელის მოსმით საგუბარი მოენგრიოსო, ისე ჩაირღვენენ ეზოში, ერთბაშად ჩაირღვენენ, მიმოეხალენენ, მიაწყ-მიაწყდნენ ერთმანეთსა, ეზო, კიბე, აივანი, ოთახი, ყველაფერი ამოჰკედეს, ყველაფერში ამოიქედნენ, იყალყებოდნენ, კისერს იგრძელებდნენ, გარედან შიგნით მიიწევდნენ, შიგნით მოხვედრილნი გარეთ გამოსვლასა ლამობდნენ, აღარც ერთი ხერხდებოდა, აღარც მეორე, ტრიალებდნენ, ბრუნავდნენ, გუგუნებდნენ, გაჰყვიროდნენ, — არაფერია, არაფერია, შიგნიდან გაიძახდნენ, — გაგვიშვით, გაგვატარეთო.

მაგრამ არაეინ იყო გზის დამთმობი, არა სჯეროდათ, რომ არაფერი იყო, სხვისი ნათქვამი არა სჯეროდათ, თავიანთი თვლით უნდა ენახათ, თვითონ უნდა დარწმუნებულყვნენ. მაშ რაო, სისხლის ღვრას ელოდნენ, მკვლელობა ეგონათ და არაფერიაო, ასე უცებ თავს ვინ მოაბუყებინებდა, ვინ დაიჯერებდა, რომ ის შემზარავი ღრიალი არაფრისაგან იყო, რა სათქმელია, რა გასამეორებელია, მკვლელობა მოხდა, ბოროტებამ თავისი გაიტანა და მიიწვედნენ განრისხებულნი ბოროტების დასასჯელადა, დასათურგნავადა. სულ ერთი იყო, ბოროტება ვის ჩაედინა, სულ ერთი იყო, ვინ გამზდარიყო მსხვერპლი, ისინი მხოლოდ შურისძიებას აღნთო, შურისძიებად მიიწვედნენ გახელბულნი. მაგრამ ვინც კი გააღწევდა, ვინც კი შიგნით მოექცევოდა, ისევ უკან გამოსვლას ლამობდა, არაფერიაო, გაიძახოდა იმედგაცრუებული, ცეცხლჩანელბული, გაიძახოდა, როგორც პირველი შესულნი გაიძახოდნენ, მაგრამ არც იმისი სჯეროდათ, მიიწვედნენ და მიიწვედნენ, შედიოდნენ და გამოდიოდნენ ჯერ დიდი ჰაანწყვეტითა, დიდი ვაი-ვაგლახითა, მერე უფრო ხალვათადა, ოღონდ როგორადაც უნდა შესულ-გასულიყვნენ, ხედავდნენ ერთსა და იმავესა: გიგო კედელს მიპყუდებოდა და მშვიდებული, გულბელდაკრფილი, გელა იდგა და ქვითინებდა, ცახცახებდა, კანკალებდა... ტასო იქ არ იყო. ეს იყო და ესა.

ჰო, ეს იყო და ესა, ასე უბრალოდ უნდა ითქვას, რადგან სასწაული არ მომხდარა, ზეცის ან ქვეცისნელის ძალები არ დაუფლებიან ტასოსა, დავა არ ამტყდარა ეშმაკსა და ანგელოსს შორისა: შეცდა და მე შეეკუთვნისო, — არ გაჯიუტებულა ეშმაკი; უყვარდა, იტანჯა და ჩემიაო, — არ გამოსარჩლებია ანგელოსი, დიახ, ასეთი არაფერი მომხდარა, მაგრამ მხსნელი მაინც საჭირო იყო, თორემ ემხოზოდა ტახტზე, იტურებდა ცრემლში გელასა და გიგოს შევარდნამდე, ხოლო მერე რაღა

მოხდებოდა, ნულარ იყითხავთ... კარის მტერევა, ძალაყინის ხმა, შექიღბლის ქშენა აძრწუნებდა, აზრიალებდა, ძალაწართმევოდა, მინებებოდა შიშისა, ზედისწერასა, მინებებოდა ისე, რომ კარგა ხანს ვერ გაარჩია ფანჯრის კაქუნი, ბრახუნი, ზრიალი; როგორღაც გამოერეკვა, თუ ისევ შიშმა გაახედა ფანჯრისკენა და ნათელი ჩაუდგა ცრემლით სავსე თვალბში: ირინე იყო, უძახდა, ანიშნებდა, აჩქარდი, ფანჯარა გააღე, გადმოდიო. ტასოს ეყო გონიერება გაეგო, რომ სხვა გზა არ იყო, დაყოვნებაც არ შეიძლებოდა, ეცა ფანჯარასა, გამოალო, წაეტოტინა ირინეს ამოწვდილ ხელბსა და გადავიდა კაპიან ლატნებზე, რომლებიც სახელდახელოდ მოეყუდებინა ირინესა. არაეის შეუნიშნავს. ეს იყო ბალის მხარესა. ხალხი ეზო-შუკის მხრიდან მოსწყვეტოდა. ირინე ყველაზე გვიან მიიქრა, ეზოში არც შეჩერებულა, მხოლოდ ერთი თვალი გადაავლო და მაშინვე ბალის მხრიდან მოექცა სახლსა, ლატნები მიაცუდა ფანჯარასა, გადააპარა პატარძალი. უკეთესს რას მოიფიქრებდა, სხვა რა დაამშვიდებდა რაყიფბსა, — ყოველშემთხვევაში, გელას მეტი ვერაფერი დააცხრობდა, ტასო იხილა, ტასო იპოვნა ბევრი ძებნის, ბევრი ლოდინის შემდეგ, დანახა, მისკენ მიიწვედა, სხვა არაფერი ესმოდა, სხვას ვერაეისა ხედავდა, ტასოს ხილვას აღევსო ძლიერებითა, მისწრაფებითა და გაქრა თუ არა, გაქრა მისი ძლევამოსილი აღგზნებაცა, მოწყდა, მოდუნდა, მოეშვა, თახთახებდა სხეულმოშლილი და ქვითინებდა:

— ტასო რა იქნა, რა იქნა ტასოი?!

გიგოც ამან დააცხრო, განრისხებული შევარდა, მაგრამ ღია ფანჯარამ (მიხვდა, რაც მომხდარიყო), გელას მოთქმამ ერთბაშად დაამშვიდა, კედელს მიეყრდნო გულბელდაკრფილი, დაე ერთმანეთს მისწყდომოდნენ ხალდელები, ექაქანათ და ეყაყანათ, როცა იქნებოდა, ხომ გაიკრიფებოდნენ, მოშორდებოდნენ, მოასვენებდნენ.

ავი იძახდნენ კიდევ, დაიხით, არაფერიო.

ეგებ მართლაც არაფერი იყო, სხვისთვის არაფერი იყო, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო.

ეგებ გელასთვისაც ბევრი არაფერი იყო, შეეჩვია, დაკარგა, მოისაკლისა და აქეთინდა:

— ტასოი... ტასო სად არის! რა ექნა ჩვენი ტასოი?!

მაგრამ დედისათვის? აბა დედა გენახათ, დედა, რომელიც მიაჩნდებოდა იმ დუნდგო ხალხსა, ხელებს იწვედნდა, მისძახოდა:

— მოვა, შვილო, მოვა... წამოდი, მოვა... მოვა...

ასე დამთავრდა გელასა და გიგოს მრისხანე შებმა, შმაგი შერკინება, ავი იყო თუ კარგი, უკეთესად ვერც დამთავრებოდა.

VIII

ჰო, დამთავრდაო, ასე იტყვიან, მაგრამ ვისაც რა უნდა, ეთქვა, როგორც უნდა ეთქვა, რა ბედენა იყო, გიგომ იცოდა, რომ მხოლოდ დაიწყო, დასაწყისი იყო, ვინ იცის, რისა, დიახ, ვინ უწყის, რისა...

ვის აღონებდა საწყაოთა აღუვსებლობა, ვინ ამტკიცებდა, თითქოს კაცი ვერაფერს იკმარებსო, — ნუთუ კიდევ შეტს ინდომებდა გიგოი ან ეგებ თვით ცხოვრება არ აკმარებდა? ჰო, თუ ასეა, თუ ცხოვრებაა დაუდგრომელი, მოუსვენარი, ცხოვრება თუ შობს აწყვეტილ ვნებებსა, თავაშვებულ მისწრაფებებსა, აღამიანს რაღას აყვედრიო, რას ერჩით კაცსა ამ უმწიობას უსასრულობაში, ამ ერთადერთ არსებას, რომელმაც შეიძინო და ვერც შეიძინო დაუსაბამობა!...

ვინ არ შესჯიდებია მწვავე მოვლენებსა, ვინ არ შეჰბმია შმაგ ვნებებსა, ვინ არ შეჰხლია ქარტხილებს ცხოვრებისა თუ მართლა უცხოვრია თუ უარსებნია გონებითა; ჰო, ვინ არ შერკინებია ბევრად საზარელს, ბევრად საშინელსა,

მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, მართლაც რომ ყოფილიყო ქვეყნელთა ტანჯვანი, მინც ვერაფერი შეეძლო გიგოს ბედსა. ძლევა რა არის, ტანჯვა რა არის, დაგიმორჩილებენ და რაც უნდათ, იმას დაგმართვენ, მაგრამ, როცა არც არავის დაუმორჩილებიარ, არც არავინა გმორჩილდება, როცა არ იცი, რა ჯანდაბის გზას დაადგე, გაიქცე თუ მოიცილო, შეება თუ მოერილო, ერთი სიტყვით როცა ჭკუა გიჭრის და ვერა გაგიგია რა, გული გერჩის და ვერა მოგიხერხებია რა, ამაზე უფრო მეტი საწამებელი რაღა უნდა იყოს, გიგოს მეტოქეობაზე უარესი რა უნდა ყოფილიყოს ქვეყნად?! რა ექნა, რა წყალს მისცემოდა, ვის დაეწყევლა, წინაპართა რა ცოდოს იხდიდა?! ეგება სჯობდა გაქცეულიყო, ხალღურას კარავში დაედო ბინა, ვაცლოდა ყველასა, მტერსა და მოყვარესა, კანონის ხალხსა და ისე ხალხსა, მობუქნავე ჩანჩქერებთან დასახლებულიყო, მწვერვალებზე აგულუნებულიყო ომახიანადა, ფრიალოებზე დაეცურებინა ჯიხეები, ღრუბლების ზევით ახარხარებელიყო, გაღაღებელიყო, როგორც მეუფე დედამიწისა; ან ეგებ მოეთმინა, რაღაც უნდა დასჯდომოდა მოეთმინა, დალოდებოდა, ვინ იცის, გელა აღარ მისჭროდა კარებზე, აღარ დასცხრომოდა, გზად რომ გადაეყრებოდა; მაგრამ საიმედო პირი არც ერთს უჩანდა, არც მეროესა, ტასოს ხსენებაც არ უნდოდა ხალღურას ჩანჩქერისა, ხოლო გელა დღენიდავ გარს უვლიდა გუნდიანთ კარმიდამოსა. აბა რა ექნა, ვინ რას ურჩევდა ან თვითონ რა გადაეწყვიტა?!

რაღაც კი უნდა ელონა, უსათუოდ, უსიკვდილოდ უნდა ელონა, დროზე უნდა ელონა, თორემ ტასო შიშით დაილეოდა, მარტო ვერსად გაჩერებულყო, ვერც შინა და ვერც გარეთა, გიგოს კალთას ამოჰფარებოდა, განზე ვერ გაეხედა, მაღლაც ვერ აეხედა, ეგონა, გელა დამტრიალებს ქორივითაო, დამაცხრება, გამიტაცებსო. ეს შიში ეყოფოდა, ეს შიში დაღვედა,

ჩააქრობდა ადრე თუ მალე. გიგო თითქოს მისი ბედის მოწმედ დაეყენებინათ, მისი ქრობისათვის დაედარაჯებინათ; უნდა ეცქირა თუ როგორ ეფერფლებოდა რწმენა ადამიანსა, რომელსაც ეგონა, რომ ტანჯვიდან იხსნეს; უნდა ემწირა და დარწმუნებულიყო, რომ ვერა ყოფილა საიმედო ვაეკაცი ან ვაეკაცობა რალა სახსენებელია, როცა ლამაზი ოცნებები გაუღვივა ქალსა, მშვენიერის ფიქრით აღავსო და მიიტყუა საწამებელში. ეს საქმეა ბოროტი სულისა, ვაეკაცობას აქ რა ხელი აქვს. ამას გაიფიქრებდა და ცეცხლი წაეკიდებოდა გიგოსა, გაშმაგდებოდა, მაგრამ ჭკუა ჰყოფნიდა მიმხედარიყო, რომ მხოლოდ სიღინჯე, დიდი თავდაპერილობა გამოიყვანდა ამ გასაჭირიდანა, სხვა არაფერი იყო იმისი მხსნელი.

ხოლო სხვა გასაჭირიდან რალა იხსნიდა, სიღინჯე ხომ ყველაფრის მალამოდ არ გამოდგება, რა გადაარჩენდა, — შინაგანი ბუნება, ნებისყოფა, ხასიათი და სხვა ამგვარები აქ რა მოსატანია, ფულს სხვა რა სწამს, ფულისა და საქონლის გარდა? სხვა არაფერი... ჯერ ასეა, ჯერ კიდევ ასეა და მერე რა იქნება, ვინ იცისო. ან ასე შორეულ ფიქრებს ვინ დააედიდა, დღე ერთი იყო და ათჯერ მაინც შესძახებდა ტატოი: რასა შერები, ჰა, რა ყოფაში ხარ, მაინც, ვითომ რას აპირებო... შეძახილმა რომ ვერ გასჭრა, — თუმცა ნათქვამია, შეძახილმა ხე გაახშოთ, — შეტყობინებანი გაუგზავნა, და მერე სასამართლოში აღძრა საჩივარი. საქმე სახუმროდ აღარ იყო. გადახდაზე ფიქრი ზედმეტი იყო, რამდენიც უნდა ეფიქრა, რა ზანღუტებს მიაგნებდა, რომელ ზინეთებს გახსნიდა? ჭურჭელიც ვეღარ გაეკეთებინა. აქეთ ტასო ჩამოჰკიდებოდა კისერზე, იქით მოთვალყურეს დაეშინებინა; არ იცოდა, რომ აღარავინ უთვალთვალედა, არ იცოდა, რომ კოტემ გააბა მახეში, კოტემ დაახვია ხალხი, დაახვია, რომ ციხეში ან ციხიბირში ეკრათ თავი გიგოსთვისა, მაგრამ რახან ასე არ მოხდა, რახან უკვე გაექცა რძალი, დამსმე-

ნად აღარ დადგებოდა, ამდენი ვეღარ გაეგო გიგოსა, გუმანი ვერა მრეტანა და შეჰკვეროდა ხელი. *გინჯილი*

კოლმეურნეობის იმედი?

ჩრდილებსა სცევთდნენ ხალდელები და ამიტომაც ამზობდნენ მეზობელ სოფლებში, — ხალდელების ქონებაო, წოლაა და ღონებაო. აბა ეს ქონება რას უშველიდა გიგოსა, თუმცა ასორმოცი შრომადღეს უწია მაგრამ მაინც რას უშველიდა?

რა ექნა, რა ეღონა რა წყალს მისცემოდა?

იყო გულხელდაკრეფილი, ტასო ამოუჯდებოდა გვერდითა, შეაჩერდებოდა სევდიანი თვალებითა და მერე დაემხობოდა მის კალთაზე. როგორ გადაეწმინდა ეს სევდა მისი თვალებიდანა, როგორ დაებრუნებინა ბრწყინვა პირველი დღეებისა, ჰა, როგორა?

ან გაციებული სახლი როგორღა გაეითბო? შუალამემდე ერთო ბუხარი, ღვიოდა, ტყრიაცებდა, გურგურებდა კუნძები, მაინც სითბო ვერ მოჯდა ოთახში, მაინცა ციოდა. რალაც გაიყრიალებდა ტანში, მსუსხავად გაიყრიალებდა, ალბათ სითბო არა კმაროდა, სხვა რა უნდა ყოფილიყო, მაინც რა უნდა ყოფილიყო... და უმატებდა შეშასა, უშარჯევებდა რცხილის კუნძებსა, მეტი რაღა ეღონა?

ჰო, შინა ციოდა.

გარეთ ნულარ იკითხავთ, — არავინ იყო მომსწრე ასეთი ზამთრისა. ხშირ-ხშირადა თოვდა, თოვდა და გრიალებდა ქარი, სოფელი აღარა ჩანდა ქარბუქში, თოვლის კორიანტელში. არაფერი ჩანდა, კვალი არსად იყო, მეზობლამდე არ მისევლებოდა. ეს თოვის დროსა. თოვა თუ შეწყდებოდა ყინვა შეაძრწუნებდა გარემოსა. ზრიალებდა, წიოდა, იმსხვრეოდა ჰაერი, თვით ჰაერი იმსხვრეოდა. მაშ რა უნდა ყოფილიყო, გარინდებული გაყუმული, გამტკნარებული მიდამო შეიბრებოდა, შეიძინებოდა, ჩატყდ-

ზოდა, ჩაიმტვრევოდა, წავიდოდა ზრი-
ალ-ზრიალითა, ჩაიწვედა, ჩაილეოდა,
წერილ-წერილ ნამსხვრევების ხმად ჩა-
წყდებოდა, ისე, უჩინრადა, უხილავა-
და, თვალმიუწვედნადა, მაშ რა უნდა
ყოფილიყო, თუ არა თვით ჰაერი,
თვით ყინვა, თავის თავსვე რომ ლეწდა,
ამტვრევდა; ხან ყლორტები ჩამოიმტვ-
რეოდა, ერთს ამოიკვნესებდა, საბე-
დისწეროდ ამოიკვნესებდა, „ტაკი“ —
დაიძახებდა და ჩავარდებოდა თოვლში,
ღრმად ჩაეფლობდა. დასანანი იყო.
ხმაყ რომ არა ჰქონდა დიდი, ერთი,
ერთი ამოკვნესა, ერთი საბედისწერო
ტაკიანი და წყდებოდა, მთავრდებოდა
გაუხარელი სიცოცხლე; ხანაც ლოლუა
ჩამოწყდებოდა, ყინული ჩატყდებოდა
ან რაღაც სხვა ხმა გაისმოდა, ნადირი-
საგან იქნებოდა ან კაციისგანა, მაგრამ ეს
არაფერი, ეს სხვა იყო, ის სხვა, იღუ-
შალი და საშინელი, საშინელი იღუმე-
ლებითა. ტასო ძრწოდა, დღე იყო თუ
ღამე, სულ ერთი იყო, ერთავადა ძრწო-
და, ეკვროდა გიგოსა, ცახცახებდა მის
მკლავებში, გაყინულიყო მის გულზე,
რა დამართოდა იმ ოხერ ბუხარსა! მაგ-
რამ რაც იყო, იყო, იმედიც ზომ იყო,
ბუხარსაც მოევლებოდა, ტასოს შიშსაც
მოევლებოდა, გელასაც მოევლებოდა,
ხოლო ვალს, ვალს როგორღა მოევლე-
ბოდა, სასამართლოშიც იმედი წავიდო-
და, ფინგანსაც იმედი დაამოშმინებდა,
რაო, ყმად ზომ არ დაუღგებოდა იმე-
დი?!

მაინც მისთვის ირინე იმედზე მეტი
იყო და გაანდო თავისი ვასაქირი. უნ-
და გადაიხადო, მაშინვე დაატანა ირი-
ნემა.

— როგორა?! — მხოლოდ ტუჩები
შეარხია, კბილები არ გაუხსნია, ისე
გამოთქვა გიგომა, — როგორა, ჰა, თავ-
დაყირა რომ დამკიდონ, კაპიკი არ ჩამ-
ვარდებია...

— ვიცი...

გიგომ მხრები შეჰყარა, თავი გააქნია,
ტუჩებიც შეარხია, ოლონდ აღარაფერი

უთქვამს, რა ბედენა იყო, ირინემ ყვე-
ლაფერი იცოდა.

დნელია... — ისევე ირინემ უთქვა
გიგომ ჩაახველა, ოდნავ ჩაახველა.

— ასე ერთბაშად...

ისევე ჩაახველა გიგომა, თანხმობაც
იყო და უიმედობაც ამ ჩახველებაში.

— მაგრამ ჩვენ ჩვენსას უნდა ვეცა-
დოთ, უნდა ვეცადოთ... სხვა ყველაფე-
რი ურჩობა იქნება, ხოლო კანონი
ურჩობას ვერ ითმენს. უნდა გადავიხა-
დოთ...

გიგომ თვალი გაუშტერა.

— ნაწილი მაქვს... — თვალი თვალ-
ში გაუყარა ირინემა, ერთი ვნახოთ, რო-
გორ გამხნევედებოა.

უნუგემობის იერი არ ამოშლილა
გიგოს თვალეში, — გამოგიგზავნათ,
მხოლოდ ეს კითხვა ამოესახა, ოდნავ
სიამეც გაენაცვთა სახეზე, ეს ძმის გაბ-
სენებისაგან იყო, მისი კარგად ყოფნი-
საგან იყო, მაშ რაო, გარეთ გასული
კაცი ფულს თუ გზავნის, კარგად არის,
უთუოდ კარგად არისო.

— ნაწილი მაქვს-მეთქი. — გაიმეორა
ქალმა, ეგონა, ვერ გაიგონათ, უფრო
ხმაშალა გაიმეორა.

— კარგია, — ხმა ამოიღო გიგომა, —
ხელი მოგემართება, ბავშვებს ბევრი
რამ უნდათ, ბევრი...

— ბავშვებისა მე ვიცი, — მოუჭრა
ირინემა, მაქვს-მეთქი, რახან ვამბობ,
შენთვის გადადებულად იგულე...

— არა! — თავი გაიქნია გიგომა.

— რა არა?!

— არა-მეთქი... ეგ ფული შენს ოჯახს
არ მოსკარბდება, ათი მაგდენიც არ
მოსკარბდება. შენს ბავშვებს ფული
როგორ წაერთმევა, დიდი ზამთარია,
სარჩო უნდათ, სამოსი უნდათ, წიგნები
უნდათ, რაღა არ უნდათ...

— თავი დაანებე ჩემი ბავშვების
პეიტრობასა, რა უნდათ და რა არ უნ-
დათ, შენზე კარგად მომეხსენება, შენ
თავს მიხედვე, ის უფრო მოსავლელია,

ვიდრე ჩემი ბავშვები. ირინეს სიტყვები ტყუილად არ დაუბნევია და არც დააბნევს, ორასი თუმანი-მეტეი, ვთქვი და მორჩა, ახლა დანარჩენზე ვიფიქროთ.

— კარგი და პატიოსანი, ვთქვით და, ხელი წვატანე, მერე, რა კვლარი დაიმარხება...

— მართლა?! — ვითომ გაიკვირვა ირინემა, ის დიდი თვალეები კიდევ უფრო გაუდიდდა გაკვირვებისგანა, — მართლა.

— ეხ... — მხოლოდ ეს ამოიძახა გიგომა, მწარედ ამოიძახა, რა მეხუმრებო, თან ესეც დაუმატა, — ჰაი, დედასა, გუნებაზე ვიყვე, შეც მოგიპირიდი სიტყვასა.

— შენც დადექი გუნებაზე...

— ისე დადგეს ტატო ბუხალაძე.

— წყევლა დიაცის წესია, ისიც გლახა დიაცისაო.

— ვაი, რომ მაგ დღეში ვარ.

— შენგან მიკვირს...

— ვითომ რად გიკვირს?! ვაქაცობა მეთქმის, არა?! რკინის დაკენეტა უნდა შემეძლოს, არა?! ეგებ შემეძლიან, მაგრამ... ეჰ, კარგი ერთი, ნუ მალაპარაკებ...

— თქვი, თქვი, ჰირთა თქმა შეეებაო.

— არც ეგრეა, ჰირს როგორ შევეშეშევივინები, დარდს როგორ გამოვეღრღნევივინები, ისე ვბრაზობ, ვბრაზობ და ეგ არის... ბრაზი რაა, ვაქეცი სიბრაზეში იწროთობაო.

— იბრაზე, თუ წრთობა გაკლია.

— ბარემ არ უნდა მაკლდეს, მაგრამ... ეხ!..

— ეხ და ოხ, ვითომ მეტი აღარაფერი დაგრჩენია?! — ოლონდაც...

— ეს დარდსა ჰგავს...

— არა!..

— აბა სოლომონბრძნობასა?! — ე... რა სათქმელია, საიდან სადაო... უილაჯობა...

— აჟი წრთობაო?! —

— მეტისმეტი წრთობა ფოლადსაც წაახდენს...

— აჰ, ეს უკვე მფრთხილ ხასიათზე მოდიხარ, სამასიოდე თუმანსაც რომ მივაკვლიოთ, სულ გამოგიკეთდება ხასიათი.

— თუ ეგრეა, მაშ არა მღირსებია ხასიათის გამოკეთებაი...

— ვითომ რადო, ეგრე ძნელი საშოვარია?! —

— თუნდაც იოლი იყოს, საკმაო მაინც არ იქნება...

— ნაწილი ხომ იქნება, ნაწილის შეტანა რომ მოვასწროთ სასამართლომდე, სასჯელი აცილებული იქნება, დანარჩენისათვის დროს მოგვცემენ, მანამდის რამეს ვეწევიო... აი რა იქნება.

ეჭვი კიდევ არ დაახანა გიგომა, სამასი თუმნები სადა ჰყრიაო, მაგრამ მაინც ცოტა ყურები გამოიჩინქნა, ვინ იცის, მართლა სადმე ახლოს მოიძებნებო. ირინემ უცებ არაფერი უთხრა, მხოლოდ გაიღიმა, თვალი ააჩიდა, დაახანა, დაე გაზრდოდა სურვილი, იმედი გაზრდოდა, ეკითხა, გამოეძია, გამოცოცხლებულიყო, თორემ რასა ჰგავდა ცხვირჩამოშვებული ვაქეცი. მაგრამ ალბათ ცოტა მეტი დაახანა, ჩაილია აღძრული იმედი, დაეშვა აზიდული მკერდი.

— ეგრე არა ჰყრია... — უფრო გულდაწყვეტით გაიმეორა.

— ყრით რა ჰყრია, მოძებნით კი მოიძებნება. ბაბე გაგვიმართავს ხელსა, ორბისში წელს კარგი მოსავალი იყო, ბაბეს არც სხვა დროს უქირდა...

გიგო ჩაფიქრდა, ცოტას ჩაფიქრდა და იმედის შუქმა გაუხსნა შუბლი.

— გაგვიმართავს... — თქვა გიგომა.

— ჰოდა, მოგვარდება ყველაფერი...

ხალისიანად, თითქმის აღტაცებით დაიძახა ქალმა, ეგებ გიგოც ამყვესო, მაგრამ ძნელი იყო გიგოს აყოლიება ან რაღაც უცნაურად გაზიდულიყო აზრისა და უაზრობის, ქმედებისა და უმოქმედობის, თანხმობისა და უთანხ-

მობის შუა. თითქოს ამოდ ჩაიარა იმდენმა სიტყვა-პასუხმა, არაფერი დაიჯერა, არაფერი მიიღო, შეჯდა ჯორზე და ველარაინ გადმოსვამდა. თუ უგრეა, მაშ უყუროს ირინესა, ისეთსა ეტყვის, ცეცხლი არ იყოს, მაგრამ დასწვას, შხამი არ იყოს, მაგრამ გასთანგოს, ლოდი არ იყოს, მაგრამ ეცადოს და ველარ წამოუდგეს. და ბაგე გახსნა ქალმა, ოღონდ გიგომ დაასწრო:

— რისთვისა, ჰა, რისთვისა-მეთქი, რად უნდა დამადგეს ასეთი ჯაფაი?!

ამან უშველა, სიტყვა უკან გაიბრუნა ქალმა, გულს მოეშვა რახან ჯაფასა გრძნობს, მაშ არ გარიყულა ცხოვრებიდანა, არ ჩასწყვეტია ძარღვი ცხოვრებისა, ასწვეს, აიტანს თუ ვერ აიტანს, რა ვუყოთ მერე, უძრავად ზომ არ გაექვლეინება სიმძიმესაო. ეს გაიფიქრა და ხუმრობის კილოზე თქვა:

— როგორა კითხულობ, თითქოს საიდლანლაც მოსულიყვე, თითქოს მთვარიდან ჩამოვარდნილიყვე... ჰმ, რისთვისაო, ჰა, ჰა, ჰა...

შაინც რისთვისაო, გიგო აზირდა.

ირინემ ყური აღარ ათხოვა, რა ბედენა იყო ამო ლაპარაკი, კარი გაიგდო, გავიდა, „ღამე მშვიდობისაც“ დაივიწყდა, რაც გადასწყვიტა, იმას რაღა ათქმევინებდა, რაო, წაქეზება ზომ არა სჭირდებოდა, რჩევა ან შველა ზომ არ უნდოდა, აზრიც ეყოფოდა, ძალაცა, გზაც იცოდა, კვალიცა, წავიდ-წამოვიდოდა სიკეთის გზაზე. წავიდა კიდევ დილაღამიან ადგა, ქმრის ფარაჯა ჩაიცვა, ყაბალახი შემოიკრა, კომბალი დაიპირა ხელში და გაუდგა ორბისის გზასა.

ჰო, დილაღამიანო... ზაფხულში ეს არაფერია, ისე უეცრად შემოგათენდება ვერც კი გაიგებ, ხოლო ზამთარში, გგონია, საცაა გათენდებაო, გგონია და გგონია, დღე პირს არ გიჩვენებს, ღამე მალე არ აიყრება. თოვლი ქათქათებს და ქათქათებს ანუ მაშინა

ქათქათებდა, თოვლს გადაეთეთრებინა მთელი მიდამო, ამ დიდ სიხეთრეს გაეცრიაკებინა ღამე ხალღესი, ინათაო, გეგონებოდა, ირინესაც ასე ეგონა, ეგებ არც ეგონა, მაგრამ მაინც ვარაუდობდა, საცაა დილა წამომეწევთ. გაუმტყუნარი იქნებოდა ეს ვარაუდი, ადრე თუ გვიან გათენდებოდა, როდის არ გათენებულა, რომ მაშინ არ გათენებულყო, მაგრამ მანამდე დიდი ჯაფა მოუვიდა, გაწვალდა, კინალამ გზას ასცდა, კინალამ ჩარჩა, ჩაინამქრა თოვლში... უეცრად ატყდა ქარბუქი. შინიდან რომ გამოვიდა, ოდნავა ფერფლავდა, მოყუდროებულყო, თითქოს მომთბარიყო, ასე იყო ეზოში, შუკებში, ორლობებში, ხოლო მინდორში ცოტა უფრო მომეტებულად ფერფლავდა, ქარიც იგრძნობოდა, ჰო, მხოლოდ იგრძნობოდა, ქარიც არ დაერქმეოდა, უფრო სიო იყო, ოღონდ მოგეხსენებათ, თუ როგორია სიო ზამთრისა, რა ძალა აქვს, როგორი შემოფეთება იცის, მაგრამ ხალღელი მაინც არაფრად ჩააგდებდა, ხშირქარიანია, დიდქარიანია მინდვრები ხალღესი. ჰოდა, რომელი ხალღელი შეკრთებოდა ან ირინე როგორ შეკრთებოდა, გაზვიადებულად როგორ წარმოიდგენდა ან თოვას, ან ქარს ან იმას, თოვლი რომ აიხვეოდა, აიგრინებოდა ქარის კუღზე ხან დროდადრო, ხან ზედიზედა; ან ის რა დამაფიქრებელი იქნებოდა, თუ როგორ იზრდებოდა ფანტელები, როგორ ხშირდებოდა, როგორ გადადიოდა ბარდნაში როგორ უფროდაუფრო იხვეოდა და იხვეოდა თოვლი ქარის კუღებზე. ყველაფერი ნაცნობი იყო, მასლობელი იყო, ათასჯერ გამოცდილი, გადატანილი, განა ღირდა დასაფიქრებლად, ან განა სხვა არაფერი იყო საფიქრებელი, ვინ დაკარგავდა ამ სანატრულ შემთხვევასა, ფიქრისთვის სანატრელსა... ან არჩევანის დრო სადღა იყო, ირინე

უკვე ფიქრებში წასულიყო, მიარღვევდა თოვლსა, უფრო ფიქრებს მიარღვევდა ფარაჯიანი, ყაბალაზიანი ქალი, მიარღვევდა აზიური კალოშებითა, უფესსაცმელოდ რომ წამოეცვა ორ წყვილ ღაზლის წინდაზე; ასე უკეთესი იყო, შეეჩვია, ასე სჯობდა ზამთარში, სოფლის საქმე ასე უკეთ გამოდიოდა. ახლა ზედმეტი იყო იმაზე ლაპარაკი, წარმოიდგენდა თუ არა, რომ ამ ყოფაში ჩაფარდებოდა, სამაგიეროდ, აქედანაც აღვილი იყო იმ ოცნებების გახსენება, მაშინ რომ ჰქონდა, მაშინ, ქალიშვილობის დროსა, როცა ობიზარზე და რაფაელზე ფიქრობდა, ხელოვნებისათვის თავდადება გადაეწყვიტა, ლიტერატურისა და ხელოვნების აღმტაც სახეებში ცურავდა, იხვეწებოდა მალღებოდა, დიადლებოდა სიყვარულით ადამიანისა, თაყვანისცემით გრძნობისა და გონებისა. კარგი იყო, ნეტარი იყო, შორს დარჩენილიყო. მაგრამ დროდადრო ფიქრში განმარტობისას გადალახავდა ამ სიშორესა, ფიქრში ხომ არაფერს არა აქვს საზღვარი, — გადალახავდა, მოეხვეოდა, შეიბურებოდა, გაბრუდებოდა. მერე უკვე მწარე იყო გამოფხიზლება ან მახლობელთა გამოცხადება, მაგრამ უამისობაც არ იქნებოდა, მოგონებებში დებიც ამოვიდოდნენ, ოღონდ ცუდად როდი, ო, არა, კეთილი გული ცუდს როგორ დაანებებდა, რად გაახსენებდა, თუ როგორ ვაკიცხეს, როგორ შეაქციეს ზურგი, აღარ განსჯიდა, ემართლებოდნენ თუ არა, არა, უამურს არაფერს გაიხსენებდა, მხოლოდ კარგ სურვილებს შეუთვლიდა; ეცდებოდა, წარმოედგინა, სად იყვნენ, როგორ იყვნენ, რა ადევლებდათ, რა ახარებდათ, ჰო, რას გაეხარებინა თამარი, სალომე, მერი, ზეინაბი, როგორ იყვნენ ერთმანეთში, მეგობრობდნენ თუ ისევე მოიკვეთეს ერთიმეორე, როგორც ირინე მოიკვეთეს? კიდევ ახსოვდათ ირინე, ფიქრობდნენ მასზე, ცუდსა ფიქრობდნენ თუ სულაც ამოიფხიკეს გულიდანა, ხსოვნის ძაფებიც ამო-

იგლიჯეს? როგორნი გახდნენ, ნეტარ როგორნი? ასე გაეწეწა ფიქრები — თოვლში, ასე აესხა ქარის ფიქრებზე და რა გასაკვირია ქარი თუ ბარდნა, რაც უნდა გახშირებულიყო, რაც უნდა გაწიწმამტებულიყო, მხოლოდ ფიქრები პკონებოდა, ოღონდ სიხარულის, ბედნიერების ფიქრები როდი, არა, ამისათვის სხვაგვარი სახეები, ბუნების სხვაგვარი მოვლენანია საჭირო, მინაზებული, მიმტანარებული, ფერადფერადი, სხივთა სირმებით მოვარაყებული. ასეცა სჩვეოდა ირინესა, ასეცა დაიწყო, ოღონდ მალე წამოეწია ჩვენებანი გულნაკლულობისა, სიმწვავისა, სიმწუხრისა, ქარბუქიანი ჩვენებანი. ასე შენივთდა ფიქრი და ქარბუქი, შენივთდა და გაიყარა, როცა გაიყარა, ირინე მიხვდა, რომ ფეხის გადადგმა უჭირდა, სუნთქვაც უჭირდა, წახიხარა სულის მოსათქმელადა, წახიხარა და იყო ასე, ვიღრე ქარი ბუქნაობდა მის ირგვლივ, ვიღრე ადგილს შოინაცვლებდა, მერე-ლა აიხვდა, მაგრამ რაო, არაფერი ჩანდა, გარდა უძირო სითეთრისა, მღვლეარე სითეთრისა, არა ისმოდა რა, ქარის გუგუნის გარდა. ეგებ გათენებულიყო, ან ჯერ შორს იყო განთიადი, ვინ გაიგებდა, თოვლის დიდ ტალღებს დაეფარა ყველაფერი, ტალღა ტალღას შესჯახებოდა, ტალღა ტალღაზე გადადიოდა ან ეგებ მთები დაძრულიყო, მთაგრეხილი, მწვერვალები იფშვინებოდა ზარ-ზათქითა, გრილითა ან კიდევ... თუმცა რაღა შედარებები უნდა ქარბუქსა, ქარბუქში მოხვედრილ ქალსა, რომელიც ფიქრებმა შეიტყუა, მაგრამ რა ვუყოთ, ფიქრი თუ იცოდა, აზრი ჰქონდა და მიხვდა, წინ გზა მოკვეთილი იყო, თუნდაც მოკვეთილი არა ყოფილიყო, წასვლა მაინც აღარ შეიძლებოდა, ჰოდა, შებრუნდა ისევ ხალდესკენა, შებრუნდა გულმოციმული, თამამი, იმედინი... გასაქირს როგორ შეუშინდებოდა, ეს შიში რომ ჰქონოდა, განა გუნდიანთ კარზე დაებმოდა? — რა სათქმელია; შიში რომ სკოდნოდა, აქამდე, ვინ იცის, რამდენჯერ

გაქცეოდა იქაობასა, თავის პალიტრას გაიტაცებდა, დაუმთავრებელ ტილოებს გაიტაცებდა ან არც გაიტაცებდა, რა ბედენა იყო დაუმთავრებელი ტილოები, განა ისევე დახატავდა? — არა, ახლა ფერები სხვანაირია, ანუ ჩასწვდა ფერთა იდუმალეობასა, იპოვნა თვალი ხელოვანისა. ვითომ მართლა?! ეგებ ერევენება, ეადვილებს, რაკი-ლა ფუნჯი აღარ უჭირავს ხელში, წარმოდგენა ხომ უფრო იოლია, ვიდრე შექმნა, იმედი წინასწარ ხომ უფრო ცხოველია, ვიდრე ქმედების დროსა, რჩევა ხომ ბევრად ადვილია, ვიდრე კეთება? — რაღა საკითხავია!.. ამიტომაც, რომ ერთ მხატვარზე ათასი მიმომხილველი მოდის, ერთ მუსიკოსზე — ათათასი შემფასებელი, ერთ მწერალზე — ასი ათასი კრიტიკოსი. შეფარდება ეგებ ზუსტი არ არის, ეგებ უფრო დიდია რიცხვი მგზნებარე კრიტიკოსთა, თვითდაჯერებულ მრჩეველთა, გულშემატკივარ დამრიგებელთა, ჰო, ვინ იცის, ანგარიში სწორი არ იყოს, მაგრამ ასე იტყვიან, — ათასში ბევრსა გულისხმობენ, ათათასში უფრო მეტსა, ასი ათასში აურაცხელსა, ეს სწორედ იმიტომაც, რომ კეთება ძნელია, ძალიან ძნელი, რჩევა — ადვილი, სულ ადვილი, იოლზე იოლი; ჰოდა. ეგებ ამიტომ ეგონა ირინესა, რომ უკვე ეპოვნა ჭეშმარიტი ფერები, სალი, ნათელი, მომხიბლავი, ამაღლევებული ფერები, გააკვირვებდა ქვეყანასა, ხელახლა რომ აეღო ფუნჯი, ანუ გაქცეულიყო ხალდედანა, მაგრამ აიტანდა დების ნიშნისმოგებასა — არ დაგვიჯერე, ჩვენი სიტყვა არად ჩააგდე და აჰა, აგისდა თუ არაო... არა, ეს უფრო ძნელი იყო, ვიდრე ასეთ ქარბუქთან ბრძოლა. ან რა იყო ქარბუქი ხალდეში, ხალდეს მინდვრებზე, რამდენი ასეთი ქარბუქი შეხვედრია, ცხოვრების ქარბუქი, ბევრად ძლიერი, — განა შემდრკალა? რა ვუყოთ, თუ ჯაფა დასდგომია, დაქანცულა, აღშფოთებულა, ჰო, აღშფოთებულა კიდევაც, სასოწარკვეთას ხომ არ მისცემია, არა, არასოდეს... ერთი სიტყვით, შებრუნდა გულშიცემული,

თამამი, იმედიანი-მეთქი, შემოტრიალდა და უფრო გათამამდა, თურმე მართლაც არა ყოფილიყო, თურმე თავისი ძალი მისდევდა ფეხდაფეხს, ყურში მისდევდა, რომლის შავი ყურები და დინგი ელავდა ამ გაუვალ სითეთრეში. დაპროწილდა ძალი, მხიარული წკავ-წკავი მორთო, გაახარა შინისკენ გამობრუნებამა, იპროწილა, იპროწილა, მერე წინ გახტა, გადავიარა კორიანტელში, მალევე გამოჩნდა, ამოძვრა კორიანტელიდანა, ისევე დაპროწილდა ირინეს ფეხებთანა, ერთ წერტილად გადაიქცა სამი შავი ლაქა, მალევე გაიყო, გაიშალა, კვლავ თოვლში ჩაიკარგა, შემდეგ დამშვიდდა და დინჯად გაუძღვა პატრონსა. დროდადრო მოიხედავდა, შეჩერდებოდა, ძალიან არ გაუესწრო, არ ჩამომჩრხესო...

IX

ქარი მწუხრისას ჩაწვდა, მწუხრისას ჩადგა კორიანტელი, მერე ბარდნიდა, მთელ ღამეს ბარდნიდა, ყელამდე თოვლში ჩაიფლო სოფელი. ორი თუ სამი სახურავი ჩაწვა, საბედისწეროდ გაიქაზუნა, გაიზრიალა და მიესვენა თოვლზე... ერთბაშად ვერც გაიგეს, ვის ჩაექცა სახურავი, ხმის მიწვდენაც აღარა ხერხდებოდა, მისელა-მოსელაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. გივამ და ირინემ კარგა ხანსა სკრეს თოვლი, თითქმის საღამომდისა სკრეს და როგორც იყო, შეხვდნენ ერთმანეთსა თოვლის კედლებში, დაღლილნი, დაქანცულნი, თქმის ძალაწართმეულნი, ანკი რაღა უნდა ეთქვათ, თვალი თვალს მოხვდა და უკვე გაიგეს ცუდი არაფერი მოსწეოდით, სახურავი არ ჩანგრეოდით, თქმა რაღა ბედენა იყო... მხოლოდ ესაა, ირინეს ისევ მოენატრა ფუნჯი, მოუნდა დაეხატა სურათი, რომელსაც წაწერდა „სახურავის ჩაწოლის შემდეგ“ ოღონდ იქ არ იქნებოდა არც სოფელი, არც ჩაწოლილი სახურავები, არა, არაფერი, ღრმა თოვლში გაქრილი ბილიკის გარდა, იქ ორი ალა-

შინი შეხედებოდა ერთმეორეს, შეიძლება ძმები, შეიძლება რძალ-მარხა, როგორც მართლაც იყო ან ეგებ რძლები, თუნდაც დები, ქვრივები ან ქმრებ-წასულები... ჰო, მოუხდა და მოსძებნა ფუნჯი, მოხაზა ესკიზი, დაამუშავა რამდენიმე დეტალი, — მხარი თოვლზე, ხელები ნიჩბის ტარზე, საქონრემდე წასული თავშალი, ეგებ კარგი რამ გამოსვლოდა, დრო რომ ჰქონოდა, ახ, დრო რომ ჰქონოდა! რამდენი ასეთი ესკიზი და დეტალი ეგდო კარადაში, რამდენი ასეთი ნდომა განუცდია, მაგრამ შემდგარა დეტალებთანა, ვინ იცის, სამუდამოდ შემდგარა, ეგებ აღორძინებაც ეწერა, ეგებ გაცოცხლებულიყო განცდილი, ნანახი, გააზრებული, ვინ იცის, ვინ უწყის, ეგებ დრო გამოსჩენოდა ან ცხოვრება შესცვლოდა, მაგრამ მარჯვენა, მარჯვენას რაღა ეშველებოდა, ბარს მიჩვეული ხელი ყალამს რომ ველარ იმორჩილებდა, პატარა ტარი, პატარა, სათუთი საგანი ველარ ეტეოდა მის ხელებში, უცურდებოდა, უვარდებოდა, ბარი ეტეოდა, თოზი, ნამგალი, სამითითი, ნიჩაბი, წალდი, ცული ეტეოდა, კარგად ეტეოდა, ყალამი და ნემსი კი ველარა და ველარ მოეარშიებინა. ასეთ დღეში იყო ირინეს ხელები, მშვენიერი ხელები, ოდესღაც მოდელად რომ იყენებდნენ მეგობარი მხატვრები. როგორღა მოიქნევიდა, როგორღა შეათამაშებდა ყალამსა, როგორღა გაავლებდა ჰაეროვან ხაზებსა, როგორღა ამოიყვანდა ნაზ ფერებსა, მქრქალ ჩრდილებსა, როგორღა, ჰა? ეს ეტიუდებიც კარადაში უნდა შეეყარა, ესოდენ ცხოველი სურათიც უნდა ჩაეფლო ზარდახში, გონების ზარდახში, მაშ რა ექნა, როცა ხელი აღარა ნებდებოდა, საქმე არ ეშვებოდა!...

ახლა ყველაზე გადაუღებელი გიგოს სასამართლო იყო. გიგო თითქოს არცა ფიქრობდა ამაზე ან ისე ღრმად ფიქრობდა, ისეთ განზრახვებამდე მიდიოდა, ვინ იცის, სავალალოდ გადაქცეოდა ყველასა. მიხედვა უნდოდა, ყურის-გდება უნდოდა, თვალის მოცილება არ

ეგებოდა. ასე ფიქრობდა ირინე, ფიქრობდა და ცდილობდა, ~~ეგებ~~ მოეცარა პირველი ნახვედი, მხელე-კრა ქარიშხალმა, ორბისს ვერ მიადწია, ბაბე ვერ ინახულა, ქარი ჩადგა, თოვლი დაჯდება, გამკვირვდება, წასვლა აღარ გაჰირდებოდა, მაგრამ დრო აღარ იყო მისვლა-მოსვლისა, სასამართლოს დღე ახლოვდებოდა, წინასწარ უნდა წასულიყვენ, მიმდგარ-მომდგარიყვენ, ბარემ ერთად წასულიყვენ ორბისის გზითა, ბაბე უსათუოდ გამოადგებოდათ, იმედს მაინც მისცემდა და ესეც კარგი იყო.

ტასომ აიხირა, მეც უნდა წამოვიდო, თუმცა არავინ ეწინააღმდეგებოდა, მაინც ეჩინიანად, შიშიანად, მღელვარედ გაიძახოდა, აქ არ დავრჩები, მარტო არ დავრჩები, უსათუოდ, უსიკვდილოდ უნდა წამოვიდეო; მარტო ველარ გაჩერებულებიყო, ეგონა, გადაიხსნებოდა კედლები და როხროხით, ჩხავილით, შხუილით აიტაცებდა ფასკუნჯი ან რაღაც ისეთი ფრინველი ჯოჯოხეთში რომ დაქრის თავისუფლად, ზღაპრებში რომ გაუგონია; ჰო, აიტაცებდა, წაიღებდა ზევით ან ქვევითა, სულ ერთი იყო, შინიდან შორს გაიტაცებდა, დაკაწრავდა, დასჯიჯგნიდა, დაგლეჯდა, ქარს გაატანდა ნაკუწებადა, ასე უზამდა ის რაღაც საშინელი გელას სახე რომ მიეღო ან თვით გელა გადაქცეულიყო ჯოჯოხეთის ფრინველად, — „არ შემოძლიან... არ შემოძლიან... მეც უნდა წამოვიდე!“ ამიტომ გაიძახოდა მღელვარედა; ეგებ ირინეს შენიშვნამაც გააღიზიანა, ბავშვებთან ვინ დარჩისო. მაგრამ ხომ მაშინვე ითაკილა ირინეს უფროსმა გოგონამა, — ბავშვებთან? როგორ, ჩვენს თავს ვერ მოვუვლითო?! — და ირინეც აღარ ახირებულა, მხოლოდ დასძინა, მეზობლებს მაინც ვეტყვი, თვალი დაიჭირონო, — ეს ხომ თანხმობა იყო, მეტი რაღა უნდა თქმულიყო, მაგრამ შიშს დაეჩაგრა ტასო, შიში ამეორებინებდა, მეც უნდა წამოვიდე, მეც უნდა წამო-

ვიდეთ. ასე იყო მაშინაც, როცა უკვე მარხილთან იდგა ჩაცმულ-დახურული, ოღონდ გიგოს ხურჯინ-კალათები მონერხებულად ვერ დაელაგებინა, ადგილი აღარ იყო მის დასაჯდომად, ხოლო ირინე ამბობდა, ამ მდგომარეობაში ქალი დიდხანს ფეხით ვერ ივლისო. გიგოს ადგილი უნდა მოეცალა და, ვიდრე მოსცილიდა, ტასოს შიშიც არ ისვენებდა, არც მერე მოუსვენია, მარხილი რომ დაიძრა, არ მოუსვენია, ვიდრე არ გასცილდნენ ხალდესა, მხოლოდ შემდეგ მიჩუმდა, სულ მიჩუმდა, კრინტიც აღარ წამოსცდენია... ორბისში კი ისევ აწრიალდა, ეს მაშინ, როცა ბაბეს ჭიშკარს მიადგნენ, უძახეს, უყვირეს, უბრაზუნეს, მაგრამ არავინ გამოიხედა, ერთი სიტყვით, ბაბემ არ გამოიხედა, თორემ მეზობლები გამოიშალნენ, მოდით, ჩვენთან შეისვენეთ, ჩვენთან შეიფერხეთ, ჭერი ჩვენცა გვაქვს, წყალი არ ჩამოგვდისო...

შესვენება უნდოდათ, ამბის გაგებაც უნდოდათ და. შევიდნენ უახლოეს მეზობელთანა.

არც თხოვნა-შეკითხვები, არც სიტყვის დაწევა, წამაქეზებელი ამოძახილები, არც დიდი ყურადღებანიობა, არაფერი ამის მსგავსი არაფერი დასჭირებია მათს მასპინძელსა, ისეთი ენა-წყლიანი ქალი გამოდგა, ჭიშკრიდან რომ დაიწყო, ვიდრე გაისტუმრებდა ენა არ შეუჩერებია, ხმა არ ჩაუღია, ამასთან ხელებიც არ მოუსვენებია, ფეხზე ზომ ტრიალებდა და ტრიალებდა, დისახლისობდა, მასპინძლობდა, მიჰქონდა, მოჰქონდა, აკეთებდა, სიტყვასაც ასწრებდა, საქმესაც ასწრებდა, საკვირველი იყო, საკვირველი, დაჭრიალებდა და რაკრაკებდა, ჰო, სარკელისაგითა რაკრაკებდა: ბაბე წასვლას არ აპირებდა, მაგრამ გული არ დაუდგაო... ბაბე კი არა, სხვებიც აპირებენ წასვლასა, სასეიროდ აპირებენ, სხვისი ჭირიო, ზომ გაგიგონიათ, ბაბეს კი, აბა, რა ესეირება, მაგრამ დიდი რამ შფოთიანობაც არ ეტყობა ან შფოთი რა ხახსენებელია, როცა დაბძენებულივით

გამოიყურება, გეგონებთ, ერთი თუ თქვა, წყალი აღმა წავაო, შემობრუნდება და მართლა აღმა წავაო წყალი, აბა, მაშ რა გგონიათ, ასეთი ძალა მისცემია ბაბესა; ან როდის აკლდა ძალი, ან სიტყვის რიხი ან სხვა რა აკლდა ბაბესა... ჰოდა, შეშფოთება რას მიქვიან, შეშფოთებას რა ხელი აქვს ბაბესთანა! შფოთი მერი სავანელის კარს უნდა იდგეს და იქამც არის, მაშ, რაო, ვაეკაცს რომ მარტოდმარტო მიატოვებდა, მაშ რა გამოუვიდოდა, ჰა? ქალაქიო და ქალაქიო, ეჰე, ენდე, ეგეც ქალაქიო, დაჯდეს და უყაროს კაკალი; რაო, მარტოდმარტო გასძლებდა ვაეკაცი, მარტობაში ამოირთმევდა სულსა?! ცივი კერა, ცივი ლოგინი და ტყვია ერთი და იგივეა ვაეკაცისათვისა. თბილი კერა უყვარს, კატასავით უყვარს ვაეკაცსა, თბილი ხელისა და თბილი გულისათვის ცხრა მთასაც გადაივლის. ესეც არ იყოს, ვინ არ იცის კაცის ამბავი, ცოლი რომ თავს ადგას, თავჩაკრული რომა ჰყავს, მაშინაც ამტვრევს ტაბიკებსა, მაშინაც მიიწევს გეშხედა, ნებას თუ მიუშვი, რას იზამს ჰა? ჰა, ჰა, ჰა... ეს ისე გასახუმრებლად, გულის მოსაფხანადა, თორემ ლადო სავანელზე არ ითქმის, ასეთი წესიერი ვაეკაცი ბევრი არ დადის მთელ დუნიანზე თუ არა, ამ ჩვენს მიწაზე მაინცა, ასეთი თავმჯდომარე არცა ჰღირსებია ორბისსა, ჰო, არ ითქმის აუგი ლადოზედა, მერი სხვა არის, მერის აუგიც ეკუთვნება და უარესიცა, უარესიც ეკუთვნება ლადოს ოჯახის აწეწისთვისა, მაგრამ დიღია განგება, უხდის სამაგიეროსა, ყველას უხლავს სამაგიეროსა, უხლავს და მიუზლო კიდევცა... ბუნებამ იცის, იცის ამ დალოცვილმა, ამ ბრძენმა ბუნებამა, მარტოხელა ვაეკაცი ბრალია ცივ ზამთარში, ცივ კერაზე, მარტოხელა ქალიც ბრალია, თუნდაც თბილ კერაზე იყოს ბრალია მაინცა, იცის და იღვწის; არავისა ტოვებს მარტოდმარტოდა, არავისა, არავისა, ლადოსა და ბაბეს რაღად დატოვებდა მარტოდმარტო ამ დიდ ზამთარში, ამ ცივ ზამთარ-

ში.. აკი არც დატოვა ერთად შეპყარა, შეატკბო, შეათვისა დაცალებულნი, მერე როგორ შეატკბო, როგორ შეათვისა, ყველა რომ ასე შეთვისდებოდეს, შფოთი აღარ იქნება ამ ქვეყნადა. აი, ასე შეატკბო... ჰოდა, ლადომა ბრძანა, ჩემი მეუღლე ბაბუა, მერი აღარ არსებობს ჩემთვისაო, ასე ბრძანა და საქმეც მოადევნა, კაცი აახლა თბილისსა, შეუთვალა, გავქორწინდეთო. პასუხად თვითონ დაეცა თავსა, როგორც მეხი, ისე დაეცა, მარტო ლადოსა და ბაბეს კი არა, მთელ სოფელს დაეცა, გრგვინვა ასტეხა, ჭექა-ქუხილი ასტეხა ამ შუა ზამთარში, ნეტა ხალდემდის კი არ მიუღწევია ხმასა?.. ორი დღის წინ რომ მოსულიყვნენ, აქ მაინც გაიგონებდნენ, ახლა უკვე რაიონშია, ალბათ იქა სქექს და ქუსს ან მიწის ძვრას მოახდენს, ნამდვილად, ნამდვილად მოახდენს, რა გაუქირდება მერისა... ზეგ სასამართლო აქვთ, სერიი იქნება, მთელი სოფელი აპირებს წასვლასა.

ასე ენაწყლიანობდა, სიტყვახევივრობდა დიასახლისი, კმუხნიდა შუბლსა, პრუწავდა ტუჩებსა, სიტყვათა შესაბამისად არხევდა სახის ნაკეთებსა, ათამაშებდა, სათქმელში ჩაფლულიყო, საქმესაც ხომ ხელს არ უშვებდა და, აბა, ბრძანეთ, როგორღა დააკვირდებოდა თავის მსმენელებსა, როგორ ჩასწვდებოდა მათს ფიქრებსა და ზრახვებსა, აფორიაქებულ ზრახვებსა... გიგოს გული გასიებოდა, ისე გასიებოდა, ლამის დაეწყვიტა წიბოთა საკინძი, სუნთქავდა ისე, თითქოს დიდი სიცხისაგან სულს ველარ იბრუნებო, ხოლო თვლებს ნულარ იკითხავთ, ელავდა ისე, როცა აღამიანს შეუძლია ჩაიღინოს ყველაფერი, ყველაზე საშინელი რამ, მაგალითად, მოკლას კაცი და სხვა ამგვარები. ირინეც აფორიაქებულიყო, თუმცა მის სახეზე საამისოს ვერაფერს ამოიკითხავდით, თუ მაინცღამაინც ჩააცივდებოდით, ეგებ გულგრილობა ან რალაც ამისი მსგავსი რამ ამოგეცნოთ, მაგრამ მოსტყუდებოდით, მისი ფიქრები, მძიმე ფიქრები მწვავედ, ელვა-

რედ აწყდებოდა გონების ხვეულებსა და უპატარავესი ხერეღეჭიდან უფროჰქონდა შემაშფოთი მოგონებანი მხრებში, დასკვნები. ტასოზე რალა ითქმის? რა თქმა უნდა ისიც შეწუხებულიყო, ოღონდ გიგოსთან და ირინესთან შედარებით უბრალო რამეს, პატარა რამეს შეეწუხებინა, — ფულს საღლა ვიშოვნითო, გიგოსა და ირინეს დავიწყებოდით, რომ ამისათვის მოსულიყვნენ... ხოლო დიასახლისი მიგრიალბდა და მიგრიალბდა, ქაქანებდა, რატრატებდა, სუფრას აწყობდა, იწვევდა ასე შესანიშნავ სტუმრებს, მართლა ძვირფას სტუმრებსა, უადგილო შეკითხვებით სიტყვას რომ არ აწყვეტინებდნენ. რას გააწყვეტინებდნენ, გულს როგორ დასწყვეტდნენ, ან პურმარილზე წიხლს როგორ დაუკრავდნენ, თითქოს მშვიდად, მოთმინებით შესარულებდნენ ყოველგვარ წესსა, შესწირავდნენ დიდ მადლობასა, უღრმეს მადლობასა და აიშლებოდნენ, გაეშურებოდნენ, აესწრაფვოდნენ, მარტო დარჩენას დაეშურებოდნენ გულის მოსაოხებლად.

და მერე, როცა მარტონი იყვნენ გზაში თუ პატარა ქალაქში, როცა მოულოდნელობისაგან შეგუხებული სული მოიბრუნეს:

— მოვკლავ... დავახრჩობ... სულს ამოვხდი... — იგრგვინა გიგომ.

— ვითომ რატომო... რისთვისაო?! — გამომწვევად იკითხა ირინემა.

— სახელის გატეხისთვისა, შერცხვენისთვისა... ან რას მეკითხები!... სხვების აუგანი საქციელიც მამრახვებს, სხვებისგან, შორეულებისგანაც ვერ ამიტანია, საკუთარი დისაგან, ღვიძლი დისაგან როგორ ავიტან?! მოვკლავ... დავახრჩობ... — და რკალავდა გრქელ თითებსა, წურავდა, წუთხავდა, ამარწუხებდა, თითქოს ყელში უქერდა ბაბესა, ახრჩობდა, სულსა ხდიდა.

— ვისი სახელის გატეხისთვისა, ვისი შერცხვენისთვისა?!

— ჩემი, ჩემი ძმისა, შენი, ამისი, ჩვენი შვილებისა, ჩვენი გვარისა, მთე-

ლი გვარისა... შენგან მივირს, ეს უნდა იკითხო!...

— როგორ არ ვიკითხო... ხომ უნდა ვიცოდე, რა არცხვენს აღამიანსა?!

— არაფერიცა, აბა რას ვამბობ სააბურხოსა! გასაკვირველს კი ეგება ჰგავდეს... როგორაო, იტყვი ან ვინმე იტყვის, ნუთუ ქვეყნის ავ-კარგი აქამდის არ გაუგია ირინესაო, ნუთუ ახლა არჩევს სასირცხვისა და საამაყოსაო, გაკვირვებით იტყვიან, მაგრამ მაინც ვიკითხავ, რა ვუყო, რალც გამიგია, ბევრი რამ მაინც ვერ გამიგია, მიკითხავს, უთქვამთ, მაინც ვერ გამიგია, კიდევ ვიკითხავ, ვიკითხავ, ვიდრე გასაგებად არ ამისხნია, დავბნეულვარ და რა ვქნა?! ან ეგებ ვინმე დაბნეულა, მაინც სულ ერთია, ვინც არ უნდა იყოს ბრალეული, სულ ერთია. დაცა, სიტყვას ნუ გამაწყვეტინებ, ნურც მიყურებ ეგრე გაოცებული... აი, ვთქვამთ, საირცხვილი რომ ვიცოდე, სამარცხვინო აღარ ვიქნები ანუ ჩემმა დებმა რომ იცოდნენ, რა არის სირცხვილი, სამარცხვინოს მე არ დამარქმევდნენ; ან მე არ ვიცი, ან იმათ არ იციან-მეთქი, თორემ ან ?ე არ დავერძლებოდი გუნდიაანთა ან ისინი არ მომიკვეთდნენ... რითი ვარ სამარცხვინო, სასირცხო რა ჩამიდენია, ნუთუ გუნდიაანთ ოჯახში შესვლა ითვლება სასირცხოდა?!

— როგორ თუ გუნდიაანთ ოჯახში...

— აი, როგორ იტყვი... ხედავ, ყველას თავისი სირცხვილი აქვს, ყველას თავისებურად ესირცხვილება, მაგრამ სირცხვილი სხვა არის, ამპარტაენობა — სხვა...

— შე არ შეამპარტაენება, შესირცხვება...

— ჩემით რა ვესირცხვება?!

— შენზე როდის ვამბობ?!

— ჯერ ჩემზე ვთქვათ...

— რათაო მერე, ბაბეს გაუციცხლებივარ, შენ რაო...

— აღამიანი აღამიანის საზომია, ჩემი ვთქვათ და ბაბეს შევუტოლოთ, ვნახოთ რა გამოვა.

— ფარდ-ფარდს ვერ არის, შენ

სხვა ხარ, ბაბე სხვა არის.

— სხვა არის, ყველა სხვა არის და ყველა ერთია, მაინც ერთიანობა ახლა ასე შორს ნუ წავალთ, შენ ეს მითხარი, რა ჩამიდენია სამარცხვინო, მე, მე რა ჩამიდენია?

— ამის გაგონებაც არ მინდა!..

— აბა, ჩემს დებსა ჰკითხე...

— შენი დები... — რალც მწვავე უნდა ეთქვა გიგოსა, მაგრამ კბილი დააპირა ენასა, მაინც ირინეს დები იყვნენ, ირინეს პატივისცემით ვერას შეჰკადრებდა, რა ვუყოთ, თუ გაებრაზებინათ, მოეკვეთათ ეს კარგი ქალი, მაინც ერთი დედ-მამის შვილები იყვნენ, გოგო შუაში როგორ ჩაუდგებოდა, — ყველამ თავისი იკითხოს, მე ჩემი და შეკითხება. — ასე თქვა გიგომა, ხოლო გულში გაივლო, დამესხენი, ბაბეს ჯავრს ნუ დამაგუბებინებ, კალთას ნუ გადაათარებ, ყველას მაშიდა ნუ ხარო. მოუხედა ირინე, მაგრამ დამთმობი როდის იყო:

— ყველამ თავისი იკითხოსო, ასეა, მეც ჩემსასა ვიკითხულობ...

— ისევ...

— რა თქმა უნდა, ისეა, სიტყვა უნდა დაბოლოვდეს, ბოლო ყველასა აქვს, სიტყვას რალა დაუშავებია?! დიახ, ჩემს დებს ეგონათ, მეზი დაეცათ, ფეხქვეშ მიწა გამოეცალათ, ხალხში თავი აღარ გამოეყოფოდათ, მაგრამ სანამდელიეში არაფერი მომხდარა, ჩემი გულისათვის ისინი არავის დაუძრაბავს, თვითონ თუ არ ჩაუდენიათ საძრაბისი, ჩემი სახელითა თუ უსახელობით არასოდეს დაუჩაგრავთ, ალბათ ამპარტაენობას აპყოლიან. შენც ასევე ნუ დაგემართება, სიამაყე სხვაა, ამპარტაენობა — სხვა, დიდი ზღვარი უდევთ შუაში. გათხოვდა, ჰო, გათხოვილა, სხვა რა მომხდარა?!

— გათხოვილაო?!

— მაშ, რაო?!

— რაო და... — მრისხანედ დაიძაბა, ოლონდ იმწამსვე გადავიდა ვედრებაზე, — შენი კირიმე, ნუ გადაელობები

ჩემს ჯავრსა, ჩამოდექი, მე ვიცი და ჩემმა დამა... ჰმ, გათხოვილაო...

— გათხოვილა, მაშა?

— ვითომც ბრმაყრუობა იყვეს ქვეყანაზე... სად გაგონილა ასეთი გათხოვებაი?! მაშ, პატრონსება აღარ გადარჩენილა, ძმას ძმა აღარა რქმევი, დას დაი, ნათესაეს. ნათესაფი!.. გათხოვილა რა. დოშეკამანდია, ვის დაჰკითხებია. როგორ გათხოვილა?! ან ნიშნობა სადა ყოფილა ან ქორწილი? ძმები მაინც სადა ყოფილან, გათხოვილაო, გზაზე უნდა გავიგო, სხვებისაგან უნდა გავიგო?! გათხოვილაო, ასე როდისა თხოვდებოდნენ?! რალაც სხვა რამ მომხდარა, დასამალი რამ მომხდარა, აი, რა მიღალავს გულსა...

— ბაბე ცუდს არას ჩაიდენდა, ჯერ ხომ არ ვიციო... — გაუბედავად ჩაურთო ტასომა.

— ჩაუღენია და ეგ არის, მაგრამ ზოგი კიდეე ჩაიდინოს.

— ნუ იმუქრები, — ჩაუჭრა ირინემა, — თავისუფალია ქალი...

— თავისუფალია, თავისუფალი, უწესობა და თავისუფლებაც ერთი და იგივე ხომ არ გამხდარა?!

— უწესობა რა არის?!

— ბაბეს საქციელი...

— ნუ გაბოროტდები, კეთილ აზრს მოუხმე, მიმოიხედე, რალა ბაბეს ჩასციებხარ, მიმოიხედე, ეგებ სხვა ვინმეს საქციელი უფრო უწესობა იყოს, ეგებ ეს ვინმე მართლა სხვა კი არა, სწორედ შენვე ბრძანდებოდე, არა თუ, შენ ცოლი წაართვი...

— მე აღამიანი ვიხსენი სატანჯველიდანა.

— ეგებ იმანაც სატანჯველიდან იხსნა აღამიანი, ეგებ სიყვარულიც იყო, რა თქმა უნდა, იყო, უსიყვარულოდ ასე როდი იქცევიან და, აბა, რალა სძრახავ სიყვარულისთვისა?! ვინ მორევი სიყვარულსა, რომ ბაბე მორევიდა ან რალა მაინცდამაინც ბაბე უნდა მორევიდა?! შენ მოერიე, შეებრძოლე თუ ყურთამდე გაულე კარი... რაც შენ არ შეგძლებია, ვითომ სხვას რად უნდა

შესძლებოდა, რაც შენთვის სამართლიანია, სხვისთვის როგორც ვერძლებოდა უსამართლობადა და უწესობადან, რაც შენზე სწორეა, სხვაზე რალა ქცეულა სიმრუდელა?!

ასე მიჰყვა ირინე, თქვა ბევრი რამ გონიერული, ბევრი ანდახაც მოიშველია, მაგრამ ყველაფერი ისე ხელდებოდა გიგოს ყურსა, როგორც ცერკვე კედელსაო, ცვიოდა სიტყვები, ძირსა ცვიოდა, უმოწყალოდ იფანტებოდა, ის ისევე თავისას გაიძახოდა: დაეახრჩობ, ვერაფერი იხსნის ჩემი ხელიდანა, უსათუოდ დაეახრჩობ, თუ ვერ დაეახრჩობ, ჩემთვის მაინც დამხრჩვალა იქნება, მყოლია და აღარა მყავს, ან სულაც არა მყოლია, წინ რომ მედოს იმისი ცხედარი, ერთი ცრემლიც არ გადმომვარდება, ვითომც გადამთიელი ყოფილაო.

ჰო, ვითომც არა მყოლიაო, ვითომც გადამთიელი ყოფილაო, ესა თქვა, აქამდე მივიდა, ეს თითქოს დაშოშმინების დასაწყისსა ჰგავდა, ჩაციება აღარა ღირდა, აღარც ეცალა გიგოსთან საკამათოდა, უამისოდაც ბევრი რამე ჰქონდა მოსაგვარებელი, გიგოს სასამართლოზე რომ აღარაფერი ითქვას, ბაბეს ამბავმაე გაუჩინა საღონებელი და საგონებელი. მაშ, რაო, ბაბე თუ შეუღლებია ან უნდა შეუუღლდეს ლადო სავანელსა, მაშ მერი მოუშორებიათ თავიდანა ან უნდა მოიშორონ; საფიქრებელი იყო, თვით მერი იშორებდა ლადოსა, ხელ-ფეხს იხსნიდა, თავისუფლდებოდა, გასაკვირი არ იყო, მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყო ბრალეული, როგორც არ უნდა ყოფილიყო, ერთი რამ მაინც ცხადი იყო, ოჯახი არეოდათ სავანელებსა, ოჯახი დაშლოდა მერისა, ირინეს დასა, არ ითქმის სათაყვანებელ დასაო, მაგრამ მაინც და იყო, მისი სისხლხორცი იყო და შეჰკენესა გულმა. ავი ბედი მოსწეოდა მერისა და ახლა გასახსენებელი აღარ იყო, რომ ისედაც მკაცრ, აშარ დათა შორის ყველაზე მკაცრად სწორედ მერი მოექცა, ყველაზე მეტი უშმი სიტყვა იმან შეაბე-

დრა. ეს კიდევ არაფერი, ლადოს რომ შეუღულდა, უკვე გვიანა, კარგა ხნის შემდეგ, მანამდე მოსისხრებიც რომ დაშოშინდებოდნენ, ქორწილში არ მიიპატიეა. ირინემ თავი დაიმდაბლა, მაინც ეწვია, არ მიიღო, მისალოცად არ მიუშვა, ნობათი დაუტოვა, ისიც უკან დაადევნა, გარდა ამისა... თუმცა არა, არა, გახსენება აღარ იქნება, როცა შეპყენესა გულმა, ადვილი ზომ არ იყო, ოჯახი იშლებოდა, რად იშლებოდა, რა ელოდათ, რა განეზრახათ? ლადოს განზრახვა უკვე ნათელი იყო, ნეტავ მერის რაღა განეზრახა? იფიქრა, იფიქრა და ვერა მოიფიქრა რა, დიდი ხანია დაშორებოდა, ძალიან დაშორებოდა დასა, ძნელი დასანახი იყო მისი ზრახვები ამ სიშორედანა. გაეგონა, მერიმ ქალაქს ცხოვრება მოინდომა, ლადო არ გაპყვა, ამიტომ აიშალნენო, მაგრამ განა ეს საკმაო მიზეზი იყო ოჯახის დასანგრევად?! ვითომ მარტო ეს იქნებოდა, სხვა რამ არ დაემატებოდა, მაგალითად, ლადო მოუხიბლავს ბაბესა, ეგებ მერიც მოუხიბლავს ვინმესა, ჰო, ესეც თუა, ესეც თუ მიემატება, ოჯახს მართლა ისეთი რა გაძლება აქვს, რომ ამდენი რამე აიტანოს, ზოგჯერ გამოსწევ ერთ ძაფსა, ერთი თვალი ამოვარდება და დაიქუხებს დიდი ოჯახი ან ხელში გაგიქრება საპნის ქაფივითა. ვაგლახ, მერი რა დავმართნია!.. არც ესაა კარგი, სააშკარაოზე ბაბე რომ გამოსულა, ცოდო მის კისერზეა, მან უნდა ზღოს, გიგო არ უნდა ტყუოდეს, არა, არ უნდა ტყუოდეს... მაგრამ აქ შესწყვიტა ფიქრი, რად უნდა აშლილიყო ვინმეს წინააღმდეგ, ფიქრით რად უნდა გადაჰკიდებოდა, ენაბა, გაეგო, დარწმუნებულიყო, გაერჩია ბრუნდი და მართალი, მერეც მოასწრებდა გასაკიცხთა შესაყოღთა შეცოდებასა.

ჯერ ბაბე უნდა ენაბა.

მალეც მიაკვლია.. სასტუმროს მორიგემ, რომელსაც გაქუთული ბეწვიანი პალტო მოეფუთნა და ელქურაზე გადაფაფრულიყო, მეორე სართულის ზოლო ოთახი მიასწავლა.

პირველი დაკაუნებისთანავე გაიღო კარი, ბაბემ გაალო, იმასაც მოესხა პალტო, რომელიც დაუტრია, დაეცა იატაკზე, ირინე რომ დაინახა და ხელეზი გაშალა მოსახვევენადა. ირინემ ცივი ლოყა მიუშვირა ცივად, თვითონაც აყოცა ცივი ტუჩებითა. ეს არც შეუნიშნავს ბაბესა, ხარობდა, ეღურტულობდა; ეკითხებოდა, თავისას უყვებოდა, სკამიც მიუდგა კედლის ლუმელთანა, თვითონ ზედ აეკრა ლუმელსა, ალბათ სულ ასე იყო, ალბათ მთელი სითბო გამოეტანა, ისე უღვიოდა ლოყები, კანში არ ეტეოდა, თვალეზი კვესავდა, ბღღერიალებდა, ანთებულიყო ეშხად სიცოცხლისა.

— რაღაცას გაუხარებინარ...

თქვა ირინემა.

— არაფერსა...

უბრალოდ მიუგო ბაბემა.

— თვალეზი რას დამალავენ... გეტყობა, გინარინა.

— რა, ვითომ რა უნდა მიხაროდეს!

— გამარჯვება.

— რაზე? ვისზე?

— მერიზე...

— ჰა?! — ეს ამოიძახა ბაბემა და

მიუქრა ბღღერიალა შუქი, — მერი რა შუაშია?! მე რა მერის მეტოქე მნახე?! რა მესაქმება მერისთანა?! ან ვითომ რა დიდი ვინმე მყავს, რომ მასზე გამარჯვება სასიხარულო იყოს?! ნუ მიწყენ, შენი დაა, მაგრამ... ერთი სიტყვით, არაფერი მესაქმება იმასთანა. — უცებ მოჰყვეთა და უფრო მიეტმასნა ლუმელსა, თითქოს კანკალმა აიტანაო. — კაცს ხმის გამცემი აღარა ჰყავდა, დამეხმაურა, დაეხმაურე, შემეჩვია, შევეჩვია, მომწონდა, მოეწონდი, შევეუყვარდი, შემიყვარდა, ცოლქმრობა ვთქვით და, მადლობა ღმერთსა, ტუბილადა ეცხოვრობთ... მერის რაღა უნდა ან მე რა მესაქმება იმასთანა?! — კედელს მომორდა, პალტოს კალთები შემოიქლო, ჩამოჯდა გაბუსხული.

— მაშ ეს სასამართლო რაღაა? — იკითხა ირინემა.

— რაც არის...

- მაინც?
 — ძიება უფლებისა ჩვენი კანონიერი შეუღლებისათვის...
 — მერი თანახმაა?
 — არა...
 — მაშ!

— ლადო მაინც არ ეშვება. ლადოს უნდა მის გვარს ატარებდეს მისი შვილი... — აქ მორცხვად ჩაჰკიდა თავი ბაბემი. ირინემ მუცელზე დაადგა თვალი, ირინემ აპხედა შუბლქვეშიდანა, თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთსა და იყვნენ ასე, მდუმარედ იყვნენ, მერე ისევ ბაბემი თქვა, — ეს გაწამაწია არც არაფრად შეპიტნავენა, აჩქარება საჭირო არ იყო, დრო გავიდოდა, უფრო იოლად მოგვარდებოდა ყველაფერი, როგორმე გულს მოიხებდა ის ქალბატონი, მაშ, რას იზამდა, სოფლის თვალში ლადოს მეუღლე მე ვარ, ის აღარაფერია ლადოსი, სრულიად აღარაფერი, აღარც იქნება, ჩარხი უკულმა არ დაბრუნდება და, აბა, რაღა კანონიერება დაერქმევა მათს ხელმოწერასა, რა ფასი ექნება ასეთ კანონსა?!

— კარგად არა გცნობია მერი...

— ვითომ როგორა...

— ყველაფერს გადააქციეს გადაუღობავ კანონად, ყველაფერს გამოიყენებს, რომ სიცოცხლე გავიშროთ...

— მაინც რას გააწყობს?! მეუღლე მე ვარ, იმას ქალაღლის ნაგლეჯები ეჭიროს ხელში. — უბრალოდა და მტკიცედა თქვა ბაბემი, ისე უბრალოდა, ძლიერ ადამიანებს რომ სჩვევიათ. ირინემ მაინც ეჭვიანად შეხედა. ვაითუ დაიჰყნოს ვგ დაეღაჯა ლოყებით, ეს გაიფიქრა და სიბრალოლი მოეკიდა, თუმცა იმ წუთს შესაბრალოსი არაფერი ჰქონდა ბაბესა, ოღნავი ჩრდილიც გადაჰყარდა სახიდანა, ისევ უბღღვრიალებდა, ეშხიანად უბღღვრიალებდა მაყვლის თვალები, დაე ასე ყოფილიყო, ნუ დაეღოდა ეს ცეცხლი, ეს გზნება, ეს დიდი იმედოვნება ნუ დაეღოდა, მაგრამ ვაითუ აცხადება არ ეწერა ამ სურვილსა, თუმცა რაღა „თუ“, აცხადება არ ეწერა, არა, ნამდვილად არ

ეწერა, იცოდა ირინემა, კარგად იცოდა, ჯვარს აცვამდა მერი, ჯვარს აცვამდა და თვითონაც ჯვარს აცვამდა, შესაცოდი იყო ბაბეი, მერიც შესაცოდი იყო, ვინ იცის, უფრო შესაცოდიც იყო იმ დიდი ჯიბრისა, ღვარძლისა და მეურნეობის პატრონი. ახ, ეს კეთილი გული, რას არ შეიცოდებს, ვის არ შეიცოდებს, ნეტავ რა უნდა ჰქონდეს შესაცოდი მეშურნესა, მოღვარძლესა, მოჯიბრესა, ჰა, რა უნდა ჰქონდეს? — ღვარძლის ნთხვევისათვის თუ ვინმე შეიცოდება, მაშ, გველიც შეიცოდება შხამის ნთხვევისათვისა. მაგრამ ასე ხომ არ განსჯის კეთილი გული, რაც თვითონ ემძიმება, მძიმე ეგონება სხვისთვისაც, მაშ, რაო, ბოროტებას ხომ ვერ ჩაიდენს ძალდაუტანებლად, ეგებ ძალდატანებითაც ვერ ჩაიდინოს და ეგონება, სხვებსაც ასე გაუჭირდებათ. აეთა და ბოროტთაც ასე გაუჭირდებათ. ჰო, ასე ეგონება კეთილ გულსა, თვითონ შესაცოდსა თვითონ შესაბრალოსსა, რახან ყველა შეპბრალებია. და სდუმდა ირინე, არ იცოდა, რა ეთქვა, არ იცოდა, რა ექმნა. — ჩარეულიყო?! ჩაირეღენ? არა, ამო იქნებოდა, ახლა არავინ ჩაირევედა, ხოლო მერე, ვინ იცის, როგორ დატრიალებულიყო ბედის ჩარხი, მაშინ კი... ჰო, დროზე გამოჩენა გონიერება, არც აღრე, არც გვიანა, სწორედ დროზე, დადანებაზე, როცა შეიძლება ხელი ჩაავლო ბედის ჩარხსა, წალმა დააბრუნო ან თან გადაჰყვე, რა ვუყოთ, ასეცა ჰხდება ხოლმე, ზოგჯერ მსხვერპლიც სასიკეთოაო. მაგრამ ეს მერე, ჯერ გიგოს ჩარხი იყო დასაბრუნებელი, დააბრუნებდა თუ ვერა, წალმა წაუვიდოდა თუ უკულმა, ჰა, როგორ წაუვიდოდა?! — და აქ თქვა, რომ ორბისში გამოიარეს, ცხადია, ახსნა, რაღაც გამოიარეს.

— შეიძლება, — თქვა ბაბემი, — თუმცა არ ვიცი, ეს გაწამაწია რა დაუჯდება ლადოსა, მაგრამ ის მაინც ვიცი, ხელს არ ახლებს ჩემს ფულსა... დაეხმარები.

— ოღონდ გიგომ არაფერი უნდა

იცოდეს, — საჩქაროდ მიატანა ირინე-
მა, — ცოტახანს მაინც ნურავისთან ნუ-
რაფერს იტყვი... ერთხანს თუ არც
დაენახვები, ცუდი არ იქნება, მოერი-
დე, ბრაზობს...

— გაბრაზება რას მიქვიან, — კოპები
შეიკრა ბაბემა, — სააუგო რა ჩამიდე-
ნია? მე ხომ არ მომიგონია მეორედ
გათხოვებით ან ვინ ჩაუქოლავთ მეო-
რედ გათხოვებისთვისა? მაინც რამდენ-
ხანს ვიგლოვო კიდევ, საზღვარი აქვს
თუ არა აქვს?!

— ნუ გაწიწმადლები, — მკაცრად შე-
ხედა ირინემა, — კრინტი არ დასძრა,
არც იფიქრო ამაზე... დააცადე, გაუე-
ლის. კაცის გული თონესა ჰკავს, აბრია-
ლდება და ჩანელდება, ჩანელდება მდე
დააცადე.

— თავის თავს მოუაროს...

— ისევ...

— მისი სარჩენი ვარ თუ...

— კიდევ...

— ჰო, კიდევ... ისა მთხოვს დახმა-
რებას, მე როდი...

აქ უკვე ირინემ შეიკრა კოპები:

— არ უნდა, შენი არაფერი უნდა,
უშენოლაც ფონს გავალთ როგორმე.
ირინე წამოღდა.

კალთა დაუჭირა ბაბემა:

— მოიცა, რა უცებ იტყივე, ვის რას
ვაყვედრი, გაგონილა... მეც გული მაქვს,
გაბრაზება მეც ვიცი, მოიცა, გამიაროს...

ირინე აღარ ახირებულა, მოიცადა,
დაელოდა ბაბეს დამშვიდებასა. ჰო,
დაელოდაო, ასე ითქმის, თორემ არც
თუ დიდი რამ ლოდინი იყო საჭირო,
ეგრე ძნელად, ეგრე მძიმე-მძიმედ არ
იცვლებოდა ბაბეს ხასიათი. თუ შედა-
რება აუცილებელია, შეიძლება ითქვას,
რომ მარტის ამინდისავით იყო, იყო
ადრე გაზაფხულივითა, როცა ქარბუ-
ქი, წვიმა, მცხუნვარება, სუსხი თუ
სხვა რამ ისე აირევა, ისე მოერთვის
ერთიმეორესა, დედამიწის ყველა სარ-
ტყელში ან ყოველ დროში გეგონე-
ბათ თავი. ასეთა დროისათვის თუ უთქ-
ვამთ: დარში ნაბადს ნუ დააგდებ, აე-

დარში ქალამანსაო. ასე იყო ბაბეცა,
სიბრაზეც იცოდა, სიხარულეცა, მეჩე-
წრომაცა, შერიგებაცა, აყვირებაცა,
მოფერებაცა, ერთადა, ერთდროულა-
და, ჯავრს არ გაიყოლებდა, არც სიხა-
რულს გაიყოლებდა, არც არავის გაის-
ტუმრებდა ერთი განწყობილებითა. მა-
შინაც დაეხსნა მკვავებ სიტყვებსა, უცებ
დაეხსნა, აკისკისდა, ისე აკისკისდა,
თითქოს დასცინოდა იმ წამიერ აღელ-
ვებასა, მერე კარგი თქვა გიგოზეცა,
სხვებზეცა, რძალსაც გადაეხვია და
ჩაკოცა რამდენჯერმე, შეტრიალდა,
შემოტრიალდა, საამო მოიგონა, სახუ-
მრო ახსენა, ისე სწრაფ-სწრაფადა, ისე
აჩქარებითა, ასე გასინჯეთ, თვით ირი-
ნეც კარგ ხასიათზე დადგა, კმაყოფი-
ლი, გახალისებული, ცოტა არ იყოს,
ატაცებული გამოვიდა სასტუმროდანა,
ამიტომ თუ იყო, რომ არც დაფიქრ-
ებულა, აფოფინდა, აჩქარდა, გაიქცა
ავტობუსის გაჩერებისაკენა, სადაც მე-
რის მოჰკრა თვალი. მაგრამ ავტობუსი
ჩამოღდა და მერი მიჰყვა ხალხის გუნდ-
სა ანუ გუნდმა აიტაცა საფეხურებზე,
მხოლოდ ზემო საფეხურზე შეყოვნდა,
ფეხი მიაბჯინა და ისე შეჩერდა, რომ
გააქვავა მიმწყდარი, მიწოლილი ხალ-
ხიცა. ეს მაშინ, როცა თავისი სახელი
გაიგონა. თავი მოიბრუნა, მკაცრი,
მრისხანე თვალები გადმოანათა ირინე-
სა. ვილაცანიც შებრუნდნენ უნებლიე-
თა, მოსძებნეს, ვისაც დაჩქობოდა ის
ულმობელი თვალები. ოღონდ ვილაცებ-
მაც ისევ შიგნით შეიწიეს, მიეხალენ,
მიაწყდ-მოაწყდნენ, ხან ქული მოექცა
მერისა, ხან ბეწვი, მხარაც ჩამოვარდა,
ერთი ორჯერ დატრიალდა კიდევ კა-
რებშივე, რაც კიდევ უფრო ამრისხანე-
ბდა მის თვალებსა, ირინესაკენ მიმარ-
თულ თვალებსა. ხალხის გუნდამ მაინც
შიგნით შეიტანა მერიცა და იმის თვა-
ლებიცა. კარი მოიკეტა. წავიდა ავტო-
ბუსი... დარჩა ირინე ერთხელ კიდევ
გულნატყენი, შეურაცხყოფილი.

იღვა, იღვა რამდენიმე ხანს გაქვავე-
ბულივითა.



ყველა—მაისის დღეს მოგაგონებს

დამავალი მზის მიმერთალი ფერი,
ღრუბელნი შუქი, როგორც კრილობა,
ცეცხლწაქიდებულ მაყვლების შქერი
და გაფენილი ველი ქილობად;

ქალაში დღეუ ქარვად რომ დნება,
რალაც რომ ლღვება გულის ფიცართან,
ღებოვით ჩემი ალღების წყება
და მოგონება დაუვიწყართა;

როცა ბავშვოვით წინ უსწრებ სურვილს,
როცა ცისკარი წითლად ენთება
და გაზაფხულის ნაცნობი სუნი,
ყოველ ბილიკზე შეგეფეთება;

როდესაც გრძნობ და ვილაცას ელი
და მხოლოდ იმის ახლო არსებობ, —
და მოვარდება ტრფიალი ძველი,
რომ ძველებურად არ მოგასვენოს;

გოგონა, გვერდით რომ გაგიარა,
ოდის წინ მწიფე თუთის დარბევა,
სიცოცხლე, მარტო თვალთ კიარა,
მარტო გულთ რომ დაინახება;

ლოდს მირჩენილი მდინარის ხაესი,
ნისლი, დილთ რომ აწევს
მთაგორებს, —

ყველა — მაისის მზით არის საეზე,
ყველა — მაისის დღეს მოგაგონებს.

ყველას აცოცხლებს რალაც ფარული,
ყველა მიელტვის რალაც სანუკველს.
მაშ, გამარჯვება და სიხარული,
მაისს, სიცოცხლეს და სიჭაბუკეს...

პატივსაცემი გიორგი ბერიძე



ილია და მარტო

ორთვემ განიცადა ღირის ტრავმა,
გზა საბედისწერო — მგონების ბედი.
იყო მათი დეული ყოველთვის საჯარო,
მკაცრი, უღმრთელი, თუმცა უბაძარო.
ილია ამარცხებდა ჰამლეტის ორეულს,
მოწყენილს, ჰირვეულს, ავღრიანს,
შორეულს.

ილია გრგვინავდა, ზევების მსგავსი,
მას გადადიოდა ელვები თავზე.
გაშორდნენ ერთმანეთს მუდმივი
ბრძოლებით,
ოღესზე მეგობარნი და თანატოლები.
შემდეგ გაეხვია ნისლში მარტო,
თითქოს უცაბედად დაეშვა

კრეტსაბმელი
იმას დაეძებდნენ კირში, მდინარეში,
იმას დაეძებდნენ საზღვრების გარეშე.
აკაკი დარბოდა თავქუდმოგლეჯილი,
ეძებდა მარტოს, ისე, ვით შეშლილი.
ილია გლოვობდა მყინვარის
მღუმარებით

და იყო გლოვაშიც ის შეუღარები.
როცა აიღეწა მის წინ წიწამური —
შავ ავაზაკებით, ტყვიების აღმურით,
ილიას მოაგონდა მტოქე ეული, —
იგი აღარ იყო ახლა შორეული,
შაებდნენ ისინი კვლავ დაამოზილა...
მათზე განწირული თუ ვინმე ყოფილა.



გზვის ნათღუდი

ნარკვევი

ნელი სტვენა მოისმა; მხოლოდ დილის ნამით შეცვარული ცაცხვი აშრიალდა პასუხად. ისევ დაუბრა სიომ, სტვენა განმეორდა — ახლა შაშვი აუაბუა და მერცხალმაც იკუილა. როგორც გსტრთ, ისე ჩათვალეთ და ეს არც შაშვის ხმა იყო, არც მერცხლისა...

— „ის არის“ — გაიფიქრა გივიმ და ფანჯარაზე გადმოვდა.

ხესთან ატუზული ქერათმიანი ბიჭი საფარს ოდნავ გამოცდა, კუშტად მიაპყრო შურა სარკმელს და ხელუბის ქნევით შეეკითხა: „რა ამბავია, ამდენი ხანია გეაბხი და არ გესმისო?“

— „ეარგე პო, მოვდებარო“ — ხელითვე ანიშნა ნახევრადმძინარემ, ქუთუთოები მოისრისა და მელნისფრად შეფერილ ცას ახედა. მერე შარველს დაწვდა და საწოლქვეშ ხელის ფათურით ფეხსაცმელები მოაბნა, და ნახევრადმიწველი, ფეხაკრფელი გამოვარდა სახლიდან.

„რეიკამ“ (ასე ეძახდნენ მძობილები ედუარდს) თავისი მძაბივი ტიტლიკანა რომ დაინახა, ხიხითი მორთო, ნამიან ბალახში გაგორდა.

— რა გაციენებს? სახლში რომ ჩამეცევა ვილიცას ხომ გავადეიქებდი, — ფთხრა და შარვალნი გაყო ფეხი, ფეხსაცმელებს დახედა და ელდა ეცა: ერთი თავისი წამოეღო, მეორე კი უფროსი მძისა მთელი უბედურება მარტო ეს რომ ყოფილიყო, რა უქირდა!.. ორივე ფეხსაცმელი მარცხენა ფეხის გამოვდა...

... ბიჭებმა შებინდებამდე უფურყუტებს თვეზს. ვინ მოთვლის, უკვე მერამდენჯერ ჩაუთქვენს ანკესის გადასროლისას: „ეს ჩემს ბედზე იყოს“. „ახლა შენ ბედზე გადავაგებო“, — მაგრამ მინც არათფერი გამოდიოდა. პატარა მეთევზეები უიღბლობას აბრალებდნენ ამას, ყველაფერს ისე აკეთებდნენ, როგორც სხვები. აგრ იმ მერცხალს, ცოტა მოშორებით რომ ჩამომჯდარა და მზიარულად აბოლებს ჩიბუხს, უკვე რამდენი თვეზი დაუგროვებია!

ერის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა ხალხოვნების ჩამოყალიბება. ხალხოვნები იყვნენ ჩამოყალიბების იმ ხანაში, როცა ევროპულ საზოგადოება კლასობრივ საზოგადოებად იქცევა. ცნობილია, რომ ტომოვნურ ერთობას საფუძვლად უდევს სისტლითი ნათესაობა. ტომი არის იდენიანთა ერთობა, რომელიც თავის წარმოშობას უკავშირებს ერთ რეალურ ან მითურ ეთნონიმს. წინააპრს. ასეთებია, მაგ., ლეონტი პროვენსის მიერ „საქართველოს ისტორიაში“ („ქართლის ცხოვრებაში“) მოხსენებულნი თარგამოს, პოს, ქართლოს, ევროს. ხალხოვნება წარმოიქმნება ტომობრივი ერთობის დამლის, ტომების შეცვლის, შერწყმის და კლასების წარმოშობის საფუძველზე. ხალხოვნების ფორმირება იწყება ტომების კავშირიდან, მაგრამ ტომების კავშირა უგრძელდევ არ ნიშნავს ხალხოვნების არსებობას.

ანტაგონისტური კლასების და სახელმწიფოს ფორმირების პროცესი, ამავე დროს, არის ხალხოვნების ფორმირების პროცესი. ცნობილია, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა არ არის აუცილებელი პირობა არც ხალხოვნების და არც ერის არსებობისათვის, მაგრამ დიდი შეუღობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხალხოვნება ან ერი განურჩევლად იყოს განწყობილი სახელმწიფოსადმი, რომ ხალხოვნებისა ან ერისათვის უმნიშვნელო ან ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს, აქვს თუ არა მას დამოუკიდებელი სახელმწიფო.

სახელმწიფოს, სახელმწიფო მშენებლობას, საერთოდ, დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს, კერძოდ, ერის სწრაფი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საკმარისია ძველი საქართველოს ისტორია გავიხსენოთ. დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს არსებობა ხელს უწყობს და აადვილებს ხალხოვნების და ერის მრავალმხრივ და თავისუფალ განვითარებას. ის გარემოება, რომ ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე შემონახა თავისი სახელმწიფოებრიობა, დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრებისათვის. ქართული სახელმწიფოს არსებობა ხელს უწყობდა და აქცირებდა ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესს.

როგორც ხალხოვნებისათვის, ასევე ერისათვის დამახასიათებელია, ტერიტორიულ ერთობასთან ერთად, ერთი ხალხოვნური, ეროვნული ენის არსებობა; შეიძლება ერის ენა აღარ იყოს ხალხოვნების ენა და მან სხვა ენა შეუთხოოს, მაგრამ შეიძლება ენა შეინარჩუნოს ენა იმ ხალხოვნების, რომლიც განვითარებიდან ის წარმოიშვა. ენის ერთობა არ გამოირჩევა მთელი ერის, ანდა ზოგიერთი მისი ნაწილის ირრეოვნებას.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1928; ვ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955.

² K. Маркс и Ф. Энгельс, Соц., т. XVI, ч. II, გვ. 423.

³ ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბილისი, 1956, გვ. 107.



ერის თეორიის თვალსაზრისით ენის საერთო უმნიშვნელოვანესი ადგილი უკიაავს. კ. მარქსი ამბობდა, „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“, ენა ისევე ძველია, როგორც ძველია ცნობადობა“¹. ე. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ენა არის ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალება“. ენა ყოველი საზოგადოებრივი კოლექტივის ერთობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია. ენა განასხვავებს ერებს, ხალხებს ერთმანეთისაგან. ენა ხალხების, ერის უძველესი ნიშანია, მაგრამ, რასაკვირველია, არა ერთადერთი, არა რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობის ნიშანი, ელემენტარული სხვადასხვა ერის ისტორიაში ერის ამ თუ იმ ნიშნის, ელემენტის ზედრითი წონა, კონკრეტული ისტორიული ვითარების გამო სხვადასხვაა. ერთ შემთხვევაში ენას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, სხვა შემთხვევაში სხვა ნიშნებს, სხვა ელემენტებს. ი. სტალინი წერდა: „ერის ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ნიშანთა კავშირი, რომელთაგან ერების ურთიერთშედარებისას უფრო რელიეფურად იჩენს თავს ხან ერთი ნიშანი (ნაციონალური ხასიათი), ხან მეორე (ენა), ხან მესამე (ტერიტორია, ეკონომიურ პირობები)“².

შავალითად, შრავალროვან ინდოეთში, რომელშიც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა მოიპოვა, ერი საბოლოო ჩაპყალიძების პროცესშია, ზოგად-ეროვნული ენა პანდესტანში ჯერჯერობით არ არსებობს. ჩინეთში სოციალისტური ერი ვალიძდება, მაგრამ ჩინელებს ზოგადჩინური ენა არა აქვთ, უფრო მეტიც, ზოგიერთი ჩინური დიალექტი უფრო დამორბეულია ერთმანეთისაგან, ვიდრე უკრაინული, ბუღარუხელი ენები. ურთიერთვაგებინებისათვის ჩინელები, როგორც ცნობილია, იეროგლიფურ ნიშნებს იყენებენ და დიდ ჩინეთში განსხვავებულ დიალექტზე მოლაპარაკე ადამიანებისათვის იეროგლიფი არის ერთადერთი ენობრივი საკომუნიკაციო საშუალება. საზოგადოების გარეშე ენა არ არის, მაგრამ ენის გარეშეც არ არის საზოგადოება, ენა არაა ელასობრივი კატეგორია ენა ერთნაირად ემსახურება საზოგადოების ყველა კლასს. იგი ერთნაირად ემსახურება სხვადასხვა მაზისს. ენა ნაციონალური კულტურის ფორმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ენა ხალხუნების, ერის უძველესი ნიშანია. ელასობრიობა არ ახასიათებდა არც გვირის, არც ტომის, არც ხალხების, არც ერის ენას. პირველ ორ შემთხვევაში (გვირი, ტომი) კლასები არ იყვნენ,

მეორე ორ შემთხვევაში (ხალხუნება, ერი) კლასები იყვნენ, მაგრამ ენა მარქსისტობრივი იყო. გვირის, ტომის, ხალხების მს. ს. მარქსი შეიძლება ერთმანეთს ენაცვლებოდეს და ერთი იყოს და შეიძლება სხვადასხვა. მიხნეულია (იხ. ალ. ცაგარის, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, ირ. ჩიქობავას, ვ. თოფურის გამოკლებები), რომ უძველეს ხანაში იყო ერთი ზოგადქართული (ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით — ზოგადქართველური) ენა და მისი დიალექტები: საყურთივ ქართული, მკვრულ-ქანური (ე. ი. ზანური) და სვანური. შემდგომ, ისტორიულ ხანაში ამ ერთი ენის — ზოგადქართულის დიალექტებიდან ყალიბდება დამოუკიდებელი ენები: საყურთივ ქართული, მკვრულ-ქანური (ე. ი. ზანური და სვანური. ეს პროცესი, უნდა ვიფიქროთ, ჯერ კიდევ მონათმფლობელურ ხანაში იწყება, როდესაც მთავრდება ქართველური ტომების ლოკალურ-ტერიტორიული გამოიჯგანა და, შესაძლებელია, აღარც დედ ფეოდალურ ხანაშიც ვრძელდება. მაგრამ დიფერენციაციის პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა ინტეგრაციის პროცესი, ზოგადქართული საკომუნიკაციო ენის შექმნის უძლიერესი ტენდენციები.

პირივად, გარკვეული ხანიდან, ცალკეული ქართველური ენების გვერდით, უნდა ვიფიქროთ, არსებობდა, უფრო ზოგადი, ქართული ხალხუნების ზოგადი ქართული ენა. არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნემიზმატიკური, ფილოლოგიური-ენობრივი და ისტორიული კვლევის შედეგად უაქველ ხდება საქართველოში კლასების და, მამისადაც, სახელმწიფოს არსებობა III — IV საუკუნეებში ტვენ ერამდე“¹. სახელმწიფოში უნდა ყოფილიყო ოფიციალური, სამთხლეო ენა. შეიძლება ის ქართველური, ქართული ყოფილიყო, შეიძლება არაქართველური, არაქართული, რომელიმე მონათმფლობელ ან არამონათმფლობელ ქალერი სახელმწიფოს ენა (ახლაც ფინეთში, შავალითად, ორი სახელმწიფო ენაა: ერთი ფინური და მეორე შვედური; ინდოეთში ზოგადსახელმწიფოებრივი ენა ჯერჯერობით ინგლისურია. ჩინეთში ახლა ენერგება ზოგადჩინური ენა). ჩვენი აზრით, ამითაც შეიძლება აბხსნეს ის გარეუბობა, რომ, შავალითად-არმაზისხევის სამარხებში აღმოჩენილი ეპიგრაფიული ძეგლები ქართული ენაზე არ არის შესრულებული.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტეანობამ, რომელიც ჩვენი ნაბაჯებით იცავდა გზას ხალხთა ფართო მასებში, განსაკუთრებით პარსი,

¹ K. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. IV, стр. 20, 434.
² ი. სტალინი, თბ., ტ. 2, გვ. 324.

¹ იხ. შავ, ვ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოხსენებები, თბ. 1955.

მაგრად ჩისქიდა ხელი ყველაზე გავრცელებულ ზოგადქართველურ ქართულ ენას და, ისარგებლა რა ამ ენით, რომელიც მანამდეც ფართოდ იყო გავრცელებული, თვითონაც შეუწყო ხელი მის უფრო ფართოდ გავრცელებას, გადააქცია რა ის ზოგად საეკლესიო ენად. ქართული ენა გვარის, ტომის ენაზე მაღლა დგება, ის გვაროვნულ, ტომოვნურზე უფრო მაღლა მდგომი ხალხოვნების შეგნების გამოუმუშავებს უწყობს ხელს. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 492-493 წ. წ. ბოლნისის ქართული წარწერა იმის მაჟინებელიც არის რომ ეს ენა არა ლოკალურ, არამედ ზოგად ფუნქციას ასრულებს. შემდეგ ხანაში ბიბლიური, ამჟამინდელი, აგოგრაფიული მიიხრობანი, მარტილობანი (შუშანიის, ვესტატე მცხეთელის, ამბოხის ნეტარესელისა და სხვათა), უხოვრებანი, საისტორიო მწერლობა და სხვ., ამავე ზოგადქართულ ენაზე დაწერილი. საუკუნეების მანძილზე განუწყვეტელი ეროვნული შემოქმედება ერთ ზოგად ენაზე ქმნიდა გვარზე, ტომზე მაღლა მდგომ ზოგადქართული ხალხოვნების შეგნებას. ეს ზოგადი შეგნება განსაკუთრებით იმდენად თავს ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით ერთიან სახელმწიფოში (განსაკუთრებით გვიანდელი დღის ხანაში მე-10 — 12 სს.) ხატოთ ენა, რომელიც ემსახურებოდა ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ მოსახლეობას, თვითონ უწყობდა ხელს ქართული ხალხოვნების შეგნების ზრდას.

ამრიგად ენა არის ერთი უძველესი ნიშანთაგანი, რომელიც, რასაკვირველია, თავისთავად ერთ ან ქმნის, მაგრამ ხელს უწყობს მის კონსოლიდაციას. ქართველთა ზრდა-განვითარება მისსწრაფოდა იმისაკენ, რომ ტომოვნური და ენობრივი ტერმინი, ქართი ან, უფრო სწორად, ქართული გამხდარიყო ნაციონალურ-ელტრირულ ტერმინად და საქართველოდ გადაქცეულიყო. ქართულის საერთო ლიტერატურულ ენად გადაქცევა იმ პროცესი უფრო დაიქარა. უძველესი, გაცილებული უფრო ადრე შემუშავდა ის შეხედულება, რომელიც შემდეგ, შვათე საუკუნეში, მკვეთრად გამოთქვა გიორგი მერჩულემ: „ქართულად ფრიადი ქვეყანა აღიარებულა, რომელსა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწიროეს და ლოცვა ყოველი აღსრულების“¹, ე. ი. საქართველო არის ის ტერიტორია, რომელზედაც წირვა-ლოცვა, საზოგადოდ ღმრთისმსახურება, ქართულად სრულდება, ხოლო საეკლესიოსა-ღმრთისმსახურთა ენად ჩვენში ლიტერატურული ენა იყო ყოველთვის. გ. მერჩულეზე ადრეც, IX საუკუნეში, პალესტინაში, სინას მთა-

ზე გადახვეწილი ქართველები ლოცულობდნენ: „ყოველთა ქართულთათვის, ქართლისა მწმიდობისათვის, მის საზღვართა განსრულებისათვის“. მამუკავარი, ყოფილა შეგნება „ყოველთა ქართულთა“, შეგნება ზოგადი „ქართლისა“ resp. „საქართველოსა“, ზოგადი სახელმწიფოებრივი საზღვრებისა — ამ გარკვეული ერთეულის — „ქართლისა“ resp. „საქართველოსა“. მართალია, ეს ადრინდელ ფეოდალურ ხანას შეეხება, უფრო გვიანდელმა ფეოდალიზმმა კი საქართველოს სხეული ნაწილ-ნაწილ დაყო, ეს ნაწილები ერთმანეთს დაუბირისპირა და ხშირად სამკედრო-სახიციოქლო ბრძოლაშიც კი ჩაება, მაგრამ აქ ერთი გარემოება გასათვალისწინებელი: ერთმანეთს ებრძოდნენ ცალკეული ტომების გაბატონებული კლასები: ორბელიანები, დადიანები, გურიელები, დამეშქლეთანები და სხვ. ხალხი ქართველ დიდ თავადთა ამ ურთიერთბრძოლაში შედარებით ინერტული იყო. ზოგადქართული სოლიდარობის გრძნობები და ზოგადქართულის შეგნება არასოდეს წაშლილა საქართველოს ფეოდალური დაქვემდებარების კლასიციური მოგონებები, XVII — XVIII საუკუნეშიც კი.

ამავე დროს, ქართველი გლეხი თავგამოდებით იცავდა უცხოელ დამპყრობელთაგან თავის სამშობლოს, თავის საქართველოს. რამდენმა უსახელო ქართველმა გლეხმა მორწყო ეს ჩვენი მიწა არა მარტო ოფლით, სისხლითაც. რით იბხნება შირი ასეთი პატრიოტიზმი? და არა მარტო ქართველი გლეხის, ყველა ქვეყნის მიწის მუშის დიდი სიყვარული სამშობლოსადმი? ფ. ენგელსი წერს: „ფრანგი გლეხის ეროვნული გრძნობა ფაბრიკაშიმდე მიდის „La France“ (საფრანგეთმა. ვ. მ.) მისთვის მიიღო უდიდესი მნიშვნელობა, მას შემდეგ, რაც ფლობს მემკვიდრეობითა საკუთრების უფლებით საფრანგეთის პატარა ნაპერს. უცხოელებს ის იცნობს მხოლოდ როგორც დამპყრობთა არმიებს, რომელნიც აწიოებენ და ანადგურებენ ქვეყანას და რომელნიც მას უდიდეს ზარალს აყენებენ. ამით აიხსნება ფრანგი გლეხის უსაზღვრო ეროვნული გრძნობა, მისი საზღვრებსგაღვიტებული სოციალური „l'étranger“¹ (უცხოელისადმი ვ. მ.). უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი გლეხის პატრიოტიზმი, სხვა მომენტებთან ერთად, ამავე გარემოებით უნდა იბხნეს.

როდესაც ხალხი ერთ ტერიტორიაზე სახლობს, ერთ ენაზე ლაპარაკობს, რასაკვირველია, ის ქმნის ერთს, ამ ხალხისათვის დამახასიათებელ ზოგად კულტურას. ავიღოთ მაგალითისათვის ქართველი ტომები. ქართველი, შვედურ-ქანები, სევანები, სახლადნენ რა ამ ტერიტორიაზე ასე-ული წლების მანძილზე, ურთიერთშორის გარკვეულ კავშირებს ამყარებდნენ და ცხოველ ურ-

¹ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნ. მარის გამ. გვ. მო. თბ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ი. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორია“, თბილისი, 1948, გვ. 11 — 12.

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 6, გვ. 509.



თავითდამოკლებულებაში იმყოფებოდნენ, ამას უწყობდა ხელს ის, რომ ისინი ერთ ტერიტორიაზე კომპაქტურად სახლობდნენ. ქართველ ტომებს, მათი არსებობის დიდ მანძილზე ყოველ შემთხვევაში, საერთო ენა ჰქონდათ, რომელიც მათ ენათა ვითარებაში აკავშირებდათ. მათ მუდამქანი საერთო მტერი ჰყავდათ, ჰქონდათ საერთო კულტური, რომელიც ავლენდა მათი ფსიქიკური წყობის ერთობას. ქართველი ტომების კულტურის ენა მუდამ ქართული იყო. ეს რასაც ვერცხვავდა, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ეს ტომები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ და ეს განსხვავებანი არ ვლინდებოდა მათ ხასიათში, ტემპერამენტში. ზღვისპირეთის ქართველი და შიველი მთებზე კლდეებზე დასახლებული მთელი ყველაფერი ერთმანეთის არ ჰგავდნენ. ეს იყო არაარსებითი ხასიათის განსხვავებანი. რომელიც ერთი ხალხისათვის დამახასიათებელ ზოგად თვისებებს არ სცოდნობდა, ამდიდრებენ, მრავალფეროვანს ხდიდნენ ზოგადქართულ ხასიათს, კულტურას, ფსიქიკურ წყობას და, მამისადაც, სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას ანიჭებდნენ ჩვენი ხალხის კულტურას.

გასათვალისწინებელია ერთი გავრცობაც. ფსიქიკური წყობის ერთობა გარეგნულად ერთგვარად როდი ვლინდება. არსებობს სხვაობა აქტივტეტურაში, ბინების გვემარებაში და მათს მოწყობილობაში, ტანისამოსის ორნამენტაციაში და გამოკრის წესში, მუსიკაში, ცეკვებში და ა. შ. მაგ., საქართველოში ყოველივე ეს კარგად ჩანს.

განვიხილოთ დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს შესვლა, სიმღერა. იმერული ოდა და ქართლური სახლი, ხევისურთა ტანსაცმელი და მისი ორნამენტაცია და, მაგალითად, გურულითა ამ აქართველი საქარა და ა. შ. საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებისა და ადამიანთა ფსიქიკური წყობის, კულტურის ფორმათა განვითარებასთან ურთიერთდამოკიდებულება ჯერ ზომ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული. კულტურის ერთობა სრულიად არ ნიშნავს მისი ელემენტების სრულ. იდენტურობას. ისეთ განვითარებულ ერშიც კი, როგორცია რუსეთი, ეს განსხვავებანი მკვეთრად იჩენენ თავს. ეს, რასაც ვერცხვავდა, პირველ რიგში, გამოწვეულია სამეურნეო მოღვაწეობის ლოკალური თავისებურებით, შემდეგ—გეოგრაფიული გარემოს ვაგლენით გარკვეული ტრადიციებით, სხვა კულტურის ხალხის ვაგლენით და ა. შ.

აქართველი ტომებიც, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე სახლობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნებაში, მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველი ტომების კულტურის გაგლენის განიცდიდნენ. აპრიორულად შეიძლება ვთქვათ, რომ პირველ პროცესებსაც ჰქონდა ადვილი, მაგრამ ეს ვითარება ჯერ სათანადოდ შეს.

წავლილი არ არის. ქართველ ტომებს გაცხოველებული კავშირი ჰქონდათ დიდგვარეულთა და აღმოსავლურ კულტურებთან, და მათ მათი მონაწილენს თვითმყოფადი დამოკიდებულები კულტურა, ეს მხოლოდ იმავთ, რომ ჰქონდათ ზოგადქართული კულტურა. რაც სრულიად საქართველოში იყო მხოლოდ ქართული დამწერლობა, ეს გარემოებაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ტომების დაახლოებას, ტომოვნური კავშირების ვახშირებას და გააღებებას. ცხადია, რომ ეს კავშირები არ ყოფილა მყარ და ხშირად ისინი ირღვეოდნენ, საშინაო და სავაგრო პირობების ვაგო ტომები ერთმანეთს სცილდებოდნენ და ლოკალურ ფარგლებში მოქცეულ ცხოვრებას აწარმოებდნენ. ისიც ცნობილია, რომ იყო საწინააღმდეგო პროცესიც.

ხალხოვნური ერთობა ქმნის მრავალ შემთხვევაში ძლიერ, ზოგადხალხოვნურ კულტურას. მაგრამ აქაც არ შეიძლება განვიხილოთ, ზოგადი ხასიათის, კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებას მოწყვეტილი მსჯელობა. ყველა ხალხოვნება ერთნაირად არ ვითარდება, ზოგი ჩამორჩება თავის განვითარებაში, კულტურული ცხოვრების სფეროში ვერ ქმნის ღირსშესანიშნავ ძეგლებს, მათი კულტურა ხშირად არ სცილდება ეთნოგრაფიულ ფარგლებს. სხვა ქვეყნებში სხვა მდგომარეობა იქმნება. მე-16 საუკუნეში, ინგლისის ერი საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ იყო, ინგლისის ხალხს კი უკვე ჰყავდა შექმნილი. გერმანია მე-19 საუკუნის საშობდაათთან წლებამდე დაქვემდებებული იყო, გერმანელი ერი საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ ყოფილა, მაგრამ გერმანელი მიაზროვნე და მწერალი იყო გოეთე და განა მარტო გოეთე! გვიხსენით კარტი, ქეგელი, ფიტხტი, ლესინგი, შილერი და მრავალი სხვა გამოჩენილი, მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოსები, მხატვრები, მიაზროვნენი... იგივე ვითარება იყო უკლებლაც ყველა დიდი კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყანაში. ცნობილია, რომ მე-11 — 12 საუკუნეებში არსებობდა ძლიერი ქართული კულტურა, რომლის აღმავლობას და წინსვლას ხელი შეუწყო მძლავრი ქართული ცენტრალიზებული პოლიტიკური გაერთიანების, სრულიად საქართველოს სახელმწიფოს არსებობამ. იმ დროს არსებული მაღალი კულტურის იმსაც მოწმობს, რომ ქართველი ერი ჩამოყალიბების, werden sein-ის პროცესში იმყოფებოდა. ფრანგი ისტორიკოსები ფ. და ს. ვილარები იმავე ვითარებას აღნიშნავენ საფრანგეთისათვის¹.

ეროვნული შეგნების გამოქვეყნებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოწინავე იდე-

¹ G. et C. Willard, Formation de la Nation Française, Paris, 1955, გვ. 26. ისინი წერენ: „იმ დროს (12 — 13 ს. ს. — გ. შ.) წარმოქმნილი ეროვნული კულტურა გაიზიარებდა ფორმირების პროცესში მყოფი ერის პროტურესს“.

ოლოვთა მოღვაწეობას, პროგრესული ინტელიგენციის ღვაწლს. ხალხოვნურ, ეროვნულ შეგნებას პირველ რიგში ხალხოვნების, ერის ინტელიგენცია ქმნის, მას კი ხალხი, მისი შემოქმედება ემზავს და ასაზრდოებს. ეროვნულ-გამათავისებლებელი მოძრაობანი განსაკუთრებით უწყობენ ხელს ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის აყვავებას. ცნობილია, მაგალითად, რომ მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ჩებური ერევნული მხატვრული ლიტერატურის გაფორმებისა და აყვავების ხანა იყო. ჩები შერატლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ეროვნულ-გამათავისებებელ მოძრაობაში არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ პოლონეთშიც, სადაც ისინი აჯანყებულთა რაზმებში მონაწილეობდნენ. გავიხსენით ბაირონი, შოპენი, მიცევენი და მრავალი სხვა, ანდა ჩვენი ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძისა და ბუერის სხვა გამოჩენილი მოღვაწის სახელი. ვანთქმული იტალიელი რევოლუციონერი ჯუზეპე მაკინი (მის გვარს შეცდომით ჰშირად წერენ მაქინი — ვ. მ.), რომელიც ვარიზალდისთან ერთად ხელმძღვანელობდა ეროვნულ-გამათავისებებელ მოძრაობას იტალიაში და ჰშირად, ცოტა არ იყოს, ვაღაპარებებით აღნიშნავდა, ეროვნული იდეა, ახალი ევროპის გაბატონებული იდეაო, 1848 წელს, თავის მიმართვაში გამოჩენილ იტალიელ კომპოზიტორ ჯუზეპე ვერდისადმი ასე წერდა: „ის, რასაც მე და ვარიზალდი ვაკეთებთ პოლიტიკაში, ჩვენი ხანროთ მეგობარია ა. მაკინი აკეთებს პოეზიაში, ყოველივე ამას თქვენ მუსიკაში აკეთებთ. ჩვენ ყველანი შეძლებისდაგვარად ვეშასხურებით ხალხს“¹.

ქართველთა ეროვნული შეგნების განმტკიცებაში ზ. ღალიაშვილს, მ. ბალანჩივიძეს, დ. არაყიშვილს, ნ. სულხანიშვილს განუზომელი ღვაწლი მიუძღვით. ასევე დადი ღვაწლი მიუძღვით გერმანელთა ეროვნულ შეგნებაში იმავე რიგში ვიგნერს, რუსთა შეგნებაში — გლინკას, ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, ბოროდინს, სიმბების შეგნებაში — კომიტასს, სპენდიაშვილს და ა. შ.

ამავე როლს ასრულებს მხატვრობა. გავიხსენით რუბინი, სურიაკვი რუსეთში, გ. გაბაშვილი, მ. თოიძე საქართველოში, დავიდი საფრანგეთში და ა. შ. ჩვენ აქ არას ვამბობთ ეროვნული სახალხო სკოლის შესახებ. კ. მარქსს ჰშირად უთქვამს, 1871 წლის პრესია — საფრანგეთის იმ პრესიულმა სახალხო მასწავლებლებმა მოიგოთ. აკამ გოგებაშვილის „ღედა ენა“ რომ არ გვჭონოდა, როგორი ჩაობრუნენილი იქნებოდა ქართველობის შეგნება. რას ნიშნავს ეროვნული შეგნება? პირველ ყოვლისა, რომელიც ვარკვეული ეროვნული კულტურისადმი თავისი თავის მიკეთვებას, საკუთარი ინტერესის ზოგადეგრო-

ნული ინტერესისათვის დამორჩილებას, ეროვნული შეგნება, ეროვნული ეფუძნება ეროვნულ ისტორიულ ეპოქებში წარმოქმნება. ვ. ი. ლენინი წერდა: „ნამდვილად ნაციონალური იმება, რომლებსაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით 1789 — 1871 წლებს ევოპაში, საფუძვლად ედო ხანგრძლივი პროცესი მასობრივი ეროვნული მოძრაობისა, აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა, ეროვნული წაგების დამხობისა და სახელმწიფოთა შექმნისა ეროვნულ საფუძვლზე... ამ ეპოქის მიერ შექმნილმა ნაციონალიზმმა იდეოლოგიამ ღრმა კვალი დატოვა წერილი ბურჟუაზიის მასაში და პროლეტარიატის ერთ ნაწილში“¹. სოციალისტური რევოლუცია, რომელიც კულტურული, ინტელექტუალური ცხოვრების ფერხულში ამაშს ჰილიონობით ადამიანს კიდევ უფრო ზრდის და აყალიბებს ეროვნულ შეგნებას. კომუნისტური პარტია ახორციელებს ამოცანას — ეს შეგნება არ მოექცეს ვიწრო ჩარჩოში, არ ვადაიქცეს ეროვნულ ეგოიზმად და იგი ინტერნაციონალისტური შეგნების ერთ-ერთი საფეხური გახდეს.

ერების შერწყმას, მათ მისობა-გადაშენებას, დიდუბას, მათს დამლას ან სხვა ერთად გადიქცევას ისტორია ჯერ არ იცნობს. ერებს ვამძლეობის კოლოსალური ძალი აქვთო, აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი. შეიძლება ხალხმა ან მისმა ნაწილმა მიატოვოს საკუთარი მიწა-წყალი, სხვაგან დასახლებს და იქ ახალი ერი წარმოშვას. ასეთია, მაგალითად, ჩრდილოეთის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ახალი ერები. მაგრამ ესეც რთული და ამ შემთხვევაშიც დიდი ღრთის მომცველი პროცესია. პოპულარული ამერიკელი შეერალი და ისტორიკოსი, ლინკოლნის ცხოვრების შემტაინე კარლ სანდბურგი თავის ავტობიოგრაფიაში წერდა: „მე ჰშირად დავფიქტებულვარ, რას წარმოადგენს ისეთი ახალი, სტების ქალაქი, როგორცაა ჰაილსბურგი (აქ დაიბადა შერალი — ვ. მ.), აქ იყო ათასი მცხოვრებელი და ყველა აქ მოვიდა ამ ირომიციოდ წლის წინათ და განა რაიმე განსაკუთრებული თვისებით გამოირჩევა ჰაილსბურგი შეერთებული შტატების სხვა ქალაქებისაგან? შემოილია ვანი ეთქვა, რომ ვიყნობ შეერთებულ შტატებს? შეეღებში ამა თუ იმ ქალაქში შეეღებო ცხოვრობენ, ინგლისში — ინგლისელები, ირლანდიაში — ირლანდიელები. ჩვენთან, ჰაილსბურგში, ვის არ შეგვღებოთ, ვინ იყის, რომელი მხრიდან მოვიდნენ ისინი, და რა გამოვა ყოველივე ამისაგან? ჩვენ აქ არას ვამბობთ, იმაზე, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებში ირი ერისაგან შეეღება — ენაოვული მიღგომის ხალხისაგან და ზანგებისაგან, რომელნიც, განსაკუთრებით სამხრეთის შტატებში, სრულიად და-

¹ Scritti edite ed inedite di G. Mazzini, Epistolario, V. XVIII, Jmola, 1928, გვ. 286

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 182.

მოუცილებელ ერთეულ ერთეულად ჩამოყალიბდნენ.

წინააღმდეგ ერისა, რამდენიმე ხალხოვნება, ტომებზე რომ არაფერი ვთქვათ, შეიძლება შეიარაყოს და გადაიქცეს ერთ ერად. მაგალითად, სახმრეთ საფრანგეთში მთავარი პოლიტიკური ერთეული — ტულუზის საგრაფო, რომელიც რომანსა და გარონის შორის მდებარეობდა, ჩრდილოეთ საფრანგეთის ხალხოვნებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. სახმრეთს თავისი ენა („ლანგოკი“, ჩრდილოეთის დიალექტების განსაკუთრებით, რომელსაც კრებთი სახელს „ლანგლოილს“ ეძახდნენ), თავისი კულტურა, თავისი უფლებრივი ნორმები ჰქონდა და, მიუხედავად ამისა ეს ორი დამოუკიდებელი ხალხოვნება შეირწყა და წარმოიქმნა ფრანგი ერი. ცნობილია, რომ ფრანგი ერიც სხვა ეთნოკური ელემენტებიც გავრცდიანდნენ. საფრანგეთის დღევანდლამდე ამისათვის პრაგინციების თავისებურება. ფრანგები ამჟამუნე კიდევ თავიანთი კულტურის, ხასიათის მრავალფეროვნებით და ეს თავისებურება საფრანგეთის ცხოვრების დადებით მომენტად მიაჩნათ.

ისტორია იცნობს ისეთ ვითარებასაც, როდესაც ერთი ხალხოვნება სათავეს იძლევის რამდენიმე ერს. უძველესი რუსეთის ხალხოვნებამ განვითარებისას წარმოქმნა რამდენიმე ერი, ევლიკორისი ერი, უკრაინელი ერი, ბელარუსი ერი და ა. შ.

ხალხოვნების არსებობისათვის აუცილებელი ტერიტორიული ერთობა. არავითარი განსხვავება ხალხოვნებისა და ერის ტერიტორიულ ერთობას შორის არ არსებობს. ტერიტორიული ერთობა იმას ნიშნავს, რომ ხალხი, რომელიც ამა თუ იმ ხალხოვნებას და შეედგომი ზანქში უყვე ერს წარმოქმნის, სახლობს ერთ გარკვეულ მიწა-წყალზე, უჭირავს ეს ტერიტორია მთლიანად, რომ ეს ტერიტორია არ არის დასერილი რაღაც რთულად გადასალახავი ბუნებრივი საზღვრებით (ოკეანეები, ზღვები, მიწვალა უღელტეხილები და ა. შ.), რომ ამ ტერიტორიაზე არ სახლობს, შეეშუპილი არ არის ამ ხალხოვნებისა თუ ერისათვის უცხო ნაციონალური მკლავრი მსოფები.

ამრიგად, ტერიტორიული ერთობა, ენის ერთობა კულტურის გარკვეული ერთობაც, რომელიც ტომების კავშირებს და ხალხოვნებას ახასიათებდა, მთონე კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ბურჟუაზიული ერი უყვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ტომებს, მათ კონფედერაციებს, ხალხოვნებასაც გარკვეული ეკონომიური კავშირები და ურთიერთობაც ჰქონდათ, ჰქონდათ პოლიტიკური კავშირებიც, მაგრამ ეს კავშირები სპორადული ხასიათის ატარებდა, გამომატავდა და შეეფერებოდა სწარმოო ძალთა საერთო ჩამორჩენილობას, რაც დამახასიათებელი იყო იმ დროს ეკონომიურის განვითარებისათვის. ისე როგორც ტომების კავშირი, ხალხოვნებაც თავისი განვითარებაში სხვადასხვა სტადიას ვაივლიდა. ერთი,

მაგალითად, ქართული ხალხოვნება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დასრულდა სხვაი მეტრამეტე საუკუნის სამოციანე სამოციანეთთან წლებში, როდესაც სრულდება მისი განვითარება და ქართველი ერი საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა. თუთი ხალხოვნების ისტორიამ იცის ისეთი პერიოდები, როდესაც მის შიგნით სხვადასხვა ხასის კავშირები ძლიერდება (მაგ., საქართველოში მე-11, 12 საუკუნე), ან, წინააღმდეგ, სხვადასხვა სამინაო და საგარეო პირობების გამო ეს კავშირები ხსტკდება (მე-13 — 18 საუკუნეები). ხალხოვნების განმტკიცების დროს შექმნილი კულტურული, პოლიტიკური ერთობის შეგნება, რედიმენტულად, ტრადიციის სახით დიდხანს არსებობს და იგი, მაგალითად, ფეოდალური დაშლისა და აღრევის დროსაც ინარჩუნდება თავის ძალას. უფრო შეტის თქმაც შეიძლება. ეს მთავანება ყოფილ ერთობაზე დიდ პროგრესულ როლს ასრულებს და ერთ-ერთ ბერკეტად იქცევა, რაც საფუძვლად ედება მომავალი ეროვნული ერთობის შეგნებას. სხვა მაგალითები, რომ არ დაეასახელოთ, გავისენლოთ დაეთ გერმანიშვილი, — ეროვნული ერთობის გამოჩენილი იდეოლოგია, რომელიც საქართველოს ფეოდალური დაქსაქსულობის ვეგალზე უფრო ტრაგიკულ ეპოქაში ცხოვრობდა, წერდა და მოღვაწეობდა.

რომის ბატონობის დამშობის შემდეგ იყევა ფეოდალური საზოგადოების ფორმირების პროცესი. ვითარდება საწარმოო ძალები და შრომის განაწილება. ეკონომიური ცხოვრება წინ მიდის. ქალაქები უყვე გარკვეულ როლს ასრულებენ ხალხთა ცხოვრებაში. დასავლეთ ევროპაში ვეგლვან, როგორც აღნიშნავენ მარქსი და ენგელსი, ფეოდალურ სამყაროში შეიკრებოდნენ ქალაქები ანტიფეოდალური გეონომიური და პოლიტიკური ინტერესებით. დაახლოებით ასეთ პროცესს, მაგრამ უფრო ნაკლები ინტენსიობით, დეგელი ჰქონდა საქართველოშიც, (XI — XII ს. ს.). აქაც მნიშვნელოვნად განვითარებულა ქალაქები¹ ზელს უწყობდნენ პოლიტიკური ცენტრალიზაციის ტენდენციებს.

ფეოდალურ სამყაროში დაშვარდა ხალხთა გარკვეული ტერიტორიული ერთობა. ეს ერთობა ფეოდალისების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ხან ძლიერდებოდა, ხან ხსტკდებოდა. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ იგი თითქმის მთლიანად წყდებოდა და იშლუბოდა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ფეოდალისში ამა თუ იმ ქვეყანაში ერთხანად არ ვითარდებოდა. ეს სპეციფიკა გამოყეული იყო მრავალი სამინაო და საგარეო პირობით. ფ. ენგელსი აღნიშნავს: „მაშინ როცა ინგ-

¹ იხ. III. A. Мехиа, Из истории грузинского феодального города. IX—XIII в. в. Труды Института истории им. И. А. Джавахишвили АН ГССР, т. II, 1956, стр. 131—152.

ლისსა და საფრანგეთში ვაჭრობის რა მრეწველობის აღმავლობამ მთელი ქვეყნის ინტერესთა გადახლართვა და ამით პოლიტიკური ცენტრალიზაცია გამოიწვია, გერმანიაში ამ პროცესის შედეგად მოხდა მხოლოდ ინტერესთა დაჯგუფება პროვინციების მიხედვით, წმინდა ადგილობრივი ცენტრების გაჩენა და მშასხადამე, ქვეყნის პოლიტიკური გაქვეყნება¹. მგევე პროცესი პიშინაჩრებად XIII — XVIII საუკუნეების საქართველოშიც.

ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური, პოლიტიკური სტრუქტურა ხელს უშლიდა ხალხთა უფრო შვიდობა დაახლოებას და გაერთიანებას ხალხთაგანის საზღვრებშიც კი, მაგრამ ფეოდალური საზოგადოების განვითარების იმეტიტური პირობები მოათხოვდნენ წარმოების შემდგომს გაფართოებას, შრომის განაწილების უფრო მაღალ ფორმებს, ადამიანთა კოლექტივების, ხალხთა შორის ცხოველ გაცეცა-გამოცეცას. ამ პროცესს კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერის ფორმირებისათვის. ამ ეკონომიური პროცესის პოლიტიკური გამოხატულება ისიც იყო, რომ „შედის ხელისუფლებამ, მოქალაქეებზე დაყრდნობით, ფეოდალური თავიდაზნაურობის ძლიერება ვასტება და დიდა არსებითად ეროვნებაზე დაფუძნებული მონარქიები დაამყარა“².

მეფე ფეოდალური დაქსაქსელობის პირობებში, გამოხატავდა რა პოლიტიკური ცენტრალიზაციის იმეტიტურად პროგრესულ ტენდენციას, ისტორიულად დადებით როლს ასრულებდა ფ. ენგელსი წერს: „მთელი ამ არეულარეების (ფეოდალური არეულარეების ხანაში — ვ. მ.) დროს სამეფო ხელისუფლება, რომ პროგრესულ ელემენტს შეადგენდა ის საცხებით ცხადია. იგი იყო წესრიგის წარმოადგენელი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერისა“³.

ქ. და კ. ვილარები წერენ: „თავდაპირველმა მონარქიულმა ცენტრალიზაციამ (საფრანგეთში XII — XIII საუკუნეებში— ვ. მ.) გაზარდა სამეფოს ტერიტორიული შემოღობვა და გააძლიერა ეკონომიური და კულტურული ერთიერთობანი. სამეფო ხელისუფლება, რომლის აღზევებად ნაციონალური კავშირების გაძლიერებას ეყარებოდა, თავის მხრივ, ხელს უწყობდა მათს გამტკიცებას. დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელიც მონარქიულმა სახელმწიფომ შეასრულა ნაციონალური ელემენტების კონსოლიდაციაში, იძლევა იმის ახსნას, თუ რატომ იყო ასე დიდახანს ნაციონალური გრძნობა მონარქიულ

გრძნობასთან გაიგივებული“¹. გ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავენ, რომ მონარქიულების დამყარება საფრანგეთში დაემთხვა ლუდვიკო XI-ის (1461 წ.) ტახტზე ასვლის. მან შეძლო, მაშინ არსებულ ფრანგულ ტერიტორიაზე იდეოლოგია საფრანგეთის ერთობა. ინგლისში აბსოლუტიზმის დასაწყისი ემთხვევა სამეფო ტახტზე ტიუდორების დინასტიის ასვლას (1485 წ.). სკანდინავიის ქვეყნები დიდი ხანი გაერთიანებულნი იყვნენ. „პოლონეთი, სადაც მეფის ხელისუფლება ჯერ კიდევ დაუსტებული არ იყო, ლიტვასთან გაერთიანების დროიდან დაწყებული თავისი ბრწყინვალეების ხანას უახლოვდებოდა. თვით რუსეთშიც მთავრების დამარჩილება თათართა უღალბადაც განთავისუფლებასთან ერთად მიმდინარეობდა და საბოლოოდ დავიარგინდა ივანე მესამის დროს. მთელ ევროპაში ჯერ კიდევ მხოლოდ ორი ქვეყანა იყო, სადაც არ არსებობდა არც სამეფო ხელისუფლება და არც ეროვნული ერთიანობა, რომელიც მის გაერმე წარმოუდგენელი იყო, ან ორივე არსებობდა ქალაქებში, ესაა „იტალია და გერმანია“². ცნობილ სტატიისში — „რევოლუციური ესპანეთი“ კ. მარქსი ფ. ენგელსი წერდნენ: „ევროპის მსგავლ სახელმწიფოებში აბსოლუტური მონარქია გამოდის, როგორც მაციონალიზებული ცენტრი, როგორც ეროვნული ერთიანობის ფუძემდებელი“³. ანალიზიერი ვითარება იყო საქართველოში.

დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარის სამეფო ხელისუფლება, ებრძოდა რა ფეოდალთა სეპარატიზმს, თავისუფლებდა ქართველთა მიწა-წყალს უცხოელ დამპყრობთაგან და ამით ამტკიცებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობას. ეროვნული შეგნების გამოშეშეების პროცესი შეიძრადა იყო დაკავშირებული ამ ისტორიულ ვითარებასთან. ამის მამევენებელი იმდროინდელი კულტურის სფეროში მნიშვნელოვანი წიხსლება: ბეჭა და ბეჭენ ომარები, დიდი მასშტაბის დახვეწილი გემოვნების არქიტექტურული ძეგლების მშენებლობა, ფილოსოფიური აზროვნების განვითარება, პეტრიწი, გენიალური შოთა რუსთაველი და ა. შ.

ამრიგად, არც ტომოვური კავშირები, არც ის კავშირები, რომლებიც მონათმფლობელურ საზოგადოებაში იქმნებოდნენ, არც ფეოდალური ეპოქის ხალხთა გაერთიანებანი ჯერ კიდევ არ ქმნიდნენ სრულიად ურყვე ეროვნულ მთლიანობას და ერთობას. ხალხთა დასახლება — გადასახლების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო სულ მთლიანდ დამთავრებული. ეროვნული სახელმწიფოები ჯერ

¹ ფ. ენგელსი, გულხთა ომი გერმანიაში, თბილისი, 1956, გვ. 24 — 25.

² ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბილისი, 1954, გვ. 7.

³ ფ. ენგელსი, გულხთა ომი გერმანიაში, თბილისი, 1956, გვ. 190.

¹ G. et C. Willard. დასახლებული ნაშრომი, გვ. 25.

² K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. 1, გვ. 449—450.

³ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. X, გვ. 721.

არ იყო შექმნილი და მათი საზღვრები არ იყო საბოლოოდ გამოჯნული.

ფეოდალურ სამყაროში შესაძლებელი გახდა ხალხთა გარკვეული ტერიტორიული ერთობა, მაგრამ ასეთი ერთობაც არ ქმნიდა საბოლოოდ ერს, მიუხედავად ფეოდალური ხანის ქალაქების განვითარებისა, ცხოვრების წინსვლისა და ამ საზოგადოებაში არსებული გარკვეული ეკონომიური კავშირებისა.

ფ. ენგელსი ნაშრომში „ფეოდალიზმის დამლახვა და ბურჟუაზიის განვითარება“ აღნიშნავს, რომ ძველი რომის იმპერიის დამსხვრევე ახალი სახელმწიფოებების საზღვრები ენობრივ ჯგუფთა დასახლების მიხედვით იყო გაბარებული. საერთო ენა ნაციონალური სახელმწიფოების წარმოშობის საფუძველი გახდა. ამჟამად დროს, სახელმწიფოები, სადაც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ (მაგალითად, ლატარინგია), დაიშალნენ, განაგრძობს ენგელსი. მარქსი და ენგელსი დიდ როლს ანიჭებდნენ ენას ერის ფორმირების პროცესში, მაგრამ მის არ თვლიდნენ ადამიანთა კოლექტივის კეთილშეშობის ერთადერთ ფაქტორად. მიუხედავად იმისა, რომ ნიცი-სა და საფოიაში ფრანგულ ენასთან ახლო დი-ალექტზე ლაპარაკობდნენ ენგელსს მიანდა, რომ, რადგან ეს პროვინციები ეკონომიურად პიემონტისაგან იზღვეოდნენ, ისინი მასთან — და არა საფრანგეთთან — უნდა იყვნენ დაკავშირებული.

ერის საბოლოო ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მყარ ეკონომიურ ერთობას. ენგელსი წერს, რომ ახალი ეროვნებანი ვითარდებოდნენ შუა საუკუნეების არეულ-დარეულობის დროს და „შუა საუკუნეების დასასრულთან ისტორიის მიუხედავად ევროპაში დიდი ნაციონალური სახელმწიფოების შექმნისაგან (Konstituierung)“¹. ამრიგად, დიდ ეროვნებათა წარმოქმნის პროცესის დასაწყისი უკავშირდება კაპიტალიზმის ეკონომიური ფორმაციის წარმოქმნას.

რა წინამძღვრებია საერთო ამ ეკონომიური ერთობის დამყარებისათვის. პირველი წინამძღვარია შრომის განაწილება ხალხოვნების სხვადასხვა ნაწილს შორის. შრომის საზოგადოებრივი განაწილება უშუალოდ არის დაკავშირებული შრომის ტერიტორიულ განაწილებასთან, ჰალაქის სოფლიანდ გამოყოფასთან, რაიონების სპეციალიზაციასთან. ერთი რომელამე რაიონის სპეციალიზაცია იმას იწვევს, რომ ამ რაიონებს არ შეუძლიათ უერთმანეთოდ არსებობა. ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში „ეგვიპტოლოგიური ბაზრების საკითხის გამო“ წერდა: „ბაზარი“ ცნება სრულად განუყოფელია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების... ცნებისაგან. „ბაზარი“ ნიშნავს იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც ნიშნავს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სასაქონლო წარმოება. ბაზრის სიდიდე განუერყვად

დაკავშირებულია საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაციის დონესთან“². რასაკვირველია, თეთი ეს სპეციალიზაცია ბუნებრივ მართებულად ითვალისწინებს. კ. მარქსი „კაპიტალიზმის წარმოშობის კაპიტალისტური წარმოების წესი ველისხმობს აღამიანის ბატონობას ბუნებაზე. მეტისმეტად ველზე ბუნება აღამიანს, როგორც ბევრს, ხელით ატარებს“. იგი არ ხდის მის საკუთარ განვითარებას ბუნებრივ აუცილებლობად. კაპიტალის სამშობლოა არა ტრადიციული პეიზისი დიდმნიშვნელოვანი მცენარეულობით, არამედ — ზომიერი ზონა. არა ნიადაგის აბსოლუტური ნაკლებობა, არამედ — მისი დიდფერენცირება, მისი ბუნებრივი პროდუქტების მრავალფეროვნება შეადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბუნებრივ საფუძველს“³. ეკონომიური ერთობის მეორე წინამძღვარია რაიონებში, კომუნისკაციის სხვა განვითარებული საშუალებანი და. ბოლოს, მესამე წინამძღვარია რაიონებს შორის საქონლის დენადობა, ვ. ი. მალაი სისაქონლო მუდრინობის არსებობა. ყველა ეს წინამძღვარი თავისთავად, დამოუკიდებლად არ არსებობს, და ერთდროულად არ შეიქმნება. უბრალო სასაქონლო წარმოება და ადგილობრივი ბაზრები წინამძღვარია კაპიტალისტურ ხანაში წარმოიქმნებიან. ისინი ხალხოვნების პირობებშიც არსებობენ. ფეოდალური ეპოქაში ეკონომიური კავშირები ცალკე რაიონებს შორის შეიძლება არსებობდნენ, შეიძლება არც არსებობდნენ, ამით წარმოების პროცესი არ ირღვევა, სულ სხვა ვითარებაა კაპიტალიზმის დროს. აქ წარმოებული ფაქტორად უკვე ჩამოშორებულია წარმოება საშუალებებს, საშუალო ძალა საქონლად იქცევა, ყოველივე ეს იწვევს ადგილობრივი ბაზრების ერთმანეთთან დაკავშირებას, მათს კონცენტრაციას ერთ ეროვნულ ბაზრად.

ამრიგად, ფეოდალიზმის დამსხვრევე, კაპიტალიზმის წარმოქმნის ეპოქა არის თანამედროვე ბურჟუაზიული ერების წარმოშობის ხანა. კაპიტალიზმის წარმოების წესი აშვიდროებს მოსახლეობას, ხდება წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და საკუთრების კონცენტრაცია მცირეოდენთა ხელში. ამრიგად, ისაბა წარმოების საშუალებათა, ქონებისა და მოსახლეობის დიქტონიკა. ყოველივე ამის აუცილებელი შედეგი იყო პოლიტიკური ცენტრალიზაცია. დამოუკიდებელი, ამ თითქმის მხოლოდ საკავშირო ურთიერთობით დაკავშირებული პროვინციები, აღმურვილი სხვადასხვა ინტერესებით, კანონებთა, მთავრობებით და პაეებით, შედუღებული იქნენ ერთ ენად — ერთი მთავრობით, ერთი კანონმდებლობით, ერთი ნაციონალური კლასობრივი ინტერესით, ერთი საბაუო ხაზით“⁴. ამა-

¹ ვ. ი. ლენინი. თბ., ტ. 1, გვ. 104.
² კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი პირველი. თბილისი, 1954, გვ. 647.
³ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, 1954, გვ. 44.

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. 1, гл. 453.

ვე გირემოვებს უსვამდა ხაზს ვ. ი. ლენინი. ის წერდა: „ერები საზოგადოებრივი განვითარებას ბერძენული ეპოქის აუცილებელი პროდუქტი და აუცილებელი ფორმაა“¹.

ნაშრომში „რანი არიან ხალხის შეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ ვ. ი. ლენინი წერდა: „ნამდვილად რუსეთის ისტორიის მხოლოდ ახალ პერიოდს (დაპტობებით მე-17 საუკუნეში) ახასიათებს ფაქტორი შეერთება... ყველა ოლქისა, მიწებისა და სამთავროებისა ერთ მთელად. ეს შეერთება... გამოწვეული იყო არა გვაროვნული კავშირით და თუნდაც არა მისი განგრძობითა და განზოგადებით: ეს გამოწვეული იყო ოლქებს შორის ვადავ-ვაიმოცების გაძლიერებით, საქონლის თანდათან შარბად მიმოქცევით, მეორე ადგილობრივი ბაზრების კონცენტრაციით ერთ სრულად-რუსეთის ბაზრად? ამ პროცესს ბერძენული ხელმძღვანელობდა აღნიშნავს ლენინი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ და სხვა შემთხვევაშიც ვ. ი. ლენინი ბერძენულის როლს ისტორიული თვალსაზრისით განიხილავდა. ერთ როლს ასრულებდა იმდევალი და მეორეს ასრულებს დაღმავალი ბერძენული. ერთი იყო რომესიური და ვაშნეტონი და სულ სხვა პეტაი და დაღესი. ერის საფუძველს ზოგადეროვნული კავშირები რომ ქმნიან, ამაზე ვ. ი. ლენინმა მრავალჯერ მიუთითა. ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ფეოდალიზმს ახასიათებდა კარჩაქეტილობა, ცალკე ფეოდალებად დაყოფა, მაშინ არ იყო, და არც შეიძლებაყოფილიყო, ზოგადეროვნული ბაზრის: „ბატონების მამული უნდა ყოფილიყო თვით-კმარი, კარჩაქეტილი, მთელი რომელსაც ძალიან სუსტი კავშირი ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოსთან“². ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ სწორედ სასაქონლო მეურნეობა ამყარებს ახალ, უფრო ფართო. უფრო ზოგად კავშირებს: „სასაქონლო მეურნეობის დროს იქმნება სხვადასხვაგვარიანი სამეურნეო ერთეულები, მატელობს მეურნეობის ცალკეული დარგების რიცხვი, კლებულობს ამ მეურნეობის რიცხვი, რომლებიც ერთსა და იმავე სამეურნეო ფუნქციას ასრულებენ. შრომის საზოგადოებრივი დაწესებულების სწორედ ეს პროგრესული ზრდა წარმოადგენს ძირითად მომენტს კაპიტალიზმის შინაური ბაზრის შექმნის პროცესში“³. ეს შინაური ბაზარი კი ქმნის ეკონომიურ ერთობას, რომელიც ერის ერთ-ერთი უმნიშვნელო წარწერის დაშლასათვის ნიშნავს: „სასაქონლო წარმოების ზრდა სპობს ნატურალური მეურნეობის დამახასიათებელ წერილი სამეურნეო ერთეულთა დაქვემდებარებას და წერილ ადგილობრივი ბაზრებს უზარმაზარ ნაციო-

ნალურ (და შემდეგ მსოფლიო) ბაზრად აერთიანებს“⁴.

ერთი სიტყვით, ერის ეკონომიურ ერთობა კაპიტალიზმის წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის გამოხატულების ერთ-ერთი ფორმაა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეკონომიური ერთობა სრულებით არ ნიშნავს ერის ეკონომიურ კარჩაქეტილობას, წინააღმდეგ კაპიტალიზმში, განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქაში ამყარებს ერებს შორის მრავალმხრივ ეკონომიურ კავშირებს. იქ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება: მრავალეროვნული ბერძენული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია ცალკეული ეთნიკური ტერიტორიების არათანაბარი განვითარება. როგორც წესი, გაბატონებული ერის ტერიტორია ეკონომიურად უფრო განვითარებულია, ჩაგრული ერების ტერიტორია კი ჩამორჩება.

ერების კონსტიტუციების ჩამოყალიბების ზოგად დახასიათებას ევროპულ ქვეყანაში შარქსი გვიჩვენებს თავისი „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“.

როგორც ზემოთაღნიშნულთაგან, ენგელსი ამბობდა, რომ ისტორიული პროგრესის ბერკეტი შუა საუკუნეებში ნაციონალური სახელმწიფოების შექმნის ტენდენცია იყო, რომ უფრო შუა საუკუნეებში თითქმის ყოველი ხალხოვნება ევროპაში წარმოდგენილი იყო ცალკე დიდ სახელმწიფოდ. მაგრამ ნაციონალური სახელმწიფოებისა და ერების ჩამოყალიბების პროცესის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა, რაც გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც.

ერების კონსტიტუცია იდრე დამთავრდა ინგლისისა და საფრანგეთში. სხვა ქვეყნებში ეს პროცესი კიდევ გრძელდებოდა. ძალიან ჩამორჩა ერის ჩამოყალიბება გერმანიაში, რასი ახსნაც ამ ერის ისტორიაში უნდა ვეძებოთ. სრულიად თავისებური გზით მიდიოდა ერის ჩამოყალიბება და ეროვნული მოძრაობა, მაგალითად, ჩეხიაში, სადაც ფეოდალები სხვა ეროვნებას ევტენოდნენ, გლეხები და ქალაქის ბერძენული კი ნაციონალურ-ჩეხური იყო. ამიტომ მაინცდა შარქსს მე-15 საუკუნის ქრისტიანი ომები გერმანელი თავადებისა და გერმანიის იმპერატორის უზენაესი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ჩხვლეხთა სახალხო ომად. ამავე დროს, ეს იყო სასულიერო ფეოდალია წინააღმდეგ მიმართული რელიგიური ომიც. ჩეხიას მე-15 საუკუნეში არ ჰქონდა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ის შედიოდა გერმანიის იმპერიაში. მაშინ არ ყოფილი ჩამოყალიბებული ჩეხი ერი, მაგრამ ძალიან ზოგად იდგა ჩეხი ხალხის კულტურა. პრადის უნივერსიტეტში 30.000 სტუდენტი სწავლობდა და 200 დოქტორ-პროფესორი მოღვაწეობდა, იქ დაიწყო გამოათვისებულებული მოძრაობის აყვანა. ამ მოძრაობას სათავეში ჩაედგა იან პუსი. „რო-

¹ ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 21, გვ. 73.
² ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 1, გვ. 170.
³ ვ. ი. ლენინი, ტ. 3, გვ. 207.
⁴ ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 3, გვ. 22.

¹ ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 3, გვ. 709.

ვროც ეროვნული და ხალხური ინტერესების დამცველი, — აღნიშნავს მარქსი, — ზესი მით უფრო დიდ პოპულარობას პოულობდა ჩეხებში, რაც უფრო მეტი გაშვებებით უტყვევდნენ მას გერმანელი ბრძოლები (Knoten)¹. 1419 წელს ჩეხიაში საერთო აჯანყება მოხდა. კესისტებმა ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება, მაგრამ ჩეხი გლეხების ემა ნაციონალური დამოუკიდებლობის მოპოვებისა მარცხით დამთავრდა. ასეა თუ ისე, უკვე XV საუკუნეში ჩვენ საქმე გვაქვს მძლავრ სახალხო მოძრაობასთან, რომელსაც ყურადღებით სწავლობდნენ მარქსი და ენგელსი. „საბალო სლოვენი გლეხები რა კარგად იბრძოდნენ მეთემეტე საუკუნეში“², — შენიშნავდა ე. ენგელსი. ჩეხიის მაგალითი იმის მარჯვენაზედ არის, თუ როგორ სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა ერის ჩამოყალიბების პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში. გლეხობამ ვერ ითავა ერის განთავსებულებისა და მისი საზოგადო ჩამოყალიბების საქმე, ამ საქმეს სათავეში ჩადგა ბურჟუაზია, და ამ გარემოებას პირველად ყურადღება სწორედ მარქსმა და ენგელსმა მიაქციეს.

ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და ერის კონსტიტუირების პროცესის ბორჯუზია თავის კლასობრივ ინტერესებს უმორჩილებს. ბურჟუაზია დაინტერესებულია მრეწველობის, აღუამციელობის განვითარებით, ეროვნული ბაზრის შექმნით, მას სურს ჰყავდეს მძლავრი ხელისუფლება და ჰქონდეს ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მის ინტერესებს დაიცავს. მას სურს მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ვაჭრობაში, უნდა, რომ მისი სახელმწიფოს ელჩები იცავდნენ მის ინტერესებს. XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის, ინგლისის ვაჭრებს საკუთარი ძლიერი სახელმწიფოები იცავდნენ. გერმანულ ვაჭრებს კი ვერ დაიცავდნენ გერმანიის ელჩები, რადგან მათ „საზღვარგარეთ ისე ემუშაობდნენ, როგორც ფესაქმლის მშენებლებს“³. თავისუფალი ვაჭრობის მოთხოვნა ელჩებმა ბურჟუაზიას ნაციონალურ გრძნობას, „პრაქტიკული მრეწველობა და ვაჭრის სურვილი, რაც უშუალოდ საქმიანი მისაზრებებიდან მომდინარეობს, სურვალი — გამოეგავა ისტორიიდან შემკვიდრებით შიდადებული პატარა სახელმწიფოების პროვინციული ნაყარწყარი, რომელიც ხელს უშლდა ვაჭრობისა და მრეწველობის თავისუფალ განვითარებას“⁴. ავითარებდა ბურჟუაზიაში ნაციონალურ გრძნობას, წერს მარქსი. ამასთან ერთად, ე. ენგელსი აღნიშნავს, რომ „ევროპაში არ იყო არც ერთი დიდი სახელმწიფო, რომლის

სახელმწიფოში მოქცეული არ ყოფილიყო სხვა ერების ნაწილი... მაგალითად, რამდენ ენაზე ჰატუნობს პეტერბურგის თეთრი მეფე... როგორი უნდა იყოს მუშათა კლასის დამოუკიდებლობა ერისადმი? მარქსი ნაშრომში „დაკარგებული სირომი და კაპიტალი“ წერდა, რომ ნაციონალურ ბრძოლას საფუძვლად უდევს გერმანიური ურთიერთობანი, ამიტომ მუშათა კლასი ნაციონალურ საციოხს თავისი კლასობრივი ინტერესების თავსაზრისით განიხილავს. მუშათა კლასი, სწორედ თავისი კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე, დაინტერესებულია გერმანიის გადმონათვისების ლეკიდაკითი, ნაციონალურ სახელმწიფოთა ორგანიზაციით, რის ნიადაგზე ჩაღდება კლასობრივი ბრძოლა და იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის გამარჯვებისათვის. ნაციონალური მისმზაბით პროლეტარიატის ორგანიზაციისათვის საჭიროა ცენტრალიზაცია, რომელსაც ბურჟუაზია ატარებს. ენგელსი წერდა, რომ ცენტრალიზაცია, რომელსაც გარყვეულ ისტორიულ პირობებში ბურჟუაზია ატარებს, ხელსაყრელია პროლეტარიატისათვის, ის აერთიანებს მუშათა კლასს, აგრძნობინებს მას თავის თავს კლასად, საშუალებას აძლევს დემოკრატიაში ჰოვოს გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობა და, ბოლოს და ბოლოს, დაამარცხოს ბურჟუაზია. ცენტრალიზაციით პროლეტარიატი იმიტომაც არის დაინტერესებული, წერდნენ მარქსი და ენგელსი, რომ ის ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას, ერის შემდგომ გაერთიანებასა და გაძლიერებას.

როგორც ვხედავთ, მარქსსა და ენგელსს ერის ჩამოყალიბებისათვის აუცილებლად მიახლოებული ტერმინების, ენისა და გერმანიური ცხოვრების ერთობა. რაც შეეხება ფსიქიკური წყობის ერთობას, ეროვნული ხასიათის ერთგვარობას, ეროვნული კულტურის სპეციფიკას, ამაზე მარქსსა და ენგელსს სპეციალურად არ უწერიათ, მაგრამ ისინი, ეხებოდნენ და სხვადასხვა ერის მექედნათა ნაციონალურ ხასიათს, ამ ელემენტს, ამ ნაშანაყ გამოყოფდნენ, როგორც მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს ერის სპეციფიკის გარკვევისათვის. ენგელსი ცნობდა რუს ნაროდნიკ დანიელსონთან მიწერ-მოწერაში ზნობად ასასათვის რუსებს, როგორც დიად და უღირესად ნიჭიერ ხალხს. ენგელსმა იწინასწარმეტყველა, რომ რუსი ხალხი, დაამსხვრეეს რა თვითმპყრობელობის ბოროტებს, განავითარებს თავის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და დასავლეთთან თანამშრომლობით შესაძლებლად ცივილიზატორის რუს აღმოსავლეთში. 1884 წელს 6 მარტს ენგელსი სწერდა ვ. ზასლუნს, რომ თურობდნა და კრიტიკულმა აზროვნებამ ახლა თავისი თავ-

¹ Архив Маркса и Энгельса, т. VI, стр. 214.
² Маркс и Энгельс, Соч. т. XXII, стр. 129.
³ Маркс и Энгельс, Соч. т. XVI, ч. 1, стр. 456.
⁴ იქვე.

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XI, ч. II, стр. 49.

შესადარი რუსეთში იპოვნათ. იგი აღნიშნავდა, აგრეთვე, ირლანდიელთა ხასიათის სპეციფიკურ თვისებებს, შთა შმაგ, ცოცხალ ტემპერამენტს და სხვ.

მარქსი და ენგელსი განასხვავებდნენ გერმანელების, ფრანგების, ინგლისელების, პოლონელების, დანიელების, იტალიელების, ესპანელების ხასიათს, ბევრ დადებითსა და უარყოფითს პოლოზენ ამ ხალხების ხასიათში.

მაგრამ როგორც ეროვნულ ხასიათს, ისე ერას სხვა განსახვავებულ ნიშნებს მარქსი და ენგელსი ხსნიან ეკონომიური, ისტორიული მიზეზებით და არა რაიმე სპეციფიკური რასობრივი, ბიოლოგიური თავისებურებებით. მარქსმა და ენგელსმა თეორიული საფუძველი გამოაცალეს შთა დროშიაც შეტად გაფრქველებულ რასისტულ თეორიებს, რომელთაც, მთავალითად, ჭდავობდნენ მძებრივად ბრუნო ბაუერები, მარქს შტირნერი და სხვანი. „გერმანულ იდეოლოგიაში“ მარქსი და ენგელსი წერდნენ: „ბუნებრივად წარმოქმნილი გვარის განსხვავებანი, მთავალითად რასობრივი და სხვა, — რომელთა შესახებ სანათ (ასე უწოდებდა თავის ვანთქმულ პამფლეტში მარქსი შტირნერს — ვ. მ.) არას აშობს, შეიძლება და კიდევაც უნდა მოიხსნას ისტორიული განვითარებით“¹.

როგორც ვხედავთ, კ. მარქსი და ე. ენგელსი იძლევიან ერის მატერიალისტური თეორიის, ერის განსაზღვრების ამოსავალ დებულებებს. ისანი სახვეწ მთავარ ელემენტებს, მთავარ ნიშნებს, რომლებიც ერს ახასიათებს. შთა ნაწერებში ჩვენ ვხედებით აგრეთვე ერის ტიპის დადგენის ამოსავალ დებულებებსაც. აგრ კიდევ 1844 წელს „გერმანულ იდეოლოგიაში“ მარქსი და ენგელსი მრავალჯერ აღნიშნავენ, რომ ერის ბედს გარკვეული კლასი წყვეტს, რომ ერის წამყვან ძალად ერთი რომელიმე კლასი გამოდის. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ მარქსსა და ენგელსს ერთი მიანიათ კაპიტალისტური ფორმაციის ისტორიულ კატეგორიად, რომელსაც გარკვეული

ნიშნები აქვს და ერთი მათგანი — ეკონომიური ერთობა — კაპიტალიზმის პატრისტულ წყნესხანს საბოლოოდ ხორცს. თავის „გერმანულ იდეოლოგიაში“ კაპიტალისტური საკითხი გერმანულ სოციალისტურ ლიტერატურაში“ ე. ენგელსი წერს: „ერთი კლასი იმდენად უნდა გამოიყარდეს, რომ შთიერ ერთი აღმავლობა დაეჭვემდებაროს თავის საკუთარ აღმავლობას, ყველა დანარჩენი კლასის პროგრესსა და განვითარებას. ამრიგად, ერთი კლასმა თავისი დროის ქვეშ უნდა შემოიკრიბოს ყველა დანარჩენი კლასის ძირითადი მასე. შთა... ამ კლასის ინტერესი მოცემულ მომენტში უნდა გახდეს ეროვნული ინტერესი, თითო ეს კლასი უნდა გახდეს ერის წარმომადგენელი... იწყება იმ კლასის ბატონობა, რომელიც მოცემულ მომენტში ერის უმრავლესობის წარმომადგენელია, და შთის ბატონობით იწყება განვითარების ახალი სტადია“¹. ამგვარად, აქ ერის წამყვან ძალად გამოდის ან ბურჟუაზია, ან პროლეტარიტი. ამ ორი კლასის ბატონობის ნიშნით კი განისაზღვრება, სხვა მომენტებზე რომ აქ არ ვილაპარაკოთ, ერის ტიპი. ენგელსი კაპიტალისტური ერის ე. ენგელსს ეკუთვნის. ე. ენგელსი წერდა: „პირველი კაპიტალისტური ერი იტალია იყო“² (ხაზი ზვენი — ვ. მ.).

ასე დგას ურის თეორიის ზოგიერთი საკითხი კ. მარქსის, ე. ენგელსის და ვ. ი. ლენინის თხზულებებში. მარქსიზმის კლასიკოსების შეხედულებათა გათვალისწინებით ი. სტალინიმ ასე განსაზღვრა ერის ენება: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმომოხილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“³.

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 4, стр. 54.

² კ. მარქსი და ე. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, სახელგამო, 1954 წ., გვ. 34.

³ ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 319.

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, стр. 426.



სიცილი და მისი სოციალური ძალა

1

სიცილი მრავალფეროვანია, მას სხვადასხვა ელფერი და გადასვლები აქვს. საკმაოდია გავიხსენოთ ის მრავალხარტი სახელწოდება, რომლითაც აღწერილია სიცილის სხვადასხვა სახეს. სიცილი არსებობს მზიარული, ნაძალადევი, ცინიკური, მრისხანე, თანაგრძობითი, შემპრობული, სეპტიკური, ძლევამოსილი, ირონიული, სარკასტული. აღვიღოთ სხვა სახელწოდებათა ჩამოთვლა, მაგრამ ესეც კმარა.

სიცილის მრავალგვარობა ისტორიული განვითარების ნაყოფია. თავდაპირველად, ჩანს, სიცილი სიხარულსა, მხნეობას გამოხატავდა და თავისი ბუნებით მარტივი იყო. ასეთი აზრისა ჩ. დარვინი. თავის ნაშრომში: „ემოციის გამოხატვა ადამიანებსა და ცხოველებში“, ის წერს: „როგორც ჩანს, სიცილი თავდაპირველად წარმოადგენდა მხოლოდ სიხარულის ან ბედნიერების გამოხატულებას“. ამ აზრს გამოჩენილი ბუნებისმეტყველი ცხადყოფს მოთამაშე ბავშვების დამოწმებით, რომლებიც განუწყვეტლად იციან, „თავით ბავშვობის ასაკიდან გამოსულ ახალგაზრდათა მზიარულ გუნებას შედამ თან სდევს უაზრო სიცილი“¹. ამის ნათესაყოფად, რომ თავდაპირველად სიცილი სიხარულისა და ბედნიერების უბრალო გამოხატულება იყო, დარვინი მიმართავს აგრეთვე პომეროსსაც და იმბობს, რომ პომეროსი ღმერთების სიცილს გამოსახავს, როგორც „მათი ზეციური სიხარულის სიპარბეს ყოველდღიური ღზინის შექმნე“². მაგრამ პომეროსის ღმერთები არა მარტო ცინიან ზემოაღნიშნული სიხარულისაგან, არა-

მედ დასცინიან კიდევ და დასცინიან სიმახინჯეს. მაგალითად, ასე ეპყრობიან კოკლ ჰეფესტოს:

თავდაპირველი სიცილის ხასიათთან დაკავშირებით დარვინი სვამს კითხვას: ღმილი სიცილის პირველი საფეხურია, თუ, პირიქით, იგი სიცილის ხანგრძლივი განვითარების შედეგია. ამ საკითხს დარვინი კატეგორიულად ვერ პრის, თუმცა, ჩანს, რომ იგი უკანასკნელი ვარაუდისკენ იხრება. იგი წერს: „სიცილის მივიჩნევთ ღმილის სრულ განვითარებად, თუ, რაც უფრო სიმახრულეს ჰგავს, მსუბუქ ღმილად, როგორც სიცილის უკანასკნელ კვალს კარგი გუნების დროს, რასაც მრავალი წლის განმავლობაში ღრმად გაუღდამს ფესვი თაობაში, — ასეა თუ ისე, ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ ჩვენს ბავშვებში ღმილიდან სიცილისკენ თანდათანობით გადასვლას“³.

სიცილის ზოგიერთი მკვლევარი ღმილს ფიზიოლოგიურად სიცილის წინამორბედად თვლის, რადგან მასში „არასრულ სიცილს“ ხედავს ადამიანის ცხოვრების მიმართ კო ისინი ღმილს თვლიან ერთსა და იმავე დროს „თავისი მონათესავის, სიცილის წინამორბედად და თანამგზავრად, რომელიც მას თან სდევს კვალდაკვალ“⁴. თუმცა საკითხი ღმილისა და სიცილის გენეტიკური ურთიერთობა უკერ კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, მაინც მათ განუთიშველ კავშირზე საპირო რიღია საგანგებო ლაპარაკი, რადგან იგი სრულიად ნათელია. რათა ცხადყოფთ, თუ რაოდენ მკიდროა ეს კავშირი, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ღმილიც, სიცილთან ერთად, მეტად მრავალი სახისაა. ღმილიც, ისე როგორც სიცილი არის მზიარული, ნაძალადევი, გესლიანი, შემპრობული და ა. შ.

სიცილის ისტორიული განვითარების კონკრეტული გამოკვლევა მეტად მნიშვნელოვანი და საპირო საშუაოა. გერცენი მიუთითებდა

Неумоляющий поджали
смех блаженные
боги
Глядя, как по дому с кубком
Гефест задыхаясь
метался!

1 Ч. Дарвин, Сочинения, т. 5, 1953, стр. 813.
2 Гомер, Илиада, перевод В. Веркена, 1949, строка 317-318, 595-600.
3 „Внезапно“, № 5.

1 Ч. Дарвин, Сочинения т. 5, стр. 813.
2 Д. Селли, Смех его физиономия и психология, СПб, стр. 10-12.

სიცილის თვითდისციპლინირების როლს ლენინარსკი ხსნის საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობასთან დაკავშირებით და სიცილიან მისი დამოკიდებულების თვალსაზრისით: „კანონის გადაღმა არსებობს მეორე მდისციპლინირებული საზოგადოებრივი ძალა, რომელიც სჯის წაღვინდ მცდარ საქციელს—ესაა საზოგადოებრივი აზრი. საზოგადოებრივი აზრი, გარდა იურიდიული სახელმწიფოებრივი კანონისა, დააწესებს საზოგადოებრივ სასჯელს. იგი არ აღდებს არავითარ სასამართლო სასჯელს ჯადონისა და კიბის საშუალებით, მაგრამ მაინც საკმაოდ საგრძნობ სასჯელს აღდებს სხვადასხვა ფორმის ბოიკოტით. მათ შორის უდიდესს როლს ასრულებს სიცილი“³.

ლენინარსკი უფროდ მართალია, რომ სიცილი საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი დამსჯელი იარაღია. სამწუხაროდ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოებრივი აზრის როლისა და მნიშვნელობის საკითხი ზევნს ლიტერატურაში სრულიად დაუმუშავებელია, ამავე დროს კი მისი მნიშვნელობა საკმაოდ კარგად იგრძნობა. ზევნ, რასაკვირველია, აქვერ შევლავებთ ამ მნიშვნელოვან საკითხის რამდენადმე მაინც დაწვრილებით განხილვას. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ საზოგადოებრივი აზრი საკმაოდ სრული გამოხატველია ცხოვრებისა და ყოფიქცეის იმ სავრთო ნორ-

1 А. В. Луначарский, О сцене, жур. «Литературный критик», 1935, № 4, გვ. 7—8.

2 А. В. Луначарский, О смехе, ж. «Литературный критик», 1935, № 4, გვ. 5. როცა ამ სტრიქონებს ეკიხელობთ, არ შეიძლება არ გაიხსენებთ პეშკინის სიტყვებში: „სადაც ვერ მისწვდებთ მახელო კანონისა, იქ მისწვდება „სატირის მათობი“, რომლებიც მან ვიანემსკის დაღწერა (Пушкин—критик“, 1934 გვ. 22).

1 К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. 1. 1955, გვ. 418.

შემოსა, რომლებიც იუცილებელია საზოგადოების საარსებოდ და რომელსაც ამიტომ იცავს იგი. კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც ვაბატონებული კლასის შვირე ჯგუფი ჩაგრავს ხალხის უმრავლესობას, საზოგადოებრივი აზრი გამოდის როგორც ამ ხალხის ფიქრთა და შეხედულებათა რეზერვუარი და მრავალმხრივი გამომხატველი. სიცილი, გამოდის რა საზოგადოებრივი აზრის აბაჯღად, იქცევა სახალხო მონამართლედ და დამსჯელად ყოველგვარი ბოროტებისა და უსამართლობისა, თვითნებობის და უკანონობისა აქედან სიცილის სახალხო, დემოკრატიული ხასიათი.

იმ ლიტერატურის ძველთაგან, სადაც სიცილის თვითმადისცილინირებული ძალა ყველანაირად გამოიკვივის, ლუნანარსკი აღნიშნავს მოლდერის ნაწარმოებებს და ამბობს, სამი შვირთხედი მისი პიესებისა მიმართულია იქით, რომ ბურჟუაზიას ასწავლოს „თვითშეგნება და თავის თავის პატივისცემა“.

იმისათვის, რომ სიცილმა სრული ზეგავლენა მოახდინოს, ლუნანარსკის აზრით, უნდა დაეკმაყოფილოს შემდეგი სამი პირობა: ჯერ ერთი, დამკინავი დარწმუნებული უნდა იყოს თავისი მოწინააღმდეგის სრულ არარაობაში, მეორეც, სიცილმა უნდა გამოიწვიოს დამამტარებელი თვითშეფასება იმ ადამიანისა, რომელზეც იცინიან, და, ბოლოს, დამკინავი ადამიანებელი უნდა იყოს დამსწრეთა თვალი და უნდა იწვევდეს მათს თანაგრძნობას წამოწყებულ დამკინავში.

V

სიცილის მრავალფეროვნება და მრავალსახიანობა ფრიალ აძნელებს მის საერთო განსაზღვრებს. ეს შენაშენს ჯერ კიდევ ციკერონმა და კეინტილიანემ, რომლებიც აღნიშნავენ, რომ სიცილი არ ემორჩილება ზოგად აღწერას. სიცილის მიზეზის ზოგადი განსაზღვრის წარმეტაბებლობამ ზოგორც ესთეტიკოსის სახაბი მისცა გონებამახვილურად ეთქვა, რომ კომიკურის, „სასაცილოს განსაზღვრის ყოველგვარი ცდა თავადაც კომედიააო. რათა სიცილი გამოვიყვანოთ ზღვის ძველი ბერძნული მითოლოგიური ღმერთის—პროტოას მდგომარეობიდან ღმერთისა, რომლის ჩაწვდომი შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ სხვადასხვანაირ სახეს იღებდა, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოეხდინათ მისი ზუსტი კლასიფიკაცია. ესთეტიკურ ლიტერატურაში არსებობს სიცილის მრავალი სხვადასხვანაირი კლასიფიკაცია. სიცილში ჩვეულებრივად განასხვავებენ ბუმორს, ირონიას, სატირას, ამასთან თითოეულ მათგანში გამოპყოფენ კიდევ სხვადასხვა სახეებსა და ელფერებს. მაგრამ არსებული კლასიფიკაცია შემდგომ გაუმჯობესებასა და დახუსტე-

ბას მოითხოვს, და ეს ჩვენი შეხედულებით, უნდა მოხდეს სიცილის სოციალური ფუნქციის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პოეტიკაში მისი როლის ყოველმხრივ გათვალისწინებისა და აღნუსხვის საფუძველზე. პირველ რიგში ზუსტად უნდა განვსაზღვროთ სიცილის ბიოლოგიური და სოციალური მიზეზები. სიცილი თავდაპირველად ბიოლოგიური მოვლენა იყო. ამას მოწმობს, მაგალითად, ისიც, რომ ზოგერთ მალაქანეთობარებულ ცხოველს, განსაკუთრებით მამუნთა უნაღლეს სახეებს აქვთ თავისებური სიცილი. მაგრამ ამგვარ ცხოველებში სიცილი ბიოლოგიურ ხასიათს ატარებს. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასა და გართულებასთან ერთად, ადამიანის სიცილს, ბიოლოგიურ მიზეზებთან ერთად, თანდათან საზოგადოებრივი მიზეზებიც ასაზრდოებს. ხდება ბიოლოგიური და სოციალური მიზეზთა გადაჯვარედინება. და შემდგომ სოციალურ მიზეზს მთავარ მიზეზადაც გარდაქცევა. მაშინ როდესაც ბიოლოგიური მიზეზები მუდმივია, მაგრამ შეზღუდული და ვიწრო, სოციალური მიზეზები ცვალებადია და მრავალფეროვანი. მართალია, ადამიანის სიცილში გადაჯვარედინებულია ბიოლოგიური და სოციალური მიზეზები, მაგრამ ამ მიზეზების როლი სიცილის სხვადასხვა სახეებში სხვადასხვანაირია. უთქველია, რომ უაზრო ჩვეულებრივ უღარდელი და გულბრიყვი სიცილი უპირატესია, თუ უთვარესად მარცხ, გამოიწვეულია ბიოლოგიური მიზეზით. მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ჰუმორისტულ, ირონიულ და სატირულ სიცილზე. სიცილის საზოგადოებრივი მიზეზები, როგორც აღნიშნული იყო, ადამიანთა კულტურული და ზნეობრივი განვითარების დონეზე დამოკიდებული და ამ დონის ცვლილებასთან ერთად ისინიც იცვლებიან. მაგრამ ამ ურვევი ფაქტორანს როდღ გამოდის რელატივიზმი და საერთო საზოგადოებრივი მიზეზთა ვიებაზე უარის თქმა, რადგან, როგორც ცნობილია, საზოგადოება და საზოგადოებრივი მოვლენები სპეციფიკურ კანონებისა ემორჩილებიან აგრეთვე საყოველთაო კანონებს.

ერთ-ერთი ასეთი საყოველთაო კანონი არის წინააღმდეგობის კანონი. სიცილის თეორიის ისტორია ცხადყოფს რომ ბევრი ფილოსოფოსი და ესთეტიკოსი ამა თუ იმ ფორმით სიცილის მიზეზს ზედავდა სხვადასხვა წინააღმდეგობასა და კონტრასტებში. მრავალი განსაზღვრება, რომელთა ნაწილი ჩვენ უკვე მოვიყვანეთ, ამაზე მიუთითებს. ნ. სრეტენსკო თავის ნაშრომში „კომიკურის პოეტის ისტორიული შესავალი“ ყურადღებას მიაქცევს ამ ფაქტს: ის წერს, რომ კომიკურის, როგორც სხვადასხვა კონტრასტებისა და წინააღმდეგობათა შედეგის დახასიათება ესთეტიკური აზრის

ისტორიაში ხდებოდა დაბირისპირებათა სახით: დაბირისპირება „ან უსახურისა და მშვენიერისა (არისტოტელე, რომენკრანცი), ან არაბობისა და შინშენელოვანისა (კანტი, ლასი), ან უგუნერისა და გონიერისა (კან-პოლი, შოპენ-ჰაუერი), ან არა თავისუფალისა და თავისუფალისა (ასტი, შიუტე), ან ავტორიტეტისა და ცოცხალისა (ბერგსონი), ან სოციალურ ჩვევებთან შეუსაბამისა და ჩვეულებრივისა „არანორმალურისა“ (სელი), ან უფასურისა და ფასიანის პრეტენზიის მქონისა (ფოლკელტი) და ა. შ. 1

აქ ჩამოთვლილ ავტორებს, შეიძლება დავუშვათ კიდევ მთელი რიგი სახელები და პირველ რიგში ჰეგელი, მენდელსონი, ლუსინგი, ფ. ტ. ფიშერი და მისი გამოხვენილ მატერიალისტი კარტიკოსი ნ. გ. ჩერნიშევსკი.

მენდელსონი სასაიკლოში ხედავდა კონტრასტს სრულყოფილებასა და ნაკლოვანებას შორის. ლუსინგი, რომელიც ამ შეხედულებას იზიარებდა, ღაერთავდა, რომ ეს კონტრასტი არ უნდა იყოს მეტისმეტად მკვეთრი და, რომ მას შეერთების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

„პომეროს ტერსიტა მახინჯად, უსახურად წარმოადგენია, — წერს ლუსინგი, — იმისათვის, რომ სასაიკლო აქციოს. მაგრამ იგი სასაიკლო არა მარტო თავის უსახურობით. სიმახინჯე ნაყოლა, სასაიკლოსთვის ეს საპირობა კონტრასტი სრულყოფილებათა და ნაკლოვანებათა შორის. ასეთია მენდელსონის მიერ მოცემული განსაზღვრება სასაიკლოსი. მე მხოლოდ იმას დავუმატებდი ამ განსაზღვრებას, რომ კონტრასტი არ უნდა იყოს მეტისმეტად მკვეთრი ანუ დაბირისპირებანი, თუ ფერმწერთა ერთი ელემენტარულად, მხოლოდ ასეთი სახისა უნდა იყოს, რომ მათ ერთმანეთთან შეერთების შესაძლებლობა ჰქონდეს“ 2

ჰეგელიანელი ფ. ფიშერი კომიკურს უბირისპირებდა ამაღლებულს. ჩერნიშევსკი ასეთ დაბირისპირებას კანონიერად თვლიდა, მაგრამ არასაკმარისად მიიჩნდა ის ფიქრობდა, რომ კომიკური უნდა დაუბირისპირდეს არა მარტო ამაღლებულს, არამედ მშვენიერსაც“ 3.

წინააღმდეგობას, როგორც სიცილის მიზეზის, მიმართ ასეთი უკრძალვება სავსებით გასაგებია, თუ შეხედულებაში მივიღებთ, რომ სინამდვილე, აღმამანს ცხოვრება სავსეა წინააღმდეგობებით და კონტრასტებით, მათი

უტოიერთმომქმედებით და გადახვედებით. მართლაც, თვით აღამამანს ცხოვრებაშიც სიკეთე და სივე, ამაღლებული და მშვენიერად და უსახური, გონიერული და სრულყოფილი ვარული და სიძულვილი, სიმწუხარე და სიხარული, პატიოსნება და უპატიოსნობა, სიუხვე და სიძენწე, სიმამაცე და სილაზრე, უშუალოება და მაჰანკლობა, ჰემანთრობა და ფარისევლობა, გულუბრყვილობა და ეშმაკობა და სხვა ერთმანეთისაგან აბსოლუტურად გათიშული და განმხოლოებული როდი ვახლავთ, არამედ ურთიერთკავშირში არიან და ერთმანეთს განაპირობებენ. საზოგადოების განვითარების შინაგან შინაარსს წარმოადგენს ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომადედასა და მზარდს შორის. სოციალურად მნიშვნელოვან სიცილს, როგორც საზოგადოების პირშმოს, არ შეუძლია გულგრილი იყოს და არ გამოეხმაუროს აღნიშნულ ბრძოლას, წინააღმდეგობას. სიცილი არა უბრალოდ ეხმაურება ამ ბრძოლას, არამედ მთლიანად გადადის ახლის, მზარდის და კეთილის მხარეზე და აჰყარად ეხმაურება მათ გამარჯვებას და განმტკიცებას. ამისთან არის დაკავშირებული სხვების მიმართ საკუთარი უბირატესობის გრძნობა, რომელიც უფროდ ახლავს სოციალურად მნიშვნელოვან სიცილს. თუ საკითხს ფართო ისტორიულ ასპექტში დავსვამთ — და ეს ასეც უნდა იყოს — მაშინ აშკარაა, რომ სწორად ეს კავშირი ახლად, მზარდთან და კეთილთან აღღებებს სხვებზე, ე. ი. ძველს, მომადედას და ბორცის დამცველებზე, პირადი უბირატესობის გრძნობას.

პობსმა ვერ დაინახა აღნიშნული კავშირი და ამისი იყო მისი თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი. პობსს არ ესმოდა სიცილის სოციალური არის და ფუნქცია, ამიტომ საკუთარი უბირატესობის გრძნობა, როგორც სიცილის მიზეზი, მის მოძღვრებაში ვერ გასცდა ეიწრო ეგოისტური გრძნობის ფარგლებს. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ინგლისელი ფილოსოფოსი ვადაპარბებულ მნიშვნელობასა და როლს ანიჭებდა ეგოიზმს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც, თავის მხრივ, გამოხატავდა, მის იდეალობს ისტორიული პროცესის გაგებაში. შეიძლება ვღაიროთ, რომ, გამოხატავდა რა საკუთარი უბირატესობის გრძნობას, სიცილი თავდაპირველად აჰყარად ეგოისტური ხასიათისა იყო და თვითკმყოფილების გრძნობას შეიცავდა. მაგრამ კაცობრიობის კულტურულ და ზნეობრივ განვითარებასთან ერთად, მასში ჰემანთრობისა და მოქალაქეობრიობის გაძლიერებასთან ერთად, ასეთი სიცილი ძლევს ეიწრო ეგოისტური საზღვრებს და ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის. აქ სიცილი, რომელიც ასახავს და ვმობს ყოველივე ბო-

1 Н. Н. Сретевский, Историческое введение в поэтику комического, ч. первая. Учение Жан-Поля о комическом, Ростов, в/Дону, 1926, гл. 17.

2 Лессинг, Лаокоон, 1933, гл. 143.

3 Н. Г. Чернышевский, Статьи по эстетике, гл. 40—41.

როტსა და ბიწერს, წარმოადგენს სიკეთისა და სიპართლიანობის დაცვის მძლავრ იარაღს. ნათქვამიდან ვასაგებია, რომ სოციალურად მნიშვნელოვანი სიცილის სხვადასხვა სახის მარჯობა და საფუძველი ცხოვრების წინააღმდეგობათა ბუნებაში და ძალაში უნდა ედგინათ.

VI

სიცილის ერთ-ერთი რთული და თავისებური სახეა ჰუმორი. ჰუმორის სირთულე და თავისებურება იმაში მდგომარეობს რომ მას სხვადასხვანაირი ფორმები აქვს, რომელთაგან თვითელი თავისებურად ასახავს სასიცილო წინააღმდეგობებს, შეუსაბამობასა და უთავბოლობას. ბუნებრივად ესთეტიკაში ჰუმორის პრობლემა შეტანებად დაბნეულია და დამახინჯებული.

პირველად ჰუმორის თეორია წამოაყენა ფან პოლმა (რომანტიკული მიმართულების გერმანელი მწერლის იოჰან ფრიდრიხ რიხტერის ფსევდონიმი). ამ თეორიამ ფართო გავრცელება პოვა ბუნებრივად ესთეტიკურ ლიტერატურაში. ე. პ. რიხტერი ჰუმორის განსაზღვრავს როგორც რომანტიკულ-კომიკურს, ხოლო ჰუმორისტს თვლის კომიკურის რომანტიკოსად. ჰუმორი მან გამოაცხადა კომიკურის შთაქარ ფორმად, ხოლო მის ნამდვილ სფეროდ — რომანტიკული პოეზია. ჰუმორში იხატება რომანტიზმის მსოფლმხედველობა და მიზანმიმართულება, რომელიც რეალურ სამყაროს ხედავდა მთელ მის კონტრასტებში და ისწრაფვოდა უსასრულოსა და უღთებრივისკენ. რომანტიზმის არსის ასეთმა პასიურმა და იდეალისტურმა გაგებამ განსაზღვრა, რასაკვირველია, არსებითად ხსნათი ჰუმორის რიხტერისეული თეორიისა.

რომანტიზმზე თავისი შეხედულებით თანახმად ე. პ. რიხტერი ჰუმორის პირველ ძირითად ნიშნად აცხადებს მის საყოველთაობას. რომანტიკულმა ჰუმორმა არ იცის ერთეული სისულელე ან ერთეული სულელი. მისთვის სისულელე საყოველთაოა და მთელი მსოფლიო მისი განხორციელებაა. „მისთვის, — წერს იგი რომანტიკულ ჰუმორზე, — არ ასებობს ერთეული სისულელე და ერთეული სულელი, არამედ არსებობს მხოლოდ საყოველთაო სისულელე და უაზრობათა მთელი სამყარო“.

რომანტიკული ჰუმორისტის შინაგანი სამყარო ეხება არა ცალკეულ, არამედ ზოგადსაკაცობრიო სისულელეს. რაკი რომანტიკული ჰუმორი არ ცნობს ცალკეულ სისულელეს, ამიტომ არ წუხს მასზე. მას უმცირესი აყავს

უდიდესამდე, ხოლო უდიდესი დასკვნის უმცირესამდე და ამით ერთსაე და მეორესაც ამტარებს მასში. მთავანად შეჯგუფებული შემდგომ ე. პ. რიხტერი ასკენას: „ცულის რა ერთს მეორით, იგი ერთნაირად ამტარებს ერთსაე და მეორესაც, რადგან უსასრულობის მიმართ ყველაფერი ერთნაირად ეცევა არაზრობად“.

ამიტომ ე. პ. რიხტერი ცდილობს ჰუმორი გამოჰყოოს სასაცილოსაგან, კომიკურისაგან და სენსო იგი განსაყოფებულ მსოფლმხედველობაში. ლაყარუსის მოძღვრებაში, ლაყარუსის შეხედულებებში ისეთი ფართო აღიარება მიიპოვეს, რომ ზოგიერთმა ავტორმა შესაძლებლადაც კი მიიჩნია მით აესხნათ ესთეტიკის ცნება თვით „ენციკლოპედიურ ლექსიკონებში“ კი (ასეთია ა. პორნფელდის სტატია ჰუმორზე „ბროკაუსისა და ფერონის ენციკლოპედიის 81-ე ტომში“).

ლაყარუსი მსოფლმხედველობათა სამ სახეს აღნიშნავს: მატერიალისტურ, ან როგორც ის უწოდებს, ემპირულს, განსაჯისეულსა და გონივრულს (ანუ ფილოსოფიურს), რომლის ძირითადი ნიშნაა რწმენა შემოქმედებათა ძალეობა, ზოგადი, მარადიული და უსასრულო იდეებისა. ლაყარუსი, როგორც უილერსი იდეალისტი, რაღა ლაპარაკი უნდა მილიანად ამ უკანასკნელ ე. ი. იდეალისტურ მსოფლმხედველობას ადგენს, მაგრამ იგი მას აესხებს ჰუმორისტული მსოფლმხედველობით. ლაყარუსი ჰუმორისტულ მსოფლმხედველობას უახლოვებს რელიგიას, რომელიც, ხედავს რა გვეყნად უსასრულო და ყოვლადძლიერ ლეოთებრივ ძალთა განხორციელებას, მორჩილებას და ცოდვის მოკვებებს ქადაგებს. ლაყარუსი ჰუმორისტულ შეხედულებას აცხადებს ვრცლობით გამსჭვალულ აზრის რელიგიად, და ამით თავისი მოძღვრების ხსნათის ააშკარავებს.

დაუკავშირა რა ჰუმორი რელიგიას, ლაყარუსმა იგი გამოჰყო კომიკურისაგან, სასაცილოსაგან. ჰუმორი გამოკარგებულია როგორც შეერთება ამდღებულისა და კომიკურისა, როგორც ამაღლებულ-კომიკური. ჰუმორის არსის ასეთი განმარტება მას თიშავს არა მარტო კომიკურისაგან, არამედ სატირელისაგანაც, რადგან ისინი გამოიკცხავენ სატირას ძირითად მიზანმიმართულებას — სიცილის იარაღს თავს დაატეხოს სოფლადობრივ წყლულებს, გამოფინოს ისინი საქვეყნოდ, საამყარაობზე, საყოველთაო დასაგმობად და დასაძრახად. ჰუმორის აღნიშნული გაგება სატირის ამ ძირითადი ამოცანის საშავიეროდ გეთავაზობს რელიგიურ მორჩილებასა და ყველაფრის მოტეხებას.

რამდენად ეწინააღმდეგება ამგვარი თეორიები ჰუმორისა და სატირის მოწინავე და რეყო-

1 Jean-Paul Richter, Vorschule der Aesthetik, Berlin 1862, § 32.

1 იხ. M. Lazarus, Das Leben der Seele, Berlin, 1883.

ლუკიერას წარმომადგენლების შემოქმედებით პრაქტიკას, ამავე მკვლამტყველურად ლაპარაკობს სალტიკოვ-შენდრინის პოლეტიკა მაშინ ჯერ კიდევ ლიბერალურად განწყობილი ა. სუვორინთან. 1871 წელს სუვორინმა ერთნაღ «Вестник Европы»-ის ფურცლებზე მოათავსა «ერთი ქალაქის ისტორიის» კრიტიკა; ის ავტორის სხვა ბნალდებთან შორის უკავივნებდა, რომ მას არ ენახის ჰუმორის არსი და მისი განსხვავება სატირისაგან. სუვორინის განსაზღვრებით, ჰუმორისტის პირველი ღონისძიება ქრისტეს სიტყვებში: „მოვედით ზემდა ყოველნი, მაშვარანი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ“. იუმორისტი არ წირავს მითრეს დიადს, დიადი დაჰყავს მითრემდე ხოლო მითრე აჰყავს დადამდე“. ამ საფუძველზე, სატირისაგან განსხვავებით, რომელიც ვერ ურჩდება ნაყლს, ჰუმორის დამახასიათებელ ნიშნად სუვორინი თვლავ თანავგრძნობას, შეზრახვებს და შეზრახვას. „ჰუმორი მიუღწევებს ცოდვალთ და საშუალებას აძლევს მით აღიღონ თავი, სატირიკოსი კი—ამათრახებს მით“,— წერდა სუვორინი.

სალტიკოვ-შენდრინმა სუვორინის კრიტიკაში დანიხა საჭმის ნამდვილი მდგომარეობის, აზრებით ჰუმორის არსის დამახინჯება და ამიტომ თავისი კრიტიკოსის წინააღმდეგ გამოვიდა. „თუ ამ თეორიას ვაყვევით, — წერდა გამოჩენილი სატირიკოსი, — მაშინ „ჰუმორი“ უშუალოდ გამომდინარეობს ქრისტოიანული გამოთქვამიდან: „მოვედით ზემდა ყოველნი მაშვარანი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენო თქვენ“, და მნიშვნელობა მისი იმაში მდგომარეობს, რომ „არ შეწიროს მითრე დიადს, დიადი დაჰყვანოს მითრემდე, მითრე აიყვანოს დიადამდე“. აქედან კი ვითარე გამომდინარეობდეს არა განრუველი წესი, რომელიც ჰუმორისტმა უნდა მიიღოს და შესარულოს: ჯერ-ერთი, სულგრძელობა, სიკეთე და სიბრალული, მეორეც, თან-

გრძნობა, რადაც არ უნდა დავუდგეს, იმის მიმართ, რაც აბორციელებს იმ მითრეს, რომელიც უნდა ამაღლდეს დადამდე. რაგორც ემყვებოდა ციციცი არ უნდა, იყოს ეს თებებზე, მტყმებზე არავითარი სახით იმ შეიძლება“¹.

სალტიკოვ-შენდრინი ერთსა და იმავე დროს ააშკარავებს ჰუმორის ამგვარი ვაგების ანტიბალბურ და სუბიექტურ ხასიათს. ამგვარი ვაგების სუბიექტივიზმს გამოჩენილი სატირიკოსი იმაში ხედავს, რომ ის მაშართავს სულგრძელობასა და შეზრახვებს და უარყოფს სასაციოებლო მოვლენების ობიექტურ კანონებს, რომელთა მისხლეთი აფასება მით ხელოვნება. „...ხელოვნება, — წერს იგი, — სწორედ ისევე, როგორც მეცნიერება ერთ მიზანს ისახავს: ექვმარტებას და, მაშასადამე, სასაციოებლო მოვლენებს აფასებს მხოლოდ მათი შინაგანი ღირებულების თანახმად. სხვაგვარად რომ იყოს, თუ შეფასებას შეეზრდით სულგრძელობა და შეზრახვა, მაშინ ძალიან ორიგინალური რადაც მოხდებოდა... შეიძველს არ ეცოდინებოდა, თუ მხატვრის მიერ დახატულ სურათში რაა მართლაც სწორი, ნამდვილი და რაა შერბილებული, დაფარული ან იმაგებებული სიბრალულის ვაგულები“².

ამ თეორიის ანტიბალბურ ხასიათს სალტიკოვ-შენდრინი იმაში ხედავდა, რომ ვარდა ფუქი სულგრძელობისა და შეზრახვისა იგი არაფერს არ აძლევდა ხალხს, რომელიც ისტორიის გარდამქმნელია და რომელიც ბრძოლიკენ უნდა მოუწოდო. დიად სატირიკოსი მოითხოვდა არა ლიბერალურ სიბრალულს ხალხის მიმართ, არამედ ხალხის მხარეზე ყოფნას და მისი უფლებებისათვის თავიდადებულ ბრძოლას. ამიტომ აღნიშნულ თეორიას, რომელიც ამ დიად ისტორიულ საქმეს გვერდს უხვევს შენდრინი თვლიდა არა მარტო ყალბ თეორიად, არამედ მასში ის ხედავდა ხალხის აბუნად ავლებას.

ჰუმორი არ შეიძლება აბსოლტურად მოვეწვიტობთ და დავუბრისპირობო სტირას, რადგან სატირას, როგორც პელინკო იტყვოდა, — საფუძელად „უნდა ედოს უღრმესი ჰუმორი“³.

ამავე დროს არ უნდა წაშალოთ მითი განსხვავება. მართალია, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც და ხელოვნების პრაქტიკაშიც, კეთთ ცხოვრების მრავალსახეობისა და მის მოვლენათთ ურთიერთგადასვლების გამო, ჰუმორი და სატირა ისე მკოდროდ არიან ერთმანეთში ჩაწნულ-გადახლართული, ისე სწრაფად გადადიან ერთმანეთში, რომ ხანდახან ადვილი არაა მათი მკვეთრი გამოიყენა. მაგრამ ეს არ სიბობს არ-

¹ Н. Шедрина (М. Е. Салтыков). Полн. собр. соч. т. VIII, 1937. гл. 449.

² იქვე. გვ. 499.

³ В. Г. Белинский, Собр. соч. в трех томах, т. II, 1949, гл. 49.

¹ Н. В-ов (А. Суворин), Историческая сатира, жур. «Вестник Европы», 1871, წიგ. 4. გვ. 734. ა. ელსბერგე სუვორინზე წერს, რომ მან „ჰუმორის მნიშვნელობა არისტოტელეს სულისკვეთებით განარტა“-ო „Наследие Гоголя и Шедрина и советская сатира, Москва, 1954, გვ. 158. ეს ამკარა შეცდომაა. „არისტოტელეს სულისკვეთებაზე“ ჰუმორში არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან მის საკეთარე ჰუმორზე არაფერი არ დაუწერია, მაგრამ ამასთან თუ ვავითვალისწინებთ იმას, რაც დიდ ფალოსოფოსს სიცილზე დაუწერია, მაშინ ის ძალიან დაშორებულია თავისი სულისკვეთებით იმ დებულებებს, რომლებსაც სუვორინი იმერტებს. ძნელი არაა დავინახოთ, რომ სუვორინის დებულებები სულისკვეთებითაც და ტექსტითაც ძალიან აბლოსაა ე. ბ. რიტტერას და ლეკატუსის დებულებებთან.

9. „მნათობი“, № 5.

სებით განსხვავებას მათ შორის და არ იძლევა ჰუმორისა და სატირის გაიგივების საბუთს.

ჰუმორისა და სატირის განსხვავებებს საერთო იყენს ლიტერატურაში ნაკლებად არის დამუშავებული. ესთეტიკის მრავალი თეორეტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ჰუმორისა და სატირის განსხვავებას იმაში ხედავს, რომ ჰუმორი დასცინის თავისი გმირის ცალკეულ და მეორეხარისხოვან ნაკლოვანებებს, თუმცა მთლიანში სიმპათიას ვრძნობს მისდამო, მაშინ როდესაც სატირა მთლიანად ჰკიცხავს თავის გმირს.

ამ დებულებამ იმდენად ფართო გავრცელება და ილირება ჰპოვა, რომ ერთ დროს სახელმძღვანელოებშიც კი შევიდა. ლ. ტიმოფევი თავის „ლიტერატურის თეორიაში“ წერდა: ჰუმორისტულ სახე თავის საფუძველში სიმპათიას აქვს, იმდენად იმ მოვლენის მიმართ, რომელზეც ის ლაპარაკობს, მაგრამ ამავე დროს გვირგვინებს მის კერძო ნაკლოვანებებს... სატირიული სახე, რომელიც ცდილობს სავსებით უარყოს ცხოვრებას ის მოვლენები, რაც მასშია ასახული...¹ „ჰუმორი არსებითად უარყოფთა კერძოსა, მეორეხარისხოვანსა მოვლენაში, სატირა კი უარყოფთა ზოგადსა, ძირითადსა“².

ამგვარ შეხედულებას, როგორც ურყევ ჰუმორისტებს, იცავდნენ და განმარტავდნენ სპეციალურ სტატიებში და გამოკვლევებში. ასე, შვალბატი, ა. ბუროვი თავის სტატიაში — „სიცოცხლე იარაღი ძველთან ახლს ბრძოლაში“ — წერდა: „ჰუმორი დასცინის აღმაშენის ან მოვლენის ცალკეულ, უფრო მეტად მეორეხარისხოვან ნაკლოვანებებს, მაგრამ ამასთან ძირითად და სიმპათიას ამკვლავებს კომედიის ობიექტისადმი... სატირა კი შეიძლება კომედიის ობიექტის მთლიანად უარყოფას“³. არსებითად ანალოგიურ აზრს იღვას ვ. ერმილოვი⁴, ხოლო აღნიშნულ ავტორებზე ბევრად ადრე — მ. ხრაპჩენკო⁵.

მაგრამ ამ, როგორც ვხედავთ, ესოდენ გავრცელებულ შეხედულებას ცალმხრივობა და აბასაკმარისობა, ჩვენი აზრით, სწორად აღნიშნეს მთელმა რიგმა კრიტიკოსებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა, კერძოდ პ. ვიხოლცევი, ლ. ერმოვი, ა. პავლოვი და ნ. ვლსობრევი, გამოდიოდნენ რა თავის მსჯელობაში ჰუმორისა და სატირის კლასიკური ძეგლებიდან. ტიმოფე-

ვისი საწინააღმდეგოდ პ. ვიხოლცევი და ლ. ერმოვი წერდნენ: „თუ დავუბრუნებთ ლ. ტიმოფევს, გამოდის, რომ ჩვენთვის უმჯობესი შემთხვევითი გალერია ეს მხოლოდ „კერძოს, მეორეხარისხოვანის უარყოფა“ სინამდვილეში და თითქმის ჩუბოვი არ აკრიტიკებდეს ძველი რუსეთის უძრავ, დამყაველებელ სინამდვილეს, არამედ... „სიმპათიას“ უცხადებს მას და პირიქით, სვიფტის სატირა, რომელიც მიმართულია მისი დროის არა მთელი საზოგადოებრივი სისტემის მხოლდობისაკენ, არამედ მისი მხოლოდ მხარეების გამოაშკარავებისაკენ, ლ. ტიმოფევის განსაზღვრის „ზოგიდის, ძირითადის უარყოფა“... ეს სწორი არაა“¹. ამასვე ამოობს ა. პავლოვი, როცა აკრიტიკებს ა. ბუროვის დეკრეტს, რომ არსებობს მრავალი სატირიული სახე, რომლებშიც სრულებით არაა „მთლიანად კომედიის ობიექტი“ უარყოფილი. შვალბათის სახით იღებს გოგოლის „ძველი დროის შემამულებელი“ და აღნიშნავს, რომ ამ სატირაში გამოხატული გრძნობები არ შეიძლება ჩაეკვლით „მთლიანად კომედიის უარყოფის“ ჩარჩოებში და გავივიანო, ისე რომ ამ გავამარტივოთ და გავავივიანოთ მისი ღრმა შინაარსი სტუმებით „მთლიანად“ და „არა მთლიანად“².

როდესაც ელაპარაკობთ სატირიული და ჰუმორისტული სიცილის განსხვავებაზე, მხედველობიდან არ უნდა გამოვტარებთ ის გარემოება, რომ ჰუმორის სხვადასხვა სახეები აქვს. ხომ სრულად ცხადია, რომ მსუბუქი ჰუმორის დამოკიდებულება სატირის მიმართ სხვადასხვაგვარია, ვიდრე ნაღვლიანი ჰუმორისა. სხვადასხვა ფორმები — მხარულ ფორმიდან ნაღვლიან ფორმამდე განისაზღვრება ცხოვრების შეუსაბამობა და უთავბოლოებაში სიძულვილის ხარისხით. როცა ეს სიძულვილი უდიდეს გამოხატულებას შიდაწევს, მაშინ ჰუმორის სასტიკად იქცევა.

ამრიგად, განსხვავება სატირისა და ჰუმორის შორის მთლიანად და მასთან ერთად ჰუმორის ცალკე სახეებს შორის დამოკიდებულება ცხოვრების წინააღმდეგობათა ხასიათზე, მათს შვენებლობასა, ძალასა და მნიშვნელობაზე.

ჰუმორის ესაზღვრება ირონია. მაგრამ ირონია ესაზღვრება არა მარტო ჰუმორის, არამედ სატირისაც. ამას ის აბორციელებს თავისი მრავალსახეობის ძალით.

ირონია დაფარული დაიცნავა. ირონიას დაიცნეს დაფარვის მრავალნაირი ფორმები აქვს. ესენია — თანაგრძნობა, წახალისება, თანხმობა და ა. შ. ბურეუბოულ ესთეტიკაში ძალიან გავ-

¹ П. Выходцев, Л. Ершов, Смелее разработать теорию советской сатиры, жур. „Звезда“, 1953, № 2, стр. 152.

² А. Павловский, О сатире, жур. „Звезда“, 1955, № 6, стр. 176.

¹ Л. И. Тимофеев, Теория литературы, 1945, стр. 71—72, და 310.

² А. Буров, Смех — оружие в борьбе нового со старым, жур. „Искусство кино“, 1952, № 11, стр. 17.

³ В. Ермилов, Некоторые вопросы теории советской драматургии. О гоголевской традиции, 1953, стр. 16—17.

⁴ М. Храпченко, Н. В. Гоголь, 1936, стр. 135.



რცელდება ირონიის შოპენაუერისეული განსაზღვრა. ირონია, შოპენაუერის სიტყვით, ზემოთაა სერიოზულობას ამოფარებული, და ამით განსხვავდება იგი ჰუმორისაგან, რომელიც, პირიქით, სერიოზულადაა, ზემოთას ამოფარებული. ეს განსაზღვრა არსებითად ახალი არაა, ვერ კიდევ ციკერონი განსაზღვრავდა ირონიას „როგორც სასაცილოს ასეთ სახეს, როცა ჩვენ ვაშობთ სხვაგვარად, ვიდრე ვგრძნობთ, ე. ი. როცა ჩვენ სერიოზულად ვხუმრობთ“. საქმე ისაა, რომ ასეთი განსაზღვრის დროს განზე რჩება ირონიის ერთ-ერთი უთუოდ მთავარი ნიშანი—საკუთარი უპირატესობის გრძნობა სხვებთან შედარებით. მართალია, ეს ნიშანი ირონიკში შენიღბულად-ა მოცემული მაგრამ უფრო საგრძნობლად. რასაკვირველია, სადაც არაა, რომ სუბექტს ან რბილ ირონიკში უპირატესობის გრძნობა უფრო ნაკლები ძალით შედგენდება, ვიდრე ღრმა და შეკრ, სასტიკ ირონიკში მაგრამ აქაც, ე. ი. უფრო რბილ და სუბექტს ჰუმორისი ის შეტად გაშვებულა. რაც უფრო დიდი ხელოვნებით, რატატურად არის შენიღბული ძრახვა, კიცხვა, სიცილი ირონიკში, მით უფრო იგი ბასრია და მახვილი. ფარავს და ნიღბავს რა უპირატესობის გრძნობას, ირონიკი უთუოდ ეშმაკობს, ვერაგობს, ცბიერობს. ამით იგი აფხიზლებს და ამხვილებს, მახავს წარმოსახვას და გონებას, აძლევს მათ მოკიდებულ მთელი ძალდონე და უფრო ძლიერად იმეზონ. ეს ირონიკს განსაკუთრებით მწვავე სახეს აძლევს. გამოხატავს რა უპირატესობის გრძნობას, ირონიკი გამოდის როგორც ბრძოლის ბასრი იარაღი საზოგადოებრივი ბოროტებისა და არანორმალუბათა წინააღმდეგ. ამიტომ რევოლუციონერი დემოკრატი გერცენი მას უწოდებდა „შობლურს“, „მანეგმეზებელს“ და „შერისმადიებელს“¹.

რაც უფრო შეტად იქნება ირონიკი „შერისმადიებელი“, მით უფრო უახლოვდება იგი სარკინს და მით უფრო მალე გარდაიქმნება სარკინად, ხოლო მისი საშუალებით სატირად, სადაც სიცილი მძვრია და შეუბოვარი.

სოციალურად მნიშვნელოვანი მოვლენების მელიც გმირავს ბოროტებასა და თვითნებობას, საზოგადოებას კურნავს ნაკლთა და ბიჭიერებათაგან, მანკიერებათაგან და მით ხელს უწყობს მის სრულქმნას, სიცილისა და სამართლიანობის ზრდას. ასეთი სიცილი განმეურნავს ამაშია მისი ღრმა ჰუმანიტრობა, ზნეობრივი მნიშვნელობა. მეტროლი სიცილი დაუნდობელია, მაგრამ მის დაუნდობლობას საფუძვლად უდევს თავის საქმის უპირატესობისა და სამართლიანობის, გარდაუვალი გამარჯვების ღრმა რწმენა. ამიტომ ასეთი სიცილი რბილსტერია, ზნეობრივია და ჰუმანიური ვრთსა და იმავე დროს, ის იმიტომ ამოთრახებს, რომ შინაგანი ჰუმანიზმი და ზნეობრივი იდეები უბიძგებს აქეთ და იმავე დროს დაწმუნებული იმაში, რომ კეთილმა უნდა სძლიოს ბოროტს. მისი ჰუმანიზმი და ზნეობრიობა პასიური კი არაა, არამედ აქტიურია და რბილსტერია.

ნათქვამს უკვე შირდება და ამგვარი სიცილის განსაკუთრებულ ზეგავლენას აღამაინებ გასაგებს ზღის მისი გამწმენდი ზემოქმედება გრძნობასა და გონებაზე, შეგნებაზე, ის, რასაც აბსტრატულეს ტერმინით „კათარზისი“ ეწოდება. თვით აბსტრატულე ცნობს კომიკურ კათარზისს და „პოლიტიკაში“ გვიჩრდება გაარჩიოს იგი კათარზისის სხვა სახეთი შირის. მაგრამ „პოტიკის“ ის ნაწილი, სადაც ის დაიჩრება აბსტრატულეს აღბათ შეასრულია, დაკარგულია.

ნათქვამი სიცილის როლის შესახებ ბოროტებისა და თვითნებობის, უსამართლობისა და სიუალების შეერაცხუფისა და განკიცხვის საქმეში, ასეთი სიცილი ჰუმანიური და ზნეობრივი ხასიათის შესახებ, გასაგებს ზღის როგორც ასეთი სიცილით გამოწვეული კათარზისის გარდუვალობას, ასევე ამ კათარზისის თვით ხასიათსაც. ასეთი სიცილი, აღვიძებს რა აღამიანში სამართლიანობის გრძნობასა და ზნეობრივი იდეების ზეიმს, წმენდს და შეგებას აძლევს ცნობიერებას. ასეთი განწმენდა და შეგება მორალურ კმაყოფილებას გვანიჭებს. ასეთი სიცილისაგან მონიჭებული კმაყოფილება არის ზნეობრივი კმაყოფილება ბოროტის დაორჯუნისა და დასჯის გამო. ის აღამიანს აქვთილშობილებს და აძლევს, აძლევს მის გულში უმაღლესი ზნეობრივი და ჰუმანიური იდეების გამარჯვების რწმენას.

¹ А. Шопенгауер, Мир как воля и представление 1883, стр. 117.

² А. И. Герцен, Полн. собр. соч. и писем, т. IX, 1919, стр. 270.



ჯონ გოლსუორთი

ჯონ გოლსუორთი (1867—1933) XX საუკუნის ინგლისური კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

მისი პირველი ნაწარმოებები, რომელთაც აღიარება მოუპოვეს, XX საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა, იმ დროს, როდესაც ინგლისში განსაკუთრებით გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი, უხშირდა მუშათა გამოსვლები, და დიდმა ბრიტანეთმა — „მსოფლიოს ფაბრიკამ“ — დაკარგა თავისი პირვანდელი ძლიერება. მიუხედავად ამისა, ინგლისში მაინც შეინარჩუნა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი იმპერიალისტური ქვეყნის ადგილი თავი პირველ მსოფლიო ომამდე, თუმცე მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობის გაართულება კაპიტალისტური წყობილების ხრწნის უტყუარ სიმპტომს წარმოადგენდა.

იმპერიალიზმის პოლიტიკურმა რეაქციამ შექრალთა გარკვეულ ნაწილში გამოიწვია კრიტიკული დამოკიდებულება ფინანსური ოლიგარქიის ბატონობისადმი. ეს შექრლები მიზნად ისახავდნენ დეხბატთა კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობანი, ემზილებნით მისი მანკიერებანი, ცდილობდნენ დეხსახათ გზები შესაკუთრული საზოგადოების „გადასაკეთებლად“, მაგრამ მათი კრიტიკის მიუდგომლობას ბოქავდა მათივე მსოფლმხედველობის ბურჟუაზიული შეზღუდულობა.

კუმშარტად დიდ მხატვარს არ შეუძლია გვერდი აუბგოს „უბოქის დასასრულის“ ტრაგიკულ წინააღმდეგობათა ასახვას, და ამ დროის უდიდესი შექრლები სწორედ ისინი არიან, რომელნიც ნება უნებლად მისი მამზილებლის როლში გამოდიან. ერთ-ერთი მაიგანია ჯონ გოლსუორთი, XX საუკუნის ბურჟუაზიული კრიტიკული რეალიზმის მნიშვნელოვანი ფორმირა.

ჯონ გოლსუორთის ბეგრი რამ აქავშირებდა XIX საუკუნის ინგლისელ და ფრანგ რეალისტებთან — ბალზაზთან, დიკენსთან, თუქერისთან; ამავე დროს მას განსაკუთრებით იზიადედა დიდი რუსი შექრლები — ტურგენივის და ლეე ტოლსტოის შემოქმედება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ტურგენევი და ლეე ტოლსტოი, ჩეხოვი და მაქსიმ გორკომ უდიდესი გავლენა იქონიეს დასავლეთის ლიტერატურაზე. ჯონ გოლსუორთი რუსული ლიტერატურის გულწრფელი თავიანისმყოფელი იყო; — ხიზლავდა ტურგენევის რომანების გულშიანმშველში სეველიანი ლი-

რიზმი, აღტაცებული იყო ტოლსტოისელებს ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმით, მხატვრული ისტატობით. 1916 წელს გოლსუორთი წერდა: „რუსულმა ლიტერატურამ უკანასკნელი ოკო წლის მანძილზე დამად გამოისცავა ჩვენი ლიტერატურის ზღვაში ცხოველყოფელ მდინარეზად მოგვევლინა“. თვით ბურჟუაზიული კრიტიკისეზიე აღნიშნავენ ტურგენევისა და ტოლსტოის გავლენას გოლსუორთის, როგორც შექრლის, ფორმირებაზე. მაგალითად, შექრალ მელოქსფორდს ერთ თავის წერილში აქვს ასეთი საყურადღებო სიტყვები: „ათასჯერ მიკითხავს ჩემი თავისთვის — რამ არ ყოფილიყო ტურგენევი, რა გამოვიდოდა გოლსუორთი, ან უკეთ — რა იქნებოდა გოლსუორთი?“ ინგლისელ შექრალს იზიადედა აგრეთვე მოწინავე რუსული დრამატურგია, განსაკუთრებით კი ჩეხოვის აფსილდა; ამიტომაც გოლსუორთის პიესებში ერთგვარად აგრძნობა ხასიათის მოხაზვის ჩეხოვისეული მანერა.

ინგლისელმა შექრალმა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა; თავისი სალიტერატურო მოღვეწეობის თითქმის 35 წლის განმავლობაში მან შექმნა მრავალი რომანი და პიესა, დამერა მოთხრობები, კრიტიკული წერილები, სტატეები, ლექსები. გოლსუორთის ლიტერატურული მემკვიდრეობის განხილვისას გამოირჩევა სამი პერიოდი: 900-იან წლებში შექრალი თამამად სტეებდა მსჯავრს შესაკუთრული საშყაროს უგვანობას, ამ დროს შექმნა მან თავისი შესანიშნავი რომანები „ფარისეველთა კუნძული“ და „მესაკუთრე“; თიანი წლებიდან შექრლის შემოქმედებაში შეიშინევა წინააღმდეგობათა ზრდა, გოლსუორთი გრძნობს ბურჟუაზიული საშყაროს კატასტროფის აუცილებლობას და რეკოლუციის შიშმა შექრალი აიძულა გავდისინჯა თავისი იდრინდელი პოზიციები — უქსპლიატატორთა კლასის სატორულ მზილებიდან მის აპოლოგიაზე გადასულიყო, თუმცე კი ამ დროინდელ ნაწარმოებებში კვლავ ჩანს დიდი შექრალი-რეალისტი; 20-იან წლებში, კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის პირობებში გოლსუორთის შემოქმედებაში ცხადად იჩინს თავს რეაქციული განწყობილებანი და შექრალი ამჟავრდ იცავს ინგლისის მმართველი წრეების პოლიტიკას.

ჯონ გოლსუორთი დაიბადა 1867 წლის 14 იგ-

ვისტოს კემპში, სარის საგრაფოში. სწავლობდა პაროს სასწავლებელში; ოჯახური ტრადიციის-მერე უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო ოქსფორდის უნივერსიტეტში. 1890 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი, პეტრი იმოგზაურა, მგარამ-საშობლობში დაბრუნების შემდეგ იურიდიული პრაქტიკისთვის ხელი არ მოუკიდინა და მთელი თავისი სიცოცხლე ლიტერატურულ მოღვაწეობას შესწირა.

გოლსუორთის პირველი მნიშვნელოვანი რომანი „ვილა რუბეინ“ (Villa Ruben) 1900 წელს გამოქვეყნდა. მასში მოცემულია ჰემზარიტი ხელისუფლების, სილამაზეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის კონფლიქტი კონსერვატიულ ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან. მხატვარი ელროზ პარკო ერთგვარად წინამორბედი გოლსუორთის შემდეგომ რომანების მოამბობე გამორეხება. უკვე ამ რომანში ვხვდებით მთელ რიგ კრიტიკულ ტენდენციებს, რომელნიც უფრო სრულყოფილად „ფარისველთა კენჭელში“ და „მესაქუთრეში“ განვითარდებიან.

1904 წელს გამოქვეყნებული „ფარისველთა კენჭელი“ (The Island Pharisees) გოლსუორთის პირველი სატირული ნაწარმოებია, რომელიც უდალესი ძალით ახშელს იმპერიალისტურ ინგლისს. თვით სათაურიც — „ფარისველთა კენჭელი“ საკმაოდ მკერმეტყველურად გვაშინებს ამას. თავისი სიუჟეტით გოლსუორთის შემდგომ ნაწარმოებებთან შედარებით იგი რთულად არ ჩითვლება; მისი მარტივი კომპოზიცია ვარკვეულ მიზანს ემსახურება — მისცეს ავტორის სრული შესაძლებლობა თავისი მკაცრი მსჯავრის გამოუტანის მთელ იმპერიალისტურ ინგლისს — ფარისველთა ქვეყანას, მის ქალაქსა და სოფელსაც, მის პოლიტიკას, მორალს, კულტურას, ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს.

გოლსუორთი დიდი მხატვრული სიძლიერით ახშელს ბურჟუაზიული კლასის ყალბ „რესპექტაბელბობას“, პირაითვე მორალს, ეგოიზმს, გონებრივ შეზღუდულობას; მეტი სატირული ფერებით ზატავს ინგლისის „მიღალ საზოგადოებას“, შწერლის ყველაზე მწარე, განაადგურებელი სატირა ამ ადამიანთა გაღურებისთვის არის გამიზნული და აქ ერთგვარად იგრძნობა თუკერის „სნობების წიგნის“ კვლი. თუმც ამ რომანში გოლსუორთის სინამდვილის კრიტიკა სოციალურიდან ეთიკურ ასპექტში გადაიქცეს, თუმც მისი რეფორმისტული მიდრეკილებანი ანაღებენ რომანის სიმახვილეს, „ფარისველთა კენჭელი“ თავისი მამხილებელი ძალით მიიწე მისი ერთგვარ უძლიერესი ნაწარმოებია. გოლსუორთი ახშელს ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებას, მგარამ სოციალური უთანასწორობის მოსიბოზა რევილუციურა გზით მისთვის მიუღებელია; ეს საკითხი საერთოდ არც ისმის „ფარისველთა კენჭელში“. გოლსუორთი თავის კლასობრივი შეზღუდულობის გამო

ვერც აქ და ვერც სხვა რომანებში შესძლო ბურჟუაზიასა და პოლიტიკაიტს შორის არსებული კონფლიქტის რეალისტური ასახვა.

გოლსუორთის ამდროინდელი დრამატურგია იმავე მიზნებს ემსახურება, რასაც პროზა, თვით იგი თავის ერთ-ერთ წერილში წერდა: „ჩემი დრამატურგიული მოღვაწეობა და მისი ფორმა მიკანასა იმდროინდელი ინგლისური ზღოვრები პიესებისაღში ზიზღმა და მტკიცე სურვილმა — სცენაზე ნამდვილი ცხოვრება მეჩვენებინა“. თავის პირველსავე პიესაში „ვერცხლის კოლოფი“ (The Silver Box — 1906) გოლსუორთი სოციალურ თემას აშუშავებს. ამავე პერიოდში დაწერილი სხვა პიესებიც სოციალურ თემატიკაზეა აგებული და დიდი ინგლისელი დრამატურგის როცხ პიესებთან ერთად სცენაზე რეალიზმის დაკვიდრებას უწყობდნენ ხელს.

თუმც თანამედროვეთა აზრით გოლსუორთი მიწოდებით დრამატურგი უფრო იყო, ვიდრე რომანისტი, ლიტერატურის ისტორიაში და მკითხველი საზოგადოებისათვის ინგლისელი მწერალი უმთავრესად ცნობილია, როგორც „ფორსაიტების საგის“ ავტორი, და საცხებით სამართლიანადაც, ეს მონუმენტური ნაწარმოები, რომელიც მთელი 22 წლის მანძილზე იწერებოდა, ერთის მხრივ ისტორიაა ბურჟუაზიული საზოგადოების რღვევისა, მეორე მხრივ კი — ისტორიაა თვით მისი ავტორის შემოქმედებითი გზისა.

„სულ უფრო და უფრო სწირად მნდება წიგნები, რომელნიც ასახავენ „ოჯახის — სახელმწიფოს საფუძვლის“ ნგრევის პროცესს, შურთუეველი ფორსაიტების განადგურებისა და რღვევის პროცესს, რაც ასე რსტატურად ასახა ჯონ გოლსუორთიმ თავის „ფორსაიტების საგამში“ — წერდა მაქსიმ გორკი.

თვით ამ მონუმენტური რომანის ფორმავე კი მეტყველებს, რომ გოლსუორთი ზალზაის ტრადიციებს მისდევს და ცდილობს მასავით „საზოგადოებრივი ყოფის არქეოლოგი“ (ზალზაისეული გამოთქმამ) ვახდეს; მგარამ თუ „ადამიანური კომედის“ ავტორმა თავის ვრცელ ციკლში ასახა საფარანგეთის თითქმის ყველა საზოგადოებრივი კლასი და ფენა, ინგლისელი მწერალი უკვე ფრანგი რომანისტის მასშტაბებს ვეღარ იცავს და აიტირმაც უურადლების ცენტრში ახლა მხოლოდ ერთადერთი კლასი — მსხვილი ბურჟუაზია მოქცეულია. ეს აშუაგი ურადლებების ღირსია, რადგან ფაქტობრივად იგი ბურჟუაზიული კრიტიკული რეალიზმის დაკვირვებაზე მეტყველებს.

„ფორსაიტების საგისათვის“ 1922 წელს წამოღებულ წინასიტყვაობაში გოლსუორთი წერდა: „თუ სხვა კლასებთან ერთად საშუალო კლასიც უწერია არაზომად ქცეული, აქ ამ ფურცლებზე, როგორც მინის ქვეშ, დევს იგი ლიტერატურის ფართი და ცუდად მოწყობილ მუხეუმში. აქ განისყენებს იგი, შენახული თავისივე საკუთარ წვენში; ეს წვენი — საყუთრების გრძნო“

ბაა". იქ გოლსუორთი მიგვიითობებს თავისი უცრადლების ობიექტზე — ესაა მსხვილი ბურჟუაზიის კლასი, ჩანტეაბები, ინგლისის „თითქმის ნახევარი“, რომლებმაც თავისი არსებობით განსაზღვრეს მისი — „სახელმწიფო-ჩანტი“ (ლენინი) სპეციფიკა. ამ ორ ტრადოვიანში, რომელთაგან პირველს „ფორსაიტების საგა“ ეწოდება, ხოლო მეორეს „თანამედროვე კომედია“ ჰქვია, გოლსუორთიმ დიდი სოციალური განზოგადებები დახატა ბურჟუაზიული კლასის რღვევის ისტორია წლითწლით — 1886 წლიდან 1926 წლამდე. ცოცხლის პირველი რომანი — „მესაკუთრე“ (The Man of Property) 1906 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მისი შემდეგი ნაწარები უკვე პირველი იმპერიალისტური ომისა და ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიწერა.

თავი გოლსუორთი ასე განმარტავდა თავისი ნაწარმოების არსს: „თუმცა „ფორსაიტების საგანი“ მთავარი თემაა სიღამაზისა და თავისუფლების შეტრა მესაკუთრულ სამყაროში, მე ვერ უარყვოვ, რომ დაიწყებისგან ვისწავლი „upper-middle“ კლასს“. ამგვარად ფორსაიტების ოჯახი გოლსუორთისთვის მთელი მსხვილი ბურჟუაზიის განზოგადებული სახეა; მწერალი საგანგებო ტერმინსაც კი ქმნის — „ფორსაიტში“ და „მესაკუთრეში“ არაერთხელ მიუთითებს ფორსაიტთა ტიპიურობაზე.

ფორსაიტების დასახასიათებლად გოლსუორთი პირველ რომანს ეპიგრაფად ურთავს შილოვის სიტყვებს „ვენეციელი ვაჭრიდან“ — „ის მონები ჩვენ გვეკუთვნისო“. ამ სიტყვებით შილოვი ცდილობს განუმარტოს სასამართლოს, რომ იგი ისევე თვლის „საკუთრებელ ანტიკონის ვალს, როგორც დოვი—თავის მონებს“. „ის მონები ჩვენ გვეკუთვნისო“ — ეს სიტყვები გამოხატავენ ფორსაიტების მესაკუთრულ ბუნებას, მათ დამოკიდებულებას საგნებისა და ადამიანებისადმი. „საკუთრების გრძნობა ფორსაიტშინის სასინჯი ჰეა“ — წერს გოლსუორთი. დიდი მხატვრული გაქანების მწერალს არ შეიძლება შეუძინეველი დარჩენოდა ამ ოდესღაც ძლიერი კლასის თანდათანობითა რღვევა. მაგრამ რაკი იგი ვერ ბედავს ხელკეცოს ფორსაიტშინის საფუძველი, ამიტომ მისი ნაწარების ტრაგედია სოციალურიდან ფსიქოლოგიურ სფეროში გადაქავეს. ამ გარემოებამ თავი იჩინა რომანის ტიპაჟის შექმნაშიც; თუ ერთის მხრივ ფორსაიტები წარმოადგენენ ბურჟუაზიის „სისხლსა და ხორცს“, მათ უადრესად ტიპიზირებულ ინდივიდუალურ სახეებს დაწყვეტენ „მოხატევი ჯოლიონიდან“ ვიღაც „ძალიან ახალგაზრდა ნიკოლასამდე“, მათი მოწინააღმდეგე ბანაკი ამ ფონზე შეტად მკრთალად გამოიყურება—აბიონისა და ბოსონის (სიღამაზე, ხელოვნება, თავისუფლება) სახეები აბსტრაქტული არიან, საცემბით მოყვებულნი სოციალურ შინაარსს. მათში ავტორმა შესწორი სიმბოლურად გამოხატა ძი-

ლისა, რომელსაც უნდა დაენგრიო ფორსაიტთა სამყარო; ამ კონფლიქტის ასტეგმეზე ვუღწეროტთის რეალიზმის ძალა — მწერალმა გოლსუორთიმ ვერ შეძლო კონფლიქტის ჩვენება სოციალურ ასპექტში — ამაში გოლსუორთის რეალიზმის სისუსტე და შეზღუდულობა.

ფორსაიტების კრიტიკაშიც გოლსუორთი არა-თანმიმდევრულია, თავი რომ დავანებოთ მისი შემოქმედების მეორე პერიოდს, რომელშიც იგი ფორსაიტთა ამყარა დამკველად გვევლინება, ყველაზე კრიტიკულ „მესაკუთრეში“ კი იგრძნობა წინააღმდეგობრიობა ერთის მხრივ ფორსაიტთა მხილებაში და მეორე მხრივ ისევ იმავე ფორსაიტთა იდეალიზაციაში. თავის ერთ-ერთ წერალებში ედუარდ გარნეტისადმი გოლსუორთი აღიარებდა, რომ მას უნდებო ბრძოლა „კასტრო-რომის გრძნობასთან“, რის შედეგადაც მისი ძირითადი რომანები წარმოადგენენ მწერლის „მეს“-ს ერთი მხარის კრიტიკას მეორე მხარის მიერ.

რომანის პირველი ფერებებიდანვე გოლსუორთი გვეცნობს ფორსაიტთა დიდ ოჯახს; მოხუც ჯოლიონს, ფორსაიტთა „პატრიარქს“, „საგაში“ განსაკუთრებული ადგილი უყავია, იგი მესაკუთრეა, მაგრამ განსხვავდება სხვა ფორსაიტებისაგან იმით, რომ მესაკუთრული ინსტიტუტი მასში შეტად „გაკეთილშობილებული“ სახითა გამოვლენილია. მოხუცა ჯოლიონი გოლსუორთისთვის ბურჟუაზიული კლასის ემბლემაა, მისი „ოქროს ხანის“ წარმომადგენელი, რომელიც თავისი ფართო გონებით, ენერჯიით, ნებისყოფით უპირისპირდება სოციალისტურ ბურჟუაზიის ძალას. მოხუც ჯოლიონს მწერალი თითქმის აივალნებს, მისი აზრით ფორსაიტების სამყარო შესანიშნავი იქნებოდა, ყველა რომ მოხუც ჯოლიონს ჰგავდეს. მოხუცა ჯოლიონისგან სრულიად განსხვავდება მისი ძმა ჯემსი, გოლსუორთის მიერ არანაყლები ოსტატობით დახატული. ჯემსს ძველ-რბილი აქვს გამჯდარი საკუთრების ინსტიტუტი, ყველაფერს გამოყენებს თეატრალურად უყურებს. როდესაც ეგონი შეეცდება დიოთანბნოს იგი აამწებინოს ბოსონის სახლი ლონდონის გარეთ „სუფთა ჰაერზე“, ჯემსი ვაოცებული ეკითხება: „სუფთა ჰაერზე? მერე და რაში მჭირდება სუფთა ჰაერი?“. მისთვის ყოველი მოვლენა მხოლოდ ფულად განსაზიერებთ ხდება ვასაგები. მაგრამ ფორსაიტული არსის ყველაზე ძლიერი განზოგადოება სოციალისტის სახითა მოცემული. ისეთ მესაკუთრულ საზოგადოებაშიც კი, როგორც იგი მისი ოჯახია, სოციალისტ „მესაკუთრის“ მეტ-სახელი დამსახურა. მისთვის ყოველგვარი დამოკიდებულება ფულად ურთიერთობამდე დაიყვანება; თავის ლამაზ ცოლს — აირინს იგი ისე უყურებს, როგორც ძვირფას შენაქენს, ქონებას, საკუთრებას. სოციალისტ ხელოვნების „მოყვარულია“, აქვს სურათების გაღერვა, ოლიონ მას სურათის ფულად ღირებულება აინტერესებს მხოლოდ. სოციალისტის უცხოა ჰემშიარტის ხე-

ლოცნება — დამახასიათებელია, რომ აირინი — შესანიშნავი მუსიკოსი მისი თანდასწრებით არასოდეს არ უყრავს. სოომისის ოსტატურად გამოკეთალი მესაკუთრული ფიგურის გვერდით გოლსუორთი მყოფ თაბის სხვა წარმომადგენლებიც დახატა, მაგრამ „ქეშმარიტ“ ფორსაიტთან მხოლოდ ახალგაზრდა ჯოლიონი და „სპორტსმენი“ ჯორჯი განსხვავდებან. ახალგაზრდა ჯოლიონმა ფორსაიტთა ოჯახში პირველმა მიიღო არისტოკრატიული განათლება, ავტორის გააზრებით იგი თავის კლასს უნდა უპირისპირდებოდეს — ეს გამოიხატა ახალგაზრდა ჯოლიონის მიერ ფორსაიტული მორალის უგუნდებულყოფაში.

სოომისის, ჯეჟსის და სხვათა წმინდა ფორსაიტულ სამყაროში დამანგრეველი ძალის სახით შეიჭრებიან აირინი და ბოსინი — სილამაზის, ზელოვნების, თავისუფლების განსაზიერებანი. სწორედ იმტომ, რომ ისინი აბსტრაქტულ კატეგორიებს განსახიერებენ, გოლსუორთიმ ისინი ფსიქოლოგიურ გააზრებით წარმოგვიდგინა რომანში და ვერ შესძლო მხატვრული თვალსაზრისით ფორსაიტთა სადარო ტიპების შექმნა. შეჭრალი გრძნობს, რომ მესაკუთრული სამყარო ახლოს სილამაზეს და თავისუფლებას, არ ძლევს გასაქანს ადამიანურ გრძნობებს, ნიჟს, შემოქმედებით ძალას — აირინის და ბოსინის სოომისისთვის დაპირისპირება ამ კონფლიქტს ასახავს.

თუ ზოლამ „შაკარ — რეკონებში“ ბერკეუზიული ქორწინების ფარისევლური არსი ფაქტური „მრავალკოლიანობის“ და „მრავალქირიანობის“ კომედიალ წარმოვიდგინა, გოლსუორთიმ ეს კომედია „მესაკუთრეში“ ტრაგედიალ აქცია. აირინისა და სოომისის ოჯახშიც ურთიერთობა ფიგურის გამშქებით სოციალურ სიმპევილეს იღებს. აირინი, რომელიც ერთერთმა ფარსაიტმა წარმართულ ლეთებან შეადარა, ყველას ალტაცების და თვეანისკევის გრძნობას უნერვავს. თვით ფორსაიტებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ, რომ იგი „მეტრსმეტად კარგია ამ სოომისისთვის“, აირინისთვის უცხო და შეუთვსებელია სოომისის მესაკუთრული ბუნება. აირინისა და სოომისის ურთიერთობას უპირისპირდება არქიტექტორ ბოსინის და აირინის გულწრფელი, ამაღლებული, ნამდვილად ადამიანური სიუჯარული, რომელიც ტრაგიკულად მოავრდება. გოლსუორთიმ განგებ დატრეა მონიშველი გაურკვეველ მდგომარეობაში — რეკონების ნისლიან ქუჩებში ბოსინი თავი მოკლა თუ უბედურმა შემთხვევამ იმსხვებლა, ფილიპ ბოსინის დაღუპვა გოლსუორთისთვის „თავისუფალი ზელოვნების“ სიმბოლოს, მემამობის მორალური გამარჯვება უნდა უოფილიო მესაკუთრულ სამყაროზე.

ეს ძალა, რომელიც ფორსაიტების სანინადმდევი საწყისის ანსახიერებდა, რომანის ფურცლებიდან გაჭრა. შეჭრალს ვერ დაუნახავს სხვა ძალა, რომელიც ფორსაიტებს აღუდგებათ წინ

ძლიერ მოწინააღმდეგედ, ამიტომ იგი დღემდე გვირგნის ძიებას იწყებს თვით ფორსაიტების კლასის შეგნით — ისეთი „ძიებანი“ წარმართული დისკრულების სანინადარია მიხსი ტრანსპერსი. სამაპატია მოხეცო და ახალგაზრდა ჯოლიონების მიმართ. შემდეგომ გოლსუორთი შეეცდება ერთმანეთს შეურიგოს ორი სანინადმდევი საწყისი — საკუთრების გრძნობა და სილამაზე, თემქმან ეს თერთმეტი წლის შემდეგ დაწერილ ინტერლუდიაში სცადა პირველად.

1907 წელს გამოქვეყნებულ რომანში „მამული“ (The Country House) გოლსუორთი აგრძელებს ბერკეუზიული საზოგადოების ავტორიკას, ოღონდ ახლა მისი ობიექტი მიწისმფლობელი მხნერობაა პენდისების ოჯახის და მათ ვარშემო მყოფი საზოგადოების სახით. ამ რომანში ავტორი გვიხატავს პროვინციულ ინგლასს, პენდისების სამყაროს, მათს „ტრადიციულობას“, თვისებებს, გემოვნებას, „იდეებს“. პარეის პენდისის, ჯეჟსი მილდენის, ლორდ კლარენდონის ერთადერთი მრწამსი იმამი მდგომარეობას, რომ ისინი „საზოგადოების ბერჯენი“ არიან, — თუ ისინი არ იქნებიან, ყველაფერი დაიღუპება. მათ ეშინიათ ყოველგვარი ცვლილებისა, სწამთ მხოლოდ ერთხელდასამდამოდ დადგენილი წესი და ვერ წარმოიდგენიან მისი შეცვლა. ამ პორეის პენდისის მრწამსი: „შეამს მაშინვე და მიაი მამა, შეამს, რომ ზვენ შეეჭმენით ქვეყანა და შევინახავთ მას ისე, როგორც არის.. და შეამს საგნები, როგორნიც არიან და იქნებიან აწ და მარადის“.

მაგრამ ცხოვრება იცვლება, და საგნები ვეღარ დარჩებიან უცვლელნი „აწ და მარადის“ — ამას გოლსუორთი კარგად გრძნობს. მას, ინგლისის მეშათა კლასის გამოსულების მოწმეს, არ შეუძლია არ ასახოს ორი სოციალური კლასის წინააღმდეგობა და პიესის „ბრძოლა“ (Strife — 1909) მიმართავს შრომისა და კაპიტალის დაპირისპირების მტკივნეულ თემას. პიესის შინაარსის მიხედვით გოლსუორთის მსჯელობა საესებით ნათელია — კლასობრივი ბრძოლა ცალკეული „ფინანტოსების“ საქმეა, მას ზიანის მეტი არაფერი მოჰქვს, კომპრომისები კი ყველაზე სულეუსო გამოსავალია. მაგრამ პიესის მნიშვნელობა შორს გასცდა გოლსუორთის თვადამირველ ჩანაფიქრს. უპირველეს ყოვლისა ისაა შესანიშნავი, რომ გოლსუორთიმ თავისდაუნებურად დახატა არა მხოლოდ მეშათა კლასის შამივე ცხოვრება, არამედ ისიც, რომ პროლეტარიატი აყენებს კლასობრივ მოთხოვნებებს და იცავს თავის უფლებებს, ებრძვის სოციალურ უსამართლობას. ყოველივე ამის გამო პიესა გასცდა ავტორის მიერ ჩანაფიქრ ვიწრო ფსიქოლოგიურ ფარგლებს და — მამვილი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსით აივსო.

1909 წელს დაწერილი რომანი „მამობა“ (Fraternity) გვიჩვენებს, რომ გოლსუორთი ამ რომანის გვირ მოხეც სტონენით უფიქრდება

ღარბობა და მდიდართა შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის საკითხს, მაგრამ გამოსავალი ვერ უპოვია. ხოლო რომანი „ფრილენდები“ (Free-lends — 1915) კვლავ ამჟღავნებს გოლსუორთის კონსერვატიულ პოზიციას კლასობრივ წინააღმდეგობათა გადაჭრის საკითხში.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უდალესი გავლენა იქონია მთელი მსოფლიოს პრაგმატიკაზე, ინგლისის მეშუბი თანავტანობიდან რუსეთის რევოლუციის კოლონიებში იზრდებოდა მოძრაობა მეტროპოლიათა ბატონობის წინააღმდეგ, იმპერიალისტური საზღვარს-თვის ცხადვად, რომ მისი ბატონობა ზანმოყვლეა, სიმტკიცეს მოკლებულია.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დასავლეთის ბევრმა გამოჩენილმა მოღვაწემ, მათ შორის რომენ როლანმა, დრაიზერმა, ბარბიუსმა თავისი შემოქმედება სამედამოდ დაუკავშირა მუშათა კლასის მისწრაფებებს. სხვა თვლით შეხედვა ჯონ გოლსუორთი ამ ფაქტს — არდესია რევოლუციამ მის წინაშე დააყენა ბურჟუაზიული კლასის ყოფნა-არყოფნის საკითხი, მან ცხადვად იგრძნო თავისი სისხლ-ხორცეული კავშირი ფორსაიტულ ინგლისთან და მესაკუთრეთა საზღვარს გარდევნა კატასტროფის წინაპირობებში, ხალხის და რევოლუციის წინაშე შიშმა მწერალი კონსერვატორთა და ექსპლუატატორული კლასების დამცველთა რიგებში მიიყვანა. გოლსუორთის შეშოქმედების ომისშემდგომ პერიოდს ახასიათებს კრიტიკული საუყისებო შერწყმა რეაქციულ ტენდენციებთან. მწერალი 11 წლის მანძილზე კვლავ უბრუნდება ფორსაიტთა თემს, შერბამ ახლა იგი ახალი თვალსაზრისით აფასებს თავის დამოკიდებულებას ფორსაიტებისადმი და შეგნებულად აიღვალებს მის უფროს თაობას — ბურჟუაზიის „ოქროს ზანის“ წარმომადგენელს.

ფორსაიტთაგან მოხვეი ჯოლიონს ყველაზე მეტ სიმპატიას აღუძრავს მწერალს „ფორსაიტის გვიან ზაფხულში“ (1917) კი ეს სიმპატია აღტაცებად იქცა. მოხუცი ჯოლიონის სიციცხლის უკანასკნელ დღეებში გოლსუორთი შეარჩავს ორი აქამდე შეურიგებელი საყვისი — ფორსაიტობის და სილამაზე.

ფორსაიტული ციკლის მეორე რომანია „მარწყებში“ (1920 წ.) მოთავარი პერსონაჟები ახალგაზრდა ჯოლიონი და სოამსი არიან, თუცე თხრობაში რამდენიმე სიუჟეტი ვითარდება პარალელურად.

ამ ახალ რომანში, რომელიც პირველსგან 14 წლითა დაცილებული, სოამსი კვლავ მესაკუთრეა, ოლიონ იმ განსხვავებით, რომ ეს თვისება ახლა მასევე სტანჯავს: „ჩემი აზრით სოამსი კომიკურია, მაგრამ იგი ტრაგიკულია მათე დროს!“ — ჯოლიონის ეს სიტყვები განსაზღვრავენ სოამსის ბუნების ახალ ინტერპრეტაციას. 1922 წ. რომანისთვის დაწერილ წინასიტყვაობაში მწერალი არ მალავს, რომ იგი ახლა ისე მტრულად აღარ ეცილება სოამსს, ერთგვარ სიმპატი-

საც კი გრძნობს მისადმი: „რაც შორს შეუკრავენ ჩემი მკითხველები სავის მლაშე წყლებში, მით უფრო მეტად ეცილებათ სოამსს და დრაიზერს, რომ ეს ეწინააღმდეგება ბურჟუაზიის სურვილს. სრულიადე არა! მას ახლა თვითევე ეცილებათ იგი!“ — წერს გოლსუორთი.

რომანი ინგლის — ბურგების ომის (1899 — 1901) ფონზე ვითარდება. თუცე მის შესახებ ცოტას ლაპარაკობენ, მაინც შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა ამ ომისადმი ფორსაიტების და ამსთანავე თვით გოლსუორთის დამოკიდებულების შესახებ. ერთის მხრივ გოლსუორთი სწორად განმარტავს ბურჟუაზიული კლასის დინტერესებს ამ ომით: „ბრიტანეთი ვერ უფლებულესეოებს თავის კანონიერ კომერციულ ინტერესებს“, ხოლო მეორე მხრივ კი გვიჩვენებს ამ მოთავარი მიზნის შემნიღავე ფორსაიტს — „ბურგები მხოლოდ ნახევრად ცივილიზებული ხალხია, ისინი აფერხებენ ცივილიზაციას“. გოლსუორთი სავსებით ეთანხმება ახალგაზრდა ჯოლიონს, რომლის ვაჟი „სამშობლოს ინტერესების დასაცავად“ ბურგების წინააღმდეგ მიდის საბრძოლველად: „დროა ვასწავლოთ იმ გაძევრებს ჭკუა ჩემთვის სულერთია მართლები ვართ თუ არა!“ — ასყენის იგი.

ამვე რომანში გოლსუორთი გელისტიკვილით აღწერს „რეკლე დიად ეპოქის დასასრულს“. დედოფალ ვიქტორიას კატაფალთან ერთად ფორსაიტული ინგლისი აცილებს საკუთრების ბატონობის „ოქროს საუკუნეს“, ფორსაიტთა ურყევობა და საფუძველი. ამიტომევე უქნაში გამოცხადს მშრომელი ხალხს სოამსს „არა ინგლისელებად“ და „ფორსაიტთა ციკლად უარყოფად“ ეჩვენება. ეს შიში ხალხის მასების წინაშე მთელი მისი კლასის შიშია, რომელსაც თვით გოლსუორთის შემწუნებაც ერთვის.

ამ „არაინგლისელების“, „რადიკალებისა და სოციალისტების“ მქუარის წინაშე სილამაზის და ფორსაიტობის ანტაგონიზში აშკარა კომპრომისში გადადის; ერთი ფორსაიტისგან წასულმა სილამაზემ (აირინი) თავი შეაფარა მეორესთან, მართალია, ეს მეორე — ახალგაზრდა ჯოლიონი უფრო დახვეწილი და ამაღლებული სულის ბატონია, ვიდრე სოამსი, მაგრამ ბუნებით მაინც ფორსაიტად რჩება. დასკვნა ერთია — მტრობა სილამაზესა და მესაკუთრულ ინსტიტუს შორის მოისპო, ამიერიდან იგი აღარ უქადის დანგრეებს ფორსაიტების საზღვარს.

ტრადიციული უკანასკნელი რომანი „ქორავდება“ (1921) პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ამბებს ეხება. შექსპირისეული ეპიგრაფით — „საუბედ ვარსკვლავზე, სივალად, ამ ორში გვიარმა ორი ნათელი სიყვარულის ვარსკვლავი შობა“ — გოლსუორთი ვამზადებს აირინის ვაჟს — ჯოლიონს და სოამსის ქალიშვილის — ფელსის — სიყვარულის დრამისთვის — ამ თემაზე ვითარდება რომანი. ფელსისა და ჯონს გატაცებით უყვართ ერთმანეთი, მაგრამ მშობლების წარსული

წინ აღუდგება მათ ქორწინებას; მამის სიყვდილის შემდეგ ჯონი დედასთან ერთად ამერიკაში მიემგზავრება სამუდამოდ, ფლერია კი, რომელიც ტრაგიკულად განიცდის პირველი სიყვარულის მარცხს, მაიკლ მონტს, ბარონეტის ერთადერთ ვაჟს მიყვება ცოლად. ბურჯუაზიის და საგვარეულო არისტოკრატის წევრთა შეუღლება გამაზნაბტავს ამ ორი გამბატონებული ფენის კომპრომისს „პოროზონტზე აღდგარი რევოლუციის წინაშე“.

ამ რომანში ავტორის მიერ სოციალისტური ტრეპა გრძელდება—მან თითქმის საცხებით დაიკარგა თავისი უარყოფითი თვისებები და ახალ თაობას უპირისპირდება როგორც ერთადერთი დადებითი მთლიანი ფიგურა. „მემატირეში“ გოლსუორთი აბასიმატიურ სოციალისტურ სრული ანტიპოდი — არქიტექტორი ზოსინი და უპირისპირია და ბრძოლა უკანასკნელის ტრაგიკული სიყვდილით, მაგრამ შორალტერი გამარჯვებით დასრულია. „ქორაღდებაში“ სოციალისტური პირისპირდება ბელგელი პროფონი, ომის დროს საეკვიპო საქმეებით გამდიდრებული, ცინიკოსი და უზნეო ამ ორთაგან სოციალისტ განუზომლად მიღწა დგას, ახლა რომანში სოციალისტ დახასიათებინას ავტორის აქცენტო კლასობრივი განსოვავოდობიდან აღმინაურ თვისებებზე გადაიქცეს.

თანამედროვეობის მათეონისეული განსაზღვრა — ცხოვრება ცარიელია, მაიმუნების ბრძოლას ჰგავს ფევი კაცლისთვის — შემდეგმ განვითარებას პოულობს „თანამედროვე კომედიის“ ციკლის პირველ რომანში — „თეთრი მაიმუნში“ (1924). ჩინელი მხატვრის მიერ შესრულებული თეთრი მაიმუნის სურათი სიმბოლური გამოხატულებაა იმ განწყობილებისა, რომელსაც შუაუკრია ფორსაიტთა ახალი თაობა. თეთრ მაიმუნს გამოუწურავს ფორსაიტთა, მისი ქერტი ძირს მოუფანტავს და დამინისებური სევიდინი თვალებით გაჟურერებს სიერეს, თითქო რადაცს მოეღისა: „იგი არ დამშვიდდება, სანამ თავისას არ მიიღებს — ამბობს მაიკლი — მაგრამ საქმესაა, რომ თვითაც არ იციის, რა უნდა“. ეს სიტყვები მთელი ფორსაიტელი ინგლისის დახასიათებაა.

თუ პირველი ტრილოგიის უკანასკნელ რომანში კიდევ იგრძნობოდა ერთგვარი წინააღმდეგობრიობა სოციალისტურ სურათში, „თეთრი მაიმუნში“ ეს წინააღმდეგობა საცხებით მოსაპობილია. გოლსუორთი ახლა ისეთივე ლირიზმით ხატავს სოციალისტს, როგორც ოდესღაც მოხუც ჯოლიანს ხატავდა.

ინგლისი ხსნას საქორიებს — ასეთია ლეიტ-მოტივი „ვერცხლის კოვზისა“ (1929). მაიკლ მონტი — პარლამენტის წევრი — უფიქრდება საკითხს, რით შეიძლება გადაარჩინოს ინგლისი, და ფოკარტის პროგრამას აჩვენებს, რომლის მიხედვითაც ინგლისის პროლეტარიატის ახალგაზრდა თაობა სრულყოფანებამდე უნდა დომინირებაში გაიგზავნოს სამუდამოდ, რომ ინგლისში არ

იყოს ტარბი მოსახლეობა. თეიფ-მაიკლს ნაღურხად სჯერა ამ გეგმისა. უკვე თვით სახელი თეორიისაა — „ნისლოანი“ (იგი უკანასკნელ მსჯელობებს მის უპერსპექტივაზაზე მსჯელობს და მისა წევრებიც ნისლში არიან და გზა ვერ გაუვნიათ — ვერ უპოვნიათ გამოსავალი ინგლისის მძიმე მდგომარეობიდან. სიმბოლურია ეპიზოდი, როდესაც ავტორი ავგაფრის როგორ დაებნა ლონდონის ნისლში გზა ფოგარტიზმის მომხრე მაიკლს.

ფორსაიტების ამოლოგია უმაღლეს წერტილს აღწევს „გედის სიმღერაში“ (1926). რომანში აღწერილია ინგლისელ მეშაბა ვაფიევი 1926 წელს. ვაფიევი შემოღობილებში დაიწყებს, რადგან მალაროთა მემატირენი „ლოკ-აუტით“ დაემუქრნენ მათ შეუერთდნენ მრეწველობის და ტრანსპორტის მეშეში. ეს პირველი გრანდიოზული გაფიევიცა ცხრა დღეს ვაგრძელდა და მხოლოდ ტრედიუნონების გაქციელებური პოლიტიკის გამო ჩაიშალა. გოლსუორთი მეშაბა ვაფიევის აღწერისას იგავე მოტივს იმეორებს, რასაც ოდესღაც პიესა „ბრძოლაში“ ასახელებდა: შემადაროთა გამოსვლა მას „ბავშვობად“ და „ჯიუტობად“ ეწვევება. ვაფიევიცა დამარცხება გოლსუორთისთვის არის ტეშაირტი პარტიკულში გამარჯვება უცხო დაშანგრეველ ძალებზე.

რომანის დასასრული — სოციალისტ სიყვდილი გოლსუორთის მიერ წარმოდგენილია, როგორც ფლერისაღმი უნაგარო მშობლიური სიყვარულის გამოვლენა. ფანჯრიდან ჩამოვარდნილ სურათს სოციალისტ შეეგებება და ქალიშვილს მისის სიყვდილისგან.

მიუხედავად გოლსუორთის არათანმიმდევრულობისა და წინააღმდეგობრიობისა სინამდვილის ასახვაში მისი ეს ტრილოგია ზინეც ვაძევეტის ოციანი წლების ინგლისის სურათს. თუცა ავტორი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ფორსაიტელი საშაირო არ დაიღებება, მთელი ეს ციკლი ფორსაიტული ინგლისის აუცილებელ დანგრევაზე გეტყველებს. რომანი „გედის სიმღერა“ თვით გოლსუორთის — შერლის „გედის სიმღერად“ იქცა. მისი რეალიზმი უკანასკნელ რომანებში საცხებით ეცემა ტრილოგია „თავის დასასრული“, რომელიც ავტორის განზრახვით „ფორსაიტების სავის“ ვაგრძელება უნდა ყოფილიყო, ამ დიდი რეალიტის ამოწურულ შესაძლებლობებზე შეტყველებს. ახლა რომანში უკვე წარმოსახვითი, გოლსუორთისთვის იღვალურად მიზნული ადამიანები მოქმედებენ. ტრილოგიის უკანასკნელი რომანი „მდინარის იქით“ (1933) 1931—1932 წლების ინგლისის ეტება. ინგლისი კრიზისის განიცდის, ტრილოგიის გამარება აღეუნან ინგლისის „გამოკანსადინის“ ასისჯვარ გულწრფელი — გეგმებს და თუცა თვით გოლსუორთი თითქო იმედიანად უყურებს ამ „ძიებებს“, მკითხველისთვის აშკარაა, რომ შერლის მიჩენებითი ოპტიზმში ფაქტიურად პესიმიზმია. მიუხედავად კლასობრივი შეზღუდულობისა,

გოლსუორთი არის მე-20 საუკუნის კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი უდიდესი ფიგურა, რადგან მან თავისი მხატვრული აღლოს წყალობით შესძლო დაეხატა ინგლისის ბურჟუაზიის დევრადაცია, ის გამოუვალა მდგომარეობა, რომელშიც იგი აღმოჩნდა კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის პერიოდში.

გოლსუორთის ნაწარმოებები, განსაკუთრებით „ფორსაიტების საგის“ პირველი რომანები მრავალი მხატვრული ღირსებებით გამოირჩევიან. გოლსუორთის აქვს შესანიშნავი მანერა თხრობისა, ორიოდვე შტრიხით ოსტატურად ხატავს პორტრეტებს, შეუდარებლად ეხერხება გმირთა ფსიქოლოგიური სამყაროს გადამხალა; მის რომანებში ნივთების—ავეჯის, ტანსაცმლის და თვით საქმელის აღწერაც კი ნაწარმოების იდეურ მიზანდასახულობას ემსახურება.

პერსონაჟის ფსიქოლოგიური სამყაროს გადმოცემისას გოლსუორთი მრავალჯერ ზერხს მიმართავს, იგი განსაკუთრებით ბრწინვალედ ფლობს შინაგან მონოლოგს (როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, მის ამ მეთოდის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ტოლსტოის). გოლსუორთი — დრამატურგი ხშირად ეცალება გოლსუორთის — რომანისტს მისი რომანების ფურცლებზე: „საგის“ ავტორი დიალოგის შესანიშნავი ოსტა-

ტია, მისივე თქმით „ყარგი დიალოგა იგივე ხასიათია“, ამიტომ შემთხვევითად არც ერთ რომანის ყველაზე დაძაბულ მომენტში მისი ოსტატურად გამოყენებითი დიალოგს მიმართავს და დიდ ემოციურ ზეგავლენას იღწევს. მის ნაწარმოებებში განსაკუთრებით გვხვბლავს მდიდარ და ძლიერი ზეგავლენის მქონე ქვებეჭდურ ოსტატურად გამოყენებულ ენობრივი მასალის საშუალებით გოლსუორთი თავისი გმირების შინაგანი სამყაროს დახასიათებას გეძღვებს. მისი რომანის ყოველ გმირს იმდენად თავისებური მეტყველება აქვს, რომ მეორეში არ ავეურება. მოხუც გოლიონს ერთადერთ ფორსაიტთა შორის) უყვარს „ფილოსოფოსობა“, ამიტომ ხშირად მიმართავს განზოგადობებს. ამის საპირდაპიროდ სოომისს ღარიბი მეტყველება და შეზღუდული ლექსიკონი მისი შინაგანი არსის პრიმიტიულობას გამოხატავენ. გოლსუორთი ხშირად მიმართავს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა და იდიომურ გამოთქმათა ახლებურ გააზრებას და ამ ზერხით ხშირად მთელ ხასიათს ქმნის.

მხატვრული ზერხები და თავისებური სტილი გოლსუორთის ეხმარება თავისი შთანთქმარის უკეთ გადმოცემაში და წერის თვალსაზრისით ავტორის საინტერესო ინდივიდუალურ მანერას ქმნის.

3. მონაძე



ნიკო ნიკოლაძე კავიტარისტურ სახედგრიფოთა კოლონიური პოლიტიკის შესახებ

გამოჩენილმა ქართველმა სამოციანელმა, შე-
ხანიშნავმა პუბლიცისტმა და ჟურნალისტმა ნი-
კო ნიკოლაძემ საერთაშორისო ურთიერთობისა
და ევროპულ პოლიტიკის სხვა საკითხებთან ერ-
თად სერიოზული ყურადღება მიაქცია ევროპის
კავიტარისტური სახელმწიფოების კოლონიური
პოლიტიკის საკითხს და შეტად საინტერესო
მოსაზრება გამოთქვა მის შესახებ.

1894 წელს ჟურნალ „მოამბეში“ № 12. უც-
ხოეთის მიმოხილვის განყოფილებაში ნ. ნი-
კოლაძემ სპეციალური ადგილი დაეთმო კენძელ
მდაგასკარის ამბების გაშუქებას.

შემთხვევითი არ იყო ნ. ნიკოლაძის მიერ
მდაგასკარის ამბებისათვის ყურადღების დათ-
მობა და მის შესახებ ქართული მეოთხედი
სახოვადობისათვის სათანადო ცნობების მი-
წოდება. კენძელი მდაგასკარი მაშინ ბრძოლის
ასპარეზს წარმოადგენდა. ეს ბრძოლა მიმდინა-
რეობდა ფრანგ კოლონიზატორებსა, ერთი
მხრივ, და კენძელის მკვიდრ მოსახლეობას შა-
რის, მეორე მხრივ, საფრანგეთის საექსპედიციო
კორპუსს, ფრანგ კოლონიზატორთა ნება-სურვი-
ლის შესატყვისად, სიყვდილსა და განადგურებას
სთესავდა ამ კენძელზე და ცუცხლოთა და მახვი-
ლით ამზობდა კენძელის მკვიდრ ტომთა გააფთ-
რებულ წინააღმდეგობას. პირველი ლამობდნენ
კენძელის დაპყრობა-დამონებას, მეორენი კი
იყავდნენ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას
და საკუთარ მშართიელობას.

თი, ასეთ ვითარებაში ნ. ნიკოლაძემ საჭიროდ
მიიჩნია თვითონაც გამოხატურებოდა მდაგასკა-
რის ამბებს და მის შესახებ მოეთხრო ქართვე-
ლი მკითხველისათვის.

ნ. ნიკოლაძის აღნიშნულა წერილი საინტერე-
სოა არა მარტო იმიტომ, რომ იქ მდაგასკარის
ამბებზეა მოთხრობილი, არამედ იმიტომაც,
რომ მასში ავტორმა გამოაგონა თავისი თვალ-
საზრისი და პოზიცია ევროპის სახელმწიფოთა
კოლონიური პოლიტიკის შესახებ, საერთოდ.

ნ. ნიკოლაძეს მიზნად დაუსახავს ნათელჯოს
კოლონიური პოლიტიკის არსი, დახატოს, რო-
გორც თვითონ წერს, ნამდვილი ხასიათი — „ევ-

როპიელების მოქმედებისას ჩამოქვეითებულ
და უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში“¹. უნდა აღი-
ნიშნოს, რომ ეს ამოცანა მას მართებულად აქვს
გადაწყვეტილი. ევროპის კავიტარისტური სა-
ხელმწიფოს „მოღვაწეობას აზიისა და აფრიკის
ჩამორჩენილ ქვეყნებში მან ნილაბი ჩამოხადა,
შის სინათლეზე გამოიტანა იგი და გამოქვა
ანტიკოლონიალიზმის პროგრესიულ, დემოკრა-
ტიული პოზიციებიდან.

თავდაპირველად, ამუშებებს რა მდაგასკარზე
მიმდინარე ამბებს, ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს იმ
პოტივებს, რომელთაც ფრანგი კოლონიზატო-
რები შეაგულთანეს, ატლანტიკის ოკეანეს უსაზ-
ღვრო სოვრცე გადაელსათ, ათასეული კილო-
მეტრით საყუთარ ქვეყანას მოშორებოდნენ და
ინდოეთის ოკეანეში აფრიკის სამხრეთ ნაწილის
აღმოსავლეთ ნაპირებთან მდებარე დიდ კენ-
ძელ მდაგასკარს შესეოდნენ. ეს პოტივები
იყო არა ევროპული კულტურისა და განათლე-
ბის შიტანა მკვიდრი მოსახლეობისათვის, არა-
შედ ამ კენძელის დაპყრობა, მკვიდრი ტომე-
ბის დამონება და კენძელის ბუნებრივი სიმ-
დიტრების ხელში ჩაგდება. მის მხედველო-
ბიდან არ რჩება მდაგასკარით დინტერესების
სამხედრო-სტრატეგიული პოტივიც. ინგლისის
მიერ ევგვიპტის დაპყრობის შემდეგ, წერს იგი,
„... საფრანგეთმა გადაწყვიტა არავითარი ხარ-
ჯი და ღონე არ უნდა დაეზოგოთ ამ სტრატე-
გიულს ადგილის მოსაპოვებლად და ხელში ჩა-
საგდებადო“².

მოკლედ აღწერს რა ფრანგ აგრესორებსა და
მდაგასკარის მკვიდრ მოსახლეობას შორის
წარმოებული ომის მიმდინარეობას, ნ. ნიკო-
ლაძე მას ორი ძალის და ორი სოციალური
სამყაროს შორის წარმოებულ ომს უწოდებს.
იგი ხაზს უსეამს ფრანგ კოლონიზატორთა
უდიდეს უპირატესობას საბრძოლო ტექნიკის

¹ ნ. ნიკოლაძე, უცხოეთის მიმოხილვა — მ-
დაგასკარი, ჟურ. „მოამბე“, 1894 წ. № 12,
გვ. 157.

² იქვე, გვ. 158.

მხრივ მადაგასკარის მკვიდრ მოსახლეობასთან შედარებით, რომელიც თითქმის შეუთავსებელი იყო, იგი თუმცა ჯეროვან შეფასებას აღწევს მკვიდრი მოსახლეობის გამორბა-ვაყვავილობას, მათ მებრძოლ, თავისუფლებისმოყვარე ბუნებას, მაგრამ ანგარიშს უწყებს რა ძალთა არასწორად შეფასებას, ვარაუდებს მადაგასკარის მოსახლეობის დამარცხებას ახლო მომავალში.

ნ. ნიკოლაძე სამარცხვინო ბოძვე აკრავს ევროპულ კოლონიზატორებს, ფრანგებს, ინგლისელებს და სხვებს, იმისათვის, რომ ისინი ახეზიდ ივდებენ ჰუმანიზმის პრინციპებს და თანამედროვე იარაღით მცხრას ავლებენ უიარაღო ხალხს აზიასა და აფრიკაში, იმ ხალხს, რომელსაც ისინი ზიზღით და ათეალისწინებით უცქერიან.

„ევროპელი ხალხი, — წერს ნ. ნიკოლაძე, — სწორედ იმ თვალთ ვუყურებს ყოველ სხვა უცნაურ-ჩამორჩენილს, უძღურს და უმეცარს ხალხს, როგორათაც ჰყენ თვითონ ცხვრის ფარას დავიკურათ. როდი ჰგონია, რომ ეს აზიელი, კინდა აფრიკელი აღაშინა ღვთისაგან დანაზადია, გრამობის პატრონია, ტუინის მქონეა, რომ ბუნებას მისთვისაც ცხოვრების მიდა გადაუყოლებია“¹.

ევროპაშიაც და ამერიკაშიაც, განაგრძობს ფეტორი, ბუერი მკეციური, მწერალი, პოეტი, ფილოსოფოსი ქადაგებს კაცთმოუყვარეობაზე, სამართლიანობაზე, სუსტისადმი დახმარებაზე, ჰუმანიზმზე, მაგრამ საქმით, პირაქით, ამის საწინააღმდეგოდ აკეთებენ ამ ქვეყანაში. კაცთმოუყვარეობის მორალი არსად აღნიშნულ ქვეყნებში არ მოქმედობს, იქ გაბატონებულია ძალის, დანაჯერის, სუსტის ახეზიდ ავდების პრაქტიკა“².

ეს შეხედულება ნათელიყოფს, რომ ნიკოლაძის სწორი წარმოდგენა აქვს კაპიტალისტურ სისტემაში გაბატონებული ურთიერთ ბრძოლისა და კონკურენციის შესახებ; მისთვის ნათელია, რომ იქ ჯერჯერობის კანონია გაბატონებული, ყველა ყველას ემბრავის, ძლიერი სუსტის ამარცხებს, მის სარჩოს ითვისებს, მას არსებობას უსპობს და აცამტვევრებს. ამავე დროს მთელ ამ საზიზღარ სინამდვილეს არსებული სისტემის დიზლომიანი და უდილობო დამკვედები მორალის, ჰუმანიზმის, სამართლიანობის ფარდას აფარებენ და ყოველმხრივ ცდილობენ დაეხარონ იგი.

ნ. ნიკოლაძე კაპიტალისტური სახელმწიფოების გაბატონებული წრეების პოლიტიკას — ძალადობის, სხვების დამონებისა და მათი მიწაყელის მითვისების პოლიტიკას ველური ადამიანის ლოკავს უწოდებს. დღემდე ამ ლოკავის ემორჩილება კანონი და სამართალი. მაგრამ, მისი თქმით, მკეციერებამ უკვე შეიმუშა-

ვა სხვა, ახალი, ნათელი და სწორი სინამდვილის საფუძველი და სათანადო შენობაც კი ააგო მის ბასზე. თუმცა მის ერთვულ მისამართობებზე ჯერჯერობით ერთობ მკეციერობა

მკეციერების მიერ გამოგონილი ახალი, ნათელი და სწორი სინამდვილის საფუძველისა და მის საფუძველზე სათანადო შენობის აგების ცნების ქვეშ ნ. ნიკოლაძე გულისხმობს მოძღვრებას ჰუმანიზმულ საზოგადოების შესახებ, რომლის უტოპური კონტრები დიდმა უტოპისტმა სოციალისტებმა მოხაზეს, მისი ატეილებლობა კი მარქსმა და ენგელსმა მკეციერულად დაასაბუთეს.

კიდევ უფრო აშკარა და ამბარზენია კაპიტალისტური სახელმწიფოების გაბატონებული კლასების საქმიანობა თავიანთი ქვეყნების მიღმა — ჩამორჩენილ და სუსტ ქვეყნებში. ისინი, როგორც მართებულია შენიანავს ნ. ნიკოლაძე, თავისთვის დამოუკიდებლობის უარებს ბედნიერებად მიიჩნევენ. მაგრამ იმაზე უარეს ბედნიერებად ისინი იმას თვლიან, როცა რომელსამე ჩამოქვეითებული ხალხის „...დამოუკიდებელ მდგომარეობას მოსპობენ, მის თავისუფლებას დაამხოვენ, და მასთან მჭურ ვაწყობილებს მადიერ, თავის სრულ მონობაში ჩაავდებენ“.

ეს ხომ ევროპულ კოლონიზატორთა „ცივილიზატორული მისიის“ ნამდვილი არსის მხილებაა, ეს ხომ იმ საშინელებათა მზის სინათლეზე გამოტანაა, რომელსაც ეწეოდნენ „თუთრი რასის ბატონები“ აფრიკაში, აზიაში, ოკეანესა და სხვაგან ე. წ. ფერადკანანი ხალხთა მიმართ. ნ. ნიკოლაძე ამ შეხედულებით სამარცხვინო ბოძვე აკრავს დიდ და პატარა კოლონიზატორებს, რომლებსაც „საგანგებო ცივილიზაციით“ მოაქვთ თავი, სინამდვილეში კი სუსტ და ჩამორჩენილ ხალხებს მსუნჯავი ვეფხვის თვალებით შესცქერიან, იმყრობენ მათ და მონურ ბედურს განმზადებენ.

XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასასრულს ნ. ნიკოლაძე სამართლიანად მიიჩნევს ევროპის სახელმწიფოთა კოლონიური პოლიტიკის დიდ გაქანებას პერიოდად. მართლაც, მაშინ იყო, რომ ევროპის დიდმა და პატარა სახელმწიფოებმა — ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, შვედის რუსეთმა, ესპანეთმა, ბელგიამ, პორტუგალიამ და სხვ. ტერიტორიული გაფართოება, ზღვის იქეთ მდებარე „უქველბრთ“ ქვეყნების დაპყრობა აფრიკის და აზიის კონტინენტებზე დააყენეს თავიანთი საქმიანობის, დასავარე პოლიტიკის უფრადლების ცენტრში; სწორედ XIX საუკუნის 80-90-იან წლებზე მოდის, როგორც ხაზგასმით — აღნიშნავდა ე. ი. ლენინი თავის ნაშრომში იმპერიალიზმის შესახებ, მსოფლიოს ჯერ კიდევ გაუწილებელი „უბატონოდ და უპატრონოდ“ არსებული ტერიტორიების განაწილება.

¹ ნ. ნიკოლაძე, დასახ. წერილი, უტრ. „მოამბე“, 1894 წ. № 12, გვ. 159—160.
² იქვე, გვ. 161.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იყო, რომ ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, ბელგიელი და ევროპელი კოლონიზატორები, ნ. ნიკოლაძის ხატვანი თქმის არ იყოს, ... მკვლევებით და-ესიანენ აფრიკის და ბერლინიში საერთო კონფერენცია გამართეს, რომელზედაც ვადაწყვეტეს, თუ რა სახით უნდა ვიყოფდეთ ერთმანეთში აფრიკის უპატრონო ქვეყნებს და სახელმწიფოებს...¹

ბერლინის კონფერენცია, რომელზედაც მიუთითებს ნ. ნიკოლაძე, კოლონიზატორთა კონფერენცია იყო. იგი 1884 წელს დაიწყო და 1885 წელს დამთავრდა. მასში ევროპის დიდი და პატარა კოლონიზატორი სახელმწიფოები იღებდნენ მონაწილეობას. კონფერენციის ამოცანა იყო აფრიკის ვრცელი ტერიტორიების გაყოფის თაობაზე წამოჭრილი დავის „შევიღობიანი გზით“ მოგვარება და ყაჩაღური გარიგების დადება ჯერ კიდევ გაუნაწილებელ ტერიტორიების მიმართ. კონფერენციამ ნათელი მტაცებელ-კოლონიზატორთა ღრმა წინააღმდეგობა „საკოლონიზაციო პოლიტიკის“ საკითხში, კერძოდ, ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკის ტერიტორიების განაწილების თაობაზე მან, ცხადია, ბოლო ვერ მოუღო ამ წინააღმდეგობას.

ნ. ნიკოლაძე კარგად ერკვევა ბერლინის კონფერენციის მიზანდასახულობაში. მან კარგად იცის, რომ ამ კონფერენციამ აღიარა „თეთრი რასის“ კოლონიზატორების განსაუთრებელი მისია ჩამორჩენილი ქვეყნების მიმართ და აღრიადილ დასტური მისცა მათს ყაჩაღურ აქტებს ევროპის მიღმა.

„ამ კონფერენციამ, — წერს იგი, — საფუძვლად ის დედამისი დაიყარა და საფუძვლად დაიყარა, რომ საცა კი სადმე განათლებული ქვეყნები და ერნი იპოვება, დედამიწის ზურგზე, უფრო ევროპელების ხედავია, იმათი წერათ. ევროპელ სახელმწიფოებს უფლება აქვთ დაიპყრონ და გაანათლონ ისინი, რა სახითაც კი მოუხერხდებათ“².

ბერლინის იმპერიალისტური კონფერენციამ გუნგლების კონკრეტული შესაბამისად ღლის წესრიგში დასვა აფრიკის მატერიკის ხალხებისა და სახელმწიფოების „მეგობრული“ განაწილება ევროპელ იმპერიალისტ-კოლონიზატორებს შორის და მით საცხებო აბუჩად აიგლო მათი ნება-სურვილი და მსწრაფებები. ამიტომ იყო, რომ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს თვით ნ. ნიკოლაძე, ამ კონფერენციაზე იმ ხალხთათვის არსებობასაც სპობდა ეს ყრება, წარმოადგენდნენ არ ყოლიათ იქ...“³.

ევროპელი კოლონიზატორები ყოველმხრივ ცდილობდნენ შეენიღობათ თავიანთი ყაჩაღური

პოლიტიკა ჩამორჩენილი ხალხებს მიმართ და ამ ძალადობისათვის სათანადო დასაბუთება მოეწინაბათ. ვიღო ფერები, სწორედ ამისთვის, პეტერსები, ჩემბერლენები და სხვა მსგავსი კოლონიზატორები კოლონიურ პოლიტიკის „ქვეშეშარტ პრინციპულ და მომჭირნე პოლიტიკას“ უწოდებდნენ. მასში ისინი ხედავდნენ სოციალური საკითხის რადიკალურად გადაწყვეტის საშუალებას. მას უნდა განეგრძებინათ ჭარბი მოსახლეობა, გაედიდებინათ საქონლის გასაღება, შეემკობებინათ უმუშევრობა და მით შეენელებინათ კლასობრივი ბრძოლა.

„ჩვენ, კოლონიურმა პოლიტიკოსებმა, — ამბობდა ესეილ რიდი, — უნდა დავიპყროთ ახალი მიწები ჭარბი მოსახლეობის მოსათავსებლად, ფაბრიკებსა და მალაჩობებში წარმოებულ სოციალურ გასაღებისათვის ახალი ოქების შესაქმნად. იმპერია, ამას მე მუდამ ვამბობდი, ექვსი საკითხია“⁴. „დასაშვებია თუ არა თქმა, რომ... კოლონიური პოლიტიკა — თანამედროვე ხალხთათვის ფუფუნების საგანია? — სვამს კითხვას ვიღო ფერა ერთ-ერთ თავის საპარლამენტო სიტყვაში და პასუხობს, — არა, ბატონებო! ეს პოლიტიკა მათთვის აუცილებელია ისე როგორც აუცილებელია საქონლის გასაღების ბაზარი“⁵.

ნ. ნიკოლაძეს მართებულად აქვს წარმოდგენილი „თეთრი რასის ტერით“ ჩამორჩენილი ხალხების მიმართ, კარგად ხედავს მის საზიზღარ ხასიათს და მას თავისას მიუზღავს. მაგრამ იგი, ამასთან ერთად, იმ აღმაინებლად და იდეოლოგიასაც ხდის ფარდას, რომელიც შევსებულად ფარავს კოლონიური დაპყრობებისა და ჩაგვრის პოლიტიკის საზიზღრობას, მას მოჩალურ გამართლებას უძებნის, თვით დაპყრობის ობიექტად ქცეულ ხალხთა სიყვითელ და წყალობად ასაღებას.

„...ევროპის მწერლობამ, — წერს იგი, — ერთიანად ის აზრი და შეხედულება მოიწინარა, ცივილიზაციის სახელით და თვით ამ უხედურ კითხა სოციალისტების რომ ევროპამ ძალით უნდა შეიტანოს იმთს ქვეყანაში განათლება და წესიერება“⁶.

მოტიანილი ნათელყოფს რამდენად პროგრესული პოზიცია უკავია ნ. ნიკოლაძეს მეორე ინტერნაციონალის იდეოლოგებთან შედარებით, რომლებიც, სწორედ იმ დროს, როდესაც ნ. ნიკოლაძე გამოქვე თავისი მოსახრება, ქადაგებდნენ ყბადაღებულ ცივილიზატორულ მისიას და მით შენიღბულად ამართლებდნენ ევ-

¹ ციტირებულია ვ. ი. ლენინის ნაშრომიდან იმპერიალიზმის შესახებ, თხზ., ტ. 22, გვ. 322—323.

² Дарништеттер, История раздела Африки, стр. 18.

³ ნ. ნიკოლაძე, დასახ. წერ., გვ. 163

¹ ნ. ნიკოლაძე, დასახ. წერილი, გვ. 163.

² იქვე.

³ იქვე.

რომის დიდი და პატარა კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიურ პოლიტიკას.

6. ნიკოლაძე მოცემული პერიოდის ევროპის სახელმწიფოთა შორის „საკალონიო პოლიტიკის“ ავანგარდში ათავსებს საფრანგეთს. ამ ქვეყნის გამოვლას აქტიური კოლონიური პოლიტიკის ასპარეზზე იგი იმით ხსნის, რომ მის ევროპაში დავებო გეოგრაფიკების გზა, თანაც, მანვე დაკარგა ელზასი და ლორენი¹.

6. ნიკოლაძის შეხედულებაში ზევნ ორი კორექტივი უნდა კორექტივით: 1) საფრანგეთის აქტიურობა ევროპის ასპარეზზე 80-90-იან წლებში მართლაც ნიკოლაძის მიერ მოტანილი მოტივებით როდი შეიძლება აიხსნას ამას საერთაშორისო და შინაგანი ხასიათის სხვა ფაქტორებიც ედო საფუძვლად. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს თვით გერმანიის იმპერიის დიპლომატიის როლი ამ საქმეში. ბისმარკი და მისი დამკვიდრებელი ფოიერბახი აქტიუბდნენ საფრანგეთის კოლონიურ ავანტიურებს, რასაც აყუთებდნენ შეგნებულად, ისინი ფიქრობდნენ, რომ ამას მოჰყვებოდა საფრანგეთის ურთიერთობის გაუარესება ინგლისთან, მათი დაჯახება კოლონიურ ასპარეზზე, რომ მის შედეგად ეს ქვეყანა შეანელებოდა თავის ყურადღებას ევროპაში, რაც ხელსაყრელი იქნებოდა გერმანიისათვის; 2) „საკალონიო პოლიტიკის“ ავანგარდში ამ ეტაპზედაც ქველუბერად იყო ინგლისი და არა საფრანგეთი, თუმცა ეს უკანასკნელი ტოლს არ უფლებდა მას, ედილობა გამოეწირობინა ჩამორჩენი, დაწვრიდა და ვისწრებოდა ამ ქვეყანას. პიბსონის მონაცემებით, რომლებიც მოტანილი აქვს ვ. ი. ლენინი ჩვენ მიერ აღნიშნულ ნაშრომში იმპერიალიზმის შესახებ, 1884—1900 წლებში ინგლისმა შეიძინა 3,7 მილ. კვ. მილ. 57 მილიონი მოსახლეობით; საფრანგეთმა — 3,6 მილ. კვ. მილ. 36 1/2 მილიონი მოსახლეობით და ასე შემდეგ².

6. ნიკოლაძე მხედველობის გარეშე არ ტოვებს ამ მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჩამორჩენა, რაც ასე კარგად გამოიყენეს დიდმა და პატარა კოლონიზატორებმა თავიანთი მტაცებლური მიზნებისათვის. ამ ჩამორჩენის მიზეზებად იგი ასახელებს რიგ შინაგან ფაქტორებს, ისტორიის მსვლელობის გავლენას და მეზობელი სახელმწიფოების ჩარევას³.

აღნიშნული ჩამორჩენილობიდან თავის დაღწევა და ევროპის განათლებას, ტექნიკასა და კულტურის ათვისება მადაგასკარის ხალხის მიერ 6. ნიკოლაძეს ამ ქვეყნის კოლონიური მონობიდან თავის დაღწევის პირველ და გამამწვეტ პირებად მიანიშნა. „...თუ თავისი ნებით,

ხალხით არ შეიძინა ამისთანა ხალხმა ევროპის სწავლა და იარაღი, — წერდა იგი, — და ამ სწავლისა და იარაღის მისწავლას მისი მისწავლას უსწორდა, არ გაუმარდა ევროპის ქველუბერად არა არა თუ ევროპა დააძინებს, შთანთქმავს, ადრე თუ გვიან, ნებით თუ ძალით, — ეს ქვეყნის ზრდის კანონია“⁴.

6. ნიკოლაძე ისტორიულ მავალითს და შედარებას მიმართავს, რათა დამატკიცოს თავისი შეხედულების სიმართლე. მისი აზრით, ამ გზას დაადგენ თავის დროზე რუსეთი და იაპონია. რუსეთი პეტრე პირველის მეფობაში და იაპონია მეიჯის რეგულაციის“ შედეგად რომ არ გარდაქმნილიყვნენ, მაშინ ეს ქვეყნებიც, 6. ნიკოლაძის შეხედულებით, თურქეთისა და სხვა ჩამორჩენილი ქვეყნების ხედვას გაიზარებდნენ და განაწილების ობიექტი გახდებოდნენ. ცივილიზაციას, ზევნი ავტორის აზრით, მართლაც ცივილიზაცია მოერგვა, სხვა ევრაზიური (იქვე).

6. ნიკოლაძე რატომღაც ფიქრობს, რომ მადაგასკარის ხალხმა ეს კუშმარტება ვერ დააჯასა, თავის სოციალურ ქეტქში, ჩამორჩენილობაში ჩაიკეტა, ევროპული განათლების ათვისება უგულვებელი და მით თავის თავს თვითონ გამოუტანა სასოველი განაჩენი.

6. ნიკოლაძის აზრით, აფრიკის მატერიკზე მტკობრებმა ერთმა ხალხმა — ლიბერიის ხალხმა, პირიქით, ჯეროვანი ყურადღება მიიქცია ცივილიზაციის, ევროპული კულტურისა და ტექნიკის მიღწევისათვის ათვისებას, რითაც ისინა თავის თავი კოლონიური მონობისაგან და დამოუკიდებლობა მოაპოვა. ლიბერიის რესპუბლიკის იგი მიიჩნევს თავისუფალ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომელსაც „...სამოლიტიკო უზრუნველყოფა გააჩნია“ ლიბერიას, რუსეთთან და იაპონიასთან ერთად 6. ნიკოლაძე იმ სახელმწიფოთა რიცხვს აკუთვნებს, რომლებიც მოწინავეთა კულტურის ათვისების კანონის ძალით გავაუარჩნენ მონობასა და „...უტოვლათაგან შთანთქმეს“ (იქვე).

აღარებს რა ერთმანეთს საფრანგეთსა და მადაგასკარს, თვალისწინებს რა მათ შორის არსებულ უდიდეს განსხვავებას ეკონომიურ-კულტურული დონის მხრივ, 6. ნიკოლაძე წინასწარ დაწმუნებულა ამ ორი ძალის შეკოდების შედეგში — მადაგასკარის დამარცხებასა და კოლონიურ დამონებაში.

მითითებებს რა მადაგასკარის ხალხს აღმფრთხილებაზე ფრანგი კოლონიზატორთა ძალმობრობის პასუხად, 6. ნიკოლაძე გულისტკივილით აღნიშნავს რომ მართლაც ეს არ არის საკმარისი და ამ ხალხს ვერ მოუტანს თავისუფლებას. „დრტინევი და ჩივლი, — წერს იგი, — რა ვინდ სამართლიანად არ უნდა იყოს, ხალხს ვერ უშველის და შემწობას ვერ აღმოუჩენს, განსაკუთრებით, რიცა მოწინააღმდეგეს იმის

¹ იქვე.

² ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 22, გვ. 321.

³ 6. ნიკოლაძე, დასახ. წერილი, გვ. 164.

⁴ იქვე, გვ. 165.

თქმა შეუძლიან, რომ „ცივილიზაციის წესიერების დამაყარებლად“ ძალას ვატან, მაგ ვერაფერ ხალხს თავისუფლებას კი არა, ურჩობასა და ჯიუტობასაო“ (იქვე).

მაგრამ იგი, ამასთან ერთად, ოპტიმისტურად არის განწყობილი მადაგასკარის ხალხის მომავლისადმი და იმედოვნებს, რომ ოდესმე ეს ქვეყანა ფეხზე წამოდგება და ისევ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოიპოვებს. მიმართებს რა ისევ ისტორიულ პარალელებს, იგი აღსძენს: საბერძნეთი „ბელგაგრიტი, სერბია, ბოჰემია და სხვა ქვეყნები, რომელთაც ასეული წლების მონობა განიცადეს, არ დაღუპულან“.

ჩვენთვის სასვებით ნათელია, რომ ნ. ნიკოლაძე კოლონიური ჩაგვრის შეურიგებელი მტერია, მხარს უჭერს ჩამორჩენილი, ხალხების ბრძოლას დიდი და პატარა კოლონიატორების წინააღმდეგ, კოლონიურ ჩაგვრა-მონობას დროებით ისტორიულ მოვლენად მიიჩნევს და წინასწარზედაც ჩამორჩენილ და კოლონიურ ხალხთა ფეხზე წამოდგომასა და ეროვნული აღორძინების ისტორიული პროცესის გაშლის გარდაუვალობას მომავალში.

მაგრამ ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი ხარვეზი და ისტორიული სინამდვილის შეუსაბამობა, რასაც ადვილი აქვს ნიკოლაძის შეხედულებებში მადაგასკარის ხალხის ბრძოლის აწმყოსა და მომავლის შესახებ.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ნიკოლაძის შეხედულებას ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის შესახებ რამდენადმე მეტაფიზიკური და იდეალისტური ელფერი აქვს. იდეების სფერო და მატერიალური სამყარო, გონებრივისა და ეკონომიური ცხოვრების კუთვნილი საგნები მას ერთ სიბრტყეზე აქვს მოთავსებული. ეკონომიური ცხოვრების წესი, საწარმოო ძალები და გარკვეული წარმოებითი ურთიერთობანა, როგორც უდიდესი ფაქტორები საზოგადოებრივი განვითარების პროცესში, ნიკოლაძეს ხაზგასმული არა აქვს. ჩვენთვის ამიტომ ბუნდოვანია, თუ რა გულისხმობს ნ. ნიკოლაძე ევროპულ სწავლასა და იარაღში, რის ათვისებასა და გამოყენებასაც ურჩევს იგი მადაგასკარის ხალხს თავისუფლების მოსაპოვებლად.

მართებულად არ მიგვაჩნია ნ. ნიკოლაძის საუვედური მადაგასკარის ხალხის მიმართ იმის გამო, რომ მან, თითქმის, ვერ დაათვა საცივილიზაციის უდიდესი როლი, რაივეთა თავის ჩამორჩენილობაში და ევროპული განათლება უგულებელყო. სინამდვილეში მადაგასკარის ხალხში როდი უგულებელყო ცივილიზაცია და ევროპული კულტურა; მას მხოლოდ დრო და საშუალება არ ჰქონდა ეგვიპ მისი ნაყოფით. სანამ იგი ამ გზას დაადგებოდა, თავიდან მოიშორებდა სოციალურ-ეკონომიური ყოფის უღრმეს

ჩამორჩენილობას და განთავისუფლებულა ფეოდალურ-რეაქციულ მმართველობისაგან. იგი უკვე გახდა ევროპულ „ცივილიზაციის“ და ინტერესების ერთ-ერთი ობიექტი; ფრანგებსა და ინგლისელებს კოლონიატორებმა მიზნად დასახეს ამ ქუჩაღლის დაპყრობა მისი ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩაგდება და მისი მოსახლეობის დამონება.

არასწორად ვთვლით რუსეთისა და იაპონიის ერთ სიბრტყეზე დასმას და მათი მავალთის მოტანას იაპონიის განვითარების სულ სხვა გზა ჰქონდა, ვიდრე რუსეთს. ამიტომ გარდაქმნის პროცესიც მათ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გეგმად განიცადეს.

დასასრულ, ვაღმართლებლად მიგვაჩნია ნ. ნიკოლაძის მიერ ლიბერალიზმ მითითება და მისი ამ ქვეყნის ნიშნად დასახელება, რომლებმაც ათეულებს ცივილიზაცია, ეზიარენ ევროპულ კულტურასა და ტექნიკას და მისი წყალობით თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვეს. თვით ნ. ნიკოლაძეც კარგად მოკვსუნებოდა თავის დროზე, რომ დღევანდის სახელმწიფო შექმნის არა აფრიკის ზანგმა ტომებმა, არამედ აფრიკის შეერთებული შტატებიდან გადმოსახლებულმა ყოფილმა მონა ზანგებმა, ისიც ა. შ. შტატების მთავრობის უშუალო ინიციატივით. ზანგთა ეს „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა თავისი არსებობის პირველ დღიდანვე აფრიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ-პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მისი დამოუკიდებლობა უბრალო ფიქტია იყო, რომლის იქით იმალებოდა მისი დამოკიდებული მდგომარეობა, რომელიც დღემდე კი გრძელდება.

თავის გრძელ წერტილში — იაპონია, რომელიც თავის დროზე დაიბეჭდა „მოამბეში“ (26 9, 1894 წელი) და 1905 წელს კი ცალკე ბროშურის სახით გამოქვეყნდა, ნ. ნიკოლაძე სხვა საკითხებთან ერთად, ერთხელ კიდევ შეეხო დიდი სახელმწიფოების კოლონიურ პოლიტიკას.

ნ. ნიკოლაძემ ეს წერტილი 1894 წელს აღმოცენებულ ჩინეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით დაწერა და ბუნებრივია, რომ მთავარი ადგილი მასში ჩინეთის მდგომარეობის მიმოხილვას და მისდამი დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების დამოკიდებულების საბაითის გარკვევას უჭირავს.

ნ. ნიკოლაძე მხედრობელი და პირუთენელი დამკვირვებლის პოზიციიდან აშუქებს „ცათხვეწა“ მსკრიის ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს, აღნიშნავს ჩინელთა ბევრ კარგ თვისებას, ჩინური კულტურის მაღალ დონეს თავის დროზე და, ამავე დროს, თვალს არ ხუჭავს ამ ქვეყნის მსკერი სინამდვილის წინაშე. იგი სინაწულით და გულისტკივილით აღნიშნავს ჩინეთის დიდ ჩამორჩენილობას, მის სოციალურ-ეკონომიურ ყოფაში შესაუქუნებობრივი

ურთიერთობის დიდ ხვედრითს წონას, მის სამხედრო სისუსტეს, ქაოსს მმართველობაში, მეფისნაცვალთა სეპარატიზმს, მმართველი რეჟიმის ბრძოლის ანტიხალხურ და ანტიანაციონალურ პოლიტიკას და სხვ.

ჩინელ ხალხის შინაგანი ცხოვრების ამ საველლო მდგომარეობას ნ. ნიკოლაძე საკვებით სამართლიანად უკავშირებს მის ასეთსავე საველლო საერთაშორისო მდგომარეობასთან. ამან შეაპირობა მისი შეხედულებით ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების, ა. შ. შტატების და იაპონიის მტაცებლური მადის გაღვივება მის მიმართ. მის შედეგად იქცა ეს ქვეყანა ამ სახელმწიფოთა დაპყრობისა და ქიშპობის ობიექტად. ნ. ნიკოლაძე ჩინეთს, ოტომანის იმპერიის მსგავსად, „ავადმყოფ ადამიანს უწოდებს¹ და როდი ცდება მისთვის ამ საერთაშორისო ტერმინად ქცეული სახელის მიკეთებებაში. ჩინეთი მე-19 საუკუნის დასასრულიდან, შინაურად ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ლეოქად ქცეულ თურქეთს დაემსგავსა და ისიც წყნარი ოკეანის პრობლემის საკანონო ობიექტი გახდა.

„...ნელ-ნელა ის აზრი დაბადდა,—წერს ნ. ნიკოლაძე,— და გავრცელდა მეზობლებში, რომ ეს საშფო მყდარი ან მომავლდავი ყოფილა და მისი ნაშთებიდან ჩვენივეს აბა რომელია უმჯობესი და რომელი გვერგებოთ. ამგვარი, ჩინეთი აზრით სწორედ იმნაირადვე „ავადმყოფს“ წარმოგვიდგენს და იმნაირსავე „აღმოსავლეთის კიბხეს“ შეაბგენს, როგორც ევროპაში ოსმალეთი“² (ხაზი ჩვენია, ვ. ღ.).

„აღწინაურებული“ ერების, „საპატიო მისიას“, საერთოდ, კონკრეტულად კი ჩინეთის მიმართ, ნ. ნიკოლაძე მტაცებლობაში, ყაჩაღობაში, ამ ქვეყნის ჩამორჩენილობის გამოყენებასა და მისი გაძარცვის მისწრაფებაში ხედავს. არავითარი სხვა მიზანი და დანიშნულება მათ დაუბატოებელ სტუმრობას ჩინეთის მიწა-წყალზე არახადებს არ ქონია. ისინი მუდამ შტრეები და მოძალადეები იყვნენ ამ ქვეყანაში და არა ჩინელი ხალხის მეგობრები.

ამ მოძღვრებას, რომლითაც დიდი კოლონიზატორი სახელმწიფოები „მოღვევებდნენ“ ჩინეთში, ნ. ნიკოლაძე უსინდისო და ველურ მოძღვრებას უწოდებს. იგი წერს: „...აღწინაურებული ერები ამ მოძღვრებას დასდგომიან, რომ დაწინაურებულმა უნდა ჩამორჩენილა უნდა დაიპონოს და ხრასო. დრონი მეფობენ. ცუდი მოძღვრებაა ეს მოძღვრება, უსინდისო, ველური“³.

ნ. ნიკოლაძე, რომელიც კარგად იცნობდა კოლონიური პოლიტიკის მკლერი კანონების არსში, რომლისთვისაც ცხადია რომ სწავლა მოძალადე და კოლონიზატორი მითქვამს უმჯობესია ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას იყენებდა მასზე გაბატონების მისაღწევად, ჩინელ ხალხს მეგობრულად ურჩევს იბრძოდეს ჩამორჩენილობის წინააღმდეგ და მათ თავიდან მოიცილეს უცხოელი მოძალადეები.

ეგება რა ჩინეთ-იაპონიის ომში ჩინეთის დამარცხების ფაქტს, ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს მის მტკად მძიმე შედეგებს ამ ქვეყნისათვის, მათ უფრო, რომ მან საუფძველი ჩაუყარა ჩინეთის გავლენის სფეროებად განაწილებას იმ სახელმწიფოების მიერ, რომელთაც იგი უკვე აქციეს ნახევარკოლონიად. როგორც თვითვე წერს, „...იაპონიის ომმა ჩინეთთან გაუმძლარი შადა აღძვრა დედა-მამის უმოყვარეს სახელმწიფოებს. შობამით რუსეთსაც საღერღელი აგშალა“⁴.

აქაც ნ. ნიკოლაძე აწიშვლებს დიდ კოლონიზატორ სახელმწიფოთა მტაცებლურ პოლიტიკას ჩამორჩენილი ქვეყნის მიმართ, სამარცხინო ბოძზე აკრავს მათ იმ ძალადობისთვის და მხარს უჭერს, თანაგრძობნის მტაცებლთა დაპყრობილ ობიექტად ქცეულ ხალხს.

ჩინეთის მდგომარეობა ჩინეთ-იაპონიის ომში შემდეგ მართლაც მკვეთრად გაუარესდა. მოხდა ის რასაც ნ. ნიკოლაძე ვარაუდობდა: XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე, ვ. ო. თავისუფალი კონკრეტული კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზარდის მოქმედისათვის, ეს ქვეყანა იმპერიალისტ კოლონიზატორთა მრავალი კოლონიური ძალადობისა და გავლენის სფეროებად განაწილების ობიექტი გახდა.

„... იაპონიამ იწყო მრეწველ ერად გადაქცევა — წერს ვ. ო. ლენინი, ანალიზს უკეთებდა რა ჩინეთ-იაპონიის ომის შედეგებს, — და სცადა ჩინეთის კედლის შერღვევა, აღმოჩინა ისეთი გემრიელი სახარავი, რომელსაც ერთბაშად ჩასჭიდეს კბილები ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის და თვით იტალიის იმპერიალისტებმა“⁵.

რამდენიმე წლის შემდეგ აღნიშნულმა იმპერიალისტებმა სახელმწიფოებმა სისრულეში მოიყვანეს თავიანთი მტაცებლური გულისნაღები ჩინეთის მიმართ, წაგლიჯეს მას აშკარად თუ მალულად საუკეთესო ნაჭრები, ზელს იგდეს მისი მნიშვნელოვანი ბაზრები და ამგვარი იგი გავლენის სფეროებად განაწილეს.

ჩინეთის დაყოფა და მისი გავლენის სფეროებად განაწილება იმპერიალისტ-მტაცებლების მიერ გახდა ერთ-ერთი მოთვარი მიზეზი იმ მძლავრი სახალხო ანტიიმპერიალისტური აჯან-

¹ ნ. ნიკოლაძე, იაპონია, ეურ. „მოამბე“, 1894 წ., № 9, გვ. 7—9.

² იქვე, გვ. 10.

³ ნ. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

⁴ იქვე, გვ. 51.

⁵ ვ. ო. ლენინი ომს, ტ. 5, მე-4 ვაშ. გვ. 102 (კრიზისის ვაკეთილები).

ყუბასა, რომელმაც იფეთქა ჩინეთში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

სულ სხვა ასპექტით უდგება ნ. ნიკოლაძე და ინგლისელთაგან კოლონიზებული ზღვის იქით ტერიტორიების, ე. წ. თეთიმშართელი კოლონიების (დომინიონების) ურთიერთობას მებრძოპოლიისთან — საკუთრივ ინგლისთან.

„ჩემის აზრით, საკუთარი კოლონიები, — წერდა ფ. ენგელსი, — ე. ო. ვერაძული მოსახლეობის მიერ დაკუთრალი მიწები — კანადა, კაპის მიწა, ავსტრალია — ყველანი გახდებიან დამოუკიდებელნი“.

ნ. ნიკოლაძეს, ენგელსის მსგავსად, მუდგელობაში ჰყავს კანადა, ავსტრალია, კაბისა და ნატალის მიწები აფრიკაში და ახალი ზელანდია, სადაც XIX საუკუნის დასასრულისათვის მოსახლეობის გაბატონებულ უმრავლესობას სწორედ ვაშაბელები, პირველი რიგში კი ინგლისელები წარმოადგენენ. ეს მოხდა ინგლისელთა მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციისა და მათგან მკვიდრ ხალხების მასობრივად ფიზიკურად გაქვრების შედეგად (ინდოელებისა და ესკიმოსებისა — კანადაში, ავსტრალიელთა და ტასმანელთა „ვედურებისა“ — ავსტრალიისა და ტასმანიისზე, შორისკეებისა — ახალ ზელანდიაზე, აფრიკისა, ზუშმენებისა და სხვებისა — კაბისა და ნატალის კოლონიებში).

ამ კოლონიების განვითარება, მათი ურთიერთობა მებრძოპოლიისთან, მართლაც, როგორც ენგელსი ვარაუდობდა სულ, სხვაგვარად წარმოიბრუნა, ვიდრე, მთავალით, ინდოეთის, ინდონეზიის, აფრიკის კოლონიების დიდი ნაწილის და ამ სხვა კოლონიებისა, სადაც მკვიდრი მოსახლეობა გაბატონებულ უმრავლესობას წარმოადგენდა და დამპყრობელები და უმნიშვნელო უმცირესობას ამ თავისებურების შედეგად იყო, რომ აღნიშნულმა კოლონიებმა მიღწეული მოაბრუნეს თეთიმშართელი კოლონიების უფლებები და დომინიონებად გადაქცენენ. მაგრამ თვით ამ კოლონიების შიგნით დარჩა ეროვნული ჩაგვრა და დისკრიმინაცია, რასაც ხაზიოდენ ინგლისელი კოლონისტები და საერთოდ თეთრკანიანი მოსახლეობა მკვიდრი მოსახლეობის ნაშთების მიმართ.

ასეთი ტიპის კოლონიების ურთიერთობას ინგლისთან ნ. ნიკოლაძე პატრიარქალურ ურთიერთობად თვლის. მისი შეხედულებით, ინგლისს მხოლოდ და მხოლოდ იცავს მათ გარეშე მტრების მოსალოდნელი თავდასხმისაგან, მფარველობას უწევს მათ, მაგრამ არ ერევა მისი მოსახლეობის შინაგან საქმეებში.

თვითიველ ამ კოლონიათაგან — წერს იგი, — თითქმის საკუთარი ცხოვრების წესი, კანონი და მშობლიური ენა, აქვს ინგლისი არ ერევა მათ შინაგან საქმეებში, იგი მარტო მათ მფლობელად ითვლება, და აღნიშნულის უფლებით მათგან ზარს იღებს საერთო ჯარისა და ფლოტის შესანახად, „საერთო პრესტიჟი“.

„ეს“ დასაცავად. მისი აზრით ასეთი ზარის გაცემა ამ კოლონიებისათვის ხელსაყრელიც კი არის, რადგან ამით თეთიმშართელებს საკუთარი ჯარისა და ფლოტის საჭიროებისაგან ს.

მაგრამ ნ. ნიკოლაძეს გამოირჩევიდა არ მანკი, მათი პატრიარქალური ურთიერთობის შეცვლა და კოლონიების ანუხლებება ინგლისის მფარველობის წინააღმდეგ. მისი თქმით, ინგლისის მფარველი ხელი ამ კოლონიებს მანამ ესპორტებოთ, სანამ ინგლისი ძლიერია, მისი დროშა მართლაც ახორციელებს მფარველობის ფუნქციებს და იგი არ ერევა მათს შინაგან საქმეებში. როგორც კი ყოველივე ეს შეიცვლება და კოლონიები თავს იგანგებონ შეეწირებულად, მაშინ ისინი აშერიკის მსგავსად ჩამოშორდებიან ინგლისს 2.

ამგვარად, ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი ბრიტანეთის თეთიმშართელი კოლონიებისა და ინგლისის ურთიერთობის, ისე როგორც ამ ურთიერთობის მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ძირითადად სწორია. ოღონდ არ შეიძლება ნ. ნიკოლაძეს არ ვუხაყვედუროთ ერთ რამეში: მას არაფერი უთქვამს თვით ამ კოლონიების შიგნით არსებული მდგომარეობის, კერძოდ, „თეთრკანიან ბატონთა“ მიერ იქ მკვიდრთაგან გამოყენებული ძალადობისა და რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ.

(კანადაში ზომი დარჩენენ ინდიელ ტომთა ნაშთები და ესკიმოსები, ავსტრალიაში-ავსტრალიელ-ტასმანიელები, ახალ ზელანდიაზე შორისკეები სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე კი აფრიკის აბორიგენი მოსახლეობა და სხვა.)

ამგვარად, ნიკო ნიკოლაძე, თავისი რადიკალურ-დემოკრატიული და პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრინციპების შესაბამისად, კოლონიები ჩაგვრისა და ეროვნული დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმების შეუძრავი მტერი იყო. იგი მზარს უჭერდა დამონებული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და ყველა ხალხს — დიდსა და პატარას — ექვრებოდა და ჩამორჩენილის ეროვნული სუვერენიტეტის ენერგიული ქომაგი იყო. იგი არ აცალკევებდა ერთმანეთისაგან თეთრკანიან და ფერადკანიან ხალხებს და მარტო ევროპის დამონებულ ხალხებს (ირლანდელებს, პოლონელებს და ა. შ.) არ მფარველობდა. მისთვის არ არსებობდა ე. წ. ცივილიზებული და არაცივილიზებული სფერო. აზიისა და აფრიკის ჩამორჩენილი ხალხების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იგი ისევე სამართლიან

1 ნ. ნიკოლაძე, მოსალოდნელი ცვლილება, ეურ. „შოპი“, 1894 № 10, გვ. 168.

2 იქვე, გვ. 169.

აქტად მიიხსენიდა, როგორც ირლანდიის ან პოლონელი ხალხების ბრძოლას მათი დამპყრობელი და დამპყრობელი ქვეყნების წინააღმდეგ. ნ. ნიკოლაძემ გაბედულად უარყო „თეთრი რასის“ მორალური ვალდებულება ფერადკანიან ხალხთა მიმართ, ნიღაბი ჩამოხადა ევროპის კაბიტალისტური სახელმწიფოების „ცივილზაციულ“ მისიას აზიისა და აფრიკის ხალხთა მიმართ და მზის სინათლეზე გამოიტანა მისი ნამდვილი დანიშნულება. მართალია, ეს შეხედულება არ იყო მარქსისტული შეხედულება, ვინაიდან ნ. ნიკოლაძე მარქსისტი არ ყოფილა, მაგრამ ნ. ნიკოლაძის ზოგიერთი მოსაზრება კაბიტალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკის ხასიათის, აღმოსავლეთის ხალხთა ჩამორჩენილობის მიზეზებისა და მისი დაძლევის გზების შესახებ ალღოთი უახლოვდება ამავე საკითხებზე მარქსისა და ენგელსის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს. ნ. ნიკოლაძის შეხედულებები ევროპის კაბიტალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკის არსის შესახებ აზიასა და აფრიკაში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ერთ-ერთი ყველაზე სწორი და პროგრესული შეხედულება იყო (ილია ჭავჭავაძის მოსაზრებათა გვერდით). ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ნ. ნიკოლაძის ზემო აღნიშნული შეხედულებები შეგვედარებინა „მოამბეში“, „კვალში“, „ივერისას“ და სხვა ქართულ პერიოდულ ორგანოებში იმავე საკითხზე გამოთქმულ სხვა პუბლიცისტთა შეხედულებებისათვის. ვერც ერთი ავტორის შეხედულებებში, ილია ჭავჭავაძის გამოკლებით, ჩვენ

ვერ ემოვეთ აზრის ისეთი მთლიანობა, თანმიმდევრობა და კოლონიურ საქვეყნო მკაფიო დაგეგმვა, როგორც ეს ნ. ნიკოლაძის მოკემული.

ამვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მოსაზრებები ევროპის კაბიტალისტური სახელმწიფო კოლონიური პოლიტიკის არსისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ ნ. ნიკოლაძემ ყველაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბა XIX საუკუნის მიწურულში, 1894-1895 წლებში, როდესაც მისმა მსოფლმხედველობამ საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ უოფაში მომზადარი ცვლილებების შესატყვისად განიცადა გარკვეული მიზრუნება მარჯვნივ, რის შედეგადაც ზოგიერთი ძველი შეხედულებების ნაწილობრივი რევიზია მოახდინა. ზოგიერთი ჩვენი მკვლევარის აზრით, ამ დროისათვის ნ. ნიკოლაძემ ბედი აიღო თავის პირვანდელ რადიკალურ „სოციალისტო“ შეხედულებებზე და ქართველი ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგი გახდა. ჩვენ კი, ედიქობთ, რომ ნ. ნიკოლაძის ზემო აღნიშნული რადიკალური შეხედულებები შეუთავსებელია ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგიურ მრწამსთან. ჩვენი შეხედულებით, ნ. ნიკოლაძე, გარკვეული იდეოლოგიური მიზრუნების მიუხედავად (XIX ს-ის დასასრულისათვის), არ მისულა ლიბერალური ბურჟუაზიის ბანაკში, რომ მის ამდროინდელ მსოფლმხედველობაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რადიკალურ-დემოკრატიულ და პროგრესულ შეხედულებებს.

ქართული მწერლობა მოსკოვში გაბარებულ ლიგარაგარისა და ხელოვნების დეკანოზი

საქართველო
ხელოვნობის

აქაქსანდრა ბორჩაგოვსკი



პედაგოგიური მუშაობის

(ქართული მოთხრობების კრებულის გამოცემა)

1.

ისეთი გინცა მაქვს, თითქოს ეს-ესაა დავ-ბრუნდი საქართველოში ხანგრძლივი მოგზაურობიდან.

რამდენიმე კვირის წინათ მე აღბათ ვიტყვოდი — „მზიურ საქართველოში ხანგრძლივი მოგზაურობიდან“ — მეთქი. ძნელია უარი თქვა ებთებზე, რომელიც დიდი ხანაა გადაბარგდა პოეტური სტრიქონიდან საგანგებო პროზაში და ადვილად მოპყვება ხელს.

მაგრამ ამის შემდეგ, რაც მეგობრებმა თვალწინ გადამიწალეს საქართველოს პირველქმნილი სილამაზე, ცისა და მათა უთვალავი ნაზრდილევი და ჩათვის განწმტობიდან დაეანახე, როგორ აჩუხუნდა, აიშლდა, მაქარის მსგავსად ჩქარი ივრის წყალი, დავინახე ყომალი მონადირეები, რომლებიც გახვეული არიან ყვეთლებს ალში, ანდა მეწამულ ფოთლებში, ვიხილე ხავერდისფერი ველები და ფერდობები, რომლებიც გაბარდული არიან თეთუბთით, — ყოველივე ამის შემდეგ მინდა უბრალოდ ვთქვა: მე დავბრუნდი საქართველოში ხანგრძლივი მოგზაურობიდან.

მეგობრებმა ბევრი რამ მაჩვენეს: ალაზნის ველის სიმდიდრე, ერთი ციქნი სოფელი ქვემოხევი, სადაც ოდესღაც ბედნიერი ფარსადანი რიგით მეთვე ქალიშვილის დაბადებას დასტოროდა; მეგობრებმა გადამიწალეს სანადირო ბილიკები მთებში, რომლებზედაც საოქოლაქო ომის დროს პარტიზანები დაიდოვნენ, და უფსკრულთან, კლდეში გამოკვეთილი მღვიმე, სადაც მრავალტანჯული მზალის ბავშვები დაილუნენ; მაჩვენეს მდიდარი კომპლექსიონები და ძველი ციხის ნანგრევები; ოპერის თეატრი თბილისში და ომიანობის დროინდელი ერთი იმ მრავალ პოსტიპალთავანი, ის პოსტიპალი, სადაც თავის დაღუბულ მამას ეძებდა ქნაპა გოგონა, ცაბუნის რომ ეძახდნენ. ჩვენ აუღიოდით მთებში იალაღებზე, ჩაედოოდით ხეობებშია და ველებზე, ვებებებოდით ცხვრის

ფარსთან, ფარების ძაღლებთან ერთად, დაუბოლოებლად ვესმენდით ურმულს.

ცოდეა ვატეხილი სჯობს, ისიც უნდა ვთქვათ: მეგობრებმა გამაცნეს მე დიდი შოთა და გიორგი საყაძე, ზოგაის მინდია — ეს „მთის პაშლეტი“, დიდი და მწუხარე გულის იდამიანი, რომელმაც სიცოცხლე გასწირა იმისათვის, რომ ბოლო მოეღებოდა ტომთა შორის სისხლიან მტრობას. მე ვნახე, როგორ გადავიარა მალაღი კოშკიდან და შეებზე წამოვიყო აჯანყებული ხალხის ტიარანი — ლაშქარის ბატონი, როგორ გაატარა თავისი უჯანსკელი დღეები საყაძემ, აზამ-ვეზირისისაგან მუხანათურად მოტყუებულმა...

შესაძლებელია, გადაინაცვლო სავრცეში, მთებშია და ველებში, ჩიხუნდო წარსულში არქეოლოგებთან ერთად. შეუძლებელია იმგზაურობით დროში სხვაგვარად, თუ არა წიგნებისა და წარმოსახვის მეშვეობით.

მე დიდი ხანა არ ვყოფილვარ საქართველოში, მთელი ჩვენი ქვეყნისათვის სიმძიმით 1941 წ. დეკემბრის შემდეგ. მაგრამ დღესაც მასსოვს, ნათლად მასსოვს ქართველი ადამიანები: დაბელოვნებული ქართველი ირონული და სითნო სახის კირლე ივანეს-ძე ბარნაბიშვილი და უდროოდ ვარდაცვალებული ნიჭიერი ექიმი ნიკოლოზ იასონის-ძე მუჯირი, პალატის მოწყობების დები, რომლებიც ტიროდნენ, როდესაც დაქირალები კბილებს ეჩატუნით საწოლზე ბორგავდნენ; მასსოვს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, რომლებსაც ჩვენი პოსტიპალის შეფობა ევისრათ, და ავღარბელი კეთილი მოხუცი ქალი, რომელიც, წინააღმდეგ პოსტიპალის წესებისა, პალატებში სასწაულმოქმედ მაწონს ყიდოდა.

ადამიანები, რომლებიც მძიმე განსაცდელის ემს შეგხვდებით, სამუდამოდ გამასოვრდებით. ათეული საზე, რომლებმაც შემოინახეს მთელი თავიანთი თავისებურებები, ერთმანეთს ეჩაყუ-შან, რათა შევეგვარებოდნენ რაღაც სავრთო.

აშკარად იგრძნობა ერთი ტომის, ერთი ხალხის სპეციფიკა.

და, აი, გამოვიდა წიგნი, რომელიც თავისი ხაზითი ზედმიწევნით აღადგენს საქართველოს წარსულს და აღდგანდნენ ცხოვრებას, უფრო ზედმიწევნით, ვიდრე ეს შეუძლია გაცივითოს ვეღაზე უფრო დიდტანინაა რომანში.

იგულისხმება რჩეული ქართული მოთხრობების კრებული. მოთხრობები ორმოცამდეა, ვრცელი, როგორც დაწერილებით ისტორიული თხრობა, ან მოკლე, ილია რურუას მინიატურების მსგავსი. მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, არა მოთხრობების მოცულობას, კ. გამსახურდიას „ბოგის მინდიას“ ათობით გვერდი უჭირავს, ისევე როგორც გ. ნატროშვილის მოთხრობას — „ისევ გაზაფხული იყო“. მაგრამ ისინი იკავებენ სულმოთქმეულად, კეთხელობით ამ მოთხრობათა უკანასკნელ სტრუქტურებს და გინანებთ, რომ გვირგვინს ვინაობა აუცდებელია. ხოლო ისეთ პატარა მოთხრობებში, როგორცაა რ. გვერდიას „მხარა“, თითქოს ლექსი ყვლობით. თავისუფალ სვლას „ლიტერატურშინა“ აფერხებს.

შესაძლებელია, სხვა ლიტერატორები უფრო ბედნიერი არიან, ვიდრე მე. შესაძლებელია მათ საშუალება ჰქონდეთ ადრეც საბჭოთა ლიტერატურის საერთო ნაკადიდან გამოეყოთ ქართველი მწერლების მოთხრობები, რომლებიც ძალიან იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე რუსულ ლიტერატურულ ჟურნალებში, და არა მარტო გამოეყოთ, არამედ წლობით შეენახათ მუხსიერებაში საუკეთესო მათ შორის, ქმნიდნენ რა თავიანთ წარმოდგენაში ქართული ზღაპრების ანთოლოგიას.

თუ ასეთი ლიტერატორები კიდევ არსებობენ, ისინი თითხე ჩამოსთვლენი არიან. ჩვენი ლიტერატორებისა და მკითხველების უმეტესობისათვის სასიხარულო სიურპრიზია „საბჭოთა მწერლის“ მიერ გამოცემული კრებული. ამ მოულოდნელობას ვერ განაქარვებს ვერც დიდი ქართული პაროზის ცოდნა და ვერც ქართველი მწერლების შესანიშნავი რომანები-საქმი და მოთხრობებისადმი ხანგრძლივი სიმბათიერი დამოკიდებულება. ჩვენ ხარბად წავგიკითხავ კ. გამსახურდიასა და ლ. ქიჩიელის რომანებს, კ. ლორთქიფანიძისა და დ. შენგულაიას წიგნები, ტაში დავგურავს შ. დღაიანის პიესებისათვის, მაგრამ, რომ შეიგრძნო მთელი თავისებურება, პოეტურობა და დრამატული ძალა ქართული ნოველისა, მოთხრობისა, სპი-როიყო გაცენობილით ამ მოთხრობების მიზრდოდ, კვალიფიკურად თარგმნილ კრებულს.

ახლა ასეთი კრებული გამოვიდა. მართალია ვფელა მოთხრობა არაა კარგად თარგმნილი, რუსულ ტექსტებში ზოგჯერ ვხედებით ზედმეტ მოჭარბულობას, შეუხამობას და აშკარა ლათესებდაც კი. მაგრამ მთი უმეტესობა კარგადაა თარგმნილი თვითონ ავ-

ტორთა, ანდა გამოცდილ მოთარგმნელთა მიერ (ნ. ჩხეიძე, ე. ლოლობერიძე, ვ. კარგაძე და სხვ.).

2. **ზიჯალირთისა**

ნიჭიერად დაწერილი მოთხრობების კრებულში, თუნდაც ავტორი ერთი თემის ფარგლებში რჩებოდეს, მაინც მისი მართალი მოთხრობები, ერთად თავმოყრილი, გვაოცებენ აღაშანთა შრავალშიანობით, პერსონაჟთა სინარველით, — მაშასადამე ცხოვრების, ზღლის შრავალფეროვნებით. ასეთი წიგნის შინაარსის გადმოცემა ისევე ძნელია, როგორადაც პირველად წკითხული შექსპირის ტრაგედიებისა. ცოცხალი აღამიანები ვარს გვხვებიან ყოველი მხრიდან და გაუწირობენ.

როგორი უნდა იყოს აღამიანთა შრავალშიანობა ანთოლოგიაში, რომელიც წარმოადგენს მთელ ლიტერატურას, წიგნში, რომელიც შექსპირისა ათეული მწერლების მიერ?

ამ მოთხრობებში ჩვენ თვალწინ იშლება საქართველოს წარსული და თანამედროვე ცხოვრების შრავალფეროვანი სურათი. აქაა რუსთაველისა და თამარ მეფის დროინდელი ქვეყანი, შინაომების სისხლიანი ეპიზოდები, ძმათაშორისი ბრძოლები, ვგზომ დამახასიათებელი რომაა ფეოდალური საქართველოსათვის, მკათოი ანტიტიარნიული სურათები, რომელთაც ძველ ფრესკების სიმკაცრე და სისადავე შერჩენიათ.

შემდეგ წიგნის ფერცლება ნათღებიან რუსეთის პირველი რევოლუციის დროინდელი მუშაშულა ფერებით: იწიეს მუშაშულეთა სახლკარი და მთის აულთა ბოგანოები, კოცობილსინისა „Fata morgana“-ს ვმარტობიეთ, შილიან პურისა და მიწისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ქართველი მწერლების მოთხრობები ეხება ბოლშევიკური რევოლუციის იტარქვეშეთის თემას (დ. სულიაშვილის „ნიკორი“, ა. ბელი-შვილის „სპარტაკელი“ და სხვა) აღადგენს სამოქალაქო ომის ვმარტებს, წითელ პარტიზანებს, რომლებიც შეუბოკრად იბრძოდნენ საქართველოს მთის ბილიკებზე, ვადასასვლელებზე და ტყეებში.

შემდეგ დგება სხვა დროები — ახალი ცხოვრების მშენებლობის ხანა. ზოგიერთი ძარღვიანი, მეტად თავისებური მოთხრობა სარკაშმოთა და მემორიით ასახავს წარსულის ისტორიულ განწირულებას, მის უმწეობას ახალისადმი წინააღმდეგ ბრძოლაში. ისეთი მოთხრობები, როგორცაა ი. ლისაშვილის „ეკრაი“ — ანდა ა. ბელიაშვილის, ზღლის უუღმარაო მოგვიგოებენ ცნობილ თვისის, რამე კაციობრიობა სიცილით ეთხოვება თავის წარსულს“ (ნაწილობრივ ეს ვკუთუნის ლ. ქიჩიელის მოთხრობასაც — „თავდის ქალი შილი“).

კრებულში არის მოთხრობები სამაშული ომზე, საკოლმერინო ცხოვრებაზე, საქართველოს მთებზე და ველებზე, ახალგაზრდობის

ბედნიერ სიყვარულზე და რესპუბლიკის ახალი ომის შემდგომდროინდელი ცხოვრების ნათელ ნიშნებზე, მის გლეხებზე, ზღლისნებსა და ინტელიგენციაზე.

ერთი რამ კი ვასაკვირია და უცნაური: კრებულში არ არის შესული მოთხოვნები თანამედროვე საქართველოს მუშათა კლასზე-მხოლოდ მკითხველ ჩრდილებად გაიფიქრეს მშენებელ-ინჟინერების ფიქრებმა, რომლებმაც სიმშვიდე დაუპირგეს ტელეგრაფისტ სანდრო შინდიაშვილს („შინდერის ყუვილი“) და პირობითი ლიტერატურულა „მშენებლობის“ კონტურებთან ერთად შეფარწნენ თვალს.

მაგრამ საქართველო რეალურ მშენებლობათა — რუსთავის, ძლიერი ჰიდროსადგურების, მანქანათმშენებელი ქარხნების ქვეყანაა. დიდი ხანია გაქრა ის დრო, როდესაც სიტყვა „საქართველო“ უპირატესად ბაღებდა შთის ფერდობზე მიყრული სოფლების, აუჯავებული ბაღების, ვენახების, ნაყოფიერი ველების, მთიანულა ტემპერამენტული ცეკვების ასოციაციას ეწველაფერი ეს დარჩა: მშობლიური ბუნების პოეზია, ბარაქიანი ბაღები, სამოკრებზე ნახუჭი ჯოგები, ზალხურა სიმღერა და მონადირის მიზანში აუცილებელი ბასრი თვალა. მაგრამ, ყველაფერი ეს ვინაზარდა და მოძარაღდა; ხალხმა ახალი მწვერვალები დაიპყრო. შექმნა თავისა ძლიერი ინდუსტრია, მონადირის, ქეთიონის და სხვა ქალაქების რევოლუციური პროლეტარიატის ნაცვალა, მოვიდა დღევანდელი საქართველოს მრავალრიცხოვანი მუშათა კლასა.

ბოლო მსჯილი მშენებლობა უფოლ რო-მანტიკის შემეცელიცაა, იგი შეიცავს მძაფრ ღრამატულ კონფლიქტებსა და ახალ პემორ-საც, განსაკუთრებით მშინ, თუ მშენებლობა ისეთ კუთხეში წარმოებს, რომელსაც ჯერ კიდევ ატყუა პატრიარქალობის დიო კმლ ტურტული ცენტრებისაგან მოწყვეტილობის გა-მო. საღ არის ეს რომანტიკა? საღაა მძაფრი კონფლიქტები? საღაა ცხოვრება და პემორი ქართველი მფოლაღეების, სამოფელების, მშენებლებისა?

ეს სრულიადაც არაა რიტორიული საკითხები.

საერთოდ, ცნობილა, რომ ჩვენი ლიტერატურა „ჩამორჩება“ მშენებლობის ტემპებს, რომ წიგნები მუშათა კლასზე არაპროპორციულად მცირეა, მრავალი ამ წიგნთაგანი კი, ნაცვლად აღმანათა ხასიათების გახსნისა, ტექნოლოგიურ პროცესებს აღწერს, საინჟინრო სარქვის გეცნობს, ამ სიტყვის სპეციალური მნიშვნელობით.

სული თარგმანი მისი რედაქციით გამოვიდა. ბაქრაძე რომ ჩამოვიდა, იმ ფრენკელთან შედგა სხდომა ბაქრაძის მიერ ჩამოტანილი თურქული დოკუმენტების თაობაზე. მაშინ გამაცნო ბაქრაძე ფრენკელმა. ბაქრაძეს ვიზუალა, მისაყვედურა, რომ ჩემით არ მესტუღვარ მასთან და მოხსრა, უსათუოდ მოდიო. ერთიმეორესთან ახლო-ახლოს ვცხოვრობდით: ნიკოლოზის ქუჩაზე! ჰქონდა საყეთარი სახლი, მაშინ სათავადანაერო სკოლაც იმავე ქუჩაზე იყო ხოლო ჩემი ბინა — სკოლიდან სულ 2-3 სახლის შემდეგ. ავღივი და მეორე დღესვე მივედი. მაშინვე მომცა ხელში „Устав Древлехранилища Тифлисскаго Церковнаго Музея“, ხელნაწერი პროექტი იყო, მის მიერ შედგენილი. უკვე გატარებინა და ეგზარქოსსა და სინოდს დაემტკიცებინათ. მოხსრა, ეს გადათარგმნე ქართულად. ეთარგმნე. ეს იყო ჩემი პირველი ნაშრომი. მალე გამოსცა, რუსულადც და ქართულადც: იმ მუზეუმს მცირეოდენი თანხა ჰქონდა. მეც შედგა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი: თავმჯდომარე — დიმიტრი ბაქრაძე, წევრები — თედო გორდანიძე, ნიკო მთიარელიშვილი, ეგზარქოსის წარმომადგენელი მღვდელი ელიევი (ელაშვილი) — ეგზარქოსის თითქოს წესიერად ეპირა თავი. მუზეუმში ექვემდებარებოდა „ანდრია პირველწოდებულის სასოგადოება“, რომლის თავმჯდომარეც იყო მღვდელი ელიევი (ელაშვილი) — ეგზარქოსის ყურმორბილი ყმა და ყოველივე ქართლის გამცემელი. ჩვენ მას არაფერს ვეკითხებოდით, ისე ვიყავით.

ზემოხსენებულ წესდების მიხედვით, უნდა გვეგროვებინა გაცლისა-მონასტრებში დაცული ძველი, საშინაოდ უკვე უფარვისა საეკლესიო წიგნები. უპირველეს ყოვლისა ბაქრაძემ წამიყვანა მცხეთაში, რომ იქაური ხელნაწერა-წიგნები ჩამოგვეტანა. კარგი ხელნაწერები მართო სევეტიცხოველში ვნახეთ და წამოვიღეთ კიდევაც, სხვაგან კი არსად არაფერი ინახებოდა. ორმოცე ხელნაწერი ჰქონდათ ძმებს მრევლიშვილებს (მხატვარ ალექსანდრე მრევლიშვილის უფროს ძმას). ერისკაცები კი იყვნენ, მაგრამ ისინი უფლოდნენ წიგნებს — ერთობა, საეკლესიო სამბჭოს მიერ ჰქონდათ ჩაბარებული.

ჩვენ იმ პირველი მოგზაურობის ამბავი გამოცხადდა გახუთებში (ქართულშიცა და რუსულშიც): ბაქრაძე და თაყაიშვილი იყვნენ მცხეთაში და ძველი ქართული ხელნაწერი საეკლესიო წიგნება ჩამოიტანეს. ასე დაიწყო ჩემი მუშაობა.

ბაქრაძის ბინაზე ვიყრიდით ზოლზე თავს და იქ ვმსჯელობდით ყველა საკითხზე. მალე იმ ელიევმა რაღაც ინტრიგები წამოაწყო ბაქრაძის წინააღმდეგ. ბაქრაძეს ძალიან სწყინდა ესა და ამბობდა, იქნება დაეკთხოვით ამ საქმესაო?

მე ვუთხარი, მასეთები ყოველთვის იქნება და ნუ მიაქცევ ყურადღებას, ვერაფერსაც ვერ იზამს-მეთქი. დაჯანჯანინე და განჯანჯანე შენაობა.

სურამში მოკრებილი ცნობები ხელნაწერთა შესახებ რომ ვახვეწე ბაქრაძეს, „ძალიან კარგია“, მოხსრა და, თუმცა არ ეამა მისი თარიღის გაცრეება, მაინც უწყყმანოდ აღიარა ახალი თარიღი — X საუკუნე (მის მიერ თქმული XI-ს-ნის ნაცვლად). კაცმა რომ თქვას, პალეოგრაფიის მიხედვით დათარიღებისას ერთი საუკუნით შეცდომაც კი ყოველთვის მისალოდნელია. ილია ჭავჭავაძეს კი ეწყინა ძველი თარიღის გამტუუნება: „ბატონო, ბაქრაძემ ურრები გამოგვიქვდა, მეცხრე საუკუნე და მეცხრე საუკუნეო, და ახლა შეათე გამოვიდაო?“ ბაქრაძეს იგი დიდ პატივსა სცემდა, მაგრამ ძალიან არ ესამიყნა ხელნაწერის „გაახალგაზრდაება“ და იმტომ წამოიძახა ასე. პატაროეთან კამათიც რომ სულ მეცხრე საუკუნის ხელნაწერზე ლამარაკობდა თვითონ! კმაყოფილი დარჩა ბაქრაძე კიდევ ერთი იქაური ხელნაწერთი, რომელიც შესანიშნავი ნაწერია, გამძული ხეუერთი. ეს ხელნაწერები ყველა აღწერილი მაქვს.

თედო გორდანიას თავისთვის გადმოეწერა „მოკტევის ქართლისა“, წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული, შატბერდული კრებულიდან (მაშინ ყველას ამლეუდნენ გადაწერის ნებას) და ეთხოვებინა ის გადმონაწერი ილია ჭავჭავაძისათვის, როდესაც იგი პატკანოვის წინააღმდეგ წერდა [„ქვთია ლალას“]. თედოს მხედრულად ჰქონდა გადმოწერილი. ილიამ ხეუერი არ იცოდა.

საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის ერთ სხდომაზე თ. გორდანიამ შოიტანა ბაქრაძესთან თავისი გადმონაწერი რვეული. მანამდე მას „ივერიაში“ ჰქონდა დაბეჭდილი იქიდან ამოღებულ ერთი აღგლი და ცნობები. თვითონ შატბერდული ხელნაწერი მაშინ ბაქრაძესთან იყო სახლში. ბაქრაძემ ჰკითხა გორდანიას, „შენ სად კითხულობ ამ და ამ სიტყვებსაო?“ (თუკი კალისტოვი არ გვესწერებოდა სხდომაზე, საუბარი სულ ქართულად გვქონდა ხოლმე). გორდანიამაც გადაშალა-გადმოშალა, უჩვენა აღგილები და შეიქნა კამათი, ასე წერია, თუ ისეო. ხელნაწერი ძველოგანვე ზოგან წაშლალწამლული და გახუთებული იყო და ქირდა დანამდვილებით ამოკითხვა, მაგრამ მეტწილად კარგად იკითხებოდა. ბაქრაძეს იმ ბოლო დრის თვალა ნაყლებად უტრიადა, მე კი ძალიან მიტრიადა (ეს ერთი სადაეო ადგილი მე შერეო კიდევ სხვანიარც წაიკითხე). ბაქრაძემ თქვა „კარგი იქნებოდა, ეს რომ გამოეცემა წერაკითხვის საზოგადოებრიანაო“. მე ვუთხარი, ვმარტებ ქართლის მოკტევის, სუშპატის ქრო-

1 ახლა კალინინის ქუჩა.

ნიკისა და მესხური დავითნის ერთად გამოცემას-მეთქი (ერძოდ, საკუთარი საფასით შინ-ლოდა გამოცემა — იმამად ერძო გაცეთილუ-ბიკ შქონდა და ფულს გვირინად ვიღებდი, მართო მაქს ჰუგუბაძე 100 მანეთს მამლევდა თვეში და ამრავალ 400 მანეთს მოვეუბრე თა-ვი). „ო-ო, ეგ ძალიან კარგია“, მითხრა ბაქ-რაძემ. უამა. მას თითოთი უკვე გამოცემული ჰქონდა მესხური დავითნის აღწერილობა (მაგ-რამ არა თვით ტექსტი) და სუბმატის ქრონიკის ხსენება. რამდენადღაც ვავეცანი, ეს ზემო ჩა-მოთვლილი სამი ქრონიკა იყო ნამდვილი სა-ფუძველი ქართლის სტორიისა, რომელშიც ყველაფერი მათზე იყო აწერებულ. თანაც არ იყო დიდი თხზულებანი და ვოველივე ამის გამო განვიზრახე მათი გამოცემა. მანამდე „ივე-რიაში“ დავებულე აღწერილობა. იმ საუბარში რომ ვიყავით, ერძანინას აბლო თავისი გად-მონაწერი და მიხზრა, „თუკი შენ ვამოსცემ, მე რაღად მიწდა, წაიღე და გამოვადგებო“. შე მადლობა ვუთხარი. ჩვენს სამს გარდა იქ მამინ იყო ნიკო შოთაველიშვილიც, აგრეთვე წევრი მუზეუმის კომიტეტისა.

„სამი ქრონიკის“ გამოცემის საქმე 1889 წელს დაიწყო. სტამბა მირება. ერთადერთი ქართული მესტამბე იყო სოსიკო მელიქ-შვილი (მეტრე მელიქიშვილის ძმა) და ისიც რი-ლიც ცუდნარეკა კაცი გამოდგა, არაფერ უტრად-ლებას არ აქცევდა თავის სტამბას. შეტი რა გზა მქონდა, მიიჩიე იქ მივეცი დასაბეჭდელ ჩემ მიერ დაამუშავებულ სამი ქრონიკა. ცნობილია, თუ რამდენი რამაა შიგ, რასაც გულმოფხინე შეჯე-რება და გარკვევა სჭირდებოდა.

ამასობაში, ზაფხულზე თბილისს ჩამოვიდა ცნობილი რუსი მეცნიერი და ქართულ სიძ-ველითა კარგი მცოდნე ნიკოლაიმე კონდაკოვი. იმან და ბაქრაძემ ერთად იმოგზაურეს საქარ-თველოში და შეადგინეს ცნობილი *Описъ Памятникамъ...* ცხენისწყალში გასვლისას ეტლი გადამბრუნებოდათ, ბაქრაძე გაციებულყო და თბილისში რომ ჩამოვიდა, სულ ახველებ-ლა, მაგრამ მაინც მხნელ შეუდგა მუშო-ბას იმ წიგნზე. კორდაკოვი აჩქარებდა. ბაქრა-ძემ ყველაფერი გამზადებულ გაგზავნა პეტერ-ბურგში, მაგრამ, სანამ იქ ააწყოზდნენ წიგნს, ბაქრაძეს ფილტვის ანთება დაემართა და სულ მოკლე ხანში, უცერად გარდაიცვალა. ეს მოხ-და 1890 წლის [10 თებერვალს]. სწორედ გამო-რად დღეს მოვიდა კონდაკოვის მიერ შეგო-ზაინილი კორექტურა, მაგრამ რაკი დამიტრი აღარ იყო, არავის არც გაუხსნია, ისე დაუბ-რუნეს უკან.

ასე გამოგვეცალა ზელიდან დამიტრა ბაქრა-ძე, ეს შესანიშნავი კაცი, კეთილი, ტბილი და თავაზიანად აღმამანი, ყველა ჩვენგანისათვის დიდი ავტორიტეტი საქართველოს ისტორიო-აქტივოლოგის საკითხებში. ჩენი მუშოობა სა-

გულსიო მუზეუმში ერთხანს შეჩერდა. კომი-ტეტის მდივნად მანამდეც ვცაყავდა ამორჩეული თედო ერძანინა და ახლა მას(ღ) დევექლად ჰყვენ მიერ ჩამოტანილ ხელნაწერთა მუზეუმში იმხანად იაკობ მანსვეტაშვილი უკვე აღარ იყო წერა-კითხვის საზოგადოების მდივნად. მოვიდა ჩემთან მოსე ჯანაშვილი (რომელიც მაინც არსად მსახურობდა) და მიხზოვ, მე დამ-ნიშნეთ მდივნად, საზოგადოების ბიბლიოთეკას მოვეულო და მოვაწესრიგებო. მეც დავიბრდი, კარგი, დავებმარებო-მეთქი. წარუვლდინე გამ-გეობას მისი კანდიდატურა, ილიამ ერთი კო თქვა, ეგ როგორ გამოვდგებაო, მაგრამ მეტრე დაეთანხმნენ ჩემს წინადადებას და დავნიშნეთ მოსე ჯანაშვილი მდივნად. როგორც მდივანი, ის არაფერს აკეთებდა, მაგრამ ხელნაწერებს კი მართლაც უვლიდა და, თან, წერტილებს ბეჭ-დავდა მათ შესახებ.

ჩემი წიგნის გამოცემა ძალიან დიდხანს გა-ტანაშდა, აღარც კორექტურა მომდიოდა, აღარც იბეჭდებოდა, თანაც კორექტურის საქ-მეში გამოუცდელი ვიყავი და პოლოს ვავებუ-რდი, ისე რომ თავსაც მივანებებდი, ნიკო შოთა-რელიშვილს რომ ასე დავემშვიდებინე, გარდა გამხნევებისა, კორექტურასაც კი მისწორებდა ხშირად. ის სტამბა სამჯერ ვიცი დავიდა და ბო-ლოს მესხიშვილსა და ერთ ვილაცას ჩაუვარდა ხელში... მაგრამ, როგორც იქნა, ეღირსა და 1890 წელს გამოვიდა ჩემი „სამი ქრონიკა“. შემდეგ წელს მას მოჰყა „წმ. ნინოს სტო-რება“, რომელიც მისი მეორე ნაწილი იყო.

ამ გამოცემაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე და ერთგული გარდ-ბება გამოიწვია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რადგან მან ცხადყო, რომ ის სამი ქრონიკა შე-ადგენდა, როგორც უკვე ვთქვი, „ქართლის ცხოვრების“ ძირითად წყაროს. ამასთანავე, ჩემს გამოცემაში პირველად იყო დამტკიცებუ-ლი, რომ „მოტყევაა ქართლისაა“-ს ხელნაწე-რი IX საუკუნის მეფეი კი არაა, არამედ X სა-უკუნის მეორე ნახევარში გადაწერილი, იმავე გადაწერკას ითანე ბერძანს მიერ, რომელიც 973 წელს გადაწერა სახარება და შესწირა პარხლოს ახლად აშენებულ მონასტერს. იქვე ვიძლეოდი მოკლე ცნობებს ვახტანგ მეექვსის კომისიის მუშოობის შესახებ და უარყოფდო აზრს, ვითომცდა ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის შესავალი ვახტანგსა თუ მის კომისიის კო არ ეცუთვნის, არამედ თვითმარზ ბატონი-შვილს. ამ აზრს იზარებდნენ დამ. ბაქრაძეც, შ. ჯანაშვილიცა და სტეპანიც. შე დავამტკიცე, რომ ეს აზრი მცდარია და რომ წინასიტყვაობა ეცუთვნის მეფე ვახტანგ მეექვსესა და მის კო-მისიას.

ამ გარემოებამ ააზერდეს ჩემ წინააღმდეგ თედო ერძანინა და მოსე ჯანაშვილი, რომლებ-საც ჩემზე ბევრად უფრო ადრე ჰქონდათ

დაწყებული მუშაობა საქართველოს ისტორიაში და მის მცოდნეებად ითვლებოდნენ. მართლაც, ერთსა და მეორესაც მრავალად ჰქონდათ ნაშრომები ჩვენი ისტორიისა და ძველი მწერლობის შესახებ, მაგრამ სანამ დიმი. ბაქრაძე ცოცხალი იყო, არ იჩენდნენ განსაკუთრებულ პრეტენზიებს; მაქრაძე საყოველთაოდ იყო მიჩნეული დიდ ავტორიტეტად და მისობას ვეუბნათ ერთობ შეხმატებულბულად ემუშაობდით მისი ხელმძღვანელობით, თუშკაც, პ. ჯანაშვილი მაშინ რატომღაც არ შედიოდა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის შემადგენლობაში. თავდაპირველად თ. გორდანიას კარგად შეეცნობოდა და სულ ჩემს ქებაში იყო; ხშირად იმთხულებდა ჩემთან წიგნებს და ზოგჯერ თვითონაც მათხოვებდა ხოლმე ამა თუ იმ ხელნაწერს ამახა და ჯანაშვილს, მგონი, ერთად ემუშავებდათ სასულიერო სასწავლებელში (თედოს—სკოლის ინსპექტორად თუ გამგედ, მოსეს კი — მასწავლებლად), მაგრამ მოსე ვერ იხსენიებდა თედოს კეთილად, თვით მოსე ჯანაშვილი დიდად პატიოსანი კაცი იყო და ერთობ ტრფიანობით მოყვარული ქართული ისტორიისა და მწერლობისა. ქუთაისის კლასიკური პროგიმნაზიაში რომ შევიდო, იგი იქ დამხვდა შეგარდების ზედამხედველს თანამდებობაზე, ერთხელ, მისთვის, გამოწყობა კიდევაც, რადგან წესი დავარდევ, შესვენების დროს კლასში დავარდი და „მეფე ლირის“ ქართულ თარგმანს ვკითხულობდი ვატყებოდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, კარში ვასვლი არ მებაღისებოდა, რადგან დეკემბრის დამდეგი იყო, ციოდა და ტანთ კი სახატებელი ტანისამოსი მეცვა, ხალათის ამარა ვიყავი. იმ დღეებში უკვე საბაწლოდ დაგვიბოთვებს კიდევაც, წავედი გურიაში, ჩემს საშობლო სოფელ ლიხარში და იქ მოვათავუე „მეფე ლირის“ კითხვა. არდადეგები რომ ვათავდა, ქუთაისს ვამობრუნების დრო მომივიდა, ჩავედი სოფ. კიშითში, ჩემს სიძესთან და მეურვესთან (უფროსი დის, ლისას ქმართან), სიძონ ვითუჯანთ, რომელსაც ცხენებით სამტრედიამდე უნდა ჩამოვეყვანებ, ხოლო იქიდან თვითონ წამოვიდოდა მატარებელთ. სიძესთან რომ მივედი, იქ დამხედნენ კოწია თაყაიშვილი და რამდენიმე სხვა მეზობელი აზნაური. კოწია დიდი მოყვარული იყო ქართული წიგნებისა და „მეფე ლირი“ რომ დამინახა, დიდი საყვედურით მომმართა, ავტრეთი წიგნი თუ გქონდა, რატომ არ მოთხარი და არ წამკითხეთო? კოწია ჩემი ნათესავი არ ყოფილა, მხოლოდ მეზობელი იყო, მაგრამ დიდი ვავლენა ჰქონდა ჩემზე. აკაკი წერეთლის დროს პეტერბურგში, „კონვერ“-ში ნამყოფი იყო, რუსულად კარგად ესწავლა, ხოლო ქართულს ხომ მშვენიერად ლაპარაკობდა და კითხულობდა. დიდი პროპაგანდისტი იყო ქართველობისა და ქართული კულტურისა. პროპაგანდისტი ბევრი მინახავს ჩემს სიცოც-

ხელში, მაგრამ კოწია რომ რასმე აღუხსენა და პირდაპირ ტენში ჩაედებდა მსმენელს, ემისთანა აზრებრი გამოვიგნო. ვასილიკარი იყო შიში ეს უნარი პირდაპირ! მაშინაც აღუხსენა იქ მყოფ სტუდენტებს, აზნაურებს, თუ რა შესანიშნავი წიგნი უნდა ყოფილიყო „მეფე ლირი“ და უთხრა, როგორმე ამაღამ უნდა წავიკითხოთო, — რაკ მე მეორე დილას წამოსასვლელი ვიყავი. ეს წინადადება ვეუბლას ძალიან ემაბედა სიბოვეს, აბა, შენი პირიმი, წავეციოთერიო! ქართულს მშვენიერად კითხულობდა კოწია. სიცივე იყო და ყველანი ბუხარს ვესხედით. მაშინ გურიაში ნათის ლამა აკაკი არავის ჰქონდა, არ იცოდნენ; თუ შეძლებული იქნებოდა იყო, კარტოფილის სანთელს აანთებდნენ, თუ არა და — ქონისას, ხოლო თუ არც ის აღმოჩნდებოდათ, მაშინ — თაფლისას, რომელსაც ძალიან სუსტი სინათლე ჰქონდა. იმ დღეს ჩემს სიძეს შინ ერთი კარტოფილის სანთელი რომ დამიწვა, ქონის სანთლის შუქზე განავრძო. მეგრე, რა თქმა უნდა, აღარც ქონის სანთლები იყო და ბოლოს უკვე ბუხარს აღის სინათლეზე კითხულობდა. გათენებისასნაღა მორჩა კითხვას და ყველამ დიდი სიამოვნება იგრძნო, ძალიან მოეწონათ. კოწია მათ გზადგა ყველაფერს უხსენიათ. მან ერთი რამ შენიშნა: ომი რაღაც უმეტესი უნდად გათავებს და ეს აღბათ პიესის შემოკლების მიზნითაა ასე მოთხრობილიო. შემდეგ პიესის შინაარსი მთელ მათ ნაცნობ ხალხს მოედო და კოწია ხშირად ეტყოდა ხოლმე მთავს შემოხვევაში, შვილისა უკმაყოფილო და მასთან მომჩივან ამა თუ იმ მამას: „შენ მეფე ლირად ვადაქციებხარო!“ ქართულ ზღაპრებშიც ხომ ვაგრცლებულია ის მოტივი — უმცროსი შვილი რომ სხვებზე უფრო გამოადგება ხოლმე მშობლებს. თანაც „მეფე ლირი“ ხომ მართლა მშვენიერი ქართულითაა ნათარგმნი!..

საერთოდაც ისეთი აღტაცებით ვგებობოდნენ მაშინ ყოველ ახალგაზრდას ქართულ წიგნს და იმ დამესაც ცეცხლის შუქზე კითხულობდნენ, არც ერთს არ დაუძინა და არც მე დამძინეს. მაგრამ დაეუბრუნდით ისევე ჩვენს თხრობას. ქუთაისის პროგიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსე ჯანაშვილი აღარცად მინახავს, სანამ უნივერსიტეტიც არ დაეასრულე და პეტერბურგიდან თბილისში არ ჩამოვედი. მეგრე, როგორც ზემოთ უკვე ვავიხსენებ, მოვიდა ჩემთან მოსე და, ვითარცა წერა-კითხვის საზოგადოების გამგებობის წევრს, შეამდგომილა მთხოვა საზოგადოების მდივნად მისი დანიშვნის შესახებ და კიდევაც აეუბრულე ის საზოგადოარი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან, გორდანიასთან ერთად, ასე ვთქვათ, ფორმირი შექმნა. ჩემი პირველი მცენიერული ნაშრომის წინააღმდეგ. რაკი ჩემმა გამოცემულმა „ქრონიკებმა“ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, წე-

რაკითხვის საზოგადოების გამგეობამ თავის დაუტული ხელნაწერების კატალოგის გამოცემა მომანდო. ეს იყო 1890 თუ 1891 წელს. იმ ორმა ისტორიკოსმა კი პრესაში კომპანიი გა-
 მართა, რათა საეკვოდ გაეხადათ ჩემი შემქმნე-
 ბლობა ასეთი კატალოგის შედგენითა. ჯერ იყო
 და მ. ჯანაშვილმა დაბეჭდა „ივერიაში“ წე-
 რილი, რომელშიც ჩამოთვლილი ჰქონდა ჩემი
 წიგნაკის ჩამდენიმე შეცდომა—ჩემი მიერ წა-
 კითხვისა თუ კორექტურული. მე „ივერიაშივე“
 გავეცი პასუხი და ვწერდი, ჩემს შეცდომებს
 რომ ამოვთვალის, აბა, ენახათ, თვითონ ჩამ-
 დენი ჩემს თავის წერილში, ვახტანგ VI-ის
 ერთ-ერთი გუჯარის შესახებ რომ დაბეჭდა
 „ივერიაში“-შეთქი, და ბევრად მეტი შეცდომა
 ჩამოვუთვალე. ამის შემდეგ მან უკვე მთელი
 წიგნაკი გამოსცა (სახელად „აღუდაგნი“) და
 და იქაც ჩამოთვალა ჩემი შეცდომები ტექს-
 ტის კითხვაში. თ. ყორღანიამ უარესი რომ
 დასწერა: ჯერ განაცხადა იმავე „ივერიაში“,
 თავისიველი კატალოგს ვერ შეადგენს, ძველი
 ქართულის კითხვა არ იცისო და წერაკითხვის
 საზოგადოებას ფული ტყუილად დაეხარჯებო-
 რს ვამოდიოდო, რომ მის ვარდა არაკითხვის
 არ უნდა დაეკლებინათ ისეთი საქმე. მერე
 კი დამიწერა „ივერიაში“, რომ „მოქცევაა“
 ქართლისაა“ პირველად მან გადმოწერა და
 თ. ჭავჭავაძეს ათხოვა გადმოწერა, როდესაც
 იგი „ჭავთა ლაღელსა“ წერდა; რომ მერე მას
 ის რვეული აღარ უნახავს, სანამ ერთ დღეს
 არ წაიწყდა. შემთხვევით, ერთი მეგობრის
 სახლშია. ერთი სიტყვით, გამოდიოდა, რომ ის
 რვეული მე რაღაცა მანქანებით მიმეფიქსებინა
 ეს კი უკვე აუტანელი აღმოჩნდა ჯერ-ერთი,
 ეს არ იყო მართალი, რომ მან რვეული თით-
 ქოს ჩემთან ნახა — ის არასოდეს არ ყოფილა
 ჩემს ხინაზე, არც „სამი ქრონიკის“ გამოცე-
 მამდე და არც მას შემდეგ. მერევე, ჯერ არც
 ჰქონდა წაკითხული ის წერილი „ივერიაში“,
 როცა დიღას გაკეთებული მივედი სათავად-
 ახნაურს სკოლაში, იქ დამხვდა ჩვენი ქარ-
 თულის მასწავლებელი ნიკო მთავარულიშვილი
 და მკითხა, „წაკითხეთ, რა დაუწერია ყორღა-
 ნიას შენ შესახებო?“, ხოლო უარყოფით რომ
 უპასუხე, გადმოცა წერილის შინაარსი და
 დასძინა: „ასეთი რამ გავგონილა? ჩემი თან-
 დამწერებით არ გადმოგცა ის ხელნაწერი დი-
 შიტრი ბაქრაქსთან, საეკლესიო მუზეუმის კო-
 მიტეტის სხდომაზე, როცა შენ განაცხადე,
 რომ იმ ქრონიკების გამოქვეყნებას აპირებო?
 მაგრამ შენ ნურადგინა უპასუხებ, მე გავცემ
 პასუხსაო“. და მართლაც მოათვისა სათანადო
 წერილი „ივერიაში“. მაგრამ მე დაეაწერა და
 ამავე გზითვე დაბეჭდი წერილი, რომელშიც
 მოთხრობილი ჰქონდა, თუ რა ვითარებაში
 გადმოცა თ. ყორღანიამ, ბაქრაქსისა და მთავ-
 რულიშვილის თანდასწრებით, თავისი რვეული,
 რომელიც მე არ მითხოვინა მისთვის. მაშინ

ის ვერც გადმოცემდა წინასწარი ცუდი გან-
 რახვით იმ რვეულს, რაკი ბაქრაქს ცოცხალი
 იყო, — ჩანს, შემდეგ მოიფიქრა ბაქრაქსის
 გაშუქება. წერლის ასე ვთავაზობდი: თუ თ. ყორღ-
 დანიას უკან არ წაუღია ეს ცილისწამება, მე
 ვიტოვებ პასუხის ვაქციის საშუალებას-შეთქი.
 მაგრამ არც ჩემსა და არც ნ. მთავარულიშვილის
 წერილებს თ. ყორღანიას პასუხი არ ვაუცია,
 არ უარუყვია ისინი.
 ერთხანა ვუყურე და მერე კი ვაუღუზავნე
 კატეხე (პრისტიკ) ქუთათელაქ და სხვ. მედი-
 ატორთა სამართალში გამოდი-მეთქი. უთხრა,
 „რადა მედიატობა უნდა, მთავარულიშვილის
 წერილი ხომ არ უარმყოფიაო?“. მაგრამ მე
 მტკიცედ ვქონდა გადაწყვეტილი, არაფრის
 გზით არ დამეშო, რაკი სამედიატორო სა-
 მართალში არ გამიყვია, დღეელი გამოეფი-
 ვეთ. სეყუნდატებად მივეუბნენ იგივე არის-
 ტიკ ქუთათელაქ და ერთივე ვახმისტრი რამი-
 შვილი, რომელიც მაშინ გორში მსახურებდა,
 აღრე კი იუნკრად იყო ბიძაჩემთან და ბავშვო-
 ბიდანვე მიცნობდა; მხნე და ამისთანებში
 გამობრძმედილი კაცი იყო... თვითონ მე მონა-
 დირე ვიყავი და თოფს გვარდიანად ვისროდი,
 ხოლო მერე რვეოლვერის სროლაშიც ვვარ-
 ჯიშობდი. დღეელი საერთოდ აკრძალული კი
 იყო, მაგრამ თუ მოხდებოდა, წაუყრებდნენ
 ხოლმე, ხოლო სამხედრო პირთათვის ზნეობ-
 რივ სავალდებულოდაც კი ითვებოდა საჰი-
 რო შემთხვევაში. არც დღეულზე დათანხმდა
 თ. ყორღანიამ და იგივე უპასუხა, „ხომ არ
 უარმიყვია მთავარულიშვილის წერილი და რა
 მოხდა, ასეთი აურხაურის რომ ასტეხაო?“,
 ხოლო ეს ამბავი ილია ჭავჭავაძის ყურამდე
 მივიდა. იგი ძალიან შეწუხდა, ენერგიულად
 ჩაერია საქმეში და სამედიატორო სამართალით
 ვთავაზო საქმე — აძებლათ თ. ყორღანიამ, რომ
 იქ მაინც გამოვიყოლა. მე ერთ-ერთ მედი-
 ატორად ილიამ ივ. პოლტარაკი მირჩია, რო-
 გორც დიდად გამოცდილი და შეგნებული
 კაცი, საუკეთესო კანდიდატი, ხოლო მერევე
 ენამე თქვენი ამბავი, მასწავლებელი აიყვა-
 ნეთო, მითხრა, ჩვენ დავბეჭდავთ გაზეთში
 თქვენს სათანადო განცხადებებს: თ. ყორღანიამ
 თავისებს დაასახელებს, შეიკრიბებიან, იმჯე-
 ლებენ და გააჩვენენ საქმესაო. მეც დავეწერე
 წერილი და დაეასახელე ივანე პოლტარაკი
 (იმჯამად ნობაროუსი იყო, მაშინ გავიცანი;
 მერე ჩემი სიმამრი ვახდა; მის ასულს, შედგებ
 ჩემს მუელღეს წინათაც ვიცნობდი, აბასთუმნი-
 დან, სადაც ის დედასთან და დედასთან —
 გაბაშვილის ქალბიან — ერთად ისევედებდა,
 ხოლო მე პირველ ხნებში ყოველ ზაფხულს
 ავდიოდი ხოლმე, პეტერბურგიდან ციხე-ცხე-
 ლებს ჩამომეყვა და იქ მოეჩინინე) და გიორგი
 იოსელიანი, სათავადახნაურო გიმნაზიის მას-

წევლებელს, იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხეველაძის ამხანაგი (გ. წყალტუბელის ფსევდონიმით წერდა ხოლმე); ჩემ წამოსვლამდე კი გოგებაშვილს ჰყავდა მედიატორად ანდრია ლულაძის წინამძღვე და იმ სასამართლომ გოგებაშვილი გაამართლა, ისე რომ გოგებაშვილმა მირჩია იოსელიანის აყვანა, როგორც საცადისა. იოსელიანი ჩვენთან სამღუთო რჯულს ასწავლიდა, როგორც სემინარიუსტი, ხოლო ერთხანს რუსეთის ისტორიაც მისცეს. ძალიან გამოცდილი, კარგი პედაგოგი იყო. წინათ [სახაზინო] გიმნაზიაში ემსახურა და ჩემს დროს უკვე პენსია ჰქონდა, მაგრამ არ ჰყოფნიდა [თუმცა] კი ფულს კი იღებდა, აქვრ 600 მანეთს და მერე კი 800 მანეთს წყლწიდაში) და მაინც განაგრძობ მასწავლებლობას, უკვე ჩვენთან. მდიდარი ძმები ჰყავდა — ერთს ბუბუას ეძახდნენ — წყალტუბოს აბანოების მესაკუთრებთან მონაწილეობდნენ. თვითონ დიდხანს, 100 წელიწადს იცოცხლა.

როდესაც თ. ყორღანის ცილისწამება დაიბეჭდა, „ივერიის“ ფაქტიურად რედაქტორობდა (ილიას მოუცვლელობისა გამო) რედაქციის გამგე გიგა (გროგოლ) ყიდშიძე. ისიც, ისევე როგორც რედაქციის ყველა სხვა წევრი, ვარდა ილიას (რომელმაც ძალიან მომიბოძლია და სინანული გამოთქვა იმ წერილის დაბეჭდვის გამო), სემინარიუსტი იყო და მათ საერთოდ ყველაფერში ერთი პირი ჰქონდათ ხოლმე, მაგრამ იმ შემთხვევაში გიგა ძალიან წუხდა, როგორ მომიბოძა, ყორღანის წერილი ისე რომ დაბეჭდეთ.

თ. ყორღანამ თავის მედიატორებად დანიშნა გიორგი წერეთელი და ნიკო ხიზანიშვილი-ურბნელი, ილიას დიდი მეგობარი და „ივერიის“ თანამშრომელი. ურბნელი რედაქციის სხვა წევრებზე უფრო კარგად ერკვეოდა საქართველოს ისტორიის საკითხებში და საერთოდ შეგნებული კაცი იყო. რედაქციასთან მის კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ, როგორც თვითონვე მითხრა, მასზე კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა ჩემს „სამ ქრონიკას“: „აი, ახლა კი გაიფიქრებთ ისტორიების ამბავი“.

შეიკრიბა ეს ოთხი მედიატორე. თავმჯდომარედ აირჩიეს გვიქლი ალექსანდრე ჭყონია, კაცი მამა, ლექსიკონის გამომცემლის ძმა, ადრე გამომცემელად ნამუშევარი. დიდი პატიოსანი კაცი იყო და ისტორია კარგად იცოდა. მის გამოცემული აქვს ერთი „ისტორიული ნარკვევი“. უჩანველი ეზარალებოდა და სხვადასხვა წერილებს თარგმნიდა ხოლმე.

პირველად მედიატორები უჩვენოდ შეიკრიბნენ, ილია ჭყავაძის ბინაზე, და დიდხანს ითანაბრეს. მერე დამიბარეს და მითხრეს: „ჩვენ ჯერ შინაურულად მოვილაპრებთ და სსუტოესოდ გვიანთ, რომ ეს საქმე უსასამართლოოდ მოგვგვართო. შევადგინეთ ტექსტი

განცხადებისა, რომელიც თ. ყორღანის უნდა „ივერიის“ ამა და ამ ნომერში დაბეჭდული გამოაქვეყნოსო. მასში სწერდა: „ჩემს უნდვით „ივერიის“ ამა და ამ ნომერში დაბეჭდული თავისი წერილის გამო იგი დიდ მწუხარებას გამოთქვამს, რაც ე. თაყაიშვილს შეურაცხყოფად მიუღია ჩემი განცხადება და მე კი სრულიად არ ვგულისხმობდი მისთვის შეურაცხყოფელ რასწერო... მე ვუთხარი, ეს მალად არ გამოასწორებს საქმეს, მაგრამ, თუკი თქვენ ვერც მიგანიათ საქმეოდ, წინამძღვევი არ ექნება, თუმცა პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მე ვგ საგნებით ვერ მაქმყოფილებს-მეთქი... მოსამართლეებსა და თავმჯდომარეს მდივნად გ. წერეთელი ამოვრჩიათ და ის მელაპარაკე კომისიის სახელით: „თქვენ ჯერ ახალგაზრდა და გამოუცდელი კაცი ხართ; აი, გვიმოხუთ შე და ილიას, რამდენი დღემსაბურცელი შეურაცხყოფა ავგიტანია, სამწუხაროდ, ჩვენში ბრძოლის ასეთი ხერხები მიღებულია; ამ საქმის ვერც გამწვავება არა დირს და ეგებ ყორღანის ასეთ განცხადებას დასჯერდეთო“ მის შემდეგ ილია ჭყავაძემ საბოლოო სიტყვა გიორგის [? ალ. ჭყონიას?] და მითხრა: „აი, რაც გიორგიმ მოგასწავნათ, იმას უნდა დავუმიტო, რომ ამ ვიცი, მერწმუნებით თუ არა, მაგრამ— ჩემთვის ერთგვარად საწყენი იქნება, თქვენ გამტყუნდებით თუ ის გამტყუნდებო; იმიტომ რომ თქვენ საქმეში ისიცა და თქვენც დიდად გამოხადენი ხართ და საკითხის გამწვავება არავისთვის არ იქნება სასამართლო“. მეც რაღას ვიზამდი, დავთანხმდი. მერე თ. ყორღანის მოლაპარაკებოდნენ, ისევე ცალკე და იმას ეთქვა, მე მაგაზე ვერ დავთანხმებო, ბოლოსდაბოლოს მან უარი განაცხადა კომისიის მიერ შემუშავებული განცხადების გამოქვეყნებზე და იმიტომ სამედიატორო სასამართლო მინც შედგა.

შეიკრიბნენ და დავიბარეს ორივენი. პირველი სხდომა სათავადანაწარო სკოლის დარბაზში ჰქონდათ და იქ შეგვეყარეს. შეგვეითხნენ, რა ბრალდებას უყენებთ ერთმეორესსა?

მე განუცხადე მედიატორეთა სასამართლოს: სრულად არ ვეხები ჩემი, როგორც მეცნიერების, მეცლევარის, სწავლულის გალანძვას, ეს ყველას შეუძლია-მეთქი. მე მიღვევს მისი წერილის მეორე, ზნეობრივი მხარე — რომ აცხადებს, ვითომც თავისი დაკარგული რვეული შემთხვევით ჩემთან ეპოვნოს, ეს მტყნარი ცილისწამება და ამას თქვენ ბრალად-მეთქი თ. ყორღანისა. ხოლო რათა თქვენ თითო-დიანხართ, თუ როგორ გვითხვრობს შეუცურ ზღნაწერებს მე და როგორ კითხვლობს თ. ყორღანი, გთხოვთ მიანდოთ თქვენი კომისიის ერთ-ერთ წევრს, შეადაროს მის მიერ გადმოწერილი რვეული ჩემს გამოცემას და თუკი უპოვნის მას.

შეცდომებს, ყველა აღნიშნულს-მეთქი. მე არ უარ-
ვეყოფ, რომ შეიძლება მქონდეს ჩემს გამოცემაში
შეცდომები, მაგრამ თვითონ უამრავი შეცდომა
აქვს და შეამოწმეთ, რომ შეჯერებულ იყოს-
მეთქი. თან რაი მოწმე დავასახელე: ნიკო მთვა-
რელიშვილი, რომელიც წიგნის ბეჭდვის დროს,
როგორც აღვნიშნე, ძალიან შეხმარებოდა,
ხნობრივად თუ პრაქტიკულად (კორექტურაში)
და არისტო ქუთათელაძის შმა დაეთი, რომე-
ლიც წიგნზე ჩემი მუშაობის დროს ბინად ჩემ-
თან იყო და აღეყნებდა თვალუფრს იმ მუშა-
ობას. ორივე მოწმეს დაჰკითხეს.


როდესაც მედიატორები შეეკითხნენ თ. ეორ-
დანიას, თქვენ რა ბრალდებას უყენებთ თავი-
შეღასაო, მან, ჯერ-ერთი, გაიმეორა თავისი
ბრალდება (რომ არ გავმეორებინა, მაშინ სა-
სამართლოც აღარ შედგებოდა) და, გარდა ამისა,
ისიც დაუმატა, რომ მე მას პოლემიკაში ძალიან
უდიერად ვიხსენიებდი, შეურაცხყოფას ვაყენებ-
დი და, მესამეც ისა, რომ მე გავამელაგე მისი
ფსევდონიმი — „ვერი“-ს მაგიერ პირდაპირ ეორ-
დანიის დავასახელე პოლემიკის დროს. ამაზე მე-
დიატორენი შეეკითხნენ, ფსევდონიმის გამელა-
გება რასმე გაენებდათ? მან მიუგო, რასაკვირ-
ველია, მთავრობას არ უნდა სყოდნოდა, რომ
„ვერი“ მე ვიყავი.

მერმე მოგაწერინეს ხელი დამოწმებაზე, რომ
ჩვენ, ორივე მხარემ, ეს საქმე თანხმობით მი-
ვანდეთ იმ მედიატორებს და რომ მათ მიერ
განაჩენის გამოტანის შემდეგ აღარც ერთი ჩვენ-

განი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეხებოდა
მას, აღარ დაეწყო დაეა განაჩენისა. თუ თვით
წამოყენებული საკითხის შენახვებ. ერთი სა-
ტყუთი, ჩვენ ნება აღარ გვქონდა, როგორც არ
უნდა ყოფილიყო, დაებრუნებოდით იმ საკითხს,
განახენი უსიტყვოდ უნდა მიგველი. ასეთი იყო
საერთოდ სამედიატორო სამართლის წესი.

ჩვენმა სამედიატორო სასამართლომ რაღაც
საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო, მას დიდძალი
ხალხი ესწრებოდა. ხუთი სხდომა მაინც შედგა,
მეტი თუ არა: ხან სათავადაზნაურო ვინაზიში,
ხან სხვაგან. უკანასკნელი სხდომა ილია ჭავჭა-
ვაძის ბინაზე მოეწყო და იქაც მრავალი დაეს-
წრნენ თვითონ ილია მოწმედ იყო. რაი გიგა-
ყიფშიძე და „ივერიის“ რედაქციის სხვა წევრ-
ბი თ. ეორდანიას უტერდნენ მხარს, მას იმედი
ქონდა, რომ ილიაც მიემხრობოდა. მეც ასე
ფიქრობდი და გავუხიარე ჩემი ეჭვი ჩემს ერთ-
ერთ მედიატორს, იე. პოლტარაცის, რომელმაც
უყოყმანოდ მომიჭრა სიტყვა, თლია არასოდეს
მიყერძობვას არ გამოიჩენსო, და მართალიც გა-
მოდგა. ილიას ჩვენების შემდეგ კიდევ გაიმართა
ერთი სხდომა. შერე მე შეეკითხნენ, ფსევდონი-
მი „ვერი“-ს გამელაგების შესახებ რას იტყვი-
თო? მე ვუპასუხე, რომ ის ფსევდონიმი ჩემზე
ბევრად აღრე იყო გამელაგებული მ. ჯანაშვი-
ლის მიერ გაზ. „ივერიაში“. ამოვიღე ის ნომერი
და ვუჩვენე მოსეს წერილი მოსამართლეებს. ამით
გათავდა სამედიატორო სასამართლო და კიდევაც
გამოიტანეს განაჩენი.

(გაგრძელება იქნება).



გამოკვლევა ქართული ხალხის რელიგიის ისტორიიდან



ცნობილია, რომ ქართველი ხალხის რელიგიის ძირინდელ ისტორიაში სპეციალური და ფართო კვლევა, აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდა, არავის უწარმოებია. მასვე თავის დროზე მოუხდა ქართველთა წარმართული სარწმუნოების წარმოშობისა და ბუნების შესახებ ცალკეულ შეკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების გაკრიტიკება (მარი, კოვალენსკი, ინოსტრანცევი, ვესელოვსკი და სხვ.). სახელოვან მეცნიერს ამასთან გაოვილისწინებული ჰქონდა ის სიმწვლეები და სირთულენი, რაც ქართველთა რწმენა-წარმოდგენების აღრინდელი ისტორიის მეცნიერულ შესწავლას ახლდა და ამიტომ იყო, რომ თავის ნაშრომებში შეტანილ გამოკვლევებს ცის მნათობთა ღვთაებებისა და საერთოდ წარმართული სარწმუნოების შესახებ მიიჩნევდა როგორც მხოლოდ მის ხელთარსებული მასალების, უმთავრესად კი წერილობითი წყაროების მონაცემების კვლევის შედეგს. ივ. ჯავახიშვილი იქვე მიუთითებდა ამავერი მასალების კვლევისათვის უმთავრესად და სამოქმედო ამოცანად სახავდა პირველ რიგში ხალხში შემონახულ სარწმუნოებისა და წეს-ჩვეულებების ღრმად და ფართოდ შესწავლას.

ამ რთული ამოცანის განსახორციელებლად ფართო საეკლესიო და კამერალური მუშაობის გავლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როცა საერთოდ შეარქმენიერულ ნიადაგზე დადაგ ჩვენში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება და რწმენა-წარმოდგენების შესწავლას, ისევე როგორც ხალხის ყოფისა და ეტრირის სხვა მხარეებსაც საგანგებო ყურადღება მიექცა. ქართველი ხალხის რელიგიის ისტორიის შესწავლას ჩვენში წლების მანძილზე წარმატებით აწარმოებს და ამავე დროს მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევს ვერა ბარდველიძე, რომლის კალამს ეკუთვნის არა ერთი საყურადღებო გამოკვლევა ამ დარგში. სარკვევნიო ნაშრომი ავტორიის მიერ წარმოებული ხანგრძლივი კვლევის შედეგების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს.

В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. ისტორიის ინსტიტუტი, რედ გ. ჩიტაია.

ნაშრომს საფუძვლად უდევს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ავტორის მიერ მოპოვებული მდიდარი, კონკრეტული, გულდასმით შერჩეული ეთნოგრაფიული მასალი. ამ მასალის სანდოობას განსაზღვრავს საველე-ეთნოგრაფიული კვლევის, ე. წ. კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი. რომელსაც ეთნოგრაფიის საბჭოური სკოლა წარმატებით იყენებს თავის მუშაობაში.

მასალის კვლევისას ავტორს მომარჯვებელი აქვს მარქსისტულ-ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, წარმოადგენს ადამიანთა თავებში გატეხილ ბუნებასა და საზოგადოებრივი მოვლენების ფანტასტიკურ ასახვას და რომ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ისტორიულ კრილში შესწავლა შესაძლებლობას იძლევა გამოვლენილი იქნეს მათი განვითარების ეტაპები საზოგადოებრივი წყობილების განსაზღვრული ფორმაციების შესაბამისად. „რელიგიური მსოფლმხედველობა ჩვენს ყურადღებას აქარბობს, უმთავრესად, როგორც თავისებური წყარო, რომელიც თავისი სპეციფიური თავისებურებებით ასახავს საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა მხარეებსა და განსაზღვრულ ისტორიულ მონაკვეთზე ადამიანთა რეალურ ურთიერთობებს“ ასე განსაზღვრავს ავტორი თავის მეცნიერულ მიდგომას.

ამ ძირითად ამოსავალზე დაყრდნობით მეკვლევარს ღრმა და ინტენსიური კვლევა უწარმოებია, რის შედეგად მიღებულია უაღრესად თვალსაჩინო და კონკრეტული ამასთან დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მქონე დასკვნები როგორც საერთო რეალური ტომების რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, ისე საზოგადოებრივი განვითარების აღრინდელი პერიოდების შესახებ.

მთლიანად ეს ნაშრომი ქართველი ტომების პოლითეიზმს ეხება. ნაშრომში დადგენილია ძველი ქართული პანთეონის განვითარების ორი საფეხური, ქართველი ტომების საზოგადოებრივი განვითარების ორი საფეხურის შესაბამისად, ესენია პირველ-ყოფილი თემური წყობილების რღვევის პერიოდის პანთეონი და აღრეკლსობრივი საზოგადოების პანთეონი. ვარკვეულია ამ პანთეონებში შემავალი ღვთაებების შემადგენლობა, იერარქია, ბუნება და ფუნქციები, ყურადღებას იქ

ცვის იმ ფაქტის დადგენა, რომ განვითარების ადრე საფეხურზე თუ პანთეონი შედარებით უზრალო და მარტივი ცის ამსახველია და ანთროპომორფული ღვთაებები ცის მნათობთაგან მხოლოდ მოთარგნ, მზესა და ვარსკვლავებს გამოისახედნენ, რომლებიც საფეხურზე მდგომარეობა უკვე შეცვლილია და ციურ სამყლობელში უფროსი და უმცროსი ღვთაებთა საქმოდ რთული და ამსახველი მკაცრი იერარქია დასტურდება. ვარკვეულია ის ფაქტიც, რომ ადგილობრივ ღვთაებთა ანუ უმცროსი რიგის ღვთაებთა მსაჯაროში იერარქიული დაყოფა განსაზღვრული იყო არა ასაკობრივი პრინციპით, არამედ ე. წ. ღვთისმშობლთა ძლიერების ხარისხით, რაც თავის მხრივ განსაზღვრული იყო იმ ტერიტორიულ-დინიურთა ჯგუფებისა და თემური ორგანიზაციების რიცხვობრივი შემადგენლობით და ეკონომიური შემადგენლობით, რომელთა მფარველბადაც ეს ღვთაებები ითვლებოდნენ. აქედან გამომდინარეობს ავტორის მართებული და მნიშვნელოვანი დაცენა იმის შესახებ, რომ მოსახლეობის ეკონომიური შემადგენლობის პრინციპის დადება ღვთაებთა იერარქიული დაყოფის საფუძვლად შეუძლია მხოლოდ ისეთ საზოგადოებას, სადაც უკვე ძლიერად იყო წინ წასული ჯანბრივი დიფერენციაცია პანთეონის განვითარების ამავე საფეხურისათვის, როგორც ეს ნაშრომშია გამოჩევეული, ღვთაებთა მოქმედება მკაცრად იყო ენტრალიზებული. განსაკუთრებით განვითარებული ფუნქციები მორაგე ღმერთს ჰქონდა. ის იყო უზენაესი კანონმდებელი და წესრიგის დამცველი ცასა და მიწაზე. აღნიშნული პანთეონის შესწავლით ავტორის ამავე დროს გარკვეული აქვს, რომ ავად. ივ. ჯავახიშვილს მიერ გამოკვლეულ ასტრალურ ღვთაებთა პანთეონი მიეკუთვნება ქართული წინაპროსტიანული რელიგიის ერთ-ერთ უფრო მოგვიანო საფეხურს, რამდენადაც ე. წ. წარმოშობით უძველესი რელიგიური პერსონაჟების გვერდით, წარმოდგენილია უფროსი ღვთაებთა შეიღებული, რომელიც შვდ მნათობს განსახიერებს და რომელთაგანაც თითოეული დაკავშირებული იყო თავისი კალენდარის შეიღდიანი კვირის ერთ-ერთ დღესთან.

ნაშრომში ნათლად არის ნახვენება, რომ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების განვითარება და ღვთაებთა ტრანსფორმაცია პანთეონის სხვადასხვა საფეხურებზე ქართული ტომების სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას მიჰყვებიან და მის არეკლას წარმოდგენენ. მაგალითად, ვარკვეულია, რომ თუ განვითარების ადრე საფეხურზე ღმერთი ანსახიერება გვიარეველ და ტერიტორიალურ-თემურ გაერთიანებების მფარველ ღვთაებას და ამავე დროს წერილი რქოსანი საქონლისა და შთის საძოვრების უზენაეს პატრონს, უფრო გვიან კი სახანაო მიწისმოქმედების განვითარების ეპოქაში ღმერთი იქცა შინაური ცხოველების უზენაეს მფარველად, ნაყოფიერებისა და გამარავლების ღვთაებად, მასში იფარებოდა

ხარისა და მზის კულტი. ღმერთი თანდათანობით პირველი ადგილი დიკავა ძველ ქართულ პანთეონში.

ე. ბარდავლიძის მიერ სწორედგონივრებ განვითარების ადრეკლასობრივი საფეხურის პანთეონის დადგენა და მისი ბუნებისა და თვისებების გამოვლინება პრინციპული მნიშვნელობის მონაპოვარია, რადგან ეს ნათლად აღასტურებს სათემო მიწისმფლობელობისა და მმართველობის რთული სისტემისა და თოყრატული ზეღისყოფლების არსისა და თავისებურებების შესწავლასთან დაკავშირებით, თვით ავტორის მიერვე ადრე გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოსა და კავკასიის შთის მოსახლეობაში საზოგადოებაზე განვითარების ადრეკლასობრივი საფეხურის არსებობის შესახებ; ეს კი თავის მხრივ უარყოფს მუდარ შეხედულებას შთის მოსახლეობაში გვაროვანი წყობილების მედმეზად და უცეკლად არსებობის შესახებ.

ძველი ქართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების მეცნიერულ კვლევას შედეგებში ავტორს საყურადღებო მოსაზრებების წამოყენების საშუალება მისცა რიგი კულტურულ-ისტორიული პრობლემების შესწავლის დარგში. ისე, მაგალითად, ადრეკლასობრივი საზოგადოებრივი განვითარების პანთეონის მონაცემთა გათვალისწინებით და ქართულ ტომების სოციოლის ხის მოტივისა და მგელი-ძალის კულტის ყოველმხრივი და დიფერენციითი შესწავლით ავტორმა ახლებური ახსნა მისცა რიტუალურ კომპოზიციის ნეოთიერი კულტურის ისეთ უნიკალურ ძველზე, როგორიცაა II ათასწლეულის შუა პერიოდის თრიალეთის განათხარი ვერცხლის თასი. ავტორი კრიტიკულად განიხილავს და კომპოზიციის შინაარსის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს და შეცნობილი კვლევის კონკრეტული მონაცემების ზუსტი და მობერებელი მომხილებით ამ სტეიის გონებაშეხილურ ახსნას იძლევა. კრძობ, ავტორი დადგენს, რომ აქ წარმოდგენილია პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პერიოდის პანთეონი. აქვე ვარკვეულია თრიალეთის ძველი კულტურის ეთნიკური მიეკუთვნებულობა. უნდა ვთქვათ, რომ ავტორისეული ის ინტერპრეტაცია მტკიცე ადგილს დაიმკვიდრებს სამეცნიერო ლიტერატურაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საჩეცნო გამოკვლევის ის ნაწილი, რომელიც ქართულ საწესო გრაფიკულ ზეღოვნებს შეეხება. კავკასიის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის ისტორიის ეს საინტერესო მხარე აქამდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. ავტორის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან პირველად მიიქცია ყურადღება ამ უაღრესად დიდი ღირებულების მქონე მონაცემებს და მეცნიერულად შეისწავლა ქართული (სეანური) საწესო გრაფიკული ზეღონება. კვლევის შედეგებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ როგორც ქართული და კავკასიური, ისე ზოგადი კულტურის ისტორიის საჩეცნო

საერთების გასაშუქებლად. სწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები ავტორის მიერ დადასტურებულია ზემოსაენეთში დღობა ლიფანალოან და ქვემოსაენეთში დღობა ბემბელ ანუ ბოსლობასთან დაკავშირებით. გარკვეულია, რომ გრაფიკული ხელოვნების ეს მდიდარი მონაცემები ტრადიციული მხატვრობის ნიმუშებს წარმოადგენს. დადგენილია ამ მხატვრობის ნატურალისტური შინაარსი და არი სხვადასხვა სტილი: რეალისტური და აბსტრაქციული. ეს ხალხური ხელოვნება თავისი ზოგადი მნიშვნელობით რელიგიურ-სიმბოლური და მავიურია. მის შესწავლას ავტორი მართებულად უკავშირებს სვანების რელიგიურ მსოფლმხედველობაში ლიფანალოსა და ბემბელს და საზოგადოდ ახალი წლის ციკლის დღობების მნიშვნელობისა და როლის გარკვევას, რომლებიც ბუნების აღორძინებასთან დაკავშირებული დღობები იყო. ყველა მოქმედებას, რომლებიც ამ დღობებში სრულდებოდა, წარმართი სვანის მსოფლმხედველობით, გარკვეული ნაყოფი უნდა გამოვლინდეს და ცხოვრებაც მთელი წლის მნიშვნელოვანი მიმართულებით განვითარდებოდა. ამ რიტუალში, ისევე როგორც მასთან დაკავშირებულ ხალხურ ხელოვნებაში მესაქონლე და მიწის-მოშენებელი ხალხის სამეურნეო ყოფის თავისებური ასახვა გვაქვს მოცემული. ამ ხელოვნების დეტალური ანალიზისა და პირველყოფილი საზოგადო-

ების ხელოვნების მონაცემებით შედარების საფუძველზე გარკვეულია სვანური სწესო გრაფიკული ხელოვნების მავიური ხასიათის და მისი კავშირი საზოგადოების საწარმის საქმიანობასთან. მეცნიერული კვლევის ამ შედეგებს დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვთ პირველყოფილ ხელოვნებაში სიმბოლური მნიშვნელობის გეომეტრიულ გამოხატულებათა გენეზისის პრობლემის გადასაწყვეტად.

წიგნის მეცნიერული აპარატი სრულყოფილია, რაც სპეციალისტებს ბევრად გაუადვილებს ამ ნაშრომის გამოყენებას. ნაშრომს დართული აქვს სია გამოყენებული ფართო ლიტერატურისა და ზღწაწერებისა, პირთა, გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ, მითოლოგიურ-საეკლერსაგანობრივ, აგრეთვე ტრანსკრიპციით მოცემულ სახელთა სიძიებლები, ტექსტში და ცალკე ტაბულების სახით წარმოდგენილი სიილუსტრაციო მასალის ანოტაციები. აღსანიშნავია, რომ სატრანსკრიპციო ნიშნების მხარეებში ნაშრომში ზედმიწევნით სიზუსტით არის გადმოცემული მეტიდ მრავალფეროვანი სპეციალური ტერმინოლოგია.

ქართული ისტორიოგრაფიული მეცნიერების ყველა უბანზე ფართო შემოქმედებით-კვლევით მუშაობაა გაშლილი ქართველი ხალხის ისტორიის საკვანძო პრობლემების მეცნიერულ შესწავლაზე. უპირატესობის ახალი ნაშრომი ამ საქმეში უღერსად სერიოზულ წვლილს წარმოადგენს.

მ. გუგუშიძე

ნაშრომი მწერლის ენის შესახებ



მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა სალიტერატურო ენამ განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო. იაკობ ცურტაველიდან და თიანე საბანისძიდან დაწყებული დღემდე ქართული ლიტერატურული ენა, მიუხედავად სხვადასხვაგვარი დაბრკოლებისა, თანდათანობით ვითარდებოდა, იხვეწებოდა, სრულყოფილი ხდებოდა.

მაგრამ თუ ზვენი ძველი და ახალი მწერლობის ლიტერატურული შესწავლა გარკვეულ საფეხურზეა აყვანილი, მისი ენობრივი შესწავლა, მწერლების ენის მეცნიერული ანალიზი ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას; თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს. ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება ნაშრომი, სადაც ნაწილები იყოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზა, დახასიათებული იყოს ის ტენდენციები, რომლებიც არსებობდა ქართულ მწერლობაში უძველესი პერიოდიდან

დღემდე. ასეთ პირობებში, ცხადია, მისასაღწებელია ქართული მწერლობის თუნდაც მცირედნი ნაწილის გაანალიზება ამ თვალსაზრისით. ამ მხრივ საყურადღებო ნაშრომია შოთა ძიძიგურის წიგნი „მწერლის ენა“, რომელიც „სამკოთა მწერალმა“ გამოქვს. მასში მოცემულია მწერლის ენასთან დაკავშირებული ზოგიერთი ეტიმოლოგიური საკითხის კვალიფიკური ანალიზი. ეს ნაშრომი მიზნად არ ისახავს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თუნდაც რომელიმე პერიოდის სისტემატურ ანალიზს, არამედ მასში მოცემულია ცალკეულ მწერალთა ენის, ენობრივ მოვლენებზე მათი თვითრიული შეხედულებების და სალიტერატურო თუ სასაუბრო ენასთან მათი ნაწარმოებებს ენის დამოკიდებულების დამაჯერებელი ანალიზი. ამის საფუძველზე ავტორს მნიშვნელოვანი განმარტავებელი დასკვნების გაკეთების საშუალება ეძლევა. ცნობილია, რომ სალიტერატურო ენა

და შწერლის ენა ყოველთვის არ ემთხვევა ერთ-
მანეთს; შწერლება განსხვავდება ერთმანეთი-
საგან აგრეთვე ენის ხალხურობის მიხედვითაც.
სარეცენზიო ნაშრომში ყოველთვის ყურადღე-
ბას ცენტრში დგას განსახილველ შწერალთა
დამოკიდებულება როგორც ლიტერატურულ,
ისე სასაუბრო ენასთან.

ნაშრომის პირველი ნაწილი მიძღვნილია შწერ-
ლის ენის ზოგად-პრინციპული საკითხების
განხილვისადმი. ავტორი სამართლიანად ილაშქ-
რებს პოეტური ენის მკაცრი რეგლამენტაციის
წინააღმდეგ, შწერალი თავისუფალია სიტყვა-
შპარტავში, მას შეუძლია საერთოფარგულში
ენის ლექსიკის გამდიდრება, როსთვისაც ახო-
წურავ მასლას იძლევიან ცოცხალი დიალექ-
ტები. მაგრამ ეს შწერლის არ აძლევს გრამატიკის
უარყოფის უფლებას; შეუწყნარებელია
ავრთვე მიღებული ორთოგრაფიული წესების
დაუმორჩილებლობა. შწერლის ორიგინალობა,
მისი შემოქმედებითი უნარი გრამატიკული
სკემის იგნორირებისა და მასში სიბზლის შეტა-
ნაში ეს არ უნდა გამოვლინდეს, არამედ შწერ-
ლის სტილში, რადგანაც არ არსებობს ინდივი-
დუალური გრამატიკა, მაგრამ არსებობს ინდი-
ვიდუალური სტილი. ამასთანავე, სტილთა სჭვა-
ღასხვანაა ეს არ უარყოფს, არამედ გვიღის-
მზებს სავითარ-სახალხო ენის აუცილებლობას.

წიგნში მოცემულია სამეცნიერო და ლიტე-
რატურულ სტილთა სტრუქტურულ სხვაობათა
პართებული ანალიზი. ავტორი აღნიშნავს, რომ
შწერლის ენის გადაჭარბებულ ლოგიკაიას,
რაც სამეცნიერო სტილისათვისაა დამახასიათე-
ბელი, ლიტერატურულ და მეცნიერულ სტილ-
თა ნიველირებისავეს მიეყვარათ; ეს კი, თავის
მხრივ, მხატვრული ნაწარმოების ენის გლარი-
ბებას, მისი ექსპრესიულობის დაქვეითებას იწ-
ვევს.

შ. ძიძიგური საბჭოთა პოეტის ენისათვის
ხალხურობის საკითხების აღიარებასთან ერთ-
თად სამართლიანად თვლის უარყოფით პოეტუ-
რულ პოეტური ენის ფორმირებას ხალხური
სიტყვიერებაში გაკლენისა და იმპატივის გზით,
რაც ამდამლებს პოეტური ენის კვლბრებს და
აღრუნებს მის ექსპრესიულ შესაძლებლობას.

ნაშრომში საყურადღებო შედეგებზეა
წარმოდგენილი ლიტერატურული გმირის ენის
შესახებ. პერსონაჟის მეტყველებაში უნდა ჩან-
დეს მისი სოციალური აუ პროფესიული წრის
ენობრივი სპეციფიკა, ამის გარეშე შეუძლებე-
ლია ტონისა და ხასიათის ჩვენება, აქედან ცხე-
ლია, არ არის ნორმალური, როცა ავტორისა
და გმირის ენა ერთმანეთს ემთხვევა, როცა გმი-
რის ენა მთლიანად იგებულია ლიტერატურული
ენის ტრადიციებზე. მაგრამ, ამასთანავე, გულ-
პართლებულია ენობრივ ნატურალიზმამდე დაშ-
ვება. ლიტერატურული გმირის ენაში თავი უნ-
და იჩინოს იმ საღმის ენობრივმა თავისებურე-
ბებმა, რომლებიც არსებობს დიალექტში წარ-

მოდგენილი და შეიძლება შეიგუოს საერთო-
სახალხო ენის ბუნებას. მაგრამ პერსონაჟის
მეტყველება მთლიანად არ უნდა არსებდეს
რომელიმე დიალექტის თავისებურებებში, ის
დიალექტოლოგიურ ჩანაწერს არ უნდა ჰგავდეს,
როგორც ეს ჩვენს შწერლობაში ხდება ხოლმე
ზოგჯერ. დიალექტის თავისებურებებმა გმირის
ენაში გამოხატულება უნდა ჰქონდეს არა გრამა-
ტიკის, არამედ უმთავრესად ლექსიკა-ფრაზეო-
ლოგიისა და სტილისტიკის სფეროში. შ. ძიძი-
გური ასახელებს ბევრ სინტაქსურ მარგალიტს
დიალექტთა ლექსიკა-ფრაზეოლოგიიდან, რომ-
ლებიც ლიტერატურულ ენაში შემოტანის ღირს-
ნი არიან, მაგრამ ჯერჯერობით უუპრადლე-
ბოდ არიან დარჩენილნი.

ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრება აყენებს
ნეოლოგიზმების შექმნის საკითხებს. ენი-
სათვის დადებითი მოვლენაა სწორად შექმნილი
ნეოლოგიზმები. ნაშრომში აღნიშნულია, რომ
ქართულ ენაში მოქალაქეობრიობა შეუძლიათ
პროპიონერ შხლოდ ისეთმა აბალმა სიტყვებმა,
რომლებიც შექმნილნი არიან ქართული ენის
ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებების და-
ცვით.

სარეცენზიო ნაშრომის პირველი ნაწილის
დასასრულს განხილულია არქაიზმებთან დაკავ-
შირებული რამდენიმე საკითხი. ავტორის აზ-
რით, არქაიზმი, ლექსიკური იქნება ის თუ გრა-
მატიკული, ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა და
სასარგებლოც, მით უმეტეს ქართულში, რო-
მელსაც სამისოდ დიდი შესაძლებლობა აქვს.
ჩვენი შარტებულად მიგვაჩინა შ. ძიძიგურის პო-
ზიცია კ. გამსახურდიას რომანებში არსებული
არქაიზმების მიმართ.

ნაშრომის შემდეგ ნაწილში საფუძვლიანად
აჩის განხილული დ. გურამიშვილის ენის სა-
კითხები. გარკვეულია დ. გურამიშვილის დამო-
კიდებულება დიალექტებთან, საერთო-სახალხო
ენასთან, ძველ და ახალ ქართულ ენასთან
და ა. შ. დ. გურამიშვილი ენის დიდი რეფორმა-
ტორია, მან გაარღვია არქაიზმული ენის
შებენი. მისი „ნაწარმოები — „დავითიანი“ და-
ფუძნებელია ქართული საერთო-სახალხო ენის
ძირითად სტრუქტურულ თავისებურებებზე.
იგი არსებობდა ახალი სალიტერატურო ენის
ადრინდელი პერიოდის ყველაზე დასრულებულ
სახეობას წარმოვიკვიდვს“ (ცვ. 27). ის ფაქტი,
რომ „დავითიანი“, რომელიც ახალი ქართული
ენითაა დაწერილი, ქართული საზოგადოებისათ-
ვის ენობრივ გახდა შხლოდ მეცხრამეტე
საუკუნის 50 — 60-იან წლებში, ნაშრომის იე-
ტორის საშუალებას აძლევს ვააკეთოს შემდეგი
დასკვნა: „ახალი ქართული სალიტერატურო
ენის დამკვიდრების ფუძემდებლებად უნდა მი-
ვიჩნოთ დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე
და აკაკი წერეთელი“. (ცვ. 28 — 29).

ნაშრომში ნახვევებია ის არქაიზმები, რომ-
ლებიც დ. გურამიშვილთან ჯერ კიდევ გვხვდებ-

ბა, მაგრამ ეს არქაიზმები „სტილური კომპონენტის როლს ასრულებენ“, ძველ და ახალ ფორმებს დ. გურამიშვილი სინონიმურ ფორმებად მიიჩნევს, ისინი ერთმანეთის პარალელურად იხმარებიან და არჩევანი, ავტორის სიტყვით, მეტწილად ვერსიფიკატორული მოთხოვნალებებით არის შეპირობებული.

განსაკუთრებით საყურადღებოა შ. ძიძიგურას მისაზრებანი „დავითიანის“ აკადემიური გამოცემის ტექსტის შესახებ. ავტორი დამაკვირვებლად ამტკიცებს, რომ აკადემიური გამოცემის ზოგიერთი ადგილი შოთხოვს შესწორებას ან დაზუსტებას და იძლევა სათანადო სწორი ფორმების დასაბუთებას.

ი. გოგეაშვილმა თავისი მოღვაწეობითა და განსაკუთრებით განთქმული სახელმძღვანელოებით დიდი როლი შეასრულა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საქმეში. ამიტომ, ცხადია, მისი დამსაზრებნის ჩვენება და შეხედულებათა ანალიზი სპატიოს საქმეა. ნაშრომში ი. გოგეაშვილი დახასიათებულია, ერთი მხრივ, როგორც ახალი სალიტერატურო ენის თეორიული დასაბუთების, ენის სიწმინდისათვის ბრძოლის, ახალი სალიტერატურო ნორმების დადგენისა და დრომოქმული ენობრივი ფორმების უყვადებისათვის ბრძოლის მშურტავი მონაწილე, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ახალი სალიტერატურო ენის შექმნისა და დამკვიდრებისათვის პრაქტიკულად მებრძოლი თავისი განთქმული სახელმძღვანელოებისა და ნაწარმოებების საშუალებით.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ვაჟა-ფშაველას ენის საკითხებია განხილული. ცნობილია, რომ ვაჟას ენის შესახებ მრავალ მკვლევარს თუ კრიტიკოსს გამოუთქვამს თავისი აზრი. შ. ძიძიგურის წიგნში თავმოყრილია ეს შეხედულებანი და ამ გზით ნაჩვენებია არათა ის სხვადასხვაობა, რასაც ადგილი ჰქონდა ვაჟას ენის შესახებ. ვაიანლიზებულია აგრეთვე ვაჟას შეხედულებანი ენის შესახებ და მოცემულია მათი სათანადო კვალიფიკაცია.

ავტორი ფშაური ხალხური მეტყველების ნიმუშების ვაჟას ნაწარმოებების ენასთან შებირისპირებით ნათელიყოფს, რომ „ლიაქმეტური მოვლენები ჩვენი შვერლის ენაში არ არის იმ მსშტაბით და მოცულობით წარმოდგენილი, როგორც ეს ნაველისხმევა ტრადიციულ შეხედულებაში. მზარტი ფორმულირება — ვაჟა თავის ლექსებსა და პოემებს ფშაურ ტრადიქტზე წერდა“, რომელიც დიდი ხანი ღიადებდა ჩვენი, საფუძველს მოკლებულია და წარმოადგენს ამ ნახევარი საუკუნის წინათ გამოთქმული ზოგადი მოსაზრებების ინერციას“ (გვ. 132). ნაშრომში დახასიათებულია ვაჟას დამოკიდებულება ფშაურთან და სალიტერატურო ენასთან,

ნაჩვენებია, თუ რა შემთხვევაში გვეხვება ლიტერატურული ან ფშაური ფორმები და ახსნილია მათი მიზეზები გარკვეული გუნდისა და პერსონაჟთა მეტყველების ურთიერთობებში. თუბა ვაჟას შემოქმედებაში.

შ. ძიძიგურა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში დადასტურებულ დიალექტურ მოვლენებს არ ჯვეფად უოფს: ა) ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი გრამატიკული მოვლენები, რომლებიც მხოლოდ მთის კოლოებში, კერძოდ ფშაურში, შეზგვერჩა; ბ) ისეთი მოვლენები, რომლებიც ამა თუ იმ დიალექტშია აღმოცენებული. ამ თვალსაზრისით დახასიათებულია ვაჟას შემოქმედების ენა და საინტერესო მასალის საფუძველზე გაკეთებულია საყურადღებო დასკვნები.

შ. ძიძიგური იძლევა აგრეთვე ალ. ყაზბეგის ენის ზოგიერთი თავისებურების დახასიათებას, არკვევს შვერლის ენის სტილისა და წერის შანერის სახათას, ა. ყაზბეგის დამოკიდებულებას მის დღეაკოლოსთან (მოხუცი დიალექტთან) და სალიტერატურო ენასთან, ამასთანავე ერთად, ნაშრომში მოცემულია ა. ყაზბეგის ნაწარმოებთა გამოკვებებში ტრადიციით დადგენილი ვაჟაგებარი სიტყვების საგარდადო სწორი ფორმები ავტორის შენიშვნა ყველგან საფუძვლიანია და იმასბუთება დამაკვირვებელი.

ნაშრომს, როგორც დამატება, დართული აქვს ნარკვევი ქართული საშვერლო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან, განხილულია არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, ი. ჭავჭავაძისა და სხვა შეხედულებები და ნაჩვენებია მათი დიდი ღვაწლი ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის საქმეში.

წიგნი იწვევს ზოგიერთ შენიშვნას.

ფიქტობათ, უმკობესი იქნებოდა ზოგიერთი დებულება უფრო შემაგრებული ყოფილიყო ქართული ლიტერატურიდან აღებული საილუსტრაციო მასალის. ასეთ შემთხვევაში შვაკლობა უფრო რეალეთური, უფრო დაკონკრეტებული იქნებოდა, ხოლო წამოყენებული სწორი დებულება მკითხველზე შემოქმედების ძალას მოიპოვებდა, მაგალითისათვის ავილოთ ნეოლოგიზმების საკითხი: ნაშრომი მოიკვებდა, თუ ნაჩვენები იქნებოდა, ერთი მხრივ, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში სწორად შექმნილი ნეოლოგიზმები, მაგ. „კვდელბატული“ (ფრესკის მნიშვნელობით), ხოლო, მეორე მხრივ, ამის საპირისპიროდ ისეთი ახლადშექმნილი სიტყვები, რომლებიც ქართული ენის ბუნებას არ შეეფერებიან, ირასწორად არიან წარმოებული, ან არ არსებობს მათი შექმნის საკაროება, მაგ. შრიაშული, დამალუფილი ზღაპრის ვადასახვა და ა. შ. თანამედროვე ქართულ შვერლობაში შეიძლება უხვად დაიძენოს აგრეთვე გამოთქმათა უხვირო ხმარების ნიმუშები, მაგ. მოგებრქეში სახე, სიტყვა გაიკბოდა (უნდა

იყოს — ხმა გაიჟიდა), ურთაშენად იქცა და სხვა.

ზედმეტად კატეგორიულია ნაშრომში წამოყენებული დებულება: „არც ერთ ენას არ აქვს იმდენი შესაძლებლობა არქაიზმების უმეტაგნეულო და თავისუფალი გამოყენებისა, როგორც ქართულ ენას, როცა ეს სტატუსი აუცილებლობით არის ნაკარნახევი“ (გვ. 21). მართალია, ქართულს აქვს არქაიზმების გამოყენების კარგი შესაძლებლობანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს სხვა რომელიმე ენას არ ჰქონდეს ამგვარივე შესაძლებლობა. ამ დებულების წამო-

ყენებით ავტორი არ იხენს სათანადო საფუძვლებს და არ მოპყავს შესაძლებელ მასალას სხვა ენებიდან.

საერთოდ, შ. ძიძიგურის ნაშრომი მწვერალთა ენის კვალიფიციური შესწავლის კარგი ნიმუშია. აქტუალური საკითხების საფუძვლიანი და არაგინალური გაშუქება, ლაონიური და ნათელი ენა საინტერესო და სასარგებლო წიგნად აქცევს მის ყველა დაინტერესებული მკითხველისათვის.

ა.ლ. ონიანი.

უკანსუნი სხვაგვლოდ შედგენილი ლექსიკონი



სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რუსული ენის კათედრამ ამ მოკლე ხნის წინათ გამოცხა „რუსულ-ქართული სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონი“.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სარქვენი წიგნის ავტორები დაეპყებულან საკუთარ ძალდონში, ამიტომაც თვითონვე ხაზი ვადაუსვეს თავიანთ „შემოქმედებას“ შემდეგი გულუბრყვილო განცხადებით, რომელიც მოთავსებულია ლექსიკონის პარაწინა წინასიტყვაობაში: «Составители избегали вносить в него (в словарь) сельскохозяйственные термины (термины) сельского хозяйства». а. н. Разработка и установление содержания (?) сельскохозяйственных терминов — это дело специалистов. Научный термин должен иметь одно четко очерченное значение. Раскрыть это значение — дело сложное и трудное».

აღბათ ბოდიშისა და კორექტივის სახით წინასიტყვაობა შემდეგნაირად დამთავრეს: «Некоторые сельскохозяйственные термины все же пришлось внести в словарь, но это такие, которые общеприятны и не могут вызвать споров и возражений».

ამის საპასუხოდ წინასწარ უნდა განვაცხადოთ, რომ ხშირ შემთხვევაში შემდეგნაირი საკუთარ ავტორიტეტს ეყრდნობიან. საპიროდ არ თვლიან არსებულ ლექსიკონებს ან სპეციალისტებს მიმართონ, ხოლო თუ რაიმე წყაროს დაიხმარებენ, იქიდან ამოღებული მასალა დამახინჯებულად შეაქვთ თავიანთ ლექსიკონში.

გავეცნოთ ლექსიკონს.

Русско-грузинский сельскохозяйственный словарь под редакцией проф. Н. Хомизурашвили и доц. Г. Рихлидзе. Госиздат Груз. ССР 1957 г.

1. რუსული ცნებებისა და ტერმინების მართლწერა ეს სიტყვიერი მასალა ადვილად გვიღო და მახინჯებულადაა შეტანილი ლექსიკონში, რომელიც გაბიზნულია სამაგიდო წიგნად მოსწავლე ახალგაზრდობისათვის და, მაშასადამე, ამ უკანასკნელს დამახინჯებულსავე ცნობებს ჩაუნერგავს.

მოგვეყავს რამდენიმე მაგალითი: 1. заморожка, მაშინ როდესაც უნდა ყოფილიყო заморожен, ნათეს.—ков (იხმარება მარტოოდენ მრავლობით რიცხვში); 2. არც ერთი ლექსიკონში არ შევხვდებით სიტყვას насморк, მართებულა насморк; 3) эндосперм (მცენარეთა განსაკუთრებული ქსოვილი). ამის ნაცვლად დამახინჯებით სწერია эндосперма; როგორც ცნობილია, сперма საზოთირო სიტყვაა, ერთგვარი სიხის აღმნიშვნელი. 4) მცდარია аврамово дерево, უნდა ყოფილიყო авраамово дерево; ასევე შესაბამისად: 5) майс — маис; 6) будян — будяк (ანუ უფრო ზუსტად бодяк იხ. საბუთადილი ენციკლოპ.); 7) мхообразные — мохообразные, 8) плодородность почвы ნიადაგის ნაყოფიერება, რაც არ არის სწორი და იხ რატომ; უწყოკის განმარტებით, плодородность არსებითი საბელია, ნაწარმოები ზედსართავისაგან плодородный, რაც ნიშნავს „производительный плоды (о растениях)», ხოლო ნიადაგის ნაყოფიერება რუსულად იქნება плодородие почвы, რაც მართებულად შეტანილია სარქვენი ლექსიკონში. შემდეგ, თუ ამ უკანასკნელის მიხედვით, плодородный ნიშნავს მსხვილიარეს, плодородность რატომ იქნება ნაყოფიერება, ნაყოფიანობა, მოსავლიანობა და იქვე ცალკე ბუდეში აღნიშნული плодородность — ნიადაგის ნაყოფიერება? დასასრულ, მსხვილიარობა იქნება плодородность, რაც плодородности-ს ქვეშ

სწერია ლექსიკონში, ოღონდ მახვილის უღალგო-
ალგას დასმით (плодоношение), 9) Опылить-
ся — დაიმტვერება. ეს რუსული ტერმინი წარ-
მოადგენს ზმნის ინფინიტის ფორმას, რო-
მელსაც, როგორც ცნობილია, არა აქვს პირიანი
ფორმები, ქართულ შესატყვისში კი მოცემულია
პირიანი ფორმა „დაიმტვერება“, მაშინ როდეს-
აც უნდა ყოფილიყო „დაიმტვერვა“. 10) ასევე
დასაწუნია ბარკა-თოხნის აღსანიშნავად ლექსი-
კონში შეტანილი покопать, მისი განსაკუთრე-
ბული ნიუანსის გამო: იგი ნიშნავს ერთ ხანს
ბარკას (Провести некоторое время в ка-
пани). სჯობდა копать ან მისი ნაზმნარი სახელი
копание. 11) подворотная. ასეთი სიტყვა არ
არსებობს. არის подворотня 12. номерок —
ნომრის ნიშანი (?).

11. არასწორი მახვილები. ამ ნაწილს შეიძ-
როთ კავშირი აქვს წინა ნაწილთან. ლექსი-
კონში სიტყვები გამოყენებულია მცდარი მახ-
ვილებით და, მაშასადამე, აქაც დამახინჯე-
ბულადვე აითვისებს სტრუქტურა მიწვილ
ტერმინებსა და სიტყვებს, როგორცაა, მაგალი-
თად: 1) страдā, მაშინ როდესაც უნდა ყოფი-
ლიყო страдā; 2) шир — კი არ უნდა ყოფი-
ლიყო, არამედ шир; ასევე შესაბამისად: 3) бн-
чарный — бочарный; 4) повязать — повя-
зāt; 5) невестā — невеста; 6) метелка —
метёлка; 7) ясколка — яскёлка; 8) опуше-
ние листикбв — опушение листиков; 9) мя-
тā — мята; мятā луговая — мята луговая;
10) опёнок настоящий — опёнок настоя-
ший; опёнок уховидный — опёнок ухо-
видный; 11) разрастание нарбтов — разра-
стание нарбтов; 12) отстукāt — отстукāt.

III არასწორი ქართული შესატყვისები.
სასოფლო-სამეურნეო ერთი რომ ეთქვას,
სარეცენზო ლექსიკონი უხვადაა მოყვნილი ამ
სახის სარეცელებით. მათ ჰქვანს დიდი დრო
არ დასჭირდება. აი, რამდენიმე მაგალითი მათი
როცხედანი: 1) урюк — ხმელი ქვარამი. ჭვარამზე
ხმელს არ იტყვიან. საამისოდ ქართულში ვაჭქვს
კარგი ტერმინი „ჩირი“ (ვაშლის, ატმის, მსხლის,
ლღვისა და სხვ. ჩირი), ხოლო კერძოდ გამ-
ზმარ ნაყოფს ეწოდება „კერკი“ (შენდის კერკი,
აღულის კერკი). ამასთანავე, „ხმელ“ ხილად,
ივლისსებზე ნაქვემდებარე ხილი: ფსკა ანუ ბუს-
ტლი, თხილი და სხვ. რომელთა საერთო სახე-
ლია „ხელი“, ხელხან-საბა ორბელიანის მახედ-
ვით. 2) болезнетворный — ავადმყოფობის გა-
მომწვევი. ეს ქართულ შესატყვისად მოყვანილი
„ავადმყოფობის გამომწვევი“ ფრაზეოლოგიური
ერთეულია და არა ტერმინი, რომელიც ერთი
სიტყვისაგან უნდა სტრუქტურულად და რომელიც
ამ შემთხვევაში ადვილად გასაკეთებელია: თუ
ავადმყოფობის ანუ ავადობის გამომწვევია, მა-
შასადამე, „დამავადებელი“. ასევე ადვილად
შეიძლება გაკეთდეს, ვთქვათ, ქართული შესა-
ტყვისი ტერმინისა: гноеродный, რომელიც სა-

რეცენზო ლექსიკონში არ არის შეტანილი.
მისი ეკვივალენტი იქნება არა „ჩირქის გამომ-
წვევი“ და არც მხელად გამოსატყვისი „ჩირქ-
მადი“, არამედ „ჩირქებელი“ ანუ „ჩირქობის-
ცოფი, წყლის შიში. პირველი ქართული შესა-
ტყვისი სწორია, მეორე წარმოადგენს სიტყვა-
სიტყვისთა თარგმანს. მართებულია „გაყოფდა“,
„ყოფი შეეფრა“ და არა „წყლის შიში დამარ-
თა“. მოგვყავს ლიტერატურული დამოწმება:
„ვერს ვერ ვაგვო, თუ რა იყო ბატკნის გაგიყე-
ბის მიზეზი... (ზოგი ამბობდა) გაყოფდა, მოე-
ყავათო (თ. რაზიკაშვილი) 4) будяк (бодяк)
იქ „შეია“ არის და არც „ფხა“. პირველის შე-
სატყვისი რუსულად არის канатик, მეორე-
სა—ость. 5. грубое сукно — მსხვილი მუღი.
ამისთანა შემთხვევაში მუღსა და სხვა ქსოვი-
ლების შესახებ იხმარება სიტყვა „ხამი“. 6.
шышка—ზღმარტი. ამ რამდენიმე მნიშვნელო-
ბის მქონე რუსულ სიტყვის სიტყვის მეორე-
ნეობის დარგში აქვს მხოლოდ ერთი მნიშვნე-
ლობა—გარჩი (წიწვოვანი ხეების თავთავისებუ-
რი ყვავილდის), ხოლო ზღმარტის რუსულად
ჭეკია мушмула, 7. пасты — ა). ძოვება; ბ).
მომარაგება, გადაანება; გ). (გადატ.) დაცვა, შე-
ნახვა, მოთრთობლება. პირველი შესატყვისისი —
ძოვება მართებულია. მის შეიძლება დემიკტოს
მისი სინონიმი შეეკმევა. რაც შეეხება ხუთ-
ვე დანარჩენ შესატყვისს, ვთვებარია — რო-
დის, რა კონტექსტში შეიძლება გამოყენებულ
იქნეს მათ შორის თუნდაც ერთი დასახლე-
ბული რუსული ზმნა. არსებული ლექსიკო-
ნების მხედვით მას ხომ მხოლოდ ერთი მნიშვნე-
ლობა აქვს — «Присматривать за кем-чем-
н. (за скотом птицей) во время выгона
на подножный корм. П. к оро в. П. с т а.
д о. 8. растения зараженные — დაავადებული
მცენარეები ამ შემთხვევაში შეიძლება ხმარობს
ტერმინებს დასენიანებული, სენნიფიკებული (კონ-
ტაგეზური, ვადამდეგი ავადმყოფობით დაავადე-
ბული). 9. Лукайка — მცირე მინდორი.
მინდორი კი არა, აქ უნდა ყოფილიყო ეე-
ლობი. 10. Углекислота — ნახშირყვანი. ამ.
ეამად მიღებულია და იხმარება ნახშირორ-
ყვანი ან ნახშირმევა გაზი (ან ნახშირმევა აირი).
11. Ранние овощи—ნადრევი ბოსტნეული, ნა-
დრევეს იტყვიან იმაზე, რაც წესიერ ვადაზე ად-
რე ხდება, მაგალითად: ნადრევი ვაზიტხული,
ნადრევი ზამთარი და სხვ., ხოლო ბოსტნეულ-
ზე, ხილზე და სხვათა შესახებ, რაც თავისი ბუ-
ნების მიხედვით ადრე შემოდის (შეიფდება), ამ-
ბობენ ადრეული (მაგალ., ადრეული ვაშლი,
მსხალი) 12. Василек (ხოლი)—ხელიკის ერთ-
ნეობა ჯიში. ეს განმარტება და არა შესატყვისი.
ქართულადაც იქნება ბასილესკო ან ვასილესკო
(იხ. საბას ლექსი). 13. дубильная кислота
მორილაგი სიმევე. რატომ სიმევე და არა მე-
ვა? მევა ხომ არის кислота, რაც მართებულია
და შეტანილი ლექსიკონში.

IV. ცნებათა აღრვა. სარეცენზო წიგნის ზერელე გადამინჯვისაც კი მკითხველს ადვილად ეცემა თვალში ტერმინებისა და სიტყვების მნიშვნელობის აღრვა. მოგვყავს რამდენიმე ნიმუში: 1. Лопата მხოლოდ ნიშნავს ნიშნავს და არა პარასი. ამ უკანასკნელის რუსული დასახელებია заступ, რომელიც ლექსიკონში უნდა ყოფილიყო შეტანილი. 2. ასევე навоз მხოლოდ გადახაბადია, ხოლო მის გვერდში დასმული ხარკის რუსული შესატყვისია дань (იხ. ეკონომიკის ტერმინოლოგია). 3. Баран—ვერძი, ყონი, ვრკემალი, სამივე შესატყვისი სწორადაა მოყვანილი, მაგრამ მოყვანილია აგრეთვე მეორე დასახელებაც: овен—ვერძი, შიშავი. ეს სიტყვა იხმარება უმთავრესად ასტრონომიაში: ნიშნავს ზოდიაქოს ერთ-ერთ თანავარსკვლავედს და მარტოს თვის ემბლემა. ამასთანავე, იგუვია, რაც баран. ოღონდ ძველებურ რუსულ დასახელებას წარმოადგენს. თუ, მაშასადამე, სინონიმია, რატომ მის შესატყვისად მარტო ვერძია მოყვანილი და გამოტოვებულია ყონი და ვრკემალი. გარდა ამისა, რაც მთავარია, შიშავი აქ უადგილოა, ვინაიდან იგი დედრობითი სქესის საქონელია, მაშინ როდესაც ვერძი მამრობითია; მეორეც, შიშავი ასაკობრივადაც, როგორც მოზარდი, დამორბეულია ზრდადამთავრებულ ვერძს. ეს ასევე უმართებლო იქნებოდა, რომ სინონიმებად გამოვეყენებინა დეკლუვი და ძროხა. 4. Шерсть—შატალი. ეს რუსული ტერმინი თანაბრად იხმარება ცხვრების, თხებისა და აქლემების მიმართ, ხოლო ქართულში შატალი და მასთან ერთად საქონისა და კანის იხმარება მარტოდენ ცხვრის მიმართ, თბის მიმართ კი—თხისური, აქლემის მიმართ—სტევი. 5. разрастаться მცენარეების ძლიერ ვარზად. ეს განმარტებაა და არა ტერმინი. შესატყვისად აქვთებდა ვაბარდვი. 6. пар—ანეული, ნასყენი: აქ მხოლოდ ანეულია თავის ადგილას, ხოლო ნასყენის ეკვივალენტია залежь 7. ლექსიკონში რუსული ზნუნების სრული და უსრული ასაქტებელი ერთიანობა ირეული და ანასწორადაა ქართულად გადმოცემული. ასე მაგალითად: а) размесить,—ბუნება ზელვა. ბუნება კი სწორადაა მოცემული, მაგრამ ზელვა იქნება месить. б) размахивать—გაქანება, ქნევა. ქნევა სადავო არ არის ხოლო გაქანება რუსულად იქნება размахать в). Сгружать გადმოტვირთვა, დატლა. აქ ორივეს შესატყვისი იქნება сгрузить—ანასწორია აგრეთვე, პრევერბების მიერ რუსულ ზნუნათვის მოცემული ნიუანსები; მაგალითად: вытаскивать იქნება მხოლოდ გათრევა, გაიჩნება, მაგრამ ვადათრევა რუსულად უკვე იქნება перетаскивать. V. შეუსაბამობა და კურობა. იცოდა ან ნაკლები ნიუანსივანა თავისიველი ლექსიკონი. ახ ორივე მაგალითი: 1. Оринтология—ორნითოლოგია (უნდა ყოფილიყო „ორნითოლოგია“). ზოოლოგიის დარგია, რომელიც შეისწავლის მეფრინველობას (ნახი ზენია). მეფრინველობას კი

არ სწავლობს იგი, არამედ თვით ფრინველს. სახელდობრ მის მორფოლოგიას, ცოლოგიას, ფიზიოლოგიას, სისტემატიკას, ბიოგეოგრაფიას. 2. МЫТ—უღაბათიაო, მაშინ როდესაც მას აზიფერი საფეთი არა აქვს ამ უკანასკნელთან, რომლის სახელწოდებაც რუსულად არის понос, ხოლო мыт (ცხენების პირის ღრუს ინფექციური დაავადება) იქნება ქართულად ჩამომრები, ან უფრო მართებულად — შალაო (იხ. საბას ლექსი). იმავე სიტყვას ლექსიკონში რატომღაც მეორე მნიშვნელობაც მიეცეთენა "გაქუცვა-თბის ცივიან" (შინაური ცხოველისა), მაშინ როდესაც, საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის თანახმად, აღნიშნულ სიტყვას მხოლოდ ერთი (პირველი) მნიშვნელობა აქვს. 3. Листоногие ლექსიკონში ბოტანიკურ ცნებად მიიხანა (ფლორეფიტიანი), მაშინ როდესაც საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის თანახმად, ეს ლაფურფიტიანი კამბოხები ცხოველებია. 4. Каблук (ბოსტ) ყმაყუ, ვაგრულა (კორმტბრული შეედომია, უნდა ყოფილიყო ვაგრულა). მომღვეო ცალკე სტრატეგიაში ვითხოვლობთ каблук (ბოსტ)—ვაგრულა. გამოდის, რომ ამ მცენარეს, თუ მრავლობით რიცხვშია იგი, ორი მნიშვნელობა აქვს. მხოლოდითში—ერთი. სინამდვილეში კი აქ ვაგრულა სრულად უადგილოა. 5. Окисел—ყანაგული. ქვეით ცალკე სტრატეგიაში შეტანილია окисел—ყანგი. საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის მიხედვით, აღნიშნული ორი რუსული სიტყვა იდენტურია. 6. Гранит—გრანიტა, ხავსი. სოციარია, როგორ მოხედა აქ ხავსი (мох), რომელსაც გრანიტთან არაფერი საერთო არა აქვს. 7. рекордистка—რეკორდისტკა, რეკორდისტკა ქალი. ყარგი მოჭართულე „რეკორდისტკას“ არ იტყვის, ისევე როგორც, ეთქვით, არტისტკას, პიანისტკას, სტუდენტკას და სხვ. 8. Гидра. რა საჭირო იყო ეს ასტრონომიური და ზოოლოგიური ტერმინი, რომელიც ქართულადაც ასევე ოღონდ ლათინური დამწერლობით — „ჰიდრა“? მის შესატყვისად ლექსიკონში შეტანილია გველეშაბი, მაშინ როდესაც უნდა ყოფილიყო ზერძული წარმოშობის „დრაკონი (იხ. ქართ. განმარტებითი ლექსიკონი). 9. სიტყვა იცნას და მისი მრავლობითი რიცხვის იცნას მავალის მხრივ ოთხ ადგილას დამახინჯებოთა შეტანილი.

VI. ზედმეტი სიტყვები. ლექსიკონის შემოკლებათა განმარტებაში შესული ისეთი დარგების ტერმინები, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ სოფლის მეურნეობასთან, როგორცია, არქეოლოგია, ასტრონომია, ისტორია, მითოლოგია, მუსიკა, პოლიგრაფია, სამხედრო საქმე, საზღვაო საქმე. აქვეა ფიგურალური გამოთქმები და გადატანითი მნიშვნელობის სიტყვები. გარდა ამისა, ლექსიკონი იმანის თითოეულ ასოზე შეიცავს ზოგად-ლიტერატურულ ლექსიკონთან ისეთ სიტყვებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის დისციპლინებისათვის არ არას სპეციფიკურია. ასე, მაგალითად: 1. ა-ზე (арап—განმარტებულია ასე: შაქეანიანი ზანგი (თეთრკანიანი ზან.

გი არ არის, ისევე როგორც თეთრი ყორანის), алмаз, археолог, археология, аул და სხვა.; 2. ბ-ზე баранья голова (ფიგ.)—უტენო, ბატისტინა (ცხვრის თავის სადღაა?) баржа, банлар, барказ, бархат და სხვა.; 3. გ-ზე—гавань, гарантийный вексель, галерея, галерея минная, галерея художественная და სხვ.

ასეთი სიტყვების სიჭარბე უმრავლეს შემთხვევაში აღიიციება არა ერთეულებით, არამედ ათეულებით. ასე, მაგალითად: ასო ფ-ზე გვევლება ფაი, ფაიდშინი, филъдекос, филъдеперс, და სხვ. სულ ცოტა 40 სართო რიცხვის 137 რაოდენობიდან. ამრიგად, ასეთი სიტყვების ლექსიკონში დიდი ხვედრითი წონა აქვთ, სპეციალური ტერმინები კი მიეწყებულა. სადა არის уборка урожая, скармливание скоту, подножный корм, пригульный скот, кормные травы, вспашка зяблевая, вымочка, поедаемость და მრავალი სხვა.

VII. კორექტურული შეცდომები. წიგნის ბოლოს ერთგვარდინაში სიამ, ვერ ამოურა ლექსიკონში როგორც ქართული, ისე რუსული კორექტურული შეცდომები, უხედავად გაბნეული ლექსიკონში.

დასასრულ აღენიშნათ, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები აღბათ ბევრ სხვა ნაკლს აღმოაჩენენ ამ ლექსიკონში, რომელსაც, სამწუხაროდ, არ ეტყობა რედაქტორების მახვილი თვალი.

„საბჭოთა აგრონომის“ ა. წ. 30 მარტის მე-8 ნომერში (სას.სამ. ინსტიტუტის რედაქციის) დაბეჭდილია დოც. ა. ნარჩინაშვილის რეცენზიის სათაურით „საქირო წიგნი“, სადაც იგი მაღალ შეფასების აძლევს ზემოაღნიშნულ ლექსიკონს. სხვათა შორის ავტორი წერს შემდეგს: „როცა ლექსიკონში მოყვანილ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, საჭიროა ფრაზეოლოგიის იმდენსავე ნაწილად დაიყოს. მაგ., „პარ“ შეიძლება იყოს „ორთქლი“ ან „ანეული“. ასევე ორ სიტყვად უნდა იყოს მოცემული სიტყვა „ლექ“ — „ხახვი“ ან „შება“...

რეცენზენტს თავი რომ შეეწუხებინა და ლექსიკონში ჩაეხედა, იქ ნახავდა ომონიმური „პარის“ ორივე მნიშვნელობას. რაც შეეხება „ლექს“. მისი მეორე მნიშვნელობა „შება“ კი არ არის, რომლის რუსული შესატყვისია „копье“, არამედ „შვილი“.

რეცენზიის დასკვნითს ნაწილში კეთილბედით: „რუსულ-ქართული სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონის გამოცემა საუბუნიანო მოვლენაა, მან გადაუკარბებლად შეიძლება ვეწოდოთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების „სამაგიდო წიგნი“.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მიუდგომელი მკითხველი ამ აზრს ვერ გაიზიარებს.

აღ. ნიშიანი

მაქსიმ გორკი საქართველოში



სარეცენზიო წიგნში ავტორის აღებული აქვს რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის მხოლოდ ერთი შეტად მნიშვნელოვანი უბანი. ეს არის საბჭოთა კავშირის და მთელი კავშირობის მშრომელთა საყვარელი მწერლის, საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის, მაქსიმ გორკის საქართველოში ყოფნის, ქართველ ხალხთან მისი დამოკიდებულების და მის შემოქმედებაში საქართველოს თემის განხილვა. ავტორი ვრცლად და ისტორიული დოკუმენტების ფართოდ გამოყენებით ახეივრებს საქართველოში მისი ყოველი ჩამოსვლის ფაქტს, ქართველ მეგობარ-პაციენსებლების ურთიერთობას მისადმი და მწერლისაგან მოვლი რაგი ნაშრომებების შექმნას ქართული ცხოვრების მასალაზე. საქართველოს მდიდარი მემკვიდრეობელი ბუნების

გაღენა მის შემოქმედებაზე, პირველი ნათლობა მწერლობაში და მწერლის ზრუნვა და ბრძოლა ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის სარეცენზიო ნარკვევში საქმაო სისრულით და დამაჯერებლობით არის აღწერილი.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, რომ პირველად ამ 50 წლის წინათ და უფრო ადრე ქართველმა ავტორებმა (მ. ჩიტაძე, კანდელაკი და სხვები) მისცეს გორკის შემოქმედებას სწორი შეფასება და სამართლიანად აღნიშნეს თავიდანვე მისი რევოლუციური რომანტიზმი. ავტორი წერს, რომ „ეს, რაც ზოგიერთებისათვის ეხლაც შეიძლება სიღალე და საძიებელი იყოს, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ 50 წლის წინად. უკვე მაშინ ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა მაქსიმ გორკის შემოქმედებას მიიჩნევდა ახალი ლიტერატურული მიზნობულების, დღევანდელი ტერმინით სოციალისტური რეალიზმის დამწყებად“.

გრაიოლ კაკაშვილი. რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. მაქსიმ გორკი საქართველოში. ხაქ. მეც. აკად. გამომცემლობა. 1957.

სარეცენზიო წიგნში საკმაო სისრულით მოცემულია მაქსიმ გორკისა და ნიკოლოზ კანდელაკის მიმოწერის ამბები 1913 წ. ეს მიმოწერა ეხებოდა ქართული ლიტერატურის თარგმანების რედაქციას და გამოცემას. მაშინ სორენტოში (იტალია) მცხოვრები გორკი სიამოვნებით დათანხმებულია ბაქოს ქართულთა ჯგუფის წინადადების და თავისთავზე აუღია რედაქტორობა. მ. გორკის წერილი კანდელაკისადმი აშკარად ჩანს, თუ რა გულმოდგინედ მოეცია იგი ამ საქმეს და როგორ ზრუნავდა რედაქციის ბატონობის პერტიდში მამინდელი რუსეთის იმპერიაში შემაჯავლი დაიხარულ ერთა ლიტერატურის განვითარებისათვის. გორკი წერდა: „ამ საკითხი საქმის განხორციელებაში (იგულისხმება ქართული ლიტერატურის თარგმანების გამოცემა), მე არასდროს არ ვგულისხმობ ამათუიმ ერის, ან ტომის კულტურის ჰეგემონიას, ან მის გაბატონებას სხვა ერის ან ტომის კულტურაზე. მე მხოდერთობაში მაქვს ჩვენს იმპერიაში შემავალ ერთა შორის აუტოკლემული მწიდრო კავშირი და თანამეგობრობა. ვრებს შორის სულიერია კავშირი დამყარებულ უნდა იქნას აუცილებლად ურთიერთ გაგებაზე, გათავისუფინებულ უნდა იქნას მათი ისტორიული წარსული“... გორკი თხოვდა თავის ქართულ მეგობრებს გამოუგზავნონ მას ნარკვევი ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან და ენობებს საქართველოს თანამედროვე მდგომარეობისა და მის მოთხოვნილება-საქორიების შესახებ. მას ეს წერილები უნდა დაებეჭდა მამინდელ პრაგრესულ ჟურნალ „სოცრემენიკში“.

დიდად საეურადღებოა სარეცენზიო წიგნში მოთავსებული გორკის წერილი ვ. ვერსაიევისადმი. გორკი 1912 წ. იტალიიდან სწერდა ვერსაიევის: „მე მინდა ვიცოდე, როგორ ეკიდებით შენ და შენი ამხანაგები სხვა ერებისა და ოლქების ლიტერატურული კრებულების გამოცემის საქმეს. ძალიან საჩქაროდ უნდა მოგაწესრიგოდ ციხიბრის, ბელორუსიისა და უკრაინის მწერლების ნაწარმოებთა კრებულები, ლატერი და უზანის თათრების შემოქმედების გამოცემა, აგრეთვე არ იქნება ძველი შევადგინოთ ქართული, სომხური, ბოლინური და ფინური კრებულები“.

სარეცენზიო წიგნის ავტორი მიმოხილავს აგრეთვე გორკის იმ ნაწარმოებებს, რომელთა და-

წერა მას საქართველოს სინამდვილემ შთააგონა. ასეთებდ ავტორს შიანჩია: „ჩემი თანამგზავრი“, „შიიტების დღესასწაული“, „პირველი სიყვარული“, „შეცდომა“ (გოლი ჩიტაის ტრაგიკული თევჯადსავალი), „ლევენი და დანკოს შესახებ“, „კამო“, „ქალიშვილი და სიყვარული“, (თუმცა მას საფუძვლად უდევს რემინულგალბერთი ლევენი, მაგრამ ავტორი ფიქრობს იგი გორკი ჯიოშვილის და ზებულერის დახვრეტის ამბების გამოხმარებათ), „ქალი“, „ხეობა“, „ორი მოხეტიალე“, „შურისძიება“, „განდევნილი“.

ავტორი უფრო ვრცლად და დაწერილებით ეტება გორკის უკანასკნელ მოგზაურობას საქართველოში 1928—29 წ. წ. და აღნიშნავს მის გულმხურველ დამოკიდებულებას ქართველი მწერლებისადმი.

ავტორს მიმოხილული აქვს საქართველოს იმ მწერალთა ნაწარმოებები რომლებსაც ატყვია მაქსიმ გორკის გავლენის კვალი. აქ ზოგიერთი მტკიცება შეიძლება სადაოდ მივიჩნიოთ, მაგალითად, შ. დადიანის „ნაპერწყალი“, ლ. ქაბაღის „ტარიელ გოლუას“ შესახებ.

ცალკე თავად არის მოცემული „მაქსიმ გორკი ქართულად“. ეს თავი ძალიან შეკვეცილად არის შედგენილი, მეტადრე რაც შეეხება საპუოთა გამოცემებს, არ არის აღნიშნული ზოგიერთი ნაწარმოების რამდენიმეჯერ გამოცემა.

ნაშრომს ბოლოს დართული აქვს ბიბლიოგრაფიული მონაცემები 1892—1956 წ. ჩათვლით. „ბიბლიოგრაფია მოიცავს ყველა იმ მასალას, რაშიც ამათუიმ კუთხით არის ასახული ა. მ. გორკის ურთიერთობა საქართველოსთან“. როგორც ავტორი შენიშნავს, ამ ბიბლიოგრაფიაში შევიდა გარდა მ. გორკის ნაწარმოებთა ქართული თარგმანების და მის შემოქმედების შესახებ საქართველოში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებისა და რეცენზიებისა, მწერლის მიერ საქართველოს შესახებ დაწერილი წერილები. ბიბლიოგრაფიაში აღწესებულია აგრეთვე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ყველა ცნობა მ. გორკისა და მისი შემოქმედების შესახებ. ეს ბიბლიოგრაფია დაეხმარება და გაუადვილებს მეცნიერებსა და მკვლევარებს მ. გორკის მდიდარი შემოქმედების შესწავლას.

გ. მუხაშვილი

მონოგრაფია ნოე ბუაჩიძეზე



ჩრდილოეთ ოსეთის წიგნის გამოცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა ი. ნ. ნიკონოვისა და ვ. ს. ვალდევის მონოგრაფია „ნოე ბუაჩიძე“. ნაშრომში, რომელიც შესავალისა და ექვსი თავისაგან შედგება, საარქივო და სხვადასხვა ლიტერატურული წყაროების ანალიზის

საფუძველზე, ფართოდ არის გაშუქებული გამოჩენილი — პროფესიონალი-რევოლუციონერ ლენინელის სამუდამი (ნოე) გრიგოლისძე ბუაჩიძის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობის გმირული ისტორია.

ს. გ. ბუაჩიძე დაიბადა 1882 წელს შორა-

პნის მარხის სოფელ ფარცხნაღში. 1897 წელს მან წარმატებით დამთავრა ხარაგაულის ორკლასიანი სასწავლებელი და შევიდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში. აქ გაეცნო იგი პირველად მემთა კლასის დუბუჩიერ ცხოვრებას და დუკაემირა მისწავლეთა არაღწვადურ წრეებს. სამუდამო პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბებამდე დიდი გავლენა მოახდინა მ. ცხაკაიამ, რომელიც ამ დროს პედაგოგიურ მემობასთან ერთად ქუთაისში აქტიურ რევოლუციურ საქმიანობასაც ეწეოდა. ავტორები 1905-1907 წ. წ. რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მიზნებისა და იმ სოციალ-დემოკრატიული წინამძღვრების განმარტების შემდეგ, რომლებმაც განაპირობეს საქართველოში სახალხო მოძრაობის მანამდე აჩანახელი აღმავლობა, მამხილებენ ვინთ აღწერენ სახელოვანი მებრძოლის მოღვაწეობას შეიარაღებული აჯანყების დღეებში.

დევემბრის შეიარაღებული აჯანყება რევოლუციის უმაღლესი წერტილი იყო. მისი დამარცხების შემდეგ ცარიზმმა სასტიკი რბრუნიები გაიწვია. საღრმისობელანე გაყვანა, გადასახლებები ჩვეულებრივ მოყვინად გადაიქცა. ასეთ პირობებში სამედიცინო მოხვდი პოლიციის სასტიკი შეთვალუტრობის ქვეშ. იგი დაუსწრებლად გასამართლა სამხედრო-საველე სასამართლომ და, როგორც მძიმე პოლიტიკურ დამნაშავეს, გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი; მაგრამ თვითმპყრობელობის აგენტებმა ვერ შეძლეს მისი შეპყრობა. 1906 წელს ბუაჩიძე ფარულად ვლადიკავკაში გადავიდა და აქ ახალი გაბადული ოპორაკია ჩაატარა. ეს იყო ადგილობრივი ბოლშევიკების ჩაერ ლეგალური სტამბა „კაზბეიის“ ხელში გადადება და იქ არაღვალური ლიტერატურის დაბეჭდვა. 12-15 კაციასვან შემდგარი რაზმი, რომელსაც ს. ბუაჩიძე ხელმძღვინელობდა, ფარულად შეიჭრა სტამბის შენობაში. მისი მფლობელი და შიგ მყოფი სხვა პირები დროებით შეიპყრეს და სასწრაფოდ შეუდგნენ საქირო მასალებს აწყობაბეჭდვას. შეიარაღებული მცველები, საერთო შეთვალუტრობის ვარდა, სტამბაში ყველა ახალ მისულსაც აკავებდნენ და აიძულებდნენ შიგ დარჩენილიყო. ამგვარად, მთელი ღამის განმავლობაში დაბეჭდვის და გაიტანვის რამდენიმე ასეული ეგზემპლარი პრაკლიმაცია, რევოლუციური მოწოდებები და სხვ. პოლიციამ ეს ამბავი მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა სტამბაში თავდამსხმელებისაგან აღიარავნ იყო.

1907—1911 წ. წ. ბუაჩიძე პატიმრობასა და ვადისახლებაში იმყოფებოდა. ამ პერიოდის შესახებ წიგნში მოტანალი დოკუმენტური მასალებიდან განსაკუთრებით ძვირფასია სპუეტლის პირადი წერილები. ამ წერილებიდან ცხადად ჩანს, რომ მისი ავტორი როგინად

ერკვეოდა მარქსიზმში, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლებზე. მისი ამქვე უნდა აღინიშნოს, *ტრუმ...საქმეებზე*. ტექსტში არ არის გამოყენებული ერთი, მეტიად მნაშენელოვანი წერილი, რომელიც მიუთითებს ბუაჩიძის ტყარისა ლიტერატურულ პირობონტრუც. არაიმი რომ გაიყო ცხოვრებაში, — წერდა იგი ამ წერილში, — ესთუოდ უნდა გაეცნო მთლიანად ეგარეთრობებულ კლასიკურ ლიტერატურას... რუსული მწერლებისაგან კარგად უნდა გაეცნო: ლომონოსოვს, პუშკინს, ლერმონტოვს, ტურგენევის, ვოკოს, დისტოვესკის, ბელინსკის, გობინოვ-ლოვს, გონჩაროვს, დობროლუბოვს, ჩერნიშევსკის, ნერასოვს, პისარევის, უსპენსკის, ნაღსონს, ჩეხოვს, ტოლსტოის, გორკის... უცხოეთიდან: შექსპირს, შილლერს. პოეგოს, ვოეთეს, იბსენს, პაუტემანს და სხვ.

ს. ბუაჩიძე ახლოს იცნობდა მსოფლიო ბროლუტარიატის ბელადს ე. ი. ლენინს. ამ ნაცნობობას, აღნიშნავენ ავტორები, გადამწყვეტო მნაშენელობა ჰქონდა სამედიცინათვის. ამერიდან სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე იგი ილიჩის უშუალო ხელმძღვინელობით მემობაბდა და პირნათლად ასრულებდა ყველა მის დაავალებას.

ნაშრომში ცენტრალური ადგილი უჭირავს ს. ბუაჩიძის მოღვაწეობის განხილვას ჩრდილოეთ კავკასიაში (1917—1918 წ. წ.). მკითხველისათვის ნათელი ხდება ის დიდი როლი, რომელიც თბამაში ნ. ბუაჩიძემ თერგის ოლქში სამქოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტოციებისათვის ბრძოლაში. კომუნისტური პარტიის გამოჩენილ მოღვაწესთან ს. მ. კობროვთან ერთად ნ. ბუაჩიძე ამ წლებში იყო ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლების ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულსამადგმელი. სწორედ ამის გამო აირჩია იგი 1918 წელს 4 თებერვალს თერგის სამქოთა რეპუბლიკის სახალხო კომისიართა საბჭოს თავმჯდომარედ.

ხალხისათვის საყვარელი პიროვნების ბრინეკას ასეთ საპსუხისმგებლო პოსტზე გაბორბიტებით შეხვდა კონტრრევოლუცია, რომელიც ნ. ბუაჩიძის სახით ხელავდა თავის მოსისხლე მტერს. შევარშელებმა გადაწყვიტეს მისი ევარშელებად მოკვლა და აბ 1918 წლის 20 აგნისს, როცა სამედიცინო სიტყვით გამოდიოდა წითელარმიელთა ნაწილების წინაშე, ჩასაფრებული თვარგვარდიელი ოფიცის მიერ გასროლილმა ტყვიამ საბოლოოდ გამოასილა სოცოცლეს ეს მგზნებატე აღმადანი.

სარეცენზიო ნაშრომი კარგად არის შესრულებული და მისი გამოცემა დადებით მოვლენად უნდა ჩაითვლოს. ნაყოვანება, რომელიც მის ახასიითებს, კერძოდ, კორექტურული შევლომებისა და საკუთარ სახელო დამახინჯების



კალკულო შემთხვევები (გვ. გვ. 7, 11, 18, 20, 35) არ ამცირებს წიგნის დიდ ღირსებასა და მნიშვნელობას, მით უმეტეს, რომ ასეთი წიგნი სამუელ ბუაჩიძის შესახებ რუსულ ენაზე პირველად გამოიცა და მან, პირველმა,

გახალა შესაძლებელი, ჩვენი რეპუბლიკის გართავ გაეცნო ფართო მკითხველს... ამ შესანიშნავი ქართული რანდის... რეპოლიტორი საქმიანობა.

რ. იმანიშვილი.

სტრაბონი ქართულად



სტრაბონი ძველი დროის დიდი გეოგრაფოსი და სატირიკოსია. მისი სახელით ცნობილია პირველი სატურენში შეთხზული ორი ნაშრომები: 1) ჩვენამდე ძუნწი ფრაგმენტებითა შემონახული საისტორიო თხზულება „ჰიპოპონემატა ჰისტორიკა“ (ისტორიული მოგონებები) და 2) სრულად მოღწეული, 17 წიგნის შემცველი, „გეოგრაფიკა“.

სტრაბონის „გეოგრაფიკა“ უძვირფასესი ძეგლია. იგი სივლითაა ჩვეულებრივი გეოგრაფიული ტრაქტატის ფარგლებს და მრავალ ისტორიულ ექსკურსს წარმოგივლიდა. წიგნში მოცემულია თითქმის მთელი, მაშინ ცნობილი, მსოფლიოს აღწერილობა; აღწერილია ევროპისა და აზიის ქვეყნები და აფრიკა. ბევრი ცნობა ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ ავტორის მიერ მოპოვებულია პირადად, მოგზაურობის დროს. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა კავკასიისა და კასპის ზღვის სანაპირო მხარეების სტრაბონისეული აღწერილობა. აქ მოთავსებულია მრავალი საინტერესო და დამაჯერებელი ცნობა საქართველოს, სომხეთის, ალბანიისა და ჩრდ. კავკასიის შესახებ. სხვა წყაროებთან ერთად სტრაბონის ამ ცნობებს საქართველოს ანტიკური პერიოდის ისტორიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მეტადრე მაშინ, როცა ამ ეპოქის ეროვნული წერალობითა ძეგლებმ ჯერბნობით არაა გამოვლინებული. სტრაბონის „გეოგრაფიკას“ საქართველოა ისტორიისათვის პირველხარისხიანი წყაროს როლს ინიჭებს შემდეგი ფაქტიც. სტრაბონამდელი ბერძენი მწერლები ცნობებს გვაძლევენ ჩვეულებრივ ქართველ ტომთა დასავლური გაერთიანების (კოლხეთის) შესახებ, ქართველ ტომთა აღმოსავლურ გაერთიანებზე (იბერიანზე) კი თითქმის არაფერს გვაწვდიან. იბერიის ყველაზე აღბინდელი და ერთადერთი დეტალური აღწერილობა სტრაბონის „გეოგრაფიკაშია“. ელინისტური ხანის იბერიის სამეფო კი დიდ ინტერესს წარმოადგენს არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ ელინიზმის ისტორიის თვალსაზრისით.

სარეცენიო წიგნი ორ განყოფილებას შეიცავს: შესავალსა და საერთოვ სტრაბონის „გეოგრაფიკის“ საქარო ბერძნულ ტექსტს პარალელური ქართული თარგმანით. შესავალი ნაწილი სამი თავისგან შედგება: 1) სტრაბონის

„გეოგრაფიის“ წყაროები, 2) ცნობები საქართველოს შესახებ და 3) სტრაბონის ტერმინოლოგია. პირველი თავში განხილულია ისეთი საყვანო სჯობანი, როგორცაა საკითხი სტრაბონის წყაროების შესახებ. თ. ყუბნიშვილის ყურადღები განსაკუთრებით გამაზვიანებულია „გეოგრაფიის“ მე-11 წიგნის მიმართ. ეს წიგნი შეიცავს ყველაზე უფრო საინტერესო ცნობებს ჩვენი ქვეყნის შესახებ და საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მე-11 წიგნის წყაროების კვლევის საკითხში დასავლეთ ევროპის მეცნიერთ ბევრი არაფერი გაეცემებოდა, რაც საქართველოს წარსულისადმი სრული გულგრალობით თუ ახსენებდა. თ. ყუბნიშვილს კი ა. ბოლტუნოვისთან ერთად, ამ მხრივ ზოგი რამ გამოურკვევია და დამაჯერებელ დასკვნებსაც გეთავაზობს. ასეთია მავალითად, დასკვნა იმის შესახებ, რომ მე-11 წიგნის ძირითადი ადგილებსათვის სტრაბონს თვითნებ მითილენელი და პოსიდონოსის გამოუყენებია.

საკითხთა საინტერესო რიგია დაყენებული და ზოგჯერ გადამწვეტილი შესავლის მეორე თავში, სადაც მიმოხილულია სტრაბონის ცნობები საქართველოს შესახებ. დღემდე საქართველოს ისტორიისებში ჩვეულებრივ მიმართადენ ხოლმე სტრაბონის „გეოგრაფიის“ მე-11 წიგნის შესამე თავის 9-ს, სხვა ადგილები კი (ხშირად მათი ხელმიწველობის გამო) უგულვებელყოფილი იყო. თ. ყუბნიშვილს გათვალისწინებული აქვს ყველა ცნობა სტრაბონისა საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ. აქვეა მოცემული ამ ცნობათა მეცნიერული ინტერპრეტაცია. განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მიჩნეულია სტრაბონის „გეოგრაფიკაში“ შემდეგი საკითხები: მსჯელობა არგონავტების მითის, როგორც რეალური სინამდვილის ამხსნელი თქმულების შესახებ, ხალიბების საკითხი, კავკასიის ხალხთა წარმოშობისა და მათი სცხოვრების საკითხი და აშბები რომის პოლიტიკისთან დაკავშირებით. ამ საკითხების კვლევის დროს წარმოდგენილია ბევრი, მეცნიერულად საინტერესო დავიერება („პულანგაციური არგონავტის“ ბანაკის გმირის აქილევსისა და არგონავტების წინამძღოლის, თესალიელი საზონის ნათესაობა, ლემნოსის საკითხი, საკუთარი სახელების „კიტროსისა“ და „კუტიას“ — „კუთისის“ ურ-

თერთობა, საკითხი „პოლს“ შესახებ და სხვ.) გაკვირვებას იწვევს ის, რომ ამ საკითხთა შორის თავისი ადგილი ვერ ჰპოვა იბერიის საზოგადოებრივი სტრუქტურის საკითხმა. და ეს მაშინ, როცა მომდევნო მსჯელობა შესავალში თითქმის ამ საკითხის გარშემო წარმოცხადდა.

ინტერესს იწვევს შესავლის შესახებ თავი — „სტრაბონის ტერმინოლოგია“. როგორც ცნობილია, სტრაბონის „გეოგრაფიის“ კვლევას მრავალი წლის ისტორია აქვს. ამ წიგნზე ბევრი შრომა დაწერილია; მაგრამ სტრაბონის ტერმინოლოგიის საკითხის მთლიანობაში დღემდე არავინ შეხებია. თ. ყაუხჩიშვილის მიერ ეს საკითხი ამჟამად მონოგრაფიულადაა დამუშავებული. ვანხილული და ინტერპრეტირებულია სტრაბონისეული შემდეგი ტერმინები: „გენოსი“, „ბასილევსი“, „ლაოსი“, „დულოსი“, „სინგენია“ და „ანქისტეია“. დამოწმებულია ამ ტერმინების ხმარებას ყველა შემთხვევა სტრაბონის „გეოგრაფიაში“ და დადგენილია მათი მნიშვნელობა. ჩვენი ისტორიის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოა „გენოსი“, როგორც სოციალური მნიშვნელობის ტერმინი. „გეოგრაფიის“ მე-11, 3, 5 ნომარ დაკავშირებით ეს ტერმინი დიდი დავის საგანი იყო. ამჯერად გამოკვლეულად უნდა ჩაითვალოს რომ იბერიის საზოგადოებრივი სტრუქტურის აღწერის შემთხვევაში ტერმინი „გენოსი“ — ქართული „გვარი“ — სოციალური ფენის აღმნიშვნელი სიტყვაა.

არ იყო გარკვეული, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა იბერიის სოციალურ წყობაში მეოთხე „გენოსის“ — ვერთაფლობულ „ლაოსს“. ამ ტერმინის შესწავლის საფუძველზე მიღებულია მართებული დასკვნა: „ლაოსი“, „ახალმოშენეს“ აღნიშნავს. ამ დებულების გასამარჯობლად „ეტიორს“ შეეძლო დამოწმებინა სტრაბონის „ისტორიული მოგონებების“ 7(6) ფრაგმენტო, სადაც ნათქვამია: „კვირუნელთა ქალაქში თობი (ფენა); ერთი შოქალაქეთა, მეორე მიწის შემსავთა, იხსამე ახალმოშენეთა (ეტეოკონ) და მეოთხე იუდეველთა“. აქ, როგორც ჩანს, „ეტეოკონის“ ქვეშ სწორედ „ლაოსი“ — „ახალმოშენე“ იგულისხმება.

სარეკენზიო წიგნის მეორე განყოფილება წარმოგიდგენს სტრაბონის „გეოგრაფიის“ კავკასიის შესახებ ცნობების სათანადო ბერძნულ ტექსტს და პარალელურ ქართულ თარგმანს. მთლიანადაა თარგმნილი „გეოგრაფიის“ მე-XI წიგნი, დანარჩენი 16 წიგნიდან კი გამოკრეფილია მხოლოდ საქართველოს შესახები მასალა. ეს მასალა თავის დროზე ლატივებმა გამოაქვეყნა „Scythica Caucasica“-ში, მაგრამ რაკილა ფს წიგნი ინდექსების მეშვეობითაა გაკეთებული, ეს მასალა სრული არ არის. ქართულ თარგმანში კი საქართველოს შესახებ ცნობები მთლიანადაა გათვალისწინებული. საშუუხაროა მხოლოდ ის, რომ სტრაბონის „გეოგრაფიის“ სრული თარგმანი ქართულ ენაზე მაინც არა გვაქვს. ეს მომავლის აუცილებელ საქმედ რჩება.

თ. ყაუხჩიშვილის მიერ შესრულებული თარგმანი წმინდა მეცნიერული მნიშვნელობისაა და ამიტომ სიტყვა-სიტყვითია. *„გეოგრაფიის“* მანამ არის და აზრი საერთო გაიშვი სწორადაა გადმოცემული. ზოგჯერ ეს სიტყვად ატყარების გამო დარღვეულია. მოვიტყვო რამდენიმე მაგალითს: „როგორც კალიმაქე ამბობს: „გრაიოსი უწოდებდა მას ლტოლვილა [ქალაქს], ხოლო [ქოლხთა] ენამ დაარქვა მას პოლა“. (გვ. 96). მთარგმნელს „გრაიოსი“ („გრეკოს“-ი) კაცის სახელად მიუჩნევია უნდა იყოს „ბერძენი“.

„ხოლო გამაგრებულ ჩამონახვებებისაგან, რომლებიც არგონავტებმა დააყრდნობეს, გერაც არის ფერად-ფერადი კენჭები დარჩენილი სანაპიროზე“ (გვ. 97). აქ ბერძნული ტექსტი ვერაა გავებული. მთარგმნელს რომ აპოლონიოს როდოსელს „არგონავტიკაში“ ჩაებედა, ვტიკრობ, შეუდომს არ მოევიდოდა. „გამაგრებული ჩამონახვებები“ („აპოსტოლენგებმა პავენტრ“) არგონავტებმა სხვას კი არ დააყრდნობეს, არამედ კენძელის სანაპიროზე თვითონ ჩამოიფხეკეს კენჭებით ტანიდან ქვეყი და ოფლი. აპოლონიოს როდოსელთან ამის შესახებ კითხულობთ: „სტეჟადების დატოვების შემდეგ არგონავტები მიიღვნენ ეთაღისი კუნძულს, დაქანცულმა ვაჯაკებმა ღვარჩივით მოდენილი ოფლი ამ კუნძულზე კენჭებით ჩამოიშინდეს. ეს კენჭები ეხლაც ჰყრია იქ...“

მე-8 წიგნიდან ამოკრეფილი ცნობების თარგმანი ერთმანეთში არკრულია: 1) ზომალდის სახელი „არგო“ და „ქვეყნის სახელი „არგოსი“, 2) ქვეყნის („არგოსის“ ე. ი. პელოპონესის) ეპოთეტი „იასთერი“ („იასონ არგოს“) და არგონავტების წინამძღოლის სახელი „იპოზონ“. სტრაბონი აქ არც ზომალდ „არგოზე“ და არც იპოზონზე აქ დასაბარბობს (გვ. 103). 239-ე გვერდზე მითითებულია, თითქმის აქ იპოზონი, არგონავტების შეთაფერი, იგულისხმებოდეს. შესაძლებელია საკეთთარი სახელი „იპოზონი“ „იასოსიან“ (შტრ. ზნა „იპოზონ“) წარმოდგა, მაგრამ მთარგმნელი ამას რა თქმა უნდა, არ გულისხმობდა. „იპოზონი“ და „იასოსი“ რომ სხვადასხვა ცნებებია ამ „იპოზონ არგოს“ რომ პელოპონესს აღნიშნავს, საძიებელში ჩანს (გვ. გვ. 253, 271), „იასონ არგოს“ უნდა ვთარგმნოთ არა როგორც „იპოზონის არგოსი“, არამედ — „იასთერი არგოსი“ (შტრ. „პელაგური არგოსი“).

საკეთთარი სახელები თარგმანში კარგადაა გადმოკრეფული. თუმცა ერთგვარობა ხანდახან არაა დაკული (მაგალითად, გვხვდება პლუტარქე და პლუტარქოსი. იხ. გვ. გვ. 242, 244..)

განსაკუთრებით აღენიშნავთ წიგნისათვის დართულ საძიებლებს. აქ ბევრი მეცნიერულად საინტერესო დაკვირვებაა წარმოდგენილი.

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ქართული თარგმანი თავისი კრიტიკული აპარატით დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიის მკვლევართ.



საპირო მანმართვება

„მნათობის“ 1957 წ. № 4-ში დაიბეჭდა ჩემი რეცენზია დოც. კ. გრიგოლის წიგნის („სახლი ქართლის ცხოვრება“) შესახებ. კ. გრიგოლის საპასუხო წერილი, რომელიც გამოქვეყნდა „მნათობშივე“ (№ 9, 1957 წ.), საკვირვეს ზოგიერთ განმარტებას.

ცნობილია, რომ ქართლის ცხოვრების მარიამ

მე ვწერ:

„მაგრამ ეს სახელწოდება მას შეარქვა ქვეყნის პოლიტიკურ - კულტურულმა ცხოვრებამ და მისი მოწეა არაეის შევქლო... ჯერ კიდევ XIII საუკუნეში უწოდებდნენ „ქართლის ცხოვრებას“ იმ კრებულს, რომელიც მარტო ლ. მროველის, ჯუანშერისა, მათიანე ქართლისაის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსებისაგან შედგებოდა. რა თქმა უნდა, ქართლის ცხოვრების ტრადიციამ გამოიწვიებდა თვით ამ ძეგლის შინაარსიდან და ჯუანშერის ცნობილი ანდერძიდან (მარიამ ლელოვლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 215). მაშასადამე ჯერ კიდევ XI საუკუნეში, როცა ქართლის ცხოვრება მარტო მროველისა და ჯუანშერის თხზულებათაგან შედგებოდა, დაედა საფუძველი ქართლის ცხოვრების ტრადიციას. ჯუანშერის ანდერძში ვკითხულობთ: წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ეამითა ეამად, ხოლო ვახტანგ მეფისითაგან ვიდრე აჟამამდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერანშინ“ (მნათობი, № 4, გვ. 153 — 154).

„არა ქართველთა ცხოვრებას არამედ მეფეთა ცხოვრებას წყარდნენ შემდგომი შემართიანნი, ხოლო ფეოდალურ კულტურული წრე ამ მართიანეთაგან შემდგომ კრებულს უწოდებდა „ქართლის ცხოვრებას“ (მნათობი, № 4, გვ. 154).

კ. გრიგოლი ბრძულებაში ათავსებს მეფეთა ცხოვრებას და ამრიგად, „რედაქციას“ უკეთებს ჩვენი გამოცემისთვის. შემდეგ იგი ეხება ლონტი მროველის თხზულებას („მეფეთა ცხოვრება“) და სრულიად უსაფუძვლოდ გმუქობს: „არასად და არასოდეს „მეფეთა ცხოვრება“ (ე. ი. ლ. მროველის თხზულება. კ) ქართველთა ცხოვრების შემცველი არ ყოფილია“.

მკითხველი იბვილად მიხედება, რომ მრავლობითი რიტები — მეფეთა კ. გრიგოლიამ

დღეოდღისეულ ვარიანტს სათურად არ უზის „ქართლის ცხოვრება“ და ვახტანგ VI-ის უწინარეს ჯერ არ აღმოჩენილა ქართლის ცხოვრების ისეთი ხელნაწერი, რომელსაც ისეთი სათურა ჰქონდეს, როგორც ვახტანგისეულ რედაქციაშია დატული.

კ. გრიგოლია წერს:

„ახელ კიკვიძე არ არის მართალი. დოკუმენტალურად ირკვევა, რომ ისტორიულ თხზულებათა ამ კრებულს ზოგადი სახელწოდება ქართველთა ცხოვრება ანუ ქართლის ცხოვრება აქვს თავის არსებობის პირველი დღიდან და ის ვახტანგის დროს შეარქმეული არ არის. იმ რას ამბობს ამის შესახებ ის ძირითადი ანდერძი — მინაწერი, რომელიც არჩილ მეფის წამების ტექსტს მისდევს და იკითხება ასე: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ეამითა ეამად, ხოლო ვახტანგ მეფისაგან ვიდრე აჟამამდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერანშინ“ (მნათობი, № 9) .

მართალი არ არის ახელ კიკვიძე, როდესაც ფიქრობს, რომ სახელწოდება ქართველთა ცხოვრება მხოლოდ ჯუანშერამდე იხმარებოდა და მეტე კი არა. უნდა განვაკხადლოთ, რომ არსად და აროდეს „მეფეთა ცხოვრება“ „არაოველთა ცხოვრების“ შემცველი სახელი არ ყოფილა ქართველთა ცხოვრება ყოველთვის ნიშნავდა საქართველოს ისტორიის მთელ კრებულს, ხოლო მეფეთა ცხოვრება, ყოველთვის იყო იმ კრებულში შემავალი ერთ-ერთი თხზულება, რომლითაც ქართლის ცხოვრება იწყება ხოლოც (მნათობი, № 9, გვ. 116).

თხზულების სახელად გადაქცევა და მკითხველს დაუშალა, რომ ა. კიკვიძე გულისხმობდა ქართლის ცხოვრების შემადგენელ თხზულებებს: 1. „რომლებიც ჯუანშერს აგრძელებენ: ცხოვრება და უწყება, ბაგრატიონიანთა ჩუენ ქართველთა მეფეთასა“, 2. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა (დავითისი)“, 3. „ცხოვრება დემეტრე მეფისა“, 4. ცხოვრება (გორგვი) მეფისა, 5. „ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისა“, 6. „ცხოვრება ვიორგი მეფისა თამარის ძისა“ ან კიდევ: ბასილ ეზოთ მომღვარით — „ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი“.

კ. გრიგოლია განგებ ურევს ქართლის ცხოვრების უძველეს ვარიანტებს ვახტანგის შემდგომდროინდელ ხელნაწერებში, რომ საბუთი ჰქონდეს თქვის, „ქართლის ცხოვრება“ კრებული სითაურად ყველგან შემონახულია.

შე მხედველობაში მიავს მხოლოდ შერაბ დედოფლისეული ვარიანტი, რომელსაც სათაურად არ უბის „ქართლის ცხოვრება“. ძველი იწყება ლეონტი მროველის თხზულებით, რაც შეეხება იმას, რომ ამ ვარიანტის 89-ე გვერდზე იხსენიება „ცხოვრება ქართლისა“². ეს მხედველობიდან არ გაგვეპარა, ხოლო რომელი იქნება ისეთი ნაწარმოები რომელსაც სახელი არ ერქვას, რომელიც დასათაურებული არ იყოს და მხოლოდ ტექსტის შუაგულში იყოს სათაური საძიებელი?

ტექსტის შიგნით გვხვდება ქართლის ცხოვ-

რების ასეთი სახელწოდებანი: „ეს წიგნი“ (გვ. გვ. 13, 78, 117, 645), „წიგნი წიგნი“ (გვ. 336). თუ კ. გრიგოლიას „ქართლის ცხოვრების სათაურად, მამსადაჲ, შეველო აველო „წიგნი“ ან „წიგნიანი წიგნი“, ან კიდევ: „პატრიარხი წიგნი“ (ანასეული ვარიანტი, გვ. 236).

განა ეს იგივე დასათაურებაა კრებულისა, რომელიც ვახტანგისეულ ქართლის ცხოვრების მოემოვება? კ. გრიგოლიას ვერ გავგეგა, თუ რით აიხსნება მართამისეული ქართლის ცხოვრების დასათაურების უქონლობა.

სწავლულ კაცთა მიერ შექმნილი ქართლის ცხოვრების გაგრძელება ვახტანგისეული ქართლის ცხოვრების რედაქციის მიხედვით უშუალოდ მოსდევს XIV საუკუნით შეწყვეტილ ძველ ქართლის ცხოვრებას. ამიტომ:

მე ვწერ:

„რაც სწავლულ კაცთა მიერ შესრულებული ეს შრომა მიჩნეული იყო ქართლის ცხოვრების გაგრძელებად, მას ცალკე ზოგადი სათაური, ბუნებრივია, არ ექნებოდა. მაგრამ გაგრძელება გამომულ ტექსტს როგა წარმოადგენს, რომ რომ მასში ავტორებისაგან არ იყო განსაზღვრული ცალკე ნაწილები... და ამაზე ჯერ ექ. თაყაიშვილმა და შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა“ („მნათობი“, 4, გვ. 153)

მოვტანოთ ეს მითითება აქ მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის ნაშრომიდან: „ვახტანგის მიერ შეურილი სწავლული კაცნი თავიანთ შრომას ოთხ ნაწილად ანუ ხანად მყოფენ:

1. „ცხოვრებანი ქართველთანი, ძისა გიორგისა, მეფისა ბაგრატიისა ვიდრე გიორგის ძისა ბაგრატისამდე“.
2. მეორე ნაწილად უნდა ჩაითვალოს ცხოვრებანი „ბაგრატისა და ძისა მისისა კონსტანტინესი“.
3. მესამე ნაწილს შეადგენს ცხოვრებანი „მეფისა ალექსანდრესი და ძისა მისისა კონსტანტინესი და შემდგომი...“ ეახიშვილა. „ქართული საისტორიო“
4. მეოთხე ნაწილს შეადგენს ამავე „მეფისა როსტომის აქათი“ (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული საისტორიო მწერლობა“ 1916 წ. გვ. 275 — 276).

კ. გრიგოლია წერს:

„თუ ქართლის ცხოვრების გაგრძელებას არ შეიძლება ჰქონდეს ერთი სათაური, მაშინ საკმაოა, როგორც ამტკიცებს ბელ კიკვიძე დებულებას, რომ სწორედ ეს გაგრძელებაა ახალი ქართლის ცხოვრება და ასე უწოდებოდა მას... კიდევ უფრო განსაცვიფრებელია ის ვარაუზება, რომ ა. კიკვიძე აქ ექ. თაყაიშვილს და ივ. ჯავახიშვილსაც კი ასახელებს. თითქოს მათ ჰქონდეთ შესავალში ცალკე სათაურების არსებობა დადასტურებული. სინამდვილეში ექ. თაყაიშვილთან და ივ. ჯავახიშვილთან არც ა. კიკვიძის მიერ მითითებულ ადგილებში და არც სხვაგან სადმე ასეთ რაიმეს ადგილი არ აქვს“ („მნათობი“, 4, გვ. 121).

3

1 კ. გრიგოლია „სათაურს“ მიიჩნევს „ზოგად სახელწოდებად“ (იხ. მისი „ახალი ქართლის ცხოვრება“, გვ. 281). ჩვენც მისი ტერმინოლოგია გვაქვს დაცული წერილში („მნათობი“ № 4).
2 კ. გრიგოლია უთითებს ს. ყაუხჩიშვილის მიერ გადმოცემული „ქართლის ცხოვრების“ 248-ე გვერდს, სადაც ამის მხგავსი არაფერი მოიპოვება.

შე ახსად არ მიწერია, რომ „შეუძლებელია ქართლის ცხოვრების გაგრძელებას სათაური ჰქონდეს-მეთქი“. ეს კ. გრიგოლიას შენათხზია („მნათობი“, 9, გვ. 120). ავტორს სურს აჩვენოს „წინააღმდეგება“ ჩვენს მსჯელობაში, თითქოს ერთსა და იმავე დროს ვიცავდეთ, რომ ქართლის ცხოვრების გაგრძელება უსათაურო ძეგლია და, ამასთანავე, იმსაც ვაღიარებდეთ, რომ იგი სათაურებიანია.

ახალი წიგნები

სამ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
„საგმობთა სამართველო“



- ვ. ბაბუხაძია, ს. ზაფაია — შხაშიანი გველის ნაებნის კლინიკა და მკურნალობა. რედ. ე. ბ. თო-
დაძე, გვ. 32, ფასი 3 მან.
- მ. ბაგაევა და ნ. ალტშულერი — კანის ტუბერკულოზი, რედ. ვ. გადილია, გვ. 10, უფასო.
- ვ. დიკი — „ჯადოსნური“ წყლების და სამკურნალო წყაროები, რედ. ვ. გადილია, გვ. 8, უფასო.
- ლ. გომელაური — საექიმო კადრები საქართველოში დიდი სამამულო ომის შემდეგ ნაწ. 1,
რედ. დ. შამაშთავრიშვილი, გვ. 44, ფასი 70 კაპ.
- შალვა კვახავაძე — გიორგი შაისურაძე, რედ. შ. შამალაძე გვ. 184, ფასი 12 მან. 65 კაპ.
- დ. გურგენაძე — ლექსები, რედ. ვ. ჯაფარიძე, გვ. 60, ფასი 1 მან.
- ა. ი. კიკნაველიძე — შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება შეჩვიების კოლმეურნეობებში.
რედ. ც. კიკინაძე გვ. 46, ფასი 60 კაპ.

საბლიტვაში

- ნიკო ლორთქიფანიძე — მოთხრობები, ლეგენდები, ზღაპრები. რედ. ბ. ქლენტი, გვ. 404,
ფასი 13 მან. 40 კაპ.
- ნიკოლოზ ჩახვაშვილი — საქართველოს კომკავშირი დიდი სამამულო ომის პერიოდში, რედ.
თ. ბაღურაშვილი, გვ. 310, ფასი 5 მან. 30 კაპ.
- დავით ნოზაძე — დიდი რუსი მოგზაური, რედ. გრ. ზარდალიშვილი, გვ. 110, ფასი 3 მან.
- დავით ხუროძე — ოქროს ხელები, რედ. ვ. კაჭახიძე, გვ. 82, ფასი 2 მან. 40 კაპ.
- ქეთევან კილაშვილი — საბავშვო მოთხრობები, რედ. ე. გოგოლაშვილი, გვ. 76, ფასი 2 მან. 40 კაპ.
- ვიტალი შიანკი — მოთხრობები და ზღაპრები, თარგ. შ. თაბუკაშვილისა, რედ. შ. კვაჭავაძე,
გვ. 320, ფასი 7 მან. 60 კაპ.
- ს. კლიმენტაევი — ტელფონი, თარგ. ა. კარბელაშვილისა, რედ. კ. წერეთელი, გვ. 94, ფასი
2 მან. 60 კაპ.

81

ფასი 8 ლ.

8



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САქართველო»